

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

10 იანვარი 2013

№1 (209)



**გილოცავთ
სობა-ახალ წელს!**

შინაარსი

ერი და პაღისწერა	2	გია არგანაშვილი პატრიარქის საიუბილეოდ
წუთები და წლები	4	მაკა ჯოხაძე სამეხარო ღრმა ძილში (ჯორჯ ორუელი)
მსსარს-ინტერვიუ	9	კატია ვოლტერსი „მეძიებდი და მპოვე!“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	10	ნათია როსტიაშვილი ჭაღის ანბალოში
პოეზია	14	გურამ პეტრიაშვილი სამშობლოდან შორს დანერილი ლექსები
პოეზიის ერთი ლექსი	16	რეზო ესაძე როს
უსხოეთის ცხოვრებიდან	18	ჯეიმზ ჯოისი ბარათები
განთიადიდან განთიადამდე	22	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
საუკუნის გადასახედიდან	25	ირმა რატინი საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა და ქართული ლიტერატურული პროცესი
როგორ ვითხოვლობთ კლასიკას	30	თეიმურაზ დოიაშვილი ერთი ისტორიის ისტორია (მიხეილ ჯავახიშვილის „კურდღელი“)
დაუვიწყარი სახელები	40	ნათელა არველაძე არტისტი-ტირიზუნი (გურამ სალარაძის გახსენება)
საქართველოს გზაზე	42	იოსებ ქუმბურიძე გადამწვარ მზეს, გადამწვარს?.. (როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია უმანგი ჩხეიძეზე)
	43	ნინო ვახანია „ნება ჩემი ლექტორი ყოფილიყავით!“ (იოსებ ქუმბურიძის დოკუმენტური პროზა)
ესეისტიკა	46	მურმან ჯგუზურია „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“ ანუ ზოგი რამ სულიერი საკარგიდან და სადღეღამისო საკითხავის შესახებ
სილუაბი	48	ლელა ჯიყაშვილი ერთი კაცი და სინათლე გზაზე (გია მირზაშვილი)
გამომავალა	50	ეკატერინე ტუკვაძე ბაპურ გეგინას ამერიკული გალია
შორეული თავისიანი	51	სოფიკო ჯერვალიძე მარი-მადლენ ბარტი, საქართველო და რევაზ გაბაშვილის გადარჩენილი საფლავი პარიზში...
ლიბერალური ცხოვრება	54	გოჩა კუჭუხიძე ხელახალი დაბადება ნამდვილი სახით (დავით კარიჭაშვილის მსახურება ღვთისა და ერის წინაშე)
უსხოური ნოველა	56	სომერსეტ მოემი ელვარდ ბერნარდის დაცემა
სად წაიყვან სადაურსა	67	ანა კუზნეცოვა გვიყვარსართ, გვეამაყებით (ოთარ ჯანგიშვილი)
ახალი წიგნები	69	იოსებ ქუმბურიძე ფრანკის ტირილი (გიორგი სოსიაშვილის ნოველების კრებული „ნატყვიარი“)
მემორიალი	70	თამარ ღონდაძე ვალმოსდილი (ნოდარ ანდლულაძე)
ამ მთისა და იმ ბარისა	71	იტალიის მეფე საქართველოში (გიეტორ ემანუელ III)



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გაერცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 24 იანვარს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გაერცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: მარი-მადლენ ბარტი, სოფიკო ჯერვალიძის ფოტო
ოჯახური იდილია

გია არგანაშვილი

პატრიარქის საიუბილეოდ

თქვენო უწმინდესობავ!
ქორონიკონი აღმავალ კიბეს ჰგავს, ხოლო ყოველი საიუბი-
ლეო თარიღი — იმ მცირე მოედანს, სადაც ადამიანი აუცილებ-
ლად უნდა გაჩერდეს, რათა თვალი გადაავლოს გამოვლილ გზას
და გასავლელიც დაგვეგოს.

ახლა, ამ კიბის უჯრედში ჩვენც თქვენთან ერთად ვდგავართ,
რადგან უფლის ნებით ჩვენ, თქვენი სამწყსო, აქამდისაც განუყ-
რელად თქვენთან ერთად ვიყავით.

ღვთის ნება იყო, რომ ამ უკიდველანო სამყაროში, მილიონი და
მილიარდი წლისა და ალბათობის პირობებში ჩვენ ერთ დროში,
ერთ მამულში, ერთ ენასა და ერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში
გავჩნდით. თქვენ ჩვენს სულიერ მოძღვრად, ხოლო ჩვენ თქვენს
მრევლად და სულიერ შვილებად.

კადნიერებაში თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი, რომ ჩვენ ერთ-
მანეთის თანადგომისთვის გავგაჩინა ღმერთმა.

მე ახლა ჩემი თაობის, პირობითად 50-60-იანელთა სახე-
ლით ვლაპარაკობ და გილოცავთ საიუბილეო თარიღებს.

ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ ჩვენ მხოლოდ 19-20 წლი-
სანი ვიყავით და სიხარულით შეგვხვდით თქვენს აღსაყდრებსა.
მას შემდეგ თქვენ მიერ განვლილი წლები ჩვენი წლებიც იყო.

ეს ჩვენ ვიყავით, 70-იანი წლების მიწურულს ჯერ კანტი-
კუნტად რომ გამოვჩნდით სამლოცველოებში, ხოლო შემდეგ
უფრო თამამად გავავსეთ ტაძრები.

მაშინ ჩვენ გვქონდა სულიერებისადმი ლტოლვა, მაგრამ
ჩვენ შორის ძალიან ცოტამ თუ იცოდა, როგორი უნდა ყოფი-
ლიყო მორწმუნის ცხოვრება.

სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ჩვენ მშობლიური ენის
გადასარჩენად ქუჩაში გამოვედით.

1989 წლის 9 აპრილს ჩვენ უკვე სიკეთის ასაკისანი ვიყა-
ვით და უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღება შეგვეძლო სა-
კუთარ თავზე.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენ ხშირად გვახსენებენ
და გვსაყვედურობენ, რომ იმ დამეს თქვენი რჩევა არ გავიგონეთ
და ამით გაუთვალისწინებელ პროცესებს მივეციით გასაქანი...

მე, ჩემი სახელით, მაშინაც და ახლაც ვითხოვდი შენდო-
ბას (ალბათ, ბევრი შემომიერთებდა ამაში) და ვაღიარებდი,
რომ პატრიარქი ყოველთვის უფრო შორს ხედავს სამიშროე-
ბას და წინასწარ აფრთხილებს ამის შესახებ მრევლს.

თუმცა დღეს თავის გასამართლებლად სრულიად სხვა შემ-
თხვევას გავიხსენებ, რომელზეც აქამდე ცოტა გვისაუბრია.

არის დეტალები, რომლებმაც შესაძლოა 9 აპრილის ტრა-
გედიის შეფასებასაც ოდნავ სხვა მიმართულება მისცეს.

10 აპრილს, დილით, საოკუპაციო სამხედრო მანქანისგან
დევნილმა და თავშესაფრის ძებნელმა მთელმა ქალაქმა,
სრულიად შეუთანხმებლად, სიონის ეზოში მოვიყარეთ თავი,
მაშინ მივხვდით, რომ ეს იყო პირველი თვალსაჩინო შედეგი
თქვენი, მაშინ უკვე ათწლიანი მოღვაწეობისა.

პირველად გამოჩნდა ერისა და ეკლესიის შინაგანი თანხ-
მობა და სრული ერთიანობა. სწორედ აქ დაიგეგმა ჩვენი იმ-
დღევანდელი მოქმედების შემდგომი სტრატეგიაც.

სწორედ მაშინ გავაცნობიერეთ, რომ თუკი მტრისთვისაც
არსებობდა „აკრძალული ტერიტორია“, სადაც მისი იარაღი
„არ მუშაობდა“, გადარჩენის იმედიც იქ უნდა გვექებნა...

ერთი წლის შემდეგ ჩვენ დამოუკიდებლობა ვიზეიმეთ, ხო-
ლო სულ მალე დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა
და დამარცხებულნი გამოვედით როგორც სამოქალაქო, ისე
სამამულო ომიდან.

ჩემმა თაობამ თქვენს პატრიარქობასთან ერთად გამოი-
რა ეს წლები და ახლა შეგვიძლია პირობით რუკაზე ზუსტად
მოვინიშნოთ ის წერტილები, სადა ვიყავით, რა გზებით ვიარეთ
და სად მოვედით.

რას ველოდით და რა დაგვხვდა.

რა შევიძინეთ და რა დაგვკარგეთ.

მოლოდინი, რა თქმა უნდა, უფრო სხვაგვარი გვექონდა.
გვეგონა, რომ თუ საბჭოთა კავშირის დანგრევას მოვესწრე-
ბოდით და ე.წ. რკინის ფარდის მიღმა გახედვას შევძლებდით,
ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა ბედნიერებისთვის. გან-
დებოდა თვითრეალიზაციის ახალი შესაძლებლობანი და ჩვე-
ნი ცხოვრებაც უფრო მეტ მადლსა და სულიერებას შეიძენდა.

გვეგონა, რომ თუ ათეისტური მსოფლმხედველობის ეპო-
ქას გადავრჩებოდით, ჩვენს ქვეყანაში მაინც აღარაფერი და-
ემუქრებოდა ჩვენს აღმსარებლობის თავისუფლებას...

განვლილმა წლებმა სწავლითაც ბევრი რამ გვასწავლა:

უპირველესად ჩვენ შევძელით მოვლენების შეფასება.
დავრწმუნდით, რომ თუ 70-წლიანი ტოტალიტარული მმართვე-
ლობის პერიოდს ერის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში
მხოლოდ და მხოლოდ ინციდენტად ჩავთვლიდით, მოგვეცე-
მოდა რწმენა გადარჩენისა და ძალა იმისა, რომ ოდესმე შეე-
ბით ამოგვესუნთქა და გვეთქვა: ინციდენტი ამონურულია.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ახლა თუ ჩვენ ტერიტორიული
მთლიანობის დარღვევასაც (მიუხედავად ამდენი უბედურები-
სა) მხოლოდ ტრაგიკულ შემთხვევად და გაუგებრობად ჩავთვე-
ლით, ესეც ისევე მოგვარდება და ერთ დღეს, ჩვენ, საქართვე-
ლოს მოქალაქენი, შვებით ამოვისუნთქავთ და ვიტყვი: უსიამო-
ვნო შემთხვევა დასრულდა, გაუგებრობას ნათელი მოეფინა.

რადგან მე აქ ლიტერატორთა გარკვეულ წრესაც წარმო-
ვადგენ, მინდა ვისაუბრო ეკლესიისა და თქვენს ღვანლზე
საერო კულტურის წინაშე.

თუმცა კულტურის სასულიერო და საერო ნაწილებად და-
ყოფა ძალზე პირობითია, რადგან როგორც წმიდა ილია მარ-
თალი მოძღვარს ათქმევინებს:

„— ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის
გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სან-
თელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის, ჩე-
მო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავარს, გულის სი-
კეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც
მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდად ზედ ამჩნევია ყოველთვის
ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი საღმრთოა. მაგრამ რას
გეუბნები? აქ ერთგანა სწერია: „უნდა კაცი კაცისათვის სი-
ცოცხლისა არ დამრიდოდ, გული მისცეს გულისათვის, სიყ-
ვარული გზად და ხიდად“. მგონია, ეგრე სწერია, თუ სიყ-
ვანამ არ მიღალატა. საღმრთო არ არის, მამ რა არის? ქრის-
ტი-ღმერთმაც ეგ არ გვიბძანა?..“

ესაა ნანყვეტი ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობიდან“

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ჩვენმა საერო ლიტერა-
ტურამ ათეისტური მსოფლმხედველობის პირობებსა და გა-
რემოში მაინც ქრისტიანული კულტურის ნიშან-თვისებები
შეინარჩუნა.

ამავე დროს თითქმის არასოდეს ყოფილა დავინყებული
ლიტერატურის უმთავრესი ფუნქცია, რომ დროის ენაზე
ეთარგმნა ღვთის სიტყვა.

ჩვენში ყოველთვის ცოცხლობდა აზრი იმის შესახებ, საე-
რო ლიტერატურისთვის ყველაზე აუცილებელია შეგნება
იმისა, რომ ღვთის სიტყვა ყოველთვის ახალია.

რომ ლიტერატურისთვის ყველაზე მთავარია, სახელი ანუ
მეტაფორა მოუძებნოს დროის ყველა მოვლენას და ყველა

ტკივილს, რადგან ზუსტი სახელდების შემთხვევაში ადამიანი არათუ ტკივილს, არამედ მხეცსაც კი დაიურევს.

და რომ ლიტერატურაც არის და ლიტერატურაც. რომ დასავლეთში დიდხანია ასხვავებენ სასარგებლო და მანვე ლიტერატურას და ამ მხრივ ჩვენც შეგვიძლია ამ გამოცდილების გაზიარება.

ზოგადად კი, უკეთესია თუ შემოქმედი ცხოვრებას ამჯობინებს წარმოსახვით რეალობას და ამით ორივე — ცხოვრებაც და შემოქმედებაც — მოგებული დარჩება.

ცალ-ცალკე არც მხოლოდ ცხოვრება აღმოჩნდა საინტერესო და არც შემოქმედება.

და ახლა სულ ცოტა რამ ისტორიისთვის:

აღსარებასავით შემოძლია ვთქვა, რომ სულ თავიდან არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ ჩვენი პატრიარქიც სხვანაირი წარმოგვედგინა, რადგან როდესაც ცხოვრებას ვინყებდით, ჩვენ ვგავდით იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ახალ ტანსაცმელსაც საკერებელი დააკერონ.

გვულისხმობ, რომ ჩვენ ხშირად არასწორი წარმოდგენა გვქონდა ანმყოსა და მომავალზე, რადგან მომავალსაც წარსულიდან ველოდით.

გვეგონა, რომ ისევე ძველი გმირები და მოღვაწენი აღდგებოდნენ ძველი სახელებით და ჩვეული საქმიანობით.

ამიტომ არც ჩვენ გაგვემტყუნება, რომ ხშირად „სხვაგან“ ვიყურებოდით და სხვა მხრიდან ველოდით თავგანწირვის მაგალითებს.

ამიტომ ხშირად ჩვენ არ გვესმოდა თქვენი გადაწყვეტილების მიზანი და მიზეზი, მაგრამ ჩვენ გვქონდა მოთმინების და, რაც მთავარია მორჩილების უნარი, რაც საშუალებას გვაძლევდა, რომ მუდმივად გვერწმუნა, არაფერი ხდება ციქვემეთში უფლის ნების გარეშე.

თქვენო უწმინდესობავ, ამ დღეებში თქვენ უამრავი ადამიანი მოგილოცავთ, მათ შორის იქნება თქვენი თაობის ბევრი ცნობილი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ეყოთ გონიერება და შესაბამისი მოქნილობაც აღმოაჩნდათ, რომ შედარებით უდანაკარგოდ გამოეღწიათ იმ წლებიდან...

თქვენ მომლოცველთა შორის ასევე მრავლად იქნებიან ახალგაზრდები. მომავალი მწერლები და მომავალი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ჯერ უცნობნი არიან საზოგადოებისთვის, მაგრამ მათი შემართება და მოშურნეობა იმედს იძლევა, რომ მალე ისინიც სახელმწიფოებრივი ადამიანები გახდებიან.

თქვენო უწმინდესობავ, ალბათ შეამჩნევთ, რომ ამ სხვადასხვა ასაკის და თაობის ლიტერატორთა და მოღვაწეთა შორის ისევე კანტიკუნტად გამოერევა 50-60 წლების თაობა, როგორც კანტიკუნტად გამოვჩნდით ამ 35 წლის წინათ თქვენი აღსაყდრების ჟამს ტაძრებსა და სამლოცველოებში.

უმრავლესობამ ვერ გამოაღწია იმ წლებს... ჩვენ დავრჩით რეპრესიებსა და ციხეებში, დავრჩით სამოქალაქო თუ სამამულო ომებში, დავრჩით უცხოეთში, და რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩვენ ყველგან დავრჩით წარსულ დროში, რადგან ვერაფრით გამოვალნივთ სამშვიდობოს...

უკეთეს შემთხვევაში, ჩვენ ვიქეცით ხიდად, რომ შედარებით მშვიდობიანად და შედარებით უდანაკარგოდ გადაველო ჩვენზე მომავალ თაობას.

დაგვლოცეთ თქვენო უწმინდესობავ, დაგვლოცეთ როგორც გვარებს ლოცავთ ხოლმე, რადგან ჩვენი თაობა, რომელიც არაერთ განსაცდელში გამოგვატარა ისტორიამ, ისეთივე ახლობლები ვართ ერთმანეთისთვის, როგორიც სისხლით ნათესავები.

დაბოლოს, აქ სიტყვას დავუთმობდი იმ ადამიანს, რომელსაც ჩემზე მეტად გაახარებდა ეს დღე, რომ მისცემოდა შესაძლებლობა თავისი პატრიარქისთვის მიელოცა ეს საიუბილეო თარიღები.

ეს კაცი იყო ჩვენი ეკლესიის შვილი, მორწმუნე ქრისტიანი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ან განსვენებული ეროლომ ახვლედიანი.

მე ნაკითხავთ მცირე ამონარიდს მისი წიგნიდან „ძველი და ახალი“, რომელშიც ეროლომ ნერილს სწერს თავის ადრე გარდაცვლილ მეგობარს, ჩვენი დროის ერთ-ერთ საუკეთესო შემოქმედს გურამ რჩეულიშვილს.

საყურადღებოა, რომ ეროლომის ეს წერილი გურამის გარდაცვალებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ, 1999 წლის შობის ღამეს, ათასწლეულთა და საუკუნეთა მიჯნაზე დაინერა.

„ჩემო გურამ!“

შობის ღამეს ეკლესიაში ვიყავი. ტაძარში მხოლოდ თაფლის სანთლები ენთო და მათი შუქი აჩენდა ჩვენი ეკლესიის მლოცველთა მშობლიურ სახეებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა გალობა, ლოცვა, ფსალმუნები და საკურთხეველიდან ჩვენი მოძღვრის ნაცნობი ხმა. არაფერი არ ადასტურებდა, რომ ეს ჩვენი დროა, მეოცე საუკუნის დასასრული: სანთლის იგივე შუქი, იგივე ფსალმუნები, იგივე ლოცვა-გალობანი, იგივე სიტყვები აგერ უკვე რამდენი საუკუნეა უცვლელად მეორდება. მიუფლება უდროობის განცდა. ასევე იდგნენ ჩვენი წინაპრები, ასე ვდგავართ ჩვენც და ასევე იდგებიან ჩვენი შთამომავლნიც სამყაროს აღსასრულამდე. მადლობა ვწირავ ღმერთს, რომ ამ უკვდავ წამში მეც მარგუნა ადგილი. მხოლოდ აქ, ამ გარემოში არის შესაძლებელი, ეზიარო ცხოვრების ნამდვილ აზრს — შეიყვარო და შეინყნარო სხვისი სიცოცხლე და საკუთარი სიკვდილი.“

და ჩვენც, ცოცხლებისა და მიცვალებულების სახელით, ჩვენი წარსულის, ანმყოსა და მომავლის სახელით, მადლობას ვწირავთ უფალს და უფლის სახელით მადლობას ვწირავთ თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, რომ ამ ძნელბედობის ჟამს, ათასწლეულთა და საუკუნეთა მიჯნაზე, ცივილიზაციისა და ტექნოკრატიის არნახული წინსვლის პირობებში, უცხო იდეებისა და იდეოლოგიების გარემოში, ომებით, შიმშილითა და შიშით ღამის შუაზე გახლეჩილი სამყაროს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე მშვიდობიანად გადაატარეთ თქვენი ერი...

დაბოლოს, თქვენო უწმინდესობავ, ყველა თავის ენაზე საუბრობს. ყველა თავის გარემოში დაეძებს ასეთი დღეებისთვის აუცილებელ სადღესასწაულო სიტყვებს. ქართული ლიტერატურა კი თქვენი ღვანლის შესაფასებლად ვაჟა-ფშაველას ამ სტრიქონებზე უკეთეს სიტყვებს ალბათ ვერ მოძებნის:

**მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მანც ღმერთს ვმადლობ, — ემბაკს შეჰპურდა.**



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

მაკა ჯოხაძე

სამყარო ღრმა ძილში

დაბადების ადგილი შეიძლება სამშობლოდ არ იქცეს, მაგრამ გარემო, ლანდშაფტი, ირგვლივ მყოფი ადამიანები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯ ორუელთან ასე მგონია. ხასიათისა არ იყოს, დაბადების ადგილიც ბედისწერაა...

ინგლისელი მწერალი ორუელი ინდოეთში დაიბადა, მოტიხარაში, საშუალო შეძლების არისტოკრატიულ ოჯახში. სწავლა წმ. კვიპრიანეს სახელობის სკოლაში განაგრძო. ამ პერიოდში მან სახელობითი სტიპენდია მიიღო და იტონის სამეფო კოლეჯშიც ჩააბარა. ეს იყო ყველაზე პრესტიჟული კერძო სასწავლებელი ვაჭებისათვის. იტონის დამთავრების შემდეგ აღარც სტიპენდია ჰქონია და აღარც უნივერსიტეტში გაუგრძელებია სწავლა. და უცებ სხვათათვის სრულიად მოულოდნელ ნაბიჯს დგამს. მუშაობას ბირმის პოლიციაში იწყებს. ორუელმა ბირმული ენა შეისწავლა და ინტენსიური, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა უბრალო მოსახლეობასთან.

არაფერი ქრება უკვალოდ, მით უფრო — ბავშვობისა და ყრმობის წლები. ვინ იცის, რამდენჯერ შეძრულა მოზარდის მგრძობიარე გული მზით დამწვარი და სიღარიბით განანაშლები ადამიანების უსამართლოდ დასჯის გამო. კიპლინგისაგან განსხვავებით, ორუელი, როგორც თეთრი რასის წარმომადგენელი, თავს ყოველთვის დამნაშავედ გრძობდა ინდოელების წინაშე. იგი ნამდვილ შემოქმედად იყო დაბადებული, თანასწორობისა და თავისუფლების საყოველთაო იდეა რელიგიის რანგში ჰქონდა აყვანილი და ისევე ეთაყვანებოდა, როგორც თავორი და განდი.

პოლიციაში მუშაობის წლები დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოდგა. მას ხომ იმხანად ორიათასი ადამიანის უსაფრთხოება ებარა. არა მგონია, ორუელის სამართლიან ბუნებას სხვაგან მთელი სიმძაფრით ასე დაენახა, გაეანალიზებინა კანონისა და სასჯელის ერთგვარი პირობითობა; ეგრძნო, რას ნიშნავს, როცა უსამართლოდ გსჯიან და გამკითხავი არავინაა; ეგრძნო, რომ არა მხოლოდ ბელადს შეუძლია უკარნახოს ხალხის მასას თავისი ინტერესები, არამედ ბრბოსაც შესწევს ძალა, საკუთარი სურვილებისამებრ მეთაური მძევლად აქციოს და აქეთ-იქით ატრიალოს.

ხუთი წელი იმუშავა პოლიციაში და, რომ არა ციების საშინელი შემოტევები, ალბათ, მისი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი კიდევ კარგახანს შერჩებოდა ამ ადგილს. დახმარებისა და სამართლიანობის გრძნობასთან ერთად იქნებ ორუელს თავისი ნამდვილი მოწოდებაც აიძულებდა, სხვაშრივაც უფრო მასშტაბურად ემოქმედა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მისი მოგონებებიდან ერთი ამონარიდი: „შქონდა რალაც ბუნდოვანი, წარმოდგენისმაგვარი ჩემს სამწერლო მოწოდებაზე, მაგრამ უფრო იმიტომ წამოვედი, რომ აღარ შემეძლო მემსახურა იმპერიისათვის, რომლის მძარცველი ხასიათი ბოლომდე შევიცანი“.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა რამდენიმე წლის განმავლობაში ორუელის გატაცება ჯეკ ლონდონით. ორუელს განსაკუთრებით უყვარდა მისი წიგნი „ფსკერის ადამიანები“. იმდენად უყვარდა, რომ ბიოგრაფები ირწმუნებიან, სწორედ ამ წიგნის გავლენით გადაწყვიტა ფსკერის ცხოვრებით ეცხოვრა. ამ ვარაუდს მწერლისავე სიტყვებით ამაგრებენ:

„მე თავად მინდოდა ბოლომდე დაცემა და ფსკერის ადამიანად ქცევა, მსურდა ვყოფილიყავი ერთ-ერთი მათგანი — განკიცხულთაგანი, და მის გვერდით ვმდგარიყავი ტირანიასთან ბრძოლაში“.

ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ საყვარელი მწერლის გავლენის გარეშეც შესანიშნავად დასტურდება, რომ ორუელის მთელი ცხოვრება, სამართლიანობისათვის თვითშენივამდე ბრძოლა გოლგოთის გზაა და, დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს არის მისი ბუნების უმთავრესი ნიშანი, ტვიფარი თუ დამლა. ამ ყოველივეს ისიც მონიშნავს, რომ მტკიცე გადანყვეტილებით მიემგზავრება პარიზში, სადაც შეეძლო მშვიდად დარჩენილიყო იქ მცხოვრები დედის მეურვეობის ქვეშ... ულამაზეს ქალაქში — ხელოვნების მექაში, სრული თავისუფლებით დამტკბარიყო და ამ ფონზე წარმართულიყო მისი შემოქმედებითი ძიებები, ინტერესები, ექსპერიმენტები... ნაცვლად ამისა, ვულფვიტ პარიზის მუშათა კვარტალში დასახლდა და ერთ-ერთ ფემენებულურ სასტუმროში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. ამავე წლებში იწყებს ანრი ბარბიუსის ჟურნალთან თანამშრომლობას, ზედიზედ ბექდავს მოთხრობებს, რომელთა მთავარი თემა და მოტივებია სწორედ ე.წ. ფსკერის ადამიანებს ეხება; წერს უმუშევრებზე, მანანანალებზე, მეძავეებზე, ლოთებზე, ლატაკებზე.

ლიტერატურათმცოდნეთათვის ეს გავლენები და თემები, მაგრამ ნამდვილი შემოქმედისათვის ასეთი ტიპების გვერდით ცხოვრების სურვილი თანდაყოლილი მწერლური (იქნებ ადამიანური?!) პატიოსნება უფრო მგონია, ზედმინენითი სიზუსტით შეისწავლო და განიცადო ის ფიქრები, ემოციები, ნაბიჯები, ქმედებები, რითაც ეს ფენა არსებობს და სულდგმულობს; არც შენი თავი მოატყუო და მკითხველსაც ზუსტად გადასცე, გული რომ მოუღბო და ცხოვრება სხვა კუთხითაც დაანახო.

რა არის ეს, რა ჰქვია მწერლის ამ გარჯას, თუ არა ადამიანის სიყვარული. ცნობილი ფაქტია, რომ ერთხელ ორუელმა ქუჩაში დებოშიც კი ატეხა, რათა შობას ციხეში შესვლად გადაეცინა ცხოვრების გამოცდილების უკმარისობას მწვავედ განვიცდიდით. რომ არა მოყვასის დიდი სიყვარული და მისი ბოლომდე გაგების მძაფრი სურვილი, ვინ იცის, რამდენი საბედისწერო ნაბიჯი აღარ გადაიდგებოდა ორუელის ცხოვრებაში.

ორუელს აღიზიანებდა მხოლოდ აბსტრაქტული, უპიროვნო ცნებები, თუ მას პრაქტიკული საქმეებიც არ უმაგრებდა ზურგს. ამის გარეშე ყოველგვარი დარიგება და მონოდება ეგზალტირებულთა ლოზუნგებად რჩებოდა. ორუელი უკვე ხედავდა სიტყვისა და საქმის კატასტროფულ, ტოტალურ დაცილებას, რაც ბევრისთვის შეუმჩნეველად ფეხს იკიდებდა მთელ სამყაროში. ეს განსაკუთრებით კომუნისტების ნაბიჯებით ცხადდებოდა. არადა, სამყაროს თანასწორუფლებიანი მოწყობის არსი თეორიულად არაჩვეულებრივად სწორედ კომუნისტებს ჰქონდათ ჩამოყალიბებული, მაგრამ რეალობაში ისეთი ნაბიჯები გადადგეს, კომუნისმიც ფაშიზმად აქციეს.

ეს ფატალური პროცესი ორუელმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაინახა და საკუთარი ხელწერის მქონე უძლიერეს ნაწარმოებებში გადმოსცა. საკმარისია გავისხენოთ რომანი „1984“, რომელიც (კამიუს „შავი ჭირისა“ არ იყოს, ფაშიზმის სიმბოლოდ რომ აღიქმებოდა) საბჭოთა კავშირის ამსახველ ნიგნ-მეტაფორად იყო მიჩნეული. ორუელი ერთგვარ გაფრთხილებას იძლეოდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ ტოტალიტარიზმის იდეა საყოველთაო, საერთო იდეაა და ის, როგორც წესი, ინტელექტუალთა ტვინებში ცოცხლობს და ანთია. ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ რომანში „1984“ მოქმედება ინგლისში მიმდინარეობს, რითაც ორუელმა კი

არ მიანიშნა, არამედ პირდაპირ უთხრა სამყაროს — „ინგლისურენოვანი ერები არაფრით უკეთესნი არ არიან დანარჩენ ერებზე და ტოტალიტარიზმს თუ ბრძოლა არ გამოუცხადეს, მას ყველგან შეუძლია გამარჯვება“.

მწერლის თვალსაზრისით თუ რწმენის საყოველთაო იმანაც დაადასტურა, რომ რომანი „1984“, თავდაპირველად დიდი გაჭირვებითა და სიფრთხილით ათასიანი ტირაჟით ძლივს დაიბეჭდა ამერიკაში, 1948 წელს კი, გარდაცვალებამდე სულ რაღაც წელიწადნახევრით ადრე, ავადმყოფმა ორუელმა უკვე შეიტყო ამ ნიგნისადმი მკითხველთა გასაოცრად მზარდი ინტერესი. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ რომანი მსოფლიოს სამოც ენაზე ითარგმნა და მილიონობით ტირაჟით გამოიცემა.

ინტერესი არ მოკლებია ორუელის მეორე ნიგნსაც „ცხოველთა ფერმა“, რადგან ბოლშევიკებმა იგავ-რომანში აშკარად იცნეს საკუთარი თავი, საბჭოთა კავშირში ამ ნაწარმოებს წლების განმავლობაში ედო ტაბუ.

ამბობებული ცხოველები იგივე ადამიანები არიან, რომლებიც სამართლიანობის სახელით რევოლუციას აწყობენ, მაგრამ ამის შედეგად არაფერიც არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ცხოველები ძალაუფლებით ინყებენ ტყობას და საბოლოოდ ისინიც ტირანებად ყალიბდებიან. ასე რომ, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის გზას ჯორჯ ორუელი უკვე აღარც რევოლუციებში ხედავდა.

„მოიპოვო ქვეყნის თავისუფლება — ნიშნავს, შეხვიდე სულიერ სამყაროში. თავისუფლება სულის თავისუფლებაა... სულიერ სამყაროში შესასვლელად ადამიანმა თავისუფლების გმირობა უნდა ჩაიდინოს“, — წერდა ნიკოლოზ ბერდიაევი და ეს სიტყვები მეოცე საუკუნის მწერალთაგან თუ ვინმეს მიესადაგება, სწორედ ჯორჯ ორუელს.

განა „თავისუფლების გმირობა“ არ იყო ის, რომ 1936 წლის მიწურულს ორუელი ესპანეთში მიემგზავრება, რათა ესპანეთის რესპუბლიკა ფრანკოს რეჟიმისაგან იხსნას, იმ ფრანკოსაგან, რომელსაც ჰიტლერი და მუსოლინი, როგორც მათი იდეების გამტარებელს, როგორც ერთ-ერთ სერიოზულ თანამოაზრესა და თანამოამაშეს, ისე უჭერდნენ მხარს. ორუელის სურვილმა ჩვენი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე გამახსენა, გარიბალდის რაზმში მოხალისედ რომ აპირებდა ჩაწერას. ორუელიც მოხალისე იყო, თავდაპირველად სამხედრო რეპორტაჟების გადმოსაცემად რომ ჩავიდა კატალონიაში.

ფაშიზმის გრძნობა, მისი პერსპექტივაში დანახვა, საოცარი სისავსითა და სიზუსტით ამ რეჟიმის შედეგების წინასწარჭვრეტა, ჩემი აზრით, ისე ვერავინ შეძლო, როგორც ჰერმან ჰესსი და ჯორჯ ორუელი. თუმცა იყვნენ ამ საკითხისადმი (თემისადმი) სხვაგვარად განწყობილი მწერლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მოვალეობის გრძნობის გამო სხვის ომში ჩართვა „იდიოტური ნაბიჯია, ხოლო ფანტაზია იმის შესახებ, რომ ებრძოლო ფაშიზმს, დაიცვა დემოკრატია და ასე შემდეგ, ნამდვილი სისულელეა“. — ეს სიტყვები ორუელს პარიზში მისმა კეთილისმსურველმა ჰენრი მილერმა უთხრა, როცა გაიგო, რომ მწერალი ესპანეთში საფრანგეთის გავლით მიემგზავრებოდა.

გულდასაწყვეტია... შემდგომში თავგადაკლული პაციფისტისაგან ირონიულს შეფერილობის ეს დარიგება ადამიანურად იქნებ გასაგებიც იყოს, მაგრამ მწერლისაგან მაინც ძნელი მოსასმენია.

ფაშისტური გერმანიის მძვინვარების პერიოდში ერთ მხატვარს თურმე სრული სერიოზულობით განუცხადებია: მე მხატვარი ვარ და მიმაჩნია, თუ შთამომავლობისათვის რამდენიმე ყვავილის შეგროვებას და ტილოზე გადატანას

მოვახერხებ, ჩემგან სრულიად საკმარისი იქნებაო.

დანემი შენიშნავს, ამ დროს ფაშიზმის შავი აჩრდილი ეკიდა ევროპის ცაზე და ესპანეთი ილუპებოდაო. რა თქმა უნდა, მხატვარს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ყვავილების შეგროვება და მათი ტილოზე გადატანა იყოო...

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ „მეტის შემძლე“ მხატვრებს გუტუზოს, მუნკის, სალვადორ დალის გულისცეგრასთან მიხლოებული გულისცემა მაინც უნდა ჰქონოდათ.

ერთხელ პორტუგალიის დიდმა პოეტმა ჟუზეკეირომ უნამუნოს პირად საუბარში უთხრა, ესპანეთის პოეტები საერთოდ არ ჰყოლიაო. შემცბარმა უნამუნომ უპასუხა, თქვენ ალბათ პატრიოტებს გულისხმობთო. დიას, პატრიოტიზმს ვგულისხმობ, რადგან ჩინოენიკი, სახელმწიფო მოხელე, ბულატერი, თვით ფილოსოფოსიც კი შეიძლება არ იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი კი ყოველად წარმოუდგენელია უამისოდ. მე დარწმუნებული ვარ თქვენი ქვეყანა მალე მოიშუშებს ომის ჭრილობებს, შექმნის სწორ, გონიერ ეკონომიკას, წელშიც გასწორდებით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ესპანეთისათვის საბედისწერო წლებში თქვენ პოეტები არ გყოლიათ, რადგან მათი სასონარმკვეთი ყვირილი კი არა, უბრალო წუნწინიც კი არ გამოიგონიაო.

ყოველივე ამან გალაკტიონის „მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა“ გამახსენა, ანდა „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“... ამ სტრიქონების ათასნაირი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი ინტელექტუალთა მიერ, მაგრამ „სისხლიანი ანგელოსში“ მაშინაც და ჩვენი ისტორიის უახლოეს პერიოდშიც, ესპანეთისა არ იყოს, ყოველთვის საქართველო იგულისხმებოდა და იგულისხმება.

მამ ასე, 1936 წელს ორუელი ესპანეთში, კერძოდ, კატალონიაში ჩადის საგაზეთო წერილების დასაწერად. როგორც მისი ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების კაცისაგან იყო მოსალოდნელი, იგი მაშინვე ადგილობრივი მილიციის ქმედით რაზმებს უერთდება, რათა ფრონტის წინა ხაზზე მოხედეს და უშუალოდ ჩაებას ბრძოლებში; როგორც მწერალმა, მან მთლიანად უნდა იგრძნოს და დაინახოს ომი შიგნიდან, ომი, როგორც სამყაროს გადამრჩენი თუ დამანგრეველი ფენომენი. იმხანად კატალონიას ისევ ანარქისტები აკონტროლებდნენ, რევოლუციური ტალღები ბოლომდე იყო აგორებული...

ჩასვლისთანავე თვალშისაცემია ესპანეთის ფერთა ერთგვარი სიმბოლიკა. მთელს კატალონიაში ორად ორი ფერი დომინირებს — ნითელი და შავი. ამ უუშმაკო ფერებში პირდაპირ იკითხება: შავი — მინა და ნითელი — სისხლი.

სწორედ ამ გამოცდილებითა და აქ ყოფნის შედეგად იწერება ორუელის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „პატივი კატალონიას“. არც კი ვიცი, რომელი ჟანრის კუთვნილებად შეიძლება გამოცხადდეს ეს თხზულება — სამხედრო თუ სა-



ჯორჯ ორუელი

ველე რომანად? დოკუმენტურ პროზად? თუ ავტობიოგრაფიულ თხზულებად? მსგავსი განსაზღვრებანი და ჩარჩოები უალრესად პირობითი იქნებოდა, იმდენად მრავალმხრივი და განსაცვიფრებელი სიზუსტით დაწერილ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. კითხვის პროცესში მთლიანად იკარგება დროისა და სივრცის პირობითობა და ჩნდება აბსოლუტური განცდა იმისა, რომ შენც ამ ომში მონაწილეობ.

ალარ მახსოვს, რომელ მწერალს უწერია, ჰოლოკოსტის მერე ლიტერატურა შეუძლებელი გახდაო. მაგრამ ორუელის ამ სასტიკ წიგნს სწორედ ეს უცნაურობა ახასიათებს — ომის კომპარული პერიპეტეიების გავლით იგი სწორედ შეუძლებლის ზღვარს გადალახავს და შესაძლებელს ხდის, დაგვანახოს: თვით გაუსაძლის პირობებში, ომის ამაზრუნ აბსურდში, ტალახში, სიცივეში, სიბინძურეში, შიმშილსა და სისასტიკეში როგორ შეიძლება გადარჩე არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ გადარჩე პიროვნებად და ღირსება შეინარჩუნო.

დღევანდელი მკითხველისათვის თითქოს რა უნდა იყოს იმაზე მოსაწყენი, რომ მთელი გვერდების მანძილზე ყოველგვარი ინტრიგის, სასიყვარულო, პიკანტური სცენების, ეროტიკის, პათოლოგიური სიტუაციების, ოკულტიზმისა და მისტიკის გარეშე დაწერილი ნაწარმოები იკითხო და... ნამითაც არ მოგწყინდეს. სწორედ ამაშია ორუელის, როგორც მწერლის სიძლიერე, ამ რომანის ხიბლი და ანდამატი. სწორედ ამ მოუხელთებელი, თითქმის აუხსნელი ინტერესით იკითხება ორუელის ომის საგა — „პატივი კატალონიას“.

თავი რომ დავანებოთ მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებს, მის განხილვებსა თუ განხიბვლებს, ორუელს ერთი უცნაურობა სჭირს, ნებისმიერ სახიფათო სიტუაციაში იგი, როგორც რომანტიკოსი ისე ერთვება. ასე მოხდა კატალონიასშიც. „მოკავშირე“, რუსი „ძმების“ მიერ ინსპირირებულმა ესპანეთის სამოქალაქო ომმა კი იგი დიდ რეალისტად აქცია. ასეთია მისი ბუნება და ეს ბუნება ზედმინევენითი სიზუსტით გამოიხატა ორუელის მრწამსში: „თუ მწერალი არ გრძობს სიმართლეს იმისას, რაზეც წერს, მაშინ მკვდარია მისი შემოქმედებითი რაციო“. აი, სწორედ ეს სიმართლე, ეს შინაგანი პატიოსნება, სინდისი — ეს ღვთის ხმა ადამიანში — აიძულებდა მწერალს სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვითა და სრული მობილიზებით ეჩვენებინა ომი როგორც გარედან, ისე შიგნიდან. თითზე ჩამოსათვლელია იმ პერსონაჟთა გვარები, რომლებიც რომანში მონაწილეობენ, მაგრამ ისეთი განცდა გრჩება, რომ კითხვისას ჟორჟ კოპის, ნინის, ეილენის, ბობ სმაილის, უილიამისა და კიდევ რამდენიმე პერსონის გვერდით ამ ომში ჩართულ თითოეულ ჯარისკაცს ხედავ, გესმის და გრძნობ მათ ხმებს, განცდებს, ემოციებს, მათ შერგძნებებს, გულისცემას... არადა, ისინი ათასობით არიან.

წიგნის რიტმი თავიდან ისევე მშვიდად, ნელ-ნელა იკრებს ძალას, როგორც კატალონიიდან წელი სვლით გასული მატარებელი არაგონის ზეგანზე. ომის პერიოდისათვის შესაფერისი ტემპით, საათში დაახლოებით ოცი კილომეტრის სისწრაფით რომ მიუყვება გზას.

ისიც სიმბოლურია, რომ წიგნის დასაწყისშივე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ომის დასაწყისი, ახალი სიცოცხლე ჩნდება ინგლისელი უილიამის ცოლის მიერ: „ნაზი, შავთვალეა, ღრმადქალური არსება, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისი ცხოვრების საქმე აკვნის რწევა იყო, არადა ფაქტია, რომ ვაჟკაცურად იბრძოდა კაცების გვერდით ივლისის ბრძოლებში. ამჯერად მას ჰყავდა ჩვილი, რომელიც ომის დაწყებიდან სულ რაღაც ათი თვის შემდეგ გაჩნდა და, ალბათ, რომელიმე ბარიკადის უკან მოველინა ქვეყანას“.

ძნელი სათქმელია ორუელივით ეს „ნაზი არსება“ იდეისა და სამართლიანობის გამო იბრძოდა ამ გაგანია ომში თუ

საკუთარი ოჯახის ინსტინქტური დაცვისა და განუყოფლობის მდებრული თავგანწირვა აიძულებდა, ქმრის გვერდით ყოფილიყო ტყვეების ქარცეცხლში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს აბსურდული ომი სწორედ სიცოცხლის დაბადებით იწყება წიგნში. თითქოს ჩაძინებული, ვარდისფერი ჩვილის ანგელოზურმა ღიმილმა უნდა გადაფაროს, გაანეიტრალოს ის საშინელი ხმაური და ხილვები, სუნი და შერგძნებები, გასული საუკუნის ოცდაათიანი, ორმოციანი წლების ომებისათვის რომ იყო დამახასიათებელი.

საკვირველი რამ არის ომი. ნებისმიერი ომი — „სამართლიანი“ თუ „უსამართლო“ — დიდი ანგარიშით, პიროვნების გაუვნებელყოფას, განეიტრალებას, წაშლას ემსახურება. სულაც არ მიმაჩნია, რომ ჩემი მოსაზრება პაციფისტურია. ბრჭყალებში ჩასმული „სამართლიანი“ და „უსამართლო“ ომების არსიც კარგად მესმის და იმ ისტორიული მეფეების, გენიალური მხედართმთავრებისაც, რომელთა ტვინსა და გულშიც ერთდროულად იბადებოდა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის, საკუთარი სამშობლოს გადარჩენისათვის საჭირო ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმები და სვლები. ისიც კარგად ვიცი, რომ ქრისტიანობა ამგვარ თავდაცვით ომებს აკურთხებდა. როგორც მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი იტყვოდა — „ჩვენ ამქვეყნად იმისთვის მოვდივართ, რომ მისგან თავი ვიხსნათ, ისევე, როგორც ადამიანები ომში თავის შესაქცევად კი არ მიდიან, არამედ იმიტომ, რომ მისგან თავი იხსნან“.

მე უფრო თანამედროვე ომებზე ვსაუბრობ, მათ ნაირნაირ სახეობებზე, მეოცე საუკუნიდან მოყოლებულ მსოფლიო ომებზე, საერთაშორისო ომებზე, ტერორიზმზე, რომელთა კულისებშიღმა არსებული მაპროვოცირებელი თუ შემქმნელი ძალები არაჩვეულებრივად იყენებენ ეპოქალურ, ისტორიულ მონაკვეთებს და სწორედ სიტუაციებით, ისტორიული პერიოდებით ამართლებენ პიროვნების, ზოგადად, ადამიანურობის არაფრად ჩაგდებას, სულაც — გაქრობას, ცნობილი გამოთქმა რომ ვიხსნათ, ადამიანთა საზარბაზნე ხორცად გამოყენებას. სწორედ ეს განსაზღვრავს თანამედროვე ომების ყველაზე დიდ ტრაგიზმს. მწერალს კი ისლა დარჩენია, როგორც პავიჩი იტყვოდა, თვით ომის დროსაც არ შეწყვიტოს შენება, ესე იგი, წერა.

ომის ტრაგიკულობისა და აბსურდულობის გაგება იმდენად ომის ხმაურით — ჭურვების, ზარბაზნების, ქვემეხების, ავტობატების, ხელყუმბარების აფეთქებებით, კაკანითა თუ გამაყრუებელი ზალპებითა და ბათქა-ბუთქით, ერთი სიტყვით, მთელი სამხედრო არსენალის დაცლის თანმხლები ქექა-ქუხილის, ელვა-ნათებების, დაჭრილი ადამიანების კვნესა-გოდებითა და მომაკვდავთა უკანასკნელი ამოსუნთქვა — კი არაა შესაძლებელი, რამდენადაც ს ი ჩ უ მ ი თ. დიას, ომის დამთავრების შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმით. ამ შემთხვევაში, არც მოგებული ომების თანმხლები ყიჟინა მაკინყდება და არც შინდარჩენილ ქირისუფალთა სიხარულიანი, თვალცრემლიანი მიგებებანი. მე უფრო ამ ხანმოკლე დღესასწაულების შემდგომ ჩამოვარდნილ ს ი ჩ უ მ ე ს ვგულისხმობ, მცირეოდენი პერიფრაზით ბრეტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ — ომი დამთავრდა, სიჩუმის გეშინოდეთ!

სიჩუმეში, დუმილის ამ სამარეში, დიდხანს რჩებიან გამარჯვებული თუ დამარცხებული ომის მონაწილე ადამიანები, ჯარისკაცები, და ომში კი არა, სწორედ აქ, ამ სიჩუმეში წყდება მათი ყოფნა-არყოფნის ბედი. სწორედ საკუთარ თავთან დარჩენის სიჩუმეში იმარჯვებენ ან მარცხდებიან საბოლოოდ.

ამ თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის, ომი იგივე ციხეა, უბრალოდ პროცესები ერთში ღია ცისქვეშ მიმდინარეობს, მეორეში კი — დახურულ სივრცეში. ერთს რკინის გისოსები

იცავს, მეორეს — ტყვიების განუწყვეტელი ჯერი. ერთში საკნების სულისშემბუთველ სივრცეში წვანან ტუსალები, მეორეში — წვიმასა თუ თოვლში, დარსა თუ ავდარში საკუთარი ხელით გათხრილ სანგრებში იმალებიან ჯარისკაცები. ომშიც და ციხეშიც შიშის აჩრდილი სიკვდილივით დაძრწის. მისი ძრწოლა ჯარისკაცისა თუ პატიმრის ქვეცნობიერ სამყაროში დამწყვედულ მხეცს ათავისუფლებს. ეს მხეცი მბრძღვინავი ლომივით თვითგადარჩენის ინსტინქტს აღვიძებს და ადამიანს აიძულებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს. ამიტომ შენკენ მომართული ყოველი აცდენილი მუშტი თუ ტყვია გამარჯვებაა, ხოლო შენგან მოკლულ, დასახიჩრებულ ადამიანს კი გამარჯვება ჰქვია.

ომიც და ციხეც ის ურჩხულია, რომლის ბნელ სტომაქსამოვლილი უპიროვნო ადამიანები სიჩუმის სანგრებში, სიჩუმის თავშესაფრებში იმალებიან და იმავე ინსტინქტებით გრძნობენ, რომ რაღაც უალრესად მნიშვნელოვანი და უმთავრესი გაებნათ თუ დაეკარგათ. მაინც რა ჰქვია ამ დანაკარგს, რის გამოც სწორედ ჩამომდგარ სიჩუმეში ენამებიან ტუსალები და ჯარისკაცები? ათასი სახელი შეიძლება დაეძებნოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად შეურაცხყოფის განცდა შეეფერება მას, გრძნობა, რომელსაც მხოლოდ პიროვნებები განიცდიან და სიჩუმის სამარეში სირცხვილის აღმურებად ეკიდება მათ სისხლსა და ღანკებს. რა უცნაურია და რა ბუნებრივად მანუეგებელიც ერთსა და იმავე დროს, რომ სირცხვილით, ამ ღვთისმომადლებული გრძნობით, რომლის საბოლოო სახელიც სინანულია, ისევ ტუსალები და ჯარისკაცები ისჯებიან, ისევ ჩაგრულები ისჯებიან და არა ჯალათები, ისევ შემსრულებლები და არა შემკვეთები. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ პირველნი სულიერად ჯერ ისევ ცოცხლობენ და გადარჩენის შანსიც აქვთ. ხოლო მეორენი, სულიერად მკვდარნი, დაუმარხავი გვაგებივით დაიარებიან დედამიწაზე.

ორუელმა საოცარი ომი დახატა, რომლის სისასტიკეში, „ხმაურსა და მძვინვარებაში“, აპოკალიფსურ ხილვებსა თუ ქვემეხების გამაყრუებელ ჭექა-ქუხილში, შემადრწუნებელ სიბნელებში ელვისებურ ნათებებსა თუ ტალახაზელილ თოვლში, მკბენარებით სავსე ბზედაგებულ ლოგინებსა თუ საცვლებში, პაროლარული, დაბნეული გუშაგების ტყვიების ზუზუნში, ფრონტისპირა დაბომბილ სოფლებსა თუ მადრიდის წითელი დროშების ფრიალში წამითაც არ აბნევია თავგზა და წამითაც არ დავიწყებია ეს საცოდავი, უსმელ-უჭმელი ახალწვეულები. ბავშვები, სულ პატარა, გულადი 13-14 წლის ბიჭები, რომელთაც არაფერი უჭირდათ ისე, როგორც უძლიერების გადატანა: „ჩემი სექციის საცოდავი ბავშვების გადღობების ერთადერთი გზა იყო ფეხებში ჩავლები და მიწურიდან გამოთრევა. მაგრამ როგორც კი ზურგს შეაქცევდი, მაშინვე ტოვებდნენ თავიანთ პოსტებს და ისევ მიწურში მიძვრებოდნენ. ის კი არა, საშინელი სიცივის მიუხედავად, სანგრის კედლებს ეყუდებოდნენ და ასე იძინებდნენ“.

ომში — ჯოჯოხეთის ამ მრუმე ფერებში — ორუელის თვალი, რომელიმე ახლადგაკვირტული, ანდა კვირტიდან ახლადგამომხტარი ყვავილის თეთრ-ვარდისფერ წინწყლებს ისე მოულოდნელად ამოზიდავს და მიმოაბნევს მიდამოს, როგორც ჭაობის ბინძური ფსკერიდან მოულოდნელად ამოსკვებიან ხოლმე ყველაზე უბინო, ქათქათა დუმფარები.

საერთოდ, ძალიან უცნაურია ამ წიგნის პეიზაჟი. ისეთი განცდა გრჩება, რომ მწერლის შეგრძნებები და თვალი კი არ აღბეჭდავს მათ, არამედ თავად ცოცხალი ბუნების არსი, მერქანი, გულისგული რეაგირებს ადამიანთა სისასტიკეზე, უგზურებაზე, სიმკაცრეზე, დაბნეულობასა და უმწიბრობაზე: „ცაში თითქმის არასოდეს დაფრინავდნენ ჩიტები. არა მგონია, ოდესმე მენახოს ქვეყანა ესოდენ მცირერიცხოვანი

ფრინველით“... ნავიკითხე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ჩვენი ქალაქი გამახსენდა, ე.წ. სამოქალაქო ომის მერე 4-5 წლის განმავლობაში თბილისის ცაზე მერცხლების გუნდი რომ აღარ გამოჩენილა.

„რატომღაც ყველა საუკეთესო მატადორი ფაშისტი აღმოჩნდა“. ეს ფრაზაც ორუელის აღმოჩენაა, რომლის ბუნდოვან გარკვეულობაშიც, პირადად ჩემთვის, ესპანური გენეტიკისა თუ ხასიათის მნიშვნელოვანი შტრიხიც იკვეთება.

რაც შეეხება ესპანურ მენტალობას, მის ამსახველ მრავალ შთაბეჭედად მაგალითს გვიჩვენებს მწერალი, რომელიც გაოგნებულია ამ ხალხის განუყრელი კეთილშობილებით, სულგრძელობითა და მათი „თავგზისამბნევი“ ხელგაშლილობით. ჟურნალისტები კი მათ ათასგვარ სიცრუეს მიაწერენ, მათ შორის, უცხოელების მიმართ შურის გრძნობასაც. ამ ცილისნამებით აღშფოთებული ორუელი ფრონტიდან დაბრუნებულ ესპანელთა ერთ ჯგუფს იგონებს, თუ როგორი აღფრთოვანებით ყვებოდნენ უესკაში მათ გვერდით მებრძოლ ფრანგ ჯარისკაცებზე და დასძენდნენ — ძალიან მამაცები არიან, ჩვენზე ბევრად უფრო მამაცებიო. როცა ორუელმა ეს გააპროტესტა, ესპანელებმა მშვიდად აუხსნეს: „ფრანგები უკეთ ფლობენ ომის ხელოვნებას, უფრო განაფულები არიან ბომბების, ტყვიამფრქვევების და სხვა ამდაგვარის მოხმარებაში“-ო; და მაინც: ფრანგების საომარი ხელოვნების ასეთი აღნიშვნა ფრიად საყურადღებო გახლდათ. ინგლისელი კაცი უმალ ხელს მოიჭრიდა, ვიდრე ასეთ რამეს იტყოდაო — დაასკვნის ორუელი.

ესპანური მენტალობის ცოცხალი ნიმუშია ორუელის მიერ მონათხრობი ერთი ასეთი ეპიზოდიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ომისა და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად გაჩენილი აბსურდის წყალობით ესპანეთში ფაშისმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები უკვე თავად ცხადდებიან ფაშისტებად, მოლაღატებად და მათზე ნადირობაა გამოცხადებული. სწორედ ასეთ სიტუაციაში იხატება ყველაზე მძაფრად ხალხის, როგორც ერის, როგორც ნაციის ღრმად დამარხული საუკეთესო თვისებები. ამ თვალსაზრისით ინგლისელ მწერალს მიაჩნდა, რომ ესპანელებს ისეთი კეთილშობილება და დიდსულოვნება მოსდგამთ, როგორც არსებითად უკვე აღარ ახასიათებს მეოცე საუკუნეს. ამის საილუსტრაციოდ მათ ნომერში ჩატარებული ჩხრეკის მომენტი მოაქვს.

„პოლიციამ ჩხრეკა იწყეს და გესტაპოს სტილში ჩაატარა. გათენებისას კარზე ბრაზუნი გაისმა, ოთახში ექვსი კაცი შემოვიდა, სინათლე ანთო და მაშინვე თავისებურად განლაგდა ოთახში, რაზეც, ცხადია, წინასწარ იყვნენ შეთანხმებული. ორივე ოთახი (ზედ მიბმული სააბაზანოთი) გაუფანარი გამოწონილივით გაჩხრეკეს. კედლებს უკაკუნებდნენ, ნოხები აიღეს, იატაკი შეამოწმეს, თითებით მოსინჯეს ფარდები, ყველა უჯრა და ჩემოდანი დაცალეს...“ და ა.შ. ორუელი ზედმინვნითი სკრუპულოზურობით აღწერს ორსაათიანი ჩხრეკის გულისგამანვრილებელ დეტალებს და ეს ყველაფერი უცებ ასე მთავრდება: „მთელი ამ დროის განმავლობაში არცერთხელ არ გაუჩხრეკიათ სანოლი, რომელშიც ჩემი ცოლი იწვა და რომლის ქვეშაც ნახევარი დუჟინი თოფ-ავტომატი მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო გადამალული, რომ აღარაფერი ვთქვათ ტროცკისტული დოკუმენტების მთელ ბიბლიოთეკაზე ბალიშის ქვეშ. ამის მიუხედავად დეტექტივებს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ სანოლისაკენ, მის ქვეშაც კი არ შეუხედავთ. ვერ დავიჯერებ, რომ ეს იწყეს რუტინის ჩვეულებრივი შტრიხია. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ პოლიციას თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ კომუნისტები და ეს კაცები ალბათ თვითონაც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. მაგრამ ამასთანავე, ისინი ესპანელებიც იყვნენ

და ქალის წამოგდება საწოლიდან მათთვის მეტისმეტად წარმოუდგენელი იქნებოდა. საქმის ეს ნაწილი უსიტყვოდ გამოტოვეს, რამაც მთელ ჩხრეკას აზრი დაუკარგა“.

ცალკე თემაა ომის სამხედრო არსენალის, ესპანეთის ომში ჩამორიგებული უფარვის იარაღის აღწერა-დახასიათება, რომელსაც ისეთი გაბრაზებული ვნებიანობით აღწერს ორუელი, რომ მკითხველს სულაც არ გაუკვირდებოდა ფრანკოს წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცები ერთიანად დეზერტირებად რომ ქცეულიყვნენ. ვინ იცის, რამდენი ასეთი გულანთებული ჭაბუკის სიცოცხლე შეინარა ამ გაუმართავმა იარაღმა, ადამიანდროიდულმა გრძელცხვირიანმა მაუზერებმა, დანესტიანებულმა ტყვია-წამალმა და თვითნაკეთმა ხელყუმბარებმა, რომელთა ზონარსაც მოქაჩავდი თუ არა, ყუმბარა ელვისუსწრაფესად უნდა გეტყორცნა და მოგცილებინა თავიდან. „მიუკერძოებელი“ ბომბებიაო, ასე ხუმრობდნენ სიკვდილთან მოთამაშე ჯარისკაცები, რადგან ეს გაუმართავი იარაღი „იმასაც კლავს, ვისაც ესვრიან, და იმასაც, ვინც ისვრისო“.

ორუელის მიერ დახატულმა ომმა სიცრუისა და ცილისწამებისაკენ მიდრეკილ ჟურნალისტთა „მოღვაწეობაც“ ასახა და მხარეთმცოდნე ნაწარმოელი იმ „ექსპერტების“ უტიფრობაც, რომლებსაც ომის ზურგშიც კი არ დაუდგამთ ფეხი და თავს უფლებას აძლევდნენ, მის პერიპეტებსა თუ მიმდინარეობებზე „კომპეტენტურად“ ესაუბრათ.

დროის კონტექსტს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ყოველთვის მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის დროულად ე.ი. დროზე წაკითხულ წიგნს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნამდვილი წიგნი ამა თუ იმ ეპოქაში აქტუალობას კარგავს. არა, ისინი ორუელის წიგნებივით მარადი წიგნებია. მაგრამ ორუელის გამოჩენას ქართულ სალიტერატურო სივრცეში დროის თვალსაზრისითაც გააჩნია თავისი დიდი დატვირთვა.

ჩვენ, ქართველებმა, უკვე გადავიტანეთ ე.წ. ომები. ვგულისხმობ 90-იანი წლების სამოქალაქო და 2008 წლის პროვოცირებულ ომებს. ამიტომაც „პატივი კატალონიას“ არა მხოლოდ დიდი ინტერესით, არამედ განსაკუთრებული გულისძვრითაც იკითხება. და ერთგვარი სევდიანობითაც გიკვირს, რა ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს ესპანეთსა თუ საქართველოში განხორციელებული ომები.

„არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივად ვმობდით, თუ ამას ომი შეიძლება დარქმეოდა. მთელი რაზმი ჭკუიდან გადაჰყავდა უმოქმედობას და გამუდმებით ითხოვდა გაეგო, რატომ არ აძლევდნენ შეტევაზე გადასვლის უფლებას... ჟორჯ კოპი, რომელიც პერიოდულად ახორციელებდა შესამონეებელ შემოვლებს, არაფერს გვიმალავდა: „ეს ომი არ არის, ეს არის კომიკური ოპერა შიგადაშიგ სიკვდილით“. სტაგნაციას არაფერის ფრონტზე, ფაქტობრივად, ჰქონდა პოლიტიკური მიზეზები, რომელთა შესახებაც იმხანად არაფერი ვიცოდით“.

როცა ამ მიზეზებში გაერკვა, უკვე საკმაოდ გვიანი იყო. ჯორჯ კოპი, ეს ზორბა, დანიელი მაიორი, რომელმაც ორუელის თქმით, „მთლიანად გაიღო მსხვერპლი“, რომ ესპანეთში ჩასულიყო და ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლა, სწორედ პოლიტიკური მიზეზებით ახლა ციხეში იყო გამოწყვდიული. ორუელის მხრივაც საკუთარი სიცოცხლის რისკზე შეგდებდა ნიშნავდა ცოლთან ერთად მისი მონახულება სატუსალოში და კოპის გამოსახსნელად მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა, თუმცა ამ მცდელობიდან მაინც არაფერი გამოვიდა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, თავადაც ეილინთან ერთად ძლივს მოახერხა ესპანეთიდან გაქცევა და საფრანგეთის გავლით სამშობლოში დაბრუნება.

საოცრად იწყება ორუელის რომანი „პატივი კატალონიას“. ბარსელონაში ინგლისელი მწერალი ოფიცრების მაგი-

დასთან მდგარ ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის მკვირივი აგებულების მხარბეჭიან იტალიელ ჭაბუკს მოკრავს თვალს. „ეს იყო სახე კაცისა, რომელიც მკვლევლობასაც ჩაიდენდა და მეგობრისთვისაც დადებდა თავს. ამ სახეს მიაკუთვნებდი ანარქისტს, თუმცა იქნებ სულაც კომუნისტი იყო, მასში უშუალობაც იკითხებოდა და ულმობლობაც... მან ოთახი გადმოჭრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. რა უცნაურია სიყვარულის განცდა უცნობის მიმართ! თითქოს ჩვენმა — მისმა და ჩემმა — სულებმა მომენტალურად გადატყორცნეს ხიდე ენისა და ტრადიციის უფსკრულზე და უკიდურესად ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს. ვიმედოვნებდი, რომ იმასაც ისე მოვწონენ, როგორც მე მომივიდა თვალში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილების შესანარჩუნებლად ეს კაცი აღარ უნდა მენახა“.

ინგლისელისა და იტალიელის ეს მისტიკური შეხვედრა ესპანეთში მთელი სიმბოლოა სიყვარულისა და ადამიანთა შორის სულთა ერთობისა. როგორ უფროსილდება თავისუფლებისმოყვარე სულთან შეხვედრას ორუელი. როგორ ეშინოდა განხიზვებისა და განზილვების, რაც არაერთგზის იწვინა ომში, და როგორც სასოვარი, მისმა საძილე არტერიამ სულ რაღაც მილიმეტრის აცდენით გამჭოლი ტყვია ისე გაატარა კისერში. ხმის ოვგი დაუზიანდა, მაგრამ საძილე არტერიამ გადაარჩინა ეს მარად ფხიზელი მეომარი და მწერალი.

როგორ დიდებულადაც იწყება, ისე დიდებულადაც მთავრდება ორუელის ომის საგა: დალილი, დაჭრილი განანამები ორუელი ცოლთან ერთად ბრუნდება სამშობლოში.

„მერე გამოჩნდა ინგლისი, სამხრეთ ინგლისი, შესაძლოა, ყველაზე თანაბარი ლანდშაფტი დედამიწის ზურგზე. როცა ამ გზას გადახარ და, განსაკუთრებით, როდესაც მშვიდად იკურნები სნეულებისაგან მატარებლის ბალიშებზე გადაწოლილი, ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ ამქვეყნად სადმე რამე ხდება. მინისძვრები იაპონიაში, შიმშილი ჩინეთში, რევოლუცია მექსიკაში? ნუ ღელავ: ხვალ ძილით კართან ახალი რძე დაგხვდება, პარასკევს კი „ნიუ სტიტსმენი“ გამოვა. ინდუსტრიული ქალაქები შორს დარჩა. კვამლსა და უბედურებას მინის ზედაპირის ამოზნექილობა ფარავდა. აქ ისევ ინგლისი იყო, ბავშვობიდან ნაცნობი ინგლისი: ველური ყვავილებით გადასწორებული რკინიგზის ნარჩენები, ღრმა მდებლობები, რომლებზეც ფიქრიანად დაბალახობენ დიდი, მანათობელი ცხენები, ნელა მიდინებული, ნაპირებზე ტირიფებჩამწკრივებული ნაკადები, თელადუმების მწვანე მკერდები, კოტეჯების ეზოებში მოყვავილე დეზურები, მერე კი — გაერე ლონდონის მშვიდი უდაბურება, მღვრიე მდინარეები მოცურავე ბარყები, ნაცნობი ქუჩები, კრიკეტის მატჩების ან სამეფო ქორწინების მაუნყებელი პლაკატები, ცილინდრიანი კაცები, მტრედები ტრაფალგარსკვერზე, ნითელი ავტობუსები, ლურჯი პოლისმენები — ყველაფერი, რასაც ინგლისის ღრმა, ღრმა ძილით სძინავს, რომლისგანაც, ვშიშობ, მხოლოდ ბომბების გრიალი თუ გამოგაღვიძებს“.

განა ღრმა ძილში ჩაძირული ეს ფერადოვანი ინგლისიც მთელი სამყაროს სიმბოლოდ არ იკითხება, რომლის ერები, ქვეყნები, სახელმწიფოები თუ ქალაქები გაუცხოებისა და გულგრილობის უფსკრულში ჩაძირულან, ერთმანეთის გასაჭირს ველარც ხედავენ და ველარც ხელს უმართავენ ერთმანეთს.

როგორც ყველა ნამდვილი მწერალი, ორუელიც წინასწარმეტყველი იყო და გვაფრთხილებდა, რომ ასე ჩაძინებული სამყარო დასაღუპადაა განწირული.

შესანიშნავია, რომ ორუელის წიგნი-გაფრთხილება — „პატივი კატალონიას“ უკვე ქართულადაც შეგვიძლია წავიკითხოთ (მთარგმნელი დავით აკრიანი).

კატია ვოლტერსი

„მეჩივდი და მკოვე!“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ადამიანის ყოფნა-არყოფნა სხვაზე დამოკიდებული.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— თუ სად, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ვისთან ერთად, ვის გარემოცვაში – ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— არსებულთ კმაყოფილების შეგრძნება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება. ის რამდენიმე, ვინც ბავშვობიდან მახლავს თან, ალბათ — რემარკის დოქტორი რაიკი, მეიპს-დოჯის დოქტორი ბუკმანი, ბიჩერ-სტოუს ბიძია თომა და სტაინბეკის ითენ ალენ ჰოული.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ლორენცო დე მედიჩი და მისი მრავალრიცხოვანი და კოლორიტული შთამომავლობა, თუმცა ისტორიულ პერსონაჟებს ალბათ უფრო საინტერესოს ვუნდებდი, ვიდრე საყვარელს.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იდუმალი და ფიქრიანი ალბრეხტ დიურერი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ერთი?! რადგან ასეა, მოდით, არჩევანს იმ ბუმბერაზზე შევჩერებ, რომელმაც მის შემდეგ დაბადებული ყველა გენიოსი აღზარდა, ასაზრდოვა და შთააგონა. მოკლედ – იოჰან სებასტიან ბახი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კეთილშობილებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნოებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე უფრო მძიმე?

— საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ გულწრფელობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ადამიანების გაიდულებლა არ მჩვევია.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ნებისყოფა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას და უანგარობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— პერფექციონიზმი.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სულის სიმშვიდე.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— იმაზე დიდი განსაცდელი, რისი ზიდვაც შემიძლია.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უკეთესი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— განწყობასთან და ურთიერთთან შეხამებული ნებისმიერი ფერი მხიბლავს.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ბუნების წიაღში შობილი ხშირფურცლოვანი, სურნელოვანი ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— განსაკუთრებული სიმპათიით არცერთის მიმართ არ ვარ განმსჭვალული.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ურიცხვი. ერთის ამორჩევა მკრეხელობა იქნებოდა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— მრავალ დიდოსტატთან ერთად ახლად აღმოჩენილი ქალბატონი ელა გოჩიაშვილი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ლეონჰარდ ფრანკის მატილა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ადამიანები, რომლებიც თავსდატეხილ განსაცდელს ღირსეულად უმკლავდებიან, ადამიანურ სახეს ინარჩუნებენ და სხვისთვის სამყოფი ღიმილი, სიყვარული და ნუგეშიც მოუპოვებთ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ალბათ, თითოეულ მათგანს უნდა მიეგოს ღირსეული პატივი.

— საყვარელი სახელები?

— კონსტანტინე, როსტომი, სალომე, ელისაბედი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ქედმაღლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ზიზღი ზოგადად ძალიან უცხო გრძნობაა ჩემთვის.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ჩემში ალტაცებას მხოლოდ ჭადრაკის დაფაზე გაშლილი საომარი მოქმედება იწვევს.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— „განსაკუთრებით უმაღლესის“ გრამატიკულმა სისწორემ დამაეჭვა... განა უმაღლესი უკვე განსაკუთრებული არ არის? რეფორმა კი განვილიშა დრომ და გამოღებულმა შედეგმა უნდა შეაფასოს. მე პირადად არსებული ღირებულებების შენარჩუნებაზე ზრუნვას მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის ნიჭი და მომხიბლავი კონტრალტო.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— სინანულის გარეშე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— განონასწორებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ნებისმიერი, რაც ადამიანური ბუნების ფარგლებს არ სცილდება. ტერენციუსს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ ადამიანი ვარ და ვცდილობ ადამიანური არაფერი მეუცხოებოდეს.

— თქვენი დევიზი?

— ვისმინო ბჭობაი დარბაზისა, ერისაი და საქმენი ვქმნა ჩემნი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მეძიებდი და მპოვე!



ნათია როსტიაშვილი დებიუტანტია. ახლახან გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და სალიტერატურო წრეების ყურადღებას მიიქცია. პირდაპირ უნდა ითქვას, იმედისმომცემი შემოქმედია. მასში არის ყველაფერი, რითაც გამოირჩევა თანამედროვე ქართული ახალგაზრდული პროზა — გაბედულება, ფანტაზია და მოვლენათა ორიგინალურად ხედვის უნარი.

„ჭალის ანგელოზი“ უთუოდ წარმატებული ცდაა საკუთარი გზის, სტილის, ხელწერის ძიების გზაზე. თვალდათვალ იკვეთება ის ელემენტები, რომლებმაც უახლოეს მომავალში უნდა განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს ავტორის მსოფლმხედველობა და სტილი.

მომხილავია ნათია როსტიაშვილის თავდაჯერება და სითამამე. შეცდომის შიში არ აქვს. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ზოგჯერ შეგნებულად უშვებს შეცდომას, რათა უფრო გაამკვეთროს სათქმელი. სითამამეს აქვს თავისი ესთეტიკა, შეცდომას კი — თავისი ხიზლი.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ნათია როსტიაშვილი სწორად „კითხულობს“ ცხოვრებას, ღრმად სწვდება ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს, ვნებებს, მისწრაფებებს. ეადვილება ფსიქოლოგიური დეტალების შერჩევა და მათი განზოგადება. ერთი სიტყვით, ნიჭიერი შემოქმედია და ისლა დაგვრჩენია, გზა დაველოცოთ მწერლობის დიდ და ეკლიან გზაზე.

ნათია როსტიაშვილი

ჭალის ანგელოზი



თუთიამ ლატარიის ბილეთები ჯერ შუაზე გადახია, მერე ის ნახევებიც — შუაზე, ისინიც... ისინიც... და მიჰყვა ასე, სანამ ფურცლებს შუახაზი ესინჯებოდა.

— ჰა, რაო, გოგო? ისევ ვერაფერი? — ეზოდან დაძაბული ხმით ამოსძახა მამამ.

— ვერა. — უხალისოდ მოისროლა პასუხი ფანჯრისკენ.

— ჰა... რაო?

როგორც ჩანს, ფანჯარას ააცილა. უმიზნო იყო თუთია. ფანჯრისთვის სიტყვის სროლაშიც, ცხოვრების დაგეგმვაშიც... მისი ოჯახისთვის კი რახანია ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიზნად ლატარეაში ფულის მოგება და მეზობლის ვალის გასტუმრება ქცეულიყო. ბედის ირონიით, მეზო-

ბელს ვალი-კო ერქვა. „ვალისკოს ვალი“ პოეტურად კი ჟღერდა, მაგრამ ვერაფერი შეღავათი იყო მევალებებისთვის. თუთიას ვალზე მეტად ვალიკოს არსებობა აღიზიანებდა. მის მშობლებს — პირიქით, ვალის ამბავი უწამლავდა გუნებას, თორემ ვალიკოს არსებობა ხსნა იყო.

თავიდან სოფლის ყველაზე მდიდარ კაცთან ფულის სასესხებლად მამა დადიოდა. მერე და მერე ერიდებოდა, თუთიას აგზავნიდა. რალაცნაირად მზერამყრალი კაცი იყო ვალიკო. ისე აათვალისწინებდა ხოლმე თუთიას, ამ უკანასკნელს ლამის ხელი მიეფარებინა „გამჭირვალედქცეულ“ ტანსაცმელზე. შინ არაფერს ამბობდა, მშობლებთან ვერ მეგობრობდა.

— ვერაფერი! — ამჯერად ღია ფანჯარაში გაყო თავი თუთიამ, აღარ აუცდენია.

— თფუჰ!.. — ცული მიწაში ჩაათხლიშა მამამ.

„რატომ არიან ჩემი მშობლები ასეთი უმწეოები, უიღბლოები, სანყლები?..“ თუთიამ ჭერს ახედა. მისი ერთადერთი მეგობარი ჭაღზე გამოკვანძულ ძუაზე ეკიდა, ოდნავ ირხეოდა. რაც თუთიას თავი ახსოვს, ანგელოზის ეს ფიგურაც აქ ეკიდა და, როცა თუთია ესაუბრებოდა, ოდნავ ირხეოდა. ორივე ბეჭზე „ნაჭრილობევი“ ეტყობოდა. ოდესღაც ფრთები მოსტეხია და დაუნებებიათ, ვერ გაუმეტებიათ ადამიანობისათვის.

* ლიტერატურულ კონკურს „წეროს“ გამარჯვებული მოთხრობა

„ჩემს ტოლებს მშობლები ფულს აძლევენ და საზღვარგარეთ აგზავნიან სასწავლებლად, ესენი კიდეც ვალიკოსთან მაგზავნიან, რომ ფული მოეუტანო...“

ნამოვიდა წვიმის თქეში, დაიტბორა თუთიას გული. გადმოარღვია ნეკნის ჯვებირები, აივსო წყლით ყელამდე. ამოსცდა პირს, ცხვირს, ნავიდა თვალებისკენ და, თავი რომ არ დაეხარა, აანვიმდებოდა ჭალის ანგელოზს თუთიას თვალებიდან.

თუთიამ წარმოიდგინა, — კომპიუტერული ვიდეოთამაშის გმირივით როგორ აინია მალა, ჭერამდე. მერე რამდენიმე მალაყი შეკრა (ლაბადის კალთა უფრიალებდა ამ დროს) და მამასთან გაჩნდა, შუბი მხარზე მიაბჯინა.

„უფულობამ გამაბოროტა.“ — გაიფიქრა და ძალიან შერცხვა. კადრი უკან გადაახვია. შუბი დაუშვა, უკულმა გაიმეორა მალაყები, „პლამის“ ფრიალი და ჭერში ლივლივი. მერე ჩამოფრინდა და ლატარიის ნახევებში ჩაჯდა. Stop Playing. მორჩა, ვითომ არც გაუფიქრებია.

თუთიას მამა სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული ყველა სახის ლატარიას თამაშობდა.

ავსებდა ლატარიას და იმედით იცხებოდა.

რის მოგება?.. — „სპრინტის“ ბოლოების მოხვევა და ფულის ახვევა ერთი იყო.

ლატარიის უჯრებს ადვილად ფხეკდა, მაგრამ ლატარიებში ფულის ყრის ჩვევა ვერაფრით ჩამოიფხიკა.

იმდენჯერ დარეკა გათამაშებებში, რომ ბოლოს ლამის გარეკა.

იმდენი წელი ხაზა ლატარეის ციფრები, ვიდრე მის ბიუჯეტს საბოლოოდ არ მოეხაზა.

ერთი ნისქელიის ქვა არ დაუტრიალებია, თორემ „იღბლიანი ბორობის“ დატრიალებასშიც კი სცადა ერთხელ ბედი... უიღბლოდ. მერე და მერე, დაცოლშვილებულს, ნერვები აღარ ჰყოფნიდა. ცოლსა და შვილს ავსებინებდა, აფხეკინებდა, არეკინებდა... ჯიუტად სჯეროდა, რომ ერთხელაც იქნება — ლატარია ვალს დაუბრუნებს.

ოთახში დედა შემოვიდა. ფეხსაცმელი გაიხადა, წარუმატებლად დანებებული ლანჩა შეუთვალისწინა და კარს უკან დააწყო.

„სტუფლის დანებებაშიც არ უქნია ესენი ღმერთს.“ — თუთიამ თვალის ანგელოზისკენ გააპარა.

— სტუმრები მოვლენ საღამოს. კარგი სუფრა უნდა გაეშალოთ. — თუთიასკენ არც გაუხედავს, ისე თქვა დედამ.

— ვინ სტუმრები? — თუთიას სძულს სტუმრები. გარდატეხის ასაკშია. უბედურია. უბედურია იმის გამო, რომ საკმარისად არ აქვს რალაცები, რაც უნდა (ბევრი ფული, დიდი მკერდი) და უხვად აქვს რალაცები, რაც საერთოდ არ უნდა (ნერვების მჭამელი ფერიმჭამელები, აუარება ნითელი და ამდენივე შავი ნერტილი სახეზე). ჰლუს, ბუნებაში არ მოიპოვება ბიჭი, რომელსაც თუთია მოსწონს (ბებერვალიკო რა სათვალავში ჩასაგდება) და გოგო, რომელიც თუთიას ემეგობრება (ჭალის ანგელოზი არ ითვლება). ჰოდა, რა უშლის ხელს სძულდეს სტუმრები? მშობლები? ადამიანები?

— ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი შემხვდა, გიზო. სტუდენტობის მერე აღარ მინახავს. ვიცოდი, რომ თბილისში ცოლი შეერთო და ინგლისში წავიდნენ საცხოვრებლად, მეტი

არაფერი... ახლა ბებიაშენთან რომ ვიყავი, შემთხვევით შემხვდა, მეგობართან ჩამოვედი რამდენიმე დღითო. რომ გაიგო გვერდზე სოფელში ვარ გათხოვილი, სალამოს გესტუმრებით თუ უხერხული არააო. ცოლ-შვილით მოვა...

დედას სახე ისე ასწითლებოდა, რომ ამ სინთლის ფონზე მისი ნაქსოვი, ისედაც გახუნებული ვარდისფერი კაბა ახლა სულ მთლად თეთრივით ჩანდა.

„რალაცას მალავს.“ — გაიფიქრა თუთიამ. დიდ ცეცხლზე შემოდგმული კერძივით აუთუხთუხდა ბოლმა შიგნულში. მზადაა ჭერამდე აინოს, სალტო გააკეთოს...

„კომპლექსებმა და უშეყვარებულობამ გამაბოროტა.“ ამოიოხრა. წარმოსახვითი თამაშის დანყების აპლიკაციას დანკაპუნებით პასუხობს „No Playing“, მონიტორზე ახალი ფანჯარა ჩნდება: „სტატუსი — უბედური“

ჩახლართული, ერთმანეთში ჩაბრუნებული ამბავია: წარმოსახვითი თამაშები, უცნაური ასოციაციები, რეალობაში შემოჭრილი ვირტუალური სიუჟეტები... — ეს თუთიას გულსა და თავს შეფარებული ამბებია, რომლებიც ამავდროულად თუთიას თავშესაფარიცაა. ამბები თუთიასკენ მიიწევენ თავის გადასარჩენად, თუთია — ამბებისკენ. ძალისა და მისი კუდის დაჭერობანასავით წრეზე ტრიალებენ.

— საქმეზე გავდივარ.

მამას ხმა იყო. ჯერ სიტყვების, მერე — ნაბიჯების.

— სალამოს სტუმრები გვეყოლება. მაგ შარვლით ნუ შემოხვალ სტუმრებთან... — დაანია დედამ.

სუფრა გაშალეს. დედამ ხალათი გაიხადა, ქლიავისფერი კაბა ჩაიცვა. რადგან ლოყებზე ისევ ბრონეულის ფერი ედო — არ მოუხდა, მაგრამ არ უნდოდა ისევ იმ ვარდისფერში დახვედროდა.

დედის მღელვარებით გაღიზიანებული თუთია ტახტზე წამოწავა და „ჩართო კინო“: ქლიავისფერი, გრძელი, ფორმადაკარგული კაბა შანელის მუხლსქვემოთამდე სიგრძის კაბად გადაიქცა, ტანზე შემოეტმასნა დედას. კარზე შლაპიანმა, ტიპურმა ინგლისელმა ჯენტლმენმა დააკაკუნა. დედამ გაულო, მოეხვია, ტუჩებში აკოცა. თუთიას დედა საბოლოოდ შესძულდა.

— თუთია, აკაკუნებენ, გააღე. — დედის ხმამ რეალობას დაუბრუნა. გახედა — ზღვისფრად უელავდა თვალები დედას. ღელავდა. შუბლზე ტალღებად გადაწოლილი ნაოჭები თითქოს უფრო გაუღრმავდა. მზეზე გაშავებულ ხელებს ნიჩაბივით უსვამდა ჰაერს, შვილს ანიშნებდა, — ადექი, კართან მიდიო.

ბატონ გიზოს შლაპა არ ეხურა, — ვერ გამოიცნო თუთიამ. სამაგიეროდ, შანელის კაბა აუხდა, ოღონდ გიზოს ცოლზე. „ეს ქალი სარკეში არეკლილი სხივივით ბრჭყვიალებს. სამკაული, პომადა, მანიკური, თვალები... ყველაფერი უბრჭყვიალებს.“ — თუთია მოიხიბლა. წარმოიდგინა, უმთვარო ღამით როგორ შესცურა ამ ქალმა სოფლის მდინარეში. თითქოს წყლის ზედაპირზე მთვარის მტვერი მოაფრქვიესო — გაიბრჭყვიალა ქალის ნაბანმა წყალმა...

— კეთილი იყოს ჩვენი ფეხი. — თქვა ბატონმა გიზომ. გინდ შლაპა მოუხდია, გინდ ამ ტონალობაში მისალმებია. —

შენი გოგონა? აი, ჩემი ჯინაც მაგისტოლია. ეს კი დევიდია, ჩვენებურად — დათო, ჩემი ბიჭი. ეს კი ჩემი კნეინა მაკოა. მაკო, საყვარელო, აი, ამ ქალბატონზე გეუბნებოდი, ჩემი ბავშვობის მეგობარია-მეთქი.

ლაბადის კალთა ისევე აფრიალდა ჭერში, ოღონდ ეს უკვე თუთია კი არა, დევიდ მძლეთამძლეა. შუბებს თვალებიდან ისვრის, მზერებად. ჯერ გიზოსთვის გამზადებული შლიაპა მოარგო თუთიამ, მაგრამ როგორც კი მისი პრინცი მძლეთამძლეს კი არა, ილუზიონისტს დაემსგავსა, სასწრაფოდ მოაშორა. მალაყებზე დროის ხარჯვა არ ღირდა, დევიდი მალაყების გარეშე მიფრინავს თუთიასკენ და ტუჩებში კოცნის.

დასხდნენ. დევიდმა სანთებელა და სიგარეტი მოამზადა, ბოდიში თქვა და გავიდა.

თუთიას გულის ყუნწი საგულეს მოსწყდა და სადღაც ქვემოთ ჩაუფარფატდა გული.

— მერე რა, რომ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ღირსება ღირსებაა. — სიმპათიური ტიპია ეს ბატონი გიზო. ვითომ შესაძლებელია, ასეთ დახვეწილ კაცს ოდესმე თუთიას დედა მოსწონებოდა? — დევიდი კაცია, ოცდასამი წლისაა და მისი გადასაწყვეტია... აი, მაკომ და ჯინამ კი სიგარეტის მოწევა რომ დაიწყონ, მაგაზე ნამდვილად აღვშფოთდები. თვითონაც არ იკადრებენ. მე ქართველ კაცად ვრჩები, სადაც არ უნდა წავიდე!

ჯინამ ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, სმს-ის აკრება დაიწყო. თუთიას თვალი გაექცა, წაიკითხა: „ჰა ჰა ჰააა :D“. ჯინამ მამისთვის შეუმჩნევლად ეკრანი დედამისს უჩვენა. მაკომ ეშმაკური სიცილით დაუბრიალა თვალები. გული შეეკუმშა თუთიას. ასეთ პანანუნა საიდუმლოებებშია დედაშვილობის ხიბლი თუთიასთვის. ასეთ მეგობრად უნდა დედა თუთიას. რა იქნებოდა, მაკო ყოფილიყო დედამისი? შეხედავ — გესიამოვნება. მოვლილი, მოვლილი, მხიარული, მეგობრული...

დევიდი ოთახში დაბრუნდა, თუთიას მარჯვნივ ჩამოჯდა. კომპასის მხარეთა მაჩვენებელი ასო-ნიშნები ადგილს იცვლიან. „S“ ზღარბივით

დამრგვალდა და მარცხნივ, აღმართზე აგორდა. ახლა სამხრეთი მარცხნივაა. სუნთქვა ჭირს, ისეა გავარვარებული ჰაერი, ნამდვილი საჰარაა მარცხნივ! „მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მივრბის თავისი ახალი ადგილისკენ. აათავა აღმართი „N“-მდე და იქიდან თავქვე დაეშვა, ახალმისულ „S“-ს დაენია. ახლა აღმოსავლეთიც მარცხნივაა. მზე მარცხნიდან ამოდის. ცხელა.

სადღეგრძელოები მუსიკად ჩაესმის გაბრუებულ თუთიას. ბატონი გიზოს „ეგზომ“ და „აგრერიგად“ ისე ხვდება ყურს, როგორც წვიმიან ამინდში ჩაშავებული ქოლგების რიგში აქა-იქ გაშლილი იისა და სტაფილოს ფერის ქოლგები — თვალს.

დევიდი მარჯვნივ გადაიხარა, სკამიდან ოდნავ წამოინია. მარჯვნივ მკლავი თუთიას სკამის საზურგეზე გადაანვინა, დაეყრდნო. წამოიღო ცხელმა ქარმა ქვიშა და მტვერი. თვალებივით აენვა კანი თუთიას. დევიდმა მარცხენა ხელი თუ-

მხატვარი მალხაზ იაშვილი

თიას თეფშს გადაატარა და სანამ ფხალის თეფშს ზანტად აიღებდა, თუთიას წილი სასუნთქი ჰაერი დევიდის სუნამოს სურნელით გაიჟლინა. გაიშალნენ საპარაში ფერადი ყვავილები, აჭიკჭიკდნენ ჩიტები, წამოვიდა ციდან საპნის ფერადი ბუშტები... ისე ახლოს იყო, ისე, ისე... ცოტა წინ რომ წაწეულიყო, ტუჩით მის ლოყას შეეხებოდა.

„ახლა რომ შემოტრიალდეს...“ — გაიფიქრა თუ არა, შეცბა. ამოიბურცნენ თუთიას შუბლიდან, ნიკაპიდან, ცხვირიდან ფერიმჭამელები, სისხლით გატიკული ტკიპებივით დაიბერნენ, დაწითლდნენ, მთელ სახეს მოედნენ, გადანაწილდნენ მკლავებზე, ზურგზე, ზურგიდან სკამზე, სკამიდან ხელზე ააცოცდნენ დევიდს... დევიდი ვერ ხედავდა თუთიას სახეზე ნაუცბათევად დაპუდრულ, დამალულ ფერიმჭამელებს. უფრო მეტიც, საერთოდ ვერ ხედავდა თუთიას. ვერც ფხალის თეფშს ხედავდა, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ერგო დევიდის რჩეულობა, რომ მაგიდის კიდესთან იდო, თუთიასთან ახლოს. დევიდი მხოლოდ საკუთარ თავს უყურებდა. კი, შეეძლო ეგრე. როგორღაც მოახერხა და საკუთარი თავის გვერდიდან ყურება „დაამხეცა“. უყურებს და ტკეპება, უყურებს და კმაყოფილისგან ლოყები ოდნავ უვარდისფრდება. მაინცდამაინც არ მოსწონს საკუთარი თავი ავარდისფრებული ლოყებით. ეს კი ნიშნავს, რომ ოპერაცია „ჩემი სიახლოვით თქვენს გარდატეხის ასაკს ვულუტუნებ“ დროებით უნდა შეწყვიტოს, სანამ ეს იდიოტური ავარდისფრება არ გაუვლის. მკლავი თუთიას სკამის საზურგედან აიღო, საჩვენებელი თითის წვერი „შემთხვევით“ გამოაყოლა თუთიას დაძაგრულ ზურგს... ფხალი თავის თეფშთან რომ მიიტანა გადასაღებად, მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, რომ ფხალია. დევიდი ბალახეულიდან მხოლოდ მოსაწვევად ვარდისფერ სცემს პატივს. ყველა დანარჩენი თივაა მისთვის. „მიირთვიო“, — თუთიას დედას გადაანოდა, თავაზიანად გაუღიმა. ხედავს, როგორ უხდება ასეთი გვერდული ღიმილი, როგორი სხივი უდგას თვალებში. უ-ჰუ-ჰუ, რა სიმპათიურია! კმაყოფილებისგან ისევ უვარდისფრდება ლოყები... ფუჰ! სკამიდან დგება. ეს იდიოტური ავარდისფრება ყველაფერს აფუჭებს.

— გამატარე. — თავს თუთიასკენ ატრიალებს.

თუთიას ფერიმჭამელები ფუვდებიან, ისე მრავლდებიან, უკვე თვალბეჭეც ეფარებიან. ალბათ დევიდი მათ გამო დგება სუფრიდან. გულთან ერთად ხელ-ფეხიც უმძიმდება თუთიას, ძლივს ახერხებს, რომ სკამიანად გვერდზე გაიწიოს. „მიბრძანდიო“, — გულში ამბობს. — „მიბრძანდიო“. დაჭკნებიან ყვავილები, მზე ჩადის, ცივა. სამხრეთი და აღმოსავლეთი სადღაც მიიძურნებიან კუდამოძუებულები.

დევიდმა კარი გამოაღო თუ არა, თუთიას მამას შეეფეთა.

დედამ თვალბეჭეც კი არა, შარვალზე შეხედა ქმარს. ეამა — გამოუცვლია. თუთიას ნერვები ეშლება მამაზე. რა ვალდებულები იყო, დედის ბრძანებას დამორჩილებოდა?! რა ვალდებულება ვილაც გიზოს გულისთვის ტანსაცმელი გამოიცვალოს?

თუთიას და დევიდის მამებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. თუთიას კამერა ჩაირთო. უხილავმა ფოტოგრაფმა ჩააჩხაკუნა. ფოტო დაიბეჭდა, გადაიდდა. აი, უკვე მუზეუმის მაღალ კედელზე ჰკიდია. ფოტოზე მხოლოდ ორი ხელის მტევანია აღბეჭდილი. ერთი ფუმფულა, სუფთა და მოვლილია. მეორე — შრომისგან გაუხეშებული. შავარშიაშემოვლებული ფრჩხილებით... თუთიას მამისა, რა თქმა უნდა, მეორეა. რატომაა, რომ როცა შედარებაა, თუთიასი ყოველთვის უარესია?

სუფრასთან გვერდიგვერდ სხედან თუთიას და დევიდის მშობლები. უყურებს თუთია და ფიქრობს: ცალ-ცალი ხელთათმანებით არიან, ერთმანეთისგან განსხვავებულები, მაგრამ რაღაც აქვთ საერთო, რითაც იგრძნობა, რომ ეს ცალი იმის მენწყობაა. თუთიას აღარ ესმის რას საუბრობენ, თუთია ხედავს. ადამიანებში თითქოს კარგად ვერ ერკვევა, მაგრამ სულ სხვაა, როცა საქმე ხელთათმანს ეხება.

მაკოს უყურებს და მის მაგივრად ჭრელ ხელთათმანს ხედავს. ოღონდ ამ სიჭრელს ფერთა და ფიგურათა გემოვნებით შეხამებული კომბინაციები კი არ ქმნის, მარტივად ფერადია. ვთქვათ — ზოლიანი. აი, ბატონი გიზო კი სულ სხვაა, — დახვეწილორნამენტებიანი, თბილ ტონალობებში გადაწყვეტილი. რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ჭყეტელა და კლასიკურ ხელთათმანს? რა არის ის, რითაც ხვდება, რომ წყვილია? კიდევ ერთხელ შეათვალიერა დევიდის მშობლები და მიხვდა: ორივე ხარისხიანი ძაფითაა ნაქსოვი.

დედა როგორი ხელთათმანია? პენდაკარგული, შელახული, მაგრამ სუფთა. აქა-იქ ძაფით დამაგრებული გაქცეული თვლებით. ისეთია, საგარეოდ გამოჩენა რომ გერცხვინება, არადა ზუსტად იცი, ვერცერთი სხვა ასე ვერ გაგათბობს. თუთიას გული დაუმძიმდა. მამა, მამა როგორილა? ერთფერი. მუქად ნაქსოვი. უბრალო, მაგრამ გამძლე, უფრო სქელი ძაფით ნაქსოვი, ვიდრე დედა. და რა აქვთ საერთო? თუთია ღიმილს ნრუპავს, თან ფიქრობს. უცებ ღიმილთი გადასცდა და ისეთი ხველება აუტყდა, ყველას ყურადღება მიიპყრო.

— გარეე ვადი, სირცხვილია. — დაიწურწულია დედა.

თუთია არ განძრეულია. რა არის სირცხვილი? ხველება? იქნებ ის, რის გამოც ხველება აუტყდა? ის, რის გამოც ყელში ბურთი გაეჩხირა... ის, რაც მისი მშობლების წყვილობის დამადასტურებელი ნიშანია. ის, რითაც ერთმანეთს ჰგვანან... ერთ პატარა სიტყვაში ეტევა მათი მსგავსება და ეს ერთი სიტყვა ყველაზე უნუგემო სიტყვაა სიტყვათა შორის — „თალხი“...

მამა ჩვეულზე მეტად ეტანებოდა სასმელს და ჩვეულზე ნაკლებად — საჭმელს. შედეგად, ჩვეულზე ადრე მოეკიდა ღვინო.

— ვალიკოს ვალი უნდა გავისტუმრო. უკვე რამდენი დამიგროვდა. — უცებ ყველასათვის მოულოდნელი რამ თქვა მამამ. — სიზმარი მაქვს ნანახი. ამ პარასკევს ვიგებ. უნდა მოვივო.

დედა გაფითრდა.

— უი, რა გამახსენდა მოგებაზე... — მაკომ გადაიკისკისა და რაღაც ამბის მოყოლა დაიწყო.

თუთიას ისე მოუნდა ხმამაღლა, მთელი ხმით ეტირა... ჭერს ახედა. ერთგული მეგობარი ოდნავ ირხეოდა, ამხნევებდა.

მაკო ისევ კისკისით ყვებოდა რაღაცას. აშკარა იყო, ყურადღების ცენტრში ყოფნა სიამოვნებდა. თუთიას მოეჩვენა, რომ ეს ქალი კი არ ლაპარაკობდა, ჟღერტულებდა. საერთოდაც, გასარკვევი იყო, ქალი იყო თუ რომელიღაც წითელნისკარტა, მზინავებულებული ჩიტი.

დედა უხერხულად აღრქიალებდა დანა-ჩანგალს თეფშზე. მერე გაჩერდა, დანა-ჩანგალი თეფშის კიდეს ჩამოაღო, ჩამოასვენა და ისიც მაკოს მიაჩერდა. თუთიას შეეცოდა ნანვალეზი, დაღლილი ჩანგალი.

უცებ თუთიამ იგრძნო რომ აღიზიანებს ეს ქალი — მაკო. საკუთარი ხუთი თითივით იცნობს ეგეთ ჭრელ ხელთათმანებს. გარედან შეხედავ — თვალს სიამოვნებს, ფერადია. გადმოაბრუნებ და, — სულ დაწყვეტილი და გადაბმულ-გამოკვანძული ძაფებითაა სავსე. დედა სხვაა: შეხედავ, — შელახულია, მაგრამ შიგნითა პირი ახალივით აქვს.

თუთია, მაკოს გაცნობის შემდეგ, ჯერ სულ დამორდა დედას, გაუფრთხილდა. ლამის შეიძულა. ახლა კი გრძნობდა, ნელ-ნელა, მსუბუქი ჯიკაობით მისკენ აჩოჩებდნენ ფიქრები. დღემდე ასე ახლოს ჯერ არასდროს მისულიყო თუთია დედასთან.

თუთია ახალნაწავლ ფოტოშოპის პროგრამას რთავს თვალბეჭეც. ინსტრუმენტების პანელიდან საშლელს იღებს, მაკოს აშორებს მაკოს. თმის გარშემო კონტურს ავლებს, თითო საღებავს ასხამს. ღმერთო, როგორ არ უხდება ჭალარა! დედაზე ბევრად ასაკოვანს ჰგავს. ამ ხელოვნურად დაბერილ ტუჩებსაც თუ ჩაუფუშავს, — ხომ საერთოდ!.. მაგრამ თუთია

ამ ისე კარგადაც არ იცის ფოტოშოპი, ამდენი რომ მოახერხოს. არა უშავს. ზეპირ ფოტოშოპში ბადალი არ ჰყავს, სასწაულების გაკეთება შეუძლია! ზეპირ ფოტოშოპს ბევრად მეტი ფუნქცია აქვს... აი, მაგალითად, ნემსი. აილო ეს ნემსი თუთიამ და მაუსით მიიტანა მაკოს ტუჩებთან. დაანკაპა და ფშშშ... გამოვიდა ჰაერი, დაუბერა ქარმა, ააფრიალა ფარდები. ჭალარა, უმაკიაჟო მაკოს ჩაფუშული ზედა ტუჩი ქვედას გადმოაბრტყელდა. ღმერთო, რა ლამაზია, ამის ფონზე, დედა!

— ხომ არაფერი გვრჩება? — ნასვლის წინ თვალი ოთახს მოავლო მაკომ.

— არა. — ხელკავით გაიყვანა ოთახიდან ქმარმა.

დარჩათ. ბატონი გიზოს ხელთათმანი. ხარისხიანი, მუქი ლურჯი ძაფით ნაქსოვი, ორნამენტებიანი... გასაკვირი კი იყო, მაგიდიდან მოშორებით, სანოლის უკან ეყარა. იქ საიდან მოხვდნენ?

მეორე დღეს ტახტზე თვალდახუჭული იწვა თუთია, ვითომ ეძინა. უკვე მერამდენედ ახვევდა ფირს, დევიდმა რომ ფხალი გადმოიღო, იმ მომენტზე.

— ხელთათმანი დამრჩა ნუხელ. — შემოესმა. — მეუღლე შინაა?

— არა. თუთია... სძინავს... — გაუბედავად უპასუხა დედამ. თუთიამ სუნთქვა შეიკრა. მოიკუნტა, გაქვავდა, დაპატარავდა, დანერტილდა, ბალიშის ქვეშ შეიკარგა. ახლა თუთია მხოლოდ ყურია. ისმენს და არ ჩანს.

— ხელთათმანი შეგნებულად დავტოვე... — ჩურჩულებს ბატონი გიზო. — კალათში რაღაც ჩავდე, გესმის? რაღაც ჩავდე კალათში.

თუთია ახლა მხოლოდ ყური კი არა, თვალიცაა.

დედას არ ესმის. გაქვავებული სახით სადღაც იყურება.

— დღეს ლოტოს დღეა, პარასკევია. თქვი, რომ მოიგე. ვითომ ლოტოში მოიგე, გესმის? ვალი გადაიხადე, თავს მიხედე. და კიდევ... მე, მაშინ... მართლა მიყვარდი, არ მომიტყუებინარ. მერე მაკო გავიცანი და რა ვიცი, რაღაცნაირად... მაშატიე, ვიცი, რომ მძიმედ გადაიტანდი... ნავედი. მაღლობა ყველაფრისთვის, პატიებისთვის... არ დაგავინყდეს, აი იქ, ჭიმკართან, დიდი მონწული კალათი რომ დგას... ვიფიქრე, ეგრე ჯობდა...

დედა ისევ არაფერს პასუხობს. ხის კენწეროს მისჩერება. რას ფიქრობს, ვერასდროს გაუგებ. სხვებისთვისაა მგრძნობიარე, თორემ საკუთარი თავისთვის მანქანაა. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რაზე ფიქრის უფლებაც აქვს, რასაც სინდისი დაუპროგრამებს.

სალამოს მამამ კედლის საათს გახედა, „დაინყო, ჩართეთ, სიზმარი მაქვს ნანახი.“ — ჩაილაპარაკა და გავიდა, გულის გადასაყოლებლად შეშის დაპობა დაინყო.

„ნარმოდგენა იწყება!“ — ანგელოზს ახედა თუთიამ.

დედა ნარამარა ნერვიულად იყოფს მარჯვენა ხელს ჯიბეში. მერე ისევ მუხლზე აბრუნებს. მეორე ხელს არც ატოკებს, თითქოს მისი არცაა.

„მარჯვენა ჯიბეში უდევს“. — ფიქრობს თუთია. — „არ უნდა მარცხენა ხელმა გაიგოს, რა ჩაიდო მარჯვენა ხელმა მარჯვენა ჯიბეში.“

გათამაშება დაინყო.

— ყვავილები მორწყე, გადახმენ. — სხვისი ხმით თქვა დედამ, მარცხენა ხელით მარჯვენა ხელი აქვს ჩაბლუჯული, გაკავებული, უნებურად საიდუმლო რომ არ გასცეს.

„უნდა, რომ ოთახიდან გავიდე“.

თუთია მეორე ოთახში გავიდა. ქოთნებთან მივიდა და გაიფიქრა, რომ დედა ცოლმა. დედა ამ ქოთანში ჩარგული ნახევრადგამხმარი კაქტუსივით მარტოა. რომ მამაც მარტოა და თუთია ხომ — თავისთავად.

„სამივე ქოთანს ერთ დიდ ქოთანში წავაპირქვავებ, — გადწყვიტა. სასწაულია, პირდაპირ. რა უცებ გადაიჭრა მთელი ცხოვრების დილემა! ამ წუთას მიხვდა, რომ დედამ უნებურად ყვავილების მარტოკინებად დარგვით ოჯახის წევრებსაც გამოუტანა განაჩენი. თუ თუთია მცენარეებს სამივე ქოთნიდან ერთში გადარგავს, ოჯახის წევრებიც დაახლოვდებიან. დაღლილ მკლავებს ერთმანეთის მხრებზე ჩამოარიგებენ ხოლმე ერთმანეთში გახლართული ტოტებივით. თუთიამ არ იცის ყვავილების მოვლა, არ იცის, რომ კაქტუსი, ია და ბარაქის ხე საერთო ნიადაგზე ვერ იხარებს. საათს დახედა. ოთახში შებრუნდა.

დედა გაუნძრევლად ზის. უძრავი და უფერულია. ეკრანზე რეკლამაა. გათამაშება დასრულებულია.

— ჰა, რა ქნა?!.. — დაძაბული კითხულობს ეზოდან მამა.

დედა დაძაბულად დუმს. შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავს.

— ჯეკპოტი მოვიგეთ. — მოულოდნელად უპასუხა თუთიას ხმამ. თუთიასთვის არც უკითხავს — ისე.

გაოცებულმა დედამ ისეთი თვალებით გახედა შვილს, ეს უკანასკნელი აქეთ დარჩა გაოცებული. თუთია ვერასდროს წარმოიდგენდა, დედის თვალების ვინრო ჭრილს ამ ზომამდე თუ შეეძლო გაფართოება. მუდამ ჩამოშვებული ქუთუთოს ქვეშ შემალული თვალებიც დაბერილიყვნენ, ლამის ქუთუთოდან გადმომძვრალიყვნენ. დედის მოცისფრო-მოთაფლისფრო თვალები ახლა გლობუსებს ჰგავდნენ. სამყაროს იტყვდნენ! ზღვები ღელავდნენ შიგნით, ხმელეთი დახეთქილ ზედაპირს ითვალისწინებდა, ქუსდა, მზე იყო, წვიმდა...

— თუთი...

უცებ დედამ იმხელა მადლიერება გადმოაყოლა ამ ოთხასოს, რომ დედამინის ოთხივე კუთხეს ეყოფოდა გულის ასაჩუყებლად.

— თუთი...

მიხვდნენ და დამშვიდნენ, ჩაიფუშნენ, ბუდეში ჩასხდნენ თვალები. მარტო ზღვა დარჩა დედამინისგან და ისიც, როგორც აბაზანის ნიჟარაში, ისე ჩაინრიტა თვალის კუთხეებიდან.

— აჰა, არა ვთქვი, მოვიგებ-მეთქი?! — დაიძახა მამამ. შეშის ჩეხვას თავი ანება. ნაჯახის კუნძში ჩაჭედების ხმა ასე მხიარული აქამდე არასდროს გამოსვლია.

თუთიას ფრთები გამოეზარდა, მაღლა აფრინდა. კარგი ფრთები, ქათქათა. თუთიას ზუსტად ისეთი კაბა აცვია, როგორც აი, ამ ჭალზე ჩამოკიდებული ანგელოზს. მიფრინდა თუთია სათამაშო ანგელოზთან, ჭალიდან ჩამოხსნა, ხელი ჩაჰკიდა. ერთად დაფრინავენ. მამა ბედნიერია — მოიგო, დედა ბედნიერია — პრობლემა მოგვარდა, თუთია ბედნიერია — აღარ მივა ვალიკოსთან ფულის სასესხებლად. ანგელოზიც ბედნიერია — ანგელოზია... სხვა მიზეზი რა საჭიროა? იქნებ სადმე, ოთახის კუნჭულში ნამდვილი ეშმაკიცაა მიყუჟული და ისიც ბედნიერია, რომ ამ ოთხეულიდან არცერთის სიხარულის მიზეზი სიმართლეს არ შეესაბამება.

ჭალის გარშემო წრეს არტყამენ თუთია და ანგელოზი. დედას და თუთიას საერთო საიდუმლო აქვთ. აი, რა აკლდათ ერთმანეთთან დასახლოვებლად! რა მოსატანია ამხელა საიდუმლოსთან ჯინას და დედამისის ესემესი. სად იმათი სიგარეტი, სად — ამათი ფული?!

— ხუთი ათასი! ვიცოდი, ვიცოდი! — მამის ნაბიჯები მარნისკენ ნახმაურდნენ.

დედას ნარბეჭქვეშ ისევ დაებურცა გლობუსები.

— თუთია... თუთია... — ხელს ჯიბეს უჭერს. — აქ მხოლოდ სამი ათასია... ღმერთო, ხუთიო... გაიქეცი ვალიკოსთან, საიდუმლოდ გამოგზავნა დედამ-თქო, გაიქეცი თუთია!.. ტაკაპ!

ჭალიდან იატაკს ჩამოასკდა ანგელოზი. ფრთები ისე დაემსხვრა, ვერანაირი წებოთი ველარ დაწებდებო...



გურამ პეტრიაშვილს რომ კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს პოეტური მოტივები ავტორის წარმოსახვაში მათემატიკურ ფორმულებად ჩამოყალიბდა და შემდეგ, კალმის ქვეშ, ლექსებად იქცა.

უბრალო, როგორც ნატურალური რიცხვები; ზუსტი, როგორც განტოლება — მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს გურამ პეტრიაშვილის პოეტური ნაწარმოებები, თუმცა დაბეჭდვით ვერ ვიტყვით, ეს ღირსებაა თუ ნაკლი, ოღონდ ვიცით, რომ ასეთია, ასეთად წარმოგვიდგება, ასე აღიქმება.

გურამ პეტრიაშვილი სიუჟეტური მეტაფორების ოსტატია. მეტაფორულ კომპოზიციებად ალაგებს იდეებს და მკითხველს უგზავნის. მოტივები და თემები სინამდვილიდან მეტაფორაში გადააქვს. ამით გამომსახველობით ხარისხსაც ზრდის და ემოციასაც აძლიერებს. ლექსი იქცევა მეტაფორად, რომელსაც აქვს თავისი სიუჟეტი და სწორედ ეს არის ის, რაც გვაფიზილებს და თავს გვამახსოვრებს („წვიმა“, „პოეტი — სარკე“, „ქართველი მჭედლის წერილი საყვარელ ქალს“).

მეტაფორა სინამდვილეს კი არ ასახავს, არამედ ქმნის მას და ეთიკურ შინაარსს ანიჭებს, საგანს აფასებს, განსჯის, განაზოგადებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქსიოლოგიურ ფუნქციას ანიჭებს.

გურამ პეტრიაშვილს სამშვენიისებით გატაცება არ ახასიათებს. მჭრელი, გამგმირავი სიტყვების ნაცვლად ზუსტ ცნებებს ეძებს.

ტროპული სისტემა რაც უფრო მარტივია, მითუფრო პოეტურია, რაც უფრო პოეტურია, მითუფრო მართალია.

არის ამ მინიმალისტურ პოეტიკაში რაღაც მაქსიმალურად პრინციპული, თანმიმდევრული და ნათელი.

გასაგებიც, რაღა თქმა უნდა. ეს ხომ სამშობლოდან შორს დაწერილი ლექსებია.

გურამ პეტრიაშვილი

სამშობლოდან შორს დაწერილი ლექსები

ღიადი ნამი

აი, აქ ძმებო,
გავიცანი მერაბ კოსტავა.
„მსმენია თქვენზე“, —
მითხრა, ხელი გამომინოდა,
სწორედ იმ ზაფხულს
ინცებოდა ამბები დიდი
და გმირმა თითქოს
ბრძოლისაკენ მეც მომინოდა.
და ვინც გამაცნო
იდგა რამინ ამონაშვილი
და ჩემთან ერთად
იმ ყველაფრით ისიც ტკბებოდა,
მთავრობის სახლში
ფუსფუსებდნენ კომუნისტები
და ქაშუეთი
მწუხრისათვის ემზადებოდა.
მე აღარ მახსოვს,
რა ვუთხარით ერთმანეთს მაშინ
და მახსოვს მხოლოდ
სევდიანი არწივის მზერა...
ეჰ, ძმებო, ქვეყნად
აღარაა ჩვენი მერაბი,
იყო ის ნამი?
ახლა უკვე აღარც მე მჯერა...

* * *

ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკა,
მძიმე ხის კარი ჩუქურთმიანი,
დიდ ფანჯარასთან მკითხველი გოგო
მზის სხივებისგან შუქურთმიანი.

კიბე ლამაზი, მარმარილოსი
და კარტოთეკის უჯრა მრავალი,
ბიბლიოგრაფი მოხუცი ქალი
იმ უჯრებს შორის ჩუმად მავალი.

ძველი წიგნების მომწარო სუნი
და ალბომების მძაფრი სურნელი,
წიგნით ლამაზად შეშლილი კაცი
არც ვისზე მეტად განსაკურნელი.

გარდერობისკენ ჩამავალ კიბის
მცირე ბაქანზე წყლის შადრევანი
ან უფრო სწორად დასაწაფებლად
ერთი პანია წყლისა ჩქერალი.

დიდ ფოიეში შუშის სტენდები
ხოლო სტენდებზე ექსპონატები,
ძველი წიგნები და გაზეთები,
ლოკუმენტები და ნახატები.

ქვის აივანზე მკითხველთა ჯგუფი
ერთურთს კამათში შეჯახებული,
ერთურთზე, წიგნზე, დიდ იდეებზე
და სამშობლოზე შეყვარებული.

დაბოლოს, ძმებო, რაც მთავარია,
ის საყვარელი წიგნის ქალები,

ის ქურუმები ჩვენი ტაძრისა,
მათი კეთილი, ბრძენი თვალები.
ახალგაზრდები, ხანშიშესულნი,
ხან ცქრიალები, ხან დაღლილები,
ხან თაროებთან მოფუსფუსენი,
ხან წიგნზე მძიმედ თავდახრილები.

გამოგვიწვდიდნენ მოთხოვნილ წიგნებს
და იღუმალად გვაკვირდებოდნენ,
რას ვიზამთ, სწრაფად ვერ ვბრძენდებოდით,
მაგრამ ისინი არ კვირდებოდნენ.

ძლიერ ვუყვარდით ჩვენს ნაზ ქურუმებს
მადიებელი, მბორგავი მრევლი...
ის სიყვარული იყო ტაძარი,
ღმერთო, ასეთი მოგვეცი ბევრი.

ტაძარი, სადაც უყვართ ერთურთი
სად უყვართ ფიქრი და ოცნებები,
სად იზადება კაცური ნება
და სასიკეთო დიდი ვნებები.

ქართველი მჭედლის წერილი საყვარელ ქალს

მინის ქალო, მინანქრების ფერიაგ,
წკრიალებენ შენი შუშაბანდები,
დაგივიწყო მინდა, მაგრამ ძნელია,
უნებლიეთ უცებ მომელანდები.

ძნელი იყო ერთად ჩვენი ცხოვრება,
მეშინოდა, გამვარდნობი ხელიდან,
სევდას მგვრიდა სალონური, წელი ხმა
ამოსული შენი ბროლის ყელიდან.

შენ კი ჩემი არ მოგწონდა აზრები,
არ მოგწონდა ჩემი გაუთლელიობა,
მიხვრა-მოხვრა ჩემი მოუხეშავი,
ჩემი მძიმე, ოფლიანი ხელობა.

შენ გინდოდა ვმსხდარიყავით მინებში
და ყასიდად ჩაგრულეებზე გვეტირა,
ნაზეზე, ვითსევიანებს გვეცხოვრა
და დილაზე მთვარისათვის გვეცქირა.

აბა, რა ვქნა, დავიბადე მჭედელად,
მჭედელი მყავს მამაცა და პაპაცა,
მინდა რკინით ჩემი სახლი მოვჭედო
ფანჯარაცა და ფანჯრის დარაბაცა.

სახლი მინდა მეგობრისთვის სასტუმროდ
და მტრისათვის ციხედ აულეებლად,
ჩემად მინდა ჩემი კარგი ქვეყანაც,
ქართველი ვარ, დავიბადე მჭედელად.

მე არ მინდა, ვინმე შლეგმა გამვლელმა
ჩაგვიმტვრიოს ნაზი შუშაბანდები,
მერე შიშით გული გიფრიალებდეს,
გიბრწყინავდეს ცრემლის ბრილიანტები.

მოდი ქალო, მინის ქალო ლამაზო,
შუშაბანდებს შემოვავლებ გალავანს,
შემოვჭედავ ირგვლივ რვალით ქართულით,
რომ გაუძლოს ფალავანთა ფალავანს.
მერე დავსხდეთ და ვიმღეროთ მთრთოლვარედ
იებისა და ნათელი მთვარისა,
იდგეს ჩვენი სახლი მუდამ ამაყი
ციხე-კოშკად ნათესავ-მოყვარისა.

მინის ქალო, დამიბრუნდი, მოგელი,
შემიყვარე კვლავ შენი ტლუ მჭედელი,
პაპის ფარ-ხმლით განა დაუშნოვდება
ჩვენი ბინის მოჭიქული კედელი?

პოეტი — სარკე

სარკე ბოლომდე აირეკლავს
ქვას მისკენ ნასროლს,
რადგანაც სარკე
სარკეობის თავისის ტყვეა
და შენც, პოეტო,
სულ ბოლომდე უნდა აღბეჭდო
შენი გულისკენ წამოსული
ყოველი ტყვია.

**ვარსკვლავთცვენაში მოხვედრილთა
სამკურნალო ცენტრში**

აქ ჩემნაირი მოსულა ბევრი,
მათაც სტკიოდათ ჩემებრ სხეულში,
ტანში ჩარჭმოდათ მნათ კრისტალებად
ვარსკვლავნი ციდან ჩამორხეული.

ტანიდან ვარსკვლავს ვერ ამოიღებ,
ამოიღებ და... კაცს ამით მოკლავ...
ეჰა! ჯიუტად გებრძვის სამყარო,
ტანჯვით შობილო, ადამის მოდგმავ!

ექიმი ცდილობს, რომ ვარსკვლავები
დარჩნენ და იყვნენ კაცის სხეულში,
ისინი ნელა შიგ ჩადნებთან
და მბრწყინავ შუქად ჩაგვივლენ გულში.

და ამის შემდეგ ადამიანი
ვარსკვლავად თვითონ გადაიქცევა
მანათობელად ივლის და ივლის,
ვიდრე სიკვდილით არ წაიქცევა.

მაგრამ ჩადნობის დროსაც და მერეც
ვარსკვლავი სხეულს აყენებს ტკივილს
და ხშირად ძილში კაცი-ვარსკვლავი
წამოვარდება და ინყებს კივილს.

და ამიტომაც ცოტას თუ უნდა
რომ მანათობელ ვარსკვლავად იქცეს,
ამ ჩვენი ცენტრის ყველა ექიმსაც
უნდა აქედან შორს რომ გაიქცეს.

ჰოდა, როდესაც მათ წინ დავდექი,
ტანში ოცდაერთ ვარსკვლავ ჩარჭმული,
შეხედე იმათ სევდიან თვალებს
და სიბრალულით ატირდა გული.

ვუთხარი, მინდა ვიყო ვარსკვლავი,
ჯერ ვივლი, ძმებო, უცნაურ ზღარბად,
მერე ვარსკვლავნი ჩამადნებთან,
მათ შუქს ეს გული შეინოვს ხარბად.
დაე, ტკივილმა გაუსაძლისმა
მტანჯოს და მგვემოს მე სიკვდილამდე,
სამაგიეროდ მანათობელად
მე ბნელ ქუჩებში ვივლი დილამდე.

ეს არის, ძმებო, ბედნიერება
და ამისათვის ღირს დაბადება,
როდესაც შენი სიცოცხლე არის
შენთვის ტკივილი, სხვისთვის ნათება.

ეს ვთქვი და უცებ ერთმა ექიმმა
შუბლში ძალუზად იტკიცა ხელი:
„სულელები ვართ, რაც უნდა გვექნა,
როგორ ვერ მივხვდით ამდენი წელი.

აბა, სხვას როგორ ურჩევ იფრინოს,
თუ თვით ვერ რისკავ, მოკვდე ფრენაში...“
ამოიოხრეს და მყის ყველანი
ერთად გაცვივდნენ ვარსკვლავთცვენაში...

წვინა

შენს ქალაქს სამ თვეს წვინა რომ აწვიმს,
განა წვინაა, ძვირფასო ჩემო,
შეუდგი პეშვი, ენა დაანე,
ხომ იგრძენ ჩემი ცრემლების გემო.

სამი თვის წინათ ნახვედი ჩემგან
სამი თვის წინათ დამტოვე მარტო,
რატომ ნახვედი, რატომ დამტოვე,
ამ საბრალო გულს ვით განეუშარტო?

ინვიმებს დიდხანს მაგ შენს ქალაქზე
ინვიმებს წლობით, არ გადაიღებს,
ვიდრე დრო, ყოვლის სევდის მკურნალი
ამ ჩემს სევდასაც შორეთს წაიღებს.

მაგრამ შემდეგაც დროდადრო ქალაქს
ჩემი ცრემლები დაწვიმს წვინად,
როდესაც სევდა თავს შემახსენებს
და კვლავ მთრთოლვარედ ვიქცევი სიმაღ.

ვერცერთი ქოლგა შენ ვერ გიშველის,
ჩემს ცრემლს ვერც სახლში დაემალები,
ჭერშიც გაატანს ეს მძიმე სევდა,
აგეცრემლება შენაც თვალები.

მშვიდობით! ვაგლახ ამ ერთსლა გეტყვი,
ჩემის ბედისას ვარსკვლავს ციმციმას,
არ მინდა იყო შენც სევდიანი,
ერიდე ჩემი ცრემლების წვინას.

* * *

ქართული ენის სიღრმეში
ჩავიდე, ჩავიკარგოო,
როგორც ძმა ჩადის უფსკრულში
ქართულ ზღაპარში, კარგოო...

რომ დავიკვილებ, ამომწი!
თოკი მოუშვი მეტადა,

ნატვრისთვალისთვის ჩავდივარ
საგმიროდ, გასაბედადა.
ბოლოს ფასკუნჯად ქცეულსა
ვიპოვი მთავარ სიტყვასა
ყველგან იმას რომ ელიან
და ყველგან უნდა ითქვასა.

დიდ ფრთებს დაიქნევს ფასკუნჯი
წამიყვანს ზესკნელისკენა
ყველა ნატვრასა სჯობია
ის აფრენა და ის ფრენა...

მერე კი გზაში ფასკუნჯმა
თუ მოხოვა ხორცის ნაჭერი,
ალალი იყოს ტანჯულის
სხეულის ამონაჭერი.

მეტყვის, ეგ ლუკმა რომ არა,
ზესკნელს ვერ ავალწევდითო,
ვერ ვიპოვდით იმ მხარეს
რომლისთვის ვკვდებით სევდითო...

და დარჩებოდა ის მხარე
ყველასთვის დაკარგულია...
თვალეებს დავხუჭავ და ვეტყვი:
„ეგ ლუკმა ჩემი გულია...“

პატარა ამბავი

ჩამოიქროლა დედაბერმა ველოსიპედით
საჭეს დამკვდარი, პედლებს სწრაფად ატრიალებდა,
უკან მოსდევდა ბერიკაცი შავცხენიანი
იმუქრებოდა და დიდ თვალებს აბრიალებდა.

თან მისძახოდა: „ხომ გითხარი დავახრჩობ-მეთქი,
თუ კიდევ გნახე მაგ ეშმაკის ცხენზე შემჯდარი...“
სწრაფად მიჰქროდა დედაბერი დაფეთებული,
თავის ბედაურს დეზსა სცემდა ბერი მხედარი.

თვალს მიეფარნენ. მარტომარტო დავრჩი ქუჩაში.
რა იყო მერე? რით დამთავრდა ამბავი ნეტავ?
იქნებ იმარჯვა ბერიკაცმა, წამოენია
ყელში სწვდა სანყალს და აძახა: „ვაიმე დედავ?!“

იქნებ დავარდა ბედაური და ჩვენს დედაბერს
აუციმციმდა სულ სხვაგვარი ვარსკვლავი ბედის:
გაქროლდა ლალი და იპოვა თავისი სწორი,
სხვა ბერიკაცი, მოყვარული ველოსიპედის.

იქნებ გაჩერდა დედაბერი და გადაადგო
ეშმაკის ცხენი. მერე ფართოდ გაშალა ხელი.
ჩაეკვრნენ ერთურთს და ქალმა თქვა: „სულელი ვიყავ!“
ჰკოცნიდნენ ერთურთს... სახე ჰქონდათ ცრემლებით სველი.

ანთუ შერიგდნენ, ჯანდაბასო, თქვა ბერიკაცმა
და დედაბერიც ამით დარჩა გახარებული...
და წამოვიდნენ: ბერიკაცი ველოსიპედით,
დედაბერი კი ბედაურზე ამხედრებული.

აჰა, მკითხველო, სულ ეს იყო, რაც მსურდა მეთქვა,
მადლობას გეტყვი, თუ მიიღებ სიტყვებსაც დართულს,
ალბათ მიმიხვდი, მე პირადად რომ ვამჯობინებ
ბოლო ვარიანტს, ტრადიციულს და უფრო ქართულს.



რეზო გოცდინერი
როს

წყევლა-კრულვა ყველა ჯურის თვალთმაქცს და მზაკვარს,
იმათ სიყვარულს და სულთათანას...
მინდვრად დაკრეფილ თაიგულთა მირთმევის ნაცვლად
ათას ხანჯალსა სისხლშეუხმობს და ათას დანას,
ათასი დედის უსაშველო ამოძახებას,
შვილის სისხლით სახის განზანცხებას,
უბედურების მანიშნებელ ანძაზე ალამს —
ნიშანს ვაების, ვაი-ვიშის და ცრემლის დენას,
სახეში, მკერდში, მხრებში, თავში, გვერდებში ცემას,
განიავებას კაცობისას, ნაშლას ღირსების,
გულისამრევ, ჭუჭყიან მინით გაჩენას ფიქრის,
რომ შენც ოდესღაც კაცი იყავ და შვილი მინის,
რომ გაზაფხულებს ამშვენებდა ია-ენძელა,
და დიდებისკენ გზას იკვლევდი ისე, ვით ყველა,
თავგამოდებით, გაზაფხულივით,
ია-ვარდებით... დაძაბული და არა ხელად
შენ მოგელოდა,
ათასი მტრედის აფრენა და ქებათა დასტა,
ორკესტრთა მარში,
ალტაცებული მოფერება და დგომა ხალხში,
და მოგონება ჯურღმულებში ნათევ ღამეთა —
ათასი ჯურის დამცირება და შეურაცხყოფა;
ჩექმის ქუსლით ჩაგიმტვრიეს თავის ქალა-ყბა,
სისხლიან ცრემლებს ვერ იკავებ, არ ამოდის ხმა,
და მაინც, მაინც
იძახი: დედა!.. ნატრობ დედას, მის შეხებას. როცა იგი
შეუბრალებლად დაცხრილულებს კალთით გფარავდით,
— იმის მკერდზე თავის მიდებას
მონოდებას მის მიერ წყალის,
დედის ხელის თავზე გადასმას
მერე უბრალო ამოსუნთქვა, შეხედვა ქალის,
მაგრამ მოგვადგა გასათრევედ ტრაქტორი და
შეუბრალებლად, დაცხრილულებს, ორმოში გზავნის...
ჩამოგექცევით თავზე მინა სისხლიან წვიმის,
ერთი მუჭა ჰაერისთვის სიცოცხლეს მისცემ,
და ერთი მუჭა ჰაერისთვის სიცოცხლე გიღირთ.
...გვამთა შორის გაილეგებს ნაფლეთი სივრცის
მოდმის სხეული გადაკეტავს და გვამი მისი —
პირში გაჩრილი სისხლით გასვრილი ხელის თითებით...
გვერდით: მისივე უკანალი... დაიძვრის... ვიდრე
გრძნობ, — იხრჩობი,
გადარჩენის აღარ რჩება შანსი მცირედიც.
სივრცე, — თუნდაც, სკორეთი სავესე!..
გადმოგეყარა დამმანა ხვერელი
...ირგვლივ ჩამონვა სიშავე ბნელი და

ჩვენ წინაშე ახალი რეზო ესაძე, სულ სხვა სიღრმეებში წასული, სხვა საზომებით მზომელი, სხვაგვარად მეტყველი, სხვა მასშტაბებს შეჭიდებული. ჩანს, დაგროვილი სათქმელი კონვენციურმა ლექსმა ვეღარ დაიტია, ჯებირები გადმოლახა და ვერლიბრში გადმოიღვარა, გაიშალა, განვივრცო ეთიკურ-ესთეტიკურ ნაკადებად.

რეფლექსიას აქვს შინაარსი, მაგრამ არ აქვს ფორმა, აქვს სიღრმე, მაგრამ არ აქვს სივრცე, აქვს დასაწყისი და არ აქვს დასასრული. „როს“ — ეს არის სახისმეტყველებითი მონოლოგი, რომელშიც ნაჩვენებია ტოტალიტარული ეპოქის უღმრთო და აბსურდული სახე: „ესუნთქავდით ამით, სითბო ჰქონდა აკვანს და შიბაქს, გათენებას, მთვარიან ღამეს, ჩურჩულს ღობესთან, სად ჩამუქებულ ტრიფოლიატის ყვითელ ბურთულებს მწვანე ნემსები უქსოვდა ბადეს და ამ ბარდ-ეკალს თხა თუ მოსძოვდა... ამ დროს მოსკოვთან აღრჩობდა ვინ-ვის?! და კითხვა — რისთვის? არვინ უწყობდა...“

პასუხგაუცემელი კითხვების მორევში ჩაფლული პოეტი კვენისს და ფიქრობს, მაგრამ ეს არის უფრო მეტი, ვიდრე კვენისა, და უფრო ღრმა, ვიდრე ფიქრი.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფატალურ დრამატიზმში იკვეთება რაღაც არქეტიპული, რომელმაც შეიძლება ავტორის კინემატოგრაფიულ წარსულთან მიგვიყვანოს. რეზო ესაძე — კინორეჟისორი პოეზიის მეშვეობით აღადგენს პოლიფონიის წესს, რომელსაც კინოფილმებში საკმაოდ წარმატებით იყენებდა. გავიხსენოთ „ნელონის ნაძვის ხე“, „ერთი ნახვით შეყვარება“, „სკიპურები“... ყველა მისი ნამუშევარი სახეობრივი მრავალფეროვნებითა და რაკურსების გამუდმებული მონაცვლეობით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით, პოეტური კომპოზიცია „როს“ საეტაპო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ლექსი, რომელშიც ერთიანდება რეზო ესაძის ნიჭის პლასტიკური და სიტყვიერი მხარეები.

ყველაფერი შთანთქა სიჩუმემ, მაგრამ უცებ
დაცხრება ისიც,
გაიელვებს
დედის თვალს
და
ხედები,
ღმერთი მომავალი გაზაფხულის მზადებას ინყებს...

მოეკიდება წყალს ცეცხლი და მზეს კიდევ ობი —
დაიშაშრება მიწა სრულიად.
არ აუვლია გზაზე იმ კაცს, უკან კი მოდის
და ვერ გაიგებ, კაცია თუ ავი სულია?!
ის არასოდეს დაბრუნდება
და ყველაფერი ეს ასეა, და იგი შენ ხარ,
— შემოქმედი
საკუთარ თავის და ყოველივეს უკვე განცდილის
წამში განცდა... მომავლის განცდის
მხოლოდ უკუსვლით,
რა არის იგი; — მიწად ქცევა?
თუ სწრაფვია უსასრულოსთან შეთავსების?
გზათა გავლით პირუკუ სვლა ყველა
წალმასვლის, იქნებ ესაა ის, განფენა
სულის? თავის დაკარგვა ყველაფრის პოვნით მარადიული
მყუდროების გრძნობათ სადგომში, სად მამაღმერთი
სიჩუმეთა უწყვეტ ნაკადს აფერადებს უნაზეს ფერით
და უხმო ზეიმს თითონ უსმენს.

ქვაზე ნოლა დაედარდოს დარდებს,
გულის სითბო დაიძრას, ყინული გადნეს,
იქცეს ნაკადულის ჩქერად და ჩავარდეს ხნულში,

გაზაფხულის ფიქრი, — ვით ცის ფიქრი...
მიწად?

ყვავილის ფიცად, დილად ან ღამედ, და...
დღედ იქცეს და დღე გედის ყელად იქცეს,
და ბოროტი გაქრეს და ავი სიტყვა იქცეს კეთილად,
ვით ციური ლოცვა და სინათლე

...პოეზიაში გარკვეულები რომ ვარჩევთ სიტყვებს,
რომლებსაც ძალუძთ მთელი სამყაროს განადგურება —
რად ვშერებთ ამას? რა უკუღმართი აღმასვლაა შესაძ-
ლებელი და მერე რისთვის? რა აზრთა დენაა ის მონყენა ეფე-
მერის შავი ლუსკუმით და მერე რატომ? — ხავილი ფიქრის?!

თუ დაღვრემილი ქალის ხედვა ძალიან ახლო და შორი მეტი,
უკუღმართია ვატერლოო, აუსტერლიცი, ტროა, ცუსიმა, ილიო-
ნი, ჩაკეცვა მუხლის ან ჯვაროსნული ვნების შეკვეთა, გადა-
თელვა ნიშანსვეტის, თან აქვე, გვერდით, სად ადამის მოდგმათა

სვე ბალად ხარობდა, იზრდებოდა მიწიდან აზრი, ჰქროდა სურ-
ვილი. მზე ადამიანურ სიდიადეს აფენდა მინდვრებს. ღამის ბინ-
დებს დაქონდა მადლი და მისი სადრი არც რა იყო, — ესუნთქავ-
დით ამით, სითბო ჰქონდა აკვანს და შიბაქს, გათენებას, მთვარი-
ან ღამეს, ჩურჩულს ღობესთან, სად ჩამუქებულ ტრიფოლიატის
ყვითელ ბურთულებს მწვანე ნემსები უქსოვდა ბადეს და ამ
ბარდ-ეკალს თხა თუ მოსძოვდა... ამ დროს მოსკოვთან ახრჩობ-
და ვინ-ვის?! და კითხვა — რისთვის? არვინ უწყობდა...

ასეთი იყო ჩანაცვლება: ერთისა ორით, სამით და ა.შ.

თუნდაც არაფრით. სისხლიან კითხვას პასუხობდნენ
ყელში ნაჭერით სახრჩობელების სისხლიან ყულფით; თავზე
ტომარის ჩამომფხატავ მჩხიბავ აზრთა შემოდგომებით
ჰკლავდნენ ზაფხულებს... სურვილთა შმორი მდარე ლოზუნგის
წაშველებით იცვლიდა სახეთ ადამიანთა აღვირახსნილი მძვინ-
ვარებები, ყველა ერთად მეცნიერი თუ დამგველი ქუჩის —
სურვილით ურჩით — ვილაც ოღრამის ასრულებდნენ უსიტყვო
ნებას, რისთვის? არვინ უწყობდა აზრის სიბრძნის მისამართი:

კვენისს, რომელიც აცილებდა მწარე რიტუალს და ასე
იყო, გრძელდება — საუკუნეში მალავენ სახეს: ლოყის სი-
ნითელ მათ ვერ შველით, „მრავალუბამიერი“... ცერებზე დგო-
მა. ვერც დეზდემონას დახრჩობა მავრით, ვერც ყავრის ახდა
ქარაზმული... და გაფრენა მარსის შორეთში, აურაცხელი
აფეთქებებით მიწის წაშლა (ადამიანის სიბრყველებს არ
უჩანს ბოლო), „ძუძუმწოვრის კურცხლად არ ღირს ეს ვაი-
ვუი“, მამის მიერ მის მხრებზე დასმათ ან პირჯვრისწერათ

და კიდევ რა ვთქვა?... აჰა, მომადგა მოძალადე ვით ავტომა-
ტი ავტომატით, რეგენი სრული და რაც მოხდება ან უნდა მოხ-
დეს თავად განსაჯეთ: შეუძლია ნიხლი ჩამცხოს, ყბაში კონდა-
ხი, რომლის მკეთებელს ალბათ, ამ ნუთში, განცხრომით სძი-
ნავს, ან ტრაპეზითინებებს ლუქმას თქვენგან მირთმეულს...

დახსულ მიწისპირიდან მოწვეულ ხორბლით [თავზე მადგა
საყვარელი და მილიმოდა] მარცვალთან ერთად მისი ღიმომიც
ცვიოდა ხნულში... ცა თავზე გვადგა და აპირებდა უუჟუნა წვი-
მას, რომ აჯეჯილებულ არემარეს მოეცა პური, რომ იმით
მადლარს ახლა მოძულეს, თავზე რომ მადგას, ავტომატს მიშ-
ვერს და ჩქემას მირტყამს, ის ივინყებს რომ იგი ჩემით მადლ-
რია, ახლა კი მავნებს და სისხლი მოსვრილს სულს მხდის ძა-
ლით, რომელიც მივანიჭე მიწასთან ერთად, და არ მაღირსებს
უკანასკნელად ვეამბორო ალერსით დედას, იმის ნაჯაფ ხე-
ლისგულების ნაღვლიან სითბოს, მისი ცრემლის ციდან მოწყ-
ვეტილ ნამთან შეხებას და სითბოს მამის სულის შეხებას, ის მე
არ მაქლის: კონდახს ჩამცხებს, ნიხლს მოაყოლებს და სისხლი-
ანი ჩალენილი ყბით (მე მიწას ვლექავ) უკანასკნელი სიტყვის
თქმასაც აღარ დამაცლის და აღარ გაიგებს ჩურჩულს ჩემსას:

„მშვიდობით,
ძმარ,
მადლობელი ვარ ყველაფრისათვის“...

ჯეიმზ ჯოისი

ბარათები

(ციურიხი, ტრიესტი, 1915-20)

საკმაოდ სახიფათო მგზავრობის შემდეგ მტრად შერაცხული უცხო ქვეყნის ოჯახი 1915 წლის 30 ივნისს ჩავიდა ციურიხში. მართალია, იქ დამკვიდრებას არ აპირებდნენ, მაგრამ ჯოისებს მაინც მოუწიათ შეყოვნება მთელი ომის განმავლობაშიც და ზავის დადების შემდგომ ერთ წელიწადსაც. საყოფაცხოვრებო პრობლემები რაღაცნაირად თავისთავად და საკმაოდ ადვილად მოუგვარდათ. ტრიესტელ ნაცნობთა მეშვეობით ჯოისმა იპოვა ენის შესწავლის მსურველი რამდენიმე მოსწავლე და შეიძინა ისეთი ახალი მეგობრები, როგორებიც იყვნენ ოტოკარო ვენისი, ედმუნდ ბრაუნზბარი, ვიქტორ საქსი და ჯორჯეს ბორახი. წარსულთან შედარებით ფული უფრო ნაკლები დაბრკოლებითა და მეტი რაოდენობით შემოსდიოდა ოჯახს. შვეიცარიაში ცხოვრების საწყის ეტაპზე ნორას ბიძა ფინანსურად დიდად შეეხიდა. შემდეგ იეიტისა და ერთი ნაცნობის — ედმუნდ გოსეს — დახმარებით ეზრა პაუნდმა მოუხერხა, რომ მთავარი ლიტერატურული ფონდიდან გრანტი გამოეყოთ ჯოისისთვის. ამას დაემატა ფულადი დახმარება ავტორთა საზოგადოებიდან და შემდეგ უფრო ოფიციალური დონის ქველმოქმედება: 1916 წლის აგვისტოში პრემიერ-მინისტრმა დააჯილდოვა ე.წ. „ცივილ ლისტის“ პრემიით.

ამ საჩუქრებზე უფრო მნიშვნელოვანი ჯოისისთვის გახლდათ ორი პიროვნების მიერ განუხლები დიდი დახმარება. პირველმა, ჰარიეტ შოუ ვიივერმა, ერთობ შეწუხებულმა მწერლის მდგომარეობით და დარწმუნებულმა მის ნიჭიერებაში, 1917 წლის 22 თებერვალს ჯერ ანონიმურად დაიწყო მისთვის ფულის გაგზავნა, მოგვიანებით კი განუწყვეტილად ურიცხვად გარკვეულ თანხას. მეორე კეთილსმყოფელი გახლდათ ედვინ როკფელერ მაკკორმიკი, შეძლებული ამერიკელი ქალბატონი, ხელოვნებისა და ფსიქოანალიზის დიდი მოამბე, რომელიც იმხანად ციურიხში ცხოვრობდა. იგი 1918 წლის მარტიდან 1919 წლის სექტემბრის ჩათვლით სოლიდურ სტიპენდიას აძლევდა შემოქმედს, რომელიც ამ ფულის გარდა კიდევ რამდენიმე წყაროდან იღებდა შემოსავლებს. ერთი სიტყვით, ციურიხში ჩამოსული უპოვნელი და უპოვარი ჯოისი ამ ქალაქში ყოფნის დასასრულისთვის არამარტო კაპიტალით იყო უზრუნველყოფილი, არამედ შემოსავლითაც. იმ ოთხ წელიწადში მწერალმა ნელ-ნელა შეიცვალა სოციალური მდგომარეობა.

ციურიხში ყოფნისას ჯოისმა განიმტკიცა თავისი როლი მოდერნისტულ ლიტერატურაში. იმის მიუხედავად, რომ კვლავაც აწყდებოდა სიძნელეებს ნიგნების გამოცემისას, ეს მაინც ნაკლებმნიშვნელოვან პრობლემათა რიცხვს განეკუთვნებოდა უკვე. 1915 წლის სექტემბერში „ეგოისტში“ დასრულდა „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ სერიებად ბეჭდვა. ახალი პრობლემა წარმოიშვა, როცა არცერთმა ინგლისელმა მხედავამ არ ისურვა ამ ნიგნის გამოსაცემად მომზადება, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ნიუ იორკელი გამომცემელი ბ. ვ. ჰიუბში, რომელმაც გამოიჩინა სიმამაცე, ამერიკაში ჯერ გამოაქვეყნა „ხელოვანის პორტრეტი“ 1916 წელს, მერე კი გრანტ რიჩარდისგან გამოითხოვა „დუბლინელების“ ანაბეჭდი და ამ ნიგნმა როგორც იქნა იხილა დღის სინათლე. 1917 წელს ახლა უკვე მის ვიივერმა შეძლო გამოეჭვივებინა ინგლისური გამოცემა „ხელოვანის პორტრეტისა“, რაშიც გამოიყენა ამერიკული ტვიფრი.

ამ ორმა ნიგნმა და იმ ენთუზიაზმმა, რითიც ეს ორი ქვეყანა მოეკიდა ჯოისის შემოქმედებას, ახლა უკვე „ულისეს“ მიმართ აღძრა ინტერესი. ეზრა პაუნდმა ურჩია ნიუ იორკის „ლითლ რევიუს“ გამოცემისთვის — მარგარეტ ანდერსონსა და ჯეინ ჰიფსს — სერიებად დაბეჭდვათ ეს ნაწარმოები, რასაც ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ. 1918 წლის მარტიდან 1920 წლის სექტემბერ-დეკემბრის ჩათვლით დაიბეჭდა ამ რომანის ცამეტი თავი. 1919 წელს მის ვიივერმაც დაბეჭდა რაღაც ნაწილი „ეგოისტში“.

ჯოისი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, ჯერ იყო და, რიჩარდსმა და ჰიუბშიმ ერთდროულად გამოსცეს მისი „განდევნილები“, შემდეგ კი მიუნხენის თეატრში დაიდგა გერმანულად ნათარგმნი ეს პიესა. მართალია, სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ გავიდა, რადგან თეატრის კრიტიკოსთა აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ ჯოისი იმედს არ კარგავდა, რომ კვლავაც გაუმართლებდა და უფრო დიდ წარმატებას მიაღწევდა.



ციურიხში ყოფნისას გაიფურჩქნა ჯოისის შემოქმედება. მისმა ნიჭმა, რომელსაც გასაქანი მიეცა, უფრო მეტი თავდაჯერებულობა და ექსტრავაგანტურობა შეიძინა. მწერალს თანდათანობით შეეცვალა ირლანდიისადმი დამოკიდებულება, ნაკლებ დაძაბული და შემრიგებლური გახდა, მითუმეტეს, რომ გულის სიღრმეში მაინც მოხიბლული იყო დუბლინის ყველა თავისებურებით და ახლა უკვე აღარ უჭირდა ამ ყოველივეს საჯაროდ გამოხატვა.

ჯოისის საკმაოდ ფიცხი ხასიათი ჩამოუყალიბდა, — დუბლინში ნაეჩხუბა ჯერ ჯონ გოგარტის, მერე ვინსენტ კოსგრეის, ბოლოს კი ჯორჯ რობერტსს, ხოლო რომიდან ამაოდ ებრძოდა გრანტ რიჩარდს. ციურიხში ყოფნისას მწერალი სასტიკად დაუპირისპირდა ბრიტანეთის იმპერიას. ამის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ ჯოისმა და ერთმა ინგლისელმა მსახიობმა, სახელად კლოდ ვ. საიკისმა დააფუძნეს თეატრალური კომპანია, რაშიც დასჭირდათ ინგლისის საკონსულოს დახმარება. თუმცა არც საკონსულომ და არც ბრიტანელმა მინისტრმა გამოიჩინეს რაიმე დანერგვისება ამ ფაქტით. საქმე სასამართლომდეც კი მივიდა, მწერალმა ერთი პროცესი მოიგო, მეორე კი წააგო.

ციურიხში ყოფნის ბოლო სამ წელიწადს ჯოისს გაურთულდა თვალთვან დაკავშირებული პრობლემა, — დაუდგინეს გლავუკომ და დასჭირდა სერიოზული მკურნალობა, თუმცა ოპერაცია გარდაუვალი აღმოჩნდა. მომდევნო თხუთმეტი წლის მანძილზე ჯოისმა თერთმეტი ოპერაცია გადაიტანა.

1918 წლის ბოლოს ჯოისის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ნახევრად კომიკურ და ნახევრად პათეტიკურ სატრფიალო ურთიერთობას შვეიცარიელ ქალთან, ვინმე მარტა ფლიემანთან. კონსპირაციის მიზნით მწერალი ამ ქალისადმი მიწერილ წერილებში ხმარობდა ბერძნულ „ე“-ს, ისევე, როგორც ეს აღწერილია „ული-სეში“, ბლუმის მიერ მარტა კლიფორდისთვის მიწერილ ბარათებში. მათი მალული ურთიერთობა გაგრძელდა 1919 წლის თებერვამდე, რის შემდეგაც ფროილიან ფლიემანი მოხვდა საგიუეტში. ამბავი გამჟღავნდა და ჯოისმა ისევე ჩუმად დაიხია უკან, როგორ მალულადაც წამოიწყო ეს ურთიერთობა.

ომის დასრულების შემდეგ მწერალი გარკვეულ ხანს დაყოვნდა ციურიხში. ტრიესტში ჯერ დაბრუნდა მისი და ელინი ქმართან ერთად, მას მიჰყვა სტანისლოსი, რომელმაც ოთხი წელი გაატარა ტყვეთა ბანაკში, 1919 წლის ოქტომბერში კი ჯოისიც გაემგზავრა, თუმცა არცთუ დიდი ხალისით, რადგან ციურიხში ტოვებდა დიდ მეგობარს, ინგლისელ მხატვარს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემელსა და გამამხნეველებს ფრენკ ბაჯენს. ტრიესტში ჩასულმა მწერალმა იგრძნო, რომ მისი მეგობრები ერთობ შეცვლილიყვნენ, მისი ძმაც კი საკმაოდ უყურადღებო გამხდარიყო. ჯოისმა აღიდგინა მანწავლებლის სტატუსი და შეუდგა სწავლებას ერთ-ერთ კომერციულ საშუალო სკოლაში, რომელიც იმხანად უნივერსიტეტად გადაკეთდა. ქალაქი სულით დაცემულიყო, ვეღარცად შეხვდებოდა კაცი ადრინდელი მხიარულებას. 1920 წლის გაზაფხულზე მწერალმა დაიწყო ფიქრი სადმე დასასვენებლად წასვლაზე.

ეზრა პაუნდმა, რომელიც იმხანად მოგზაურობდა, დაარწმუნა იგი ჩასულყოფილ მასთან სირმიონში, მანვე მიაწოდა აზრი, რომ „ულისეს“ დაბეჭდვა უპრიანი იქნებოდა პარიზში. ასევე დაჰპირდა, რომ ნიადაგს მოუმზადებდა საამისოდ და შეაგულიანებდა თავის მეგობრებს ფრანგულად ეთარგმნათ ჯოისის ნიგნები. ამგვარი ცთუნებით დატოვა ჯოისმა ტრიესტი და 1920 წლის 8 ივნისს გაემგზავრა პარიზს.

უ. ზ. იეიტსი
14 სექტემბერი 1916 სეფელდშტრასეს 54
პარტერე რეხტს, ციურიხი VIII

ძვირფასო იეიტსი, ეზრა პაუნდი მწერს შენი სიკეთის შესახებ, თუ როგორი სარეკომენდაციო წერილი დაგინერია ჩემს სასარგებლოდ, რის შედეგადაც მე დამასაჩუქრეს საავტორო პრემიით (&100). არ დაგინყებ იმის განმარტებას, თუ რამდენად მესაჭიროებოდა ეს ფული ამ დროში და ამ ვითარებაში, მაგრამ ამ თანხის აუცილებლობის გარდა, ეს ფაქტი ჩემთვის არის ძალზე გამამხნეველი და ნიშანი ჩემი ალიარებისა, რასაც დიდად ვუმაღლი შენს მეგობრულსა და ფასდაუდებელ მხარდაჭერას. გამიჩნდა იმედი, რომ ამიერიდან მაინც ცოტა უკეთ წამივა საქმეები და მომემართება ხელი, რადგან, სიმართლე რომ გითხრა, ძალზე დამლელია წლობით ლოდინი და იმედის შენარჩუნება. როგორც ჩანს, ამ შემოდგომაზე ჩემი რომანი ნამდვილად გამოვა ნიუ იორკშიც და ლონდონშიც. საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილ ჩემს პიესას „განდევნილები“ (რომელიც უკვე დაიწუნეს ციურიხში, ბერნში, ტურიხში და ლონდონის თეატრალურ საზოგადოებაში) ვუგზავნი პაუნდს, რომელიც მეუბნება, მისტერ ნობლოკი ნაიკითხავსო. ამის გარდა, ვნერ ნიგნს „ულისე“, რომელსაც სავარაუდოდ რამდენიმე წელი დასჭირდება დასასრულებლად. ალბათ ამ რომანისა და პიესის საბოლოო ვარიანტი ექვს ან შვიდ მკითხველს თუ დაინტერესებს (ბოლო ექვს თვეში „დუბლინელებს“ მხოლოდ 7 ეგზემპლარი გაიყიდა). პაუნდი მეუბნება, ახალ პერიოდულ გამოცემა „სევენ არტს“ შევთავაზო პიესა, თუკი (ჩიკაგოს) „დრამა“, სადაც მას ამჟამად განიხილავენ, უარს იტყვის მის მიღებაზე, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. მისტერ არჩერმაც განაცხადა, წავიკითხავო.

იმედი მაქვს, რომ შენი საქმეები იფურჩქნება და ჯანმრთელობასაც არ უჩივი. უკვე იმდენი წელია, წასული ვარ, რომ ძალზე ცოტა ვიცი, თუ რა იბეჭდება ინგლისში. სანამ ტრიესტს დავტოვებდი, ცოტა ხნით ადრე ნიგნის მალაზიაში ვნახე იტალიური ვერსია „გრაფინია ქეთლინისა“ და უნდა ვთქვა, რომ ის რამდენიმე ადგილი, რაც წავიკითხე, არ მომეწონა. ჩემი აზრით, სამწუხაროა, რომ ჩემი მეგობრის ვიდაკოვიჩის ვერსია არ გამოქვეყნებულა. თარგმანის მისეული ვარიანტი (განსაკუთრებით სიმღერა „ბობოქარი გული“) ბრწყინვალეა. ამჟამად არ ვიცი, სად იმყოფება (შესაძლოა რომშიც კი იყოს) და არც ის ვიცი, რა ბედი ეწია ჩემი და სინგის მიერ თარგმნილ „ზღვისკენ წასულ მხედრებს“. ერთ საღამოს ის თარგმანი წავუკითხე მისის საინატის, ერთობ ორიგინალურ მსახიობ ქალსა და მის მეუღლეს, რომელმაც გამომართვა *copione* (ეგზემპლარი) კიდევ ერთხელ რომ წავიკითხა. ვიდაკოვიჩმა და მე ასევე ვცადეთ ჩემი მოთხრობის „სურროს დღე საკომიტეტო ოთახში“ თარგმნა „ნუოვა ანტოლოგია“-სთვის, მაგრამ ძალზე უღიმღამი რაღაც გამოვიდა.

ძალზე ბევრი მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ მადლიერი ვიყო ჩემი ბევრი მეგობრისა, რომლებიც დიდად დამეხმარნენ მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვედი, და ვერასოდეს გადაგახდი საკმარის მადლობას იმის გამო, რომ გამაცანი ეზრა პაუნდი, ეს სასწაული მოღვაწე.

კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა და გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, გულწრფელად შენი

ჯეიმზ ჯოისი

პარიეტ შოუ ვიივარს
8 ნოემბერი 1916 სეფელდშტრასეს 54
პარტერე რეხტს, ციურიხი VIII

ძვირფასო მისს ვიივერ, მადლობა თქვენი ორი წერილისთვის. დიდად დამავალბებ, თუ ჩემი „კამერული მუსიკის“ ერთ ეგზემპლარსა და პრესიდან ამონარიდ თანდართულ მასალას გადაუგზავნით მისტერ ჰიუბშს. მე კი ვარ თანახმა თქვენს მიერ შემოთავაზებული სტატია გრავიურასთან ერთად დაიბეჭ-

დოს, მაგრამ ვშიშობ, თქვენს მკითხველებს უკვე მოვაბეზრებთ. ყოველ შემთხვევაში ხვალ მაინც გამოგვგზავნით ფოტოებს, ერთს „ეგოისტისთვის“, ერთსაც მისტერ ჰიუბშისთვის. რაც შეეხება „ბიოგრაფიულ ცნობებს“, რასაც ის ითხოვს, თუ არ შენუხდებით, იქნებ ურჩიოთ, ეს ინფორმაცია მოიძიოს 1916 წლის გამოცემაში „ვინ ვინ არის“ და აგრეთვე გადაუგზავნით „ეგოისტის“ (1914 წლის 15 იანვრის) ნომერი. ასევე, თანდართულ ფურცელზე გიგზავნით ინფორმაციას ჩემი და ჩემი ნიგნების შესახებ, რადგან მგონია, რომ მას სწორედ ეს სურს. კეთილი სურვილებით, გულწრფელად თქვენი

ჯეიმზ ჯოისი

„კამერული მუსიკა“ — რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა „სეთერდვი რევიუში“, „სპიკერში“ (ლონდონი) და „დანაში“? (დუბლინი). მისტერ სიმონსმა უზრუნველყო მისი დაბეჭდვა მისტერ მეთიუსის მეშვეობით.

„დუბლინელები“ — მისტ. ნორმანი, „აირიმ ჰოუმსტედის“ (დუბლინი) რედაქტორი, დამთანხმდა მოთხრობების ნალებზე, მაგრამ მეორე მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ მითხრა, რომ მკითხველებმა გამოთქვეს უკმაყოფილება. დანარჩენი მოთხრობები დავწერე ავსტრიაში.

„ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ — ეს რომანი დავიწყე ვერ კიდევ ირლანდიაში ჩანახატების სახით და დავასრულე ტრიესტში 1914 წელს. გამგზავრებამდე „დანას“ გამოცემლებს მისტ. მაგისი (ჯონ ელინგტონს) და მისტ. რაიანს შევთავაზე ამ ნიგნისთვის დაწერილი ჩემი წინასიტყვაობა, რაზეც უარი მივიღე.

„განდევნილები“ (პიესა) — ეს დავწერე ტრიესტში 1914-1915 წლებში („დრამა“, ჩიკაგო, 1916 წ. თებერვალი).

„ულისე“ — ამის წერა დავიწყე რომში, ექვსი (თუ შვიდი) წლის [წინათ] და ამჟამადაც ვნერ. ვიმედოვნებ, რომ დავამთავრებ 1918-ში.

მისამართი: ტრიესტში ვცხოვრობდი 1904 წლიდან. მათ შორის ერთი წელი გავატარე რომში. იქაურობა დავტოვე 1915 წლის ივლისში, როცა ავსტრიელმა მალაჩინოსებმა ჩემი თხოვნის საფუძველზე მომცეს საშუალება ჩემი ოჯახისა და ჩემთვის, გადავალახა ავსტრო-შვეიცარიის საზღვარი. მას შემდეგ ვცხოვრობ ციურიხში. ირლანდიის სალიტერატურო თეატრი: როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი, მე უარი განაცხადე ხელი მომეწერა „გრაფინია ქეთლინის“ წინააღმდეგ დაწერილ საპროტესტო წერილზე. მე ვიყავი ერთადერთი სტუდენტი, ვინც ხელი არ მოაწერა. რამდენიმე წლის შემდეგ დავიცანი მისტერ იეიტსი. მან მიმწვია თავის თეატრში პიესის დასაწერად და შევპირდი, რომ ამას გავაკეთებდი ათ წელიწადში. 1902 წელს პარიზში შეხვდი სინგს (იქ მედიცინის შესასწავლად ვიმყოფებოდი). მან ნამაკითხა „ზღვისკენ წასული მხედრები“, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ნაწარმოები ვთარგმნე იტალიურად (მისტერ საინატისთვის?). ასევე ვთარგმნე მისტერ იეიტსის „გრაფინია ქეთლინი“, მაგრამ ეს პროექტი ჩავარდა, რადგან ჩვენ ამ ნაწარმოების პირველი ვერსია ვთარგმნეთ, მისტერ იეიტსს კი არ სურდა იტალიელი გამომცემისთვის ამ ვერსიის შეთავაზება.

ეზრა პაუნდი: მისტ. პაუნდმა 1913 წელს ტრიესტში მომწერა წერილი, სადაც მთავაზობდა თავის დახმარებას. მან მიიტანა ჩემი რომანის ხელნაწერი „ეგოისტში“, სადაც ეს ნაწარმოები სერიებად დაიბეჭდა (1914 წლის თებერვლიდან 1915 წლის სექტემბრის ჩათვლით). ასევე შეეცადა ხელი შეეწყოს მისი გამოქვეყნებისთვის ამერიკასა და ინგლისში. მან ბევრი სტატია დაწერა ჩემზე (ყველა ძალზე კეთილგანწყობილი და მალალი მეფასებით) ინგლისურსა და ამერიკულ გაზეთებში. მაგრამ მისი მეგობრული თანადგომისა და „ეგოისტის“ რედაქტორის-მის ვიივერის — ძალისხმევის მიუხედავად „ხელოვანის პორტრეტის“ დაბეჭდვაზე ყველა გამომცემელმა უარი განაცხადა და ჩემი რომანი კვლავაც გამოსაცემია.

ადრინდელი პუბლიკაციები: (1) „პარნელი“ დავწერე ცხრა წლისა რომ ვიყავი (1891-ში), პარნელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის დაიბეჭდა და მთელს დუბლინში გავრცელდა. არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა დღესდღეობით რომელიმე ეგზემპლარის მოძიება, (2) სტატია იბსენზე დავწერე ჩვიდმეტი წლისამ, დაიბეჭდა „ფორთხანთი რევიუში“. იბსენი იმდენად კეთილშობილი აღმოჩნდა, რომ მადლობის ბარათი გამომიგზავნა. (3) „აურზაურის დღე“ (პამფლეტი ირლანდიურ სალიტერატურო თეატრზე) დაიწერა უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემისთვის, მაგრამ ზედამხედველმა უარი თქვა დაბეჭდვაზე, რადგანაც ის ასევე შეიცავდა ჩემი თანაკურსელის, ცხონებული მისტ. სკეფინგტონის ესეის ორივე სქესის სტუდენტთა ერთად სწავლების შესახებ. ჩვენ ერთად გამოვაქვეყნეთ ეს ესეები პამფლეტის ფორმით.

უზრა პაუნდს

9 აპრილი 1917, სეველდმტრასეს 73
ციურიხი VIII

ძვირფასო პაუნდ, უღრმესი მადლობა გასული თვის 26-ში გამოგზავნილის გამო, რომელიც ამ დილას მივიღე. ფოსტის შეფერხების გამოისობით და იმ ფაქტის გამო, რომ არაფერი მქონდა მზად, ახლა ამ წერილთან ერთად გიგზავნი საბუთს, როგორც გინდოდათ. მე მგონი, დეკემბერში გავაგზავნიე სამი ლექსი „პოეზიაში“ (ჩიკაგო) ჩემი აგენტის მეშვეობით, მაგრამ აღარაფერი გამიგია მას შემდეგ მათ შესახებ. თუკი არც დაუბეჭდავთ და არც დაბეჭდავენ, იქნებ თქვენ მიგეხედათ მათთვის? რაც შეეხება მოთხრობებს, ამჯერად არაფერი გამაჩნია, მაქვს რამდენიმე პროზაული ჩანახატი, როგორც უკვე გითხარით, მაგრამ ისინი ტრიესტში დარჩა, ჩემს საწერ მაგიდაში ჩაკეტილი. რაც შეეხება ამონარიდს „ულისიდან“, ერთადერთი, რისი გამოგზავნაც შემიძლია, იქნება ჰამლეტის შესახებ თავი, უფრო სწორად, ამ თავის ნაწილი, თუმცა ისიც დაექვემდებარება გამოხშირვას. თუკი რამე გამოჩნდება, რისი გაკეთებაც მე შემიძლია, ვთქვათ, უბრალო თარგმანი ანდა რეცენზია, ხომ გამაგებინებ? მოხარული ვიქნები, თუკი რამე ამდგვარს გვაკეთებ, ერთი რამ მაინც მინდა გითხრა, მაგ თქვენთვის ჩვეული მეგობრობით მოგდით ის, რომ ერთობ აზვიადებთ და დიდმნიშვნელობას სძენთ ჩემს უბადრუკ ხელმოწერას, როცა მას „ჩანიკნიკებულს“ უწოდებთ. მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, ან დამეწერა. ნეტავ შემეძლოს რამის მოფიქრება, სამწუხაროდ, შთაგონება არ მოდის. ამას გარდა, ვარ ძალზე ცუდი კრიტიკოსი. აი, მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ერთმა პიროვნებამ წასაკითხად მომცა ორტომიანი რომანი სათაურად „ჯოზეფ ვენსი“. გარკვეულ ხანს ნაწილ-ნაწილ მანამდე ვკითხულობდი, სანამ არ აღმოვაჩინე, რომ მეორე ტომის კითხვა დამიწყია პირველის ნაცვლად. ერთია, რომ მკითხველად არ ვვარგევარ, ხოლო მეორე, რომ ყველაზე მოსაწყენი მწერალი ვარ, ყოველ შემთხვევაში მე ასე მიმაჩნია. სანამ დავამთავრებდე ნაწარმოებს, ქანცი მივგრებ. ნეტავ თქვენ თუ მოგეწონებათ, ახლა რომ ვწერ, ის წიგნი? ამას ისევე ვაკეთებ, როგორც არისტოტელე იტყოდა, — სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა საშუალებით. უცნაურია, მაგრამ ავადმყოფობის მიუხედავად ამ ბოლო დროს საკმაოდ ბლომად დამიწერია.

რაც შეეხება ჩემს რომანს, მგონი ჩიხში შევიდა. „ნიუ სთეითსმენში“ არ მინახავს რამენაირი რეცენზია. მისტ. ბოიდმა გამომიგზავნა ძალზე კეთილგანწყობილი 2000 სიტყვიანი მიმოხილვა „ნიუ იორკ სანიდან“, რომელიც მისტერ ჰანკერს 10 დაუწერია. მის ვივიერმაც გამომიგზავნა ამერიკული სხვა მიმოხილვები, მაგრამ ეტყობა გზაში კონვერტიდან ამოცვივდა. სხვათა შორის, მე მგონი თქვენ უნდა დაბეჭდოთ და დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ ხოლმე წერილები, ალბათ დაყოვნების გამო დაავიწყდათ თქვენს ბოლო ბარათს.

როგორც გწერდით, თეატრალურ საზოგადოებას სურს გადახედოს ჩემს პიესას „განდევნილები“. მე ვთხოვ ჩემს აგენტს, რომ ლონდონსა და ნიუ იორკშიც შესთავაზოს გამომცემლებს მისი გამოქვეყნება ამ შემოდგომაზე. ნეტავ მაშოვნინა კარგი ამერიკელი აგენტი დრამატურგიის დარგში, რომელიც ხელს მოჰკიდებდა ამას. იქნებ მას უფრო მეტი წარმატება ხვდეს, ვიდრე „ხელოვანის პორტრეტს“. აქვე გიგზავნი პატარა სახუმარო ლექსს:

**იყო ერთი სტივენი, უმაქნისი ჯეელი,
ულიმლამო ყიალით მოიარა ტყე-ველი,
აიყვავა ცხოვრება მთელი,
გამოიყენა ჯოჯოხეთი მწველი.
ამას ძნელად დაიჯერებს, თვით ჰოტენტოტი ძველი.**

„ტიამისისა“ და „მანჩესტერ გარდიანის“ მცდელობები, რომ წიგნისათვის გზა გაეხსნათ, ჩაიშალა, ანდა ჩაშლის პირასაა, სავარაუდოდ, სასვენო ბრჭყალების უქონლობის გამო. ძალიან მინდა გავიგო იეიტის აზრი „განდევნილებზე“.

ძალზე გადაღლილი ვარ, რადგან ვასწორებ შეცდომებს, რაც ჩემი რომანის გადაბეჭდვისას გაიპარა. დაახლოებით ოთხასამდეა. შეუმონმებლად გამომიგზავნეს. ამას ვაკეთებ ამ საუკუნეში მისი მეორედ გამოცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. „ეგოისტის“ ბოლო გვერდზე მის ვივიერის მიერ დაწერილი ანონსი უკიდურესად გაზვიადებულია.

ყოველმხრივ უკეთესად ვგრძნობ თავს. გთხოვთ, მომწერეთ თქვენი რეცენზიის შესახებ. მე კვლავაც მივწერ მადლობებს უცნობ მეგობარს და აგრეთვე მისტ. ქუინის ასეთი სიკეთისთვის.

იმედია, თქვენც კარგად ხართ. ჩემი ცოლიცა და ცუელიც შვილებიც მადლობას გითვლიან მოკითხვისთვის. Ogi bene!

[გულწრფელად თქვენი
ჯეიმზ ჯოისი]

უზრა პაუნდს

22 ოქტომბერი 1917, პენსიონ ვილა როსა
ლოკარნო, შვეიცარია

ძვირფასო პაუნდ, აქ რამდენიმე დღის წინათ ჩამოვედი, მაგრამ ბარგის მოწესრიგებით და ა.შ. ის ვიყავი დაკავებული, რომ მოსწერად ვერ მოვიცალე. აზრი არა აქვს რამის მოყოლას მთელი აგვისტოს მანძილზე ჩემი ფიზიკური და ფინანსური გაჭირვების შესახებ. რაც შეეხება იმის წინანდელს, აღარ ღირს რამის თქმა, რაც იყო, იყო. ჯერ ისევ ვერ ვხედავ კარგად, მაგრამ თვალის ჩინი თანდათან მიუმჯობესდება თქვენი და მის ვივიერის გადაუღებელი სიკეთის წყალობით. თქვენ რომ არა, ზედმეტ ბარგად ვიქცეოდი. შევამჩნიე, რომ თავს იდანაშაულებთ ჩემთვის თავგზის აბნევაში. მაგრამ ეგ სისულელე მე წამადგა. მიხარია, რომ „ულისე“ ორივე პრესაში დაბეჭდვებამარტივდნ და თანაც, უკვე ვკითხულობ და ვწერ კიდევაც, ასე რომ, მუშაობასაც შევუდგები. იმედია, თქვენ ორივეს მოგეწონებათ. გიგზავნი „მარზოჩოს“ ნომერს დიეგო ანჯელის სტატიით. „კრესის და კომპანის“ მენეჯერი მესაუბრა ჩემი რომანის ფრანგულად თარგმნის თაობაზე (ამ საუკუნეში დაბეჭდვის შესაძლებლობით) და გუშინ დოსტოევსკის ქალიშვილიც იყო აქ, ნაუკითხავს მისტერ ანჯელის სტატია და წიგნის წაკითხვა უნდა, მაგრამ ვშიშობ, თვითონ მოუწევს გადაბეჭდვა. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ წიგნს უშვებთ და შიგ ჩართული იქნება მაგ რომანზე დაწერილი ესეი. ალბათ დაგაინტერესებს იმის გაგება, რომ მას შემდეგ, რაც პირველი გამოცემა გაიყიდა და რვა ქვეყანაში იქნა განხილული, მბეჭდავებმა წერილი მისწერეს მწერალს მოთხოვნით, რომ ამოეღო იმ ნაწარმოებიდან პასაჟები ან სხვაგვარად გადაეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს იტყვოდნენ თვით ხელმეორედ გამოცემაზე. ის მწერალი ამბობს, რომ სჯერა, მის ვივიერი იპოვიდა ისეთ მბეჭდავს, ვინც ამ საქმეს მიხედავდა. ახლა ვასწორებ „განდევნილების“ საცდელ ანაბეჭდს. იეიტსმა მომწერა წერილი ამის შესახებ, მაგრამ, ეტყობა, დაავიწყდა, რაზეა ეს ნაწარმოები. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ამბობს, რომ მისი თეატრი განიცდის კრიზისს, რომ მისი ამჟამინდელი მსახიობები თვით მდარე კომედიასაც კი ვერ ითამაშებენ ახლა. იმ იმედით, რომ არალაცები შესაძლოა გამოსწორდეს კიდევ, მე კიდევ მივწერ [ამის] შესახებ საკმაო დაჟინებით. ასევე ვაპირებ მივწერო მისტ. მარტინს იმის მიუხედავად, რომ არ ვიცი მას. თუკი მათ მსახიობებს თამაში არ შეუძლიათ, ისინი უნდა მოამზადონ საამისოდ, აბა, სცენაზე სხვას რას აკეთებენ? კიდევ მივწერ მისტ. სტარჯ მორს, რომელსაც, როგორც თქვენ თქვით, მოსწონებია ის (პიესა), აგრეთვე, ისევ მივწერ მისტ. არჩერს, მისტ გრეინს, შეიძლება მისტ. შორტს, მისტ. ბარკერს და მისტ. სიმონსსაც. მოკლედ, როგორც ყოველთვის, მივწერ დიდძალ წერილს უამრავ ადამიანს.

მივიღე „ლითლ რევიუს“ ნომრები, თქვენი მხიარული და მხნე სტრიქონებით სავსე. თქვენი რეცენზიები უფრო ლაღი გახდა მას შემდეგ, რაც ევროპული გამომცემლობა გადმოიბარეთ.

იმედი მაქვს, მისი პაუნიტი და თქვენც საკმაოდ კარგად გრძნობთ თავს. ეს წერილი დაგვიანებულიცაა და არცთუ ვრცელი ან თუნდაც ამომწურავი, მაგრამ ზოგჯერ ისევე მეფანტება ყურადღება, როგორც ჩემს შედეგთა მკითხველებს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ბევრი რამის თქმა მაინცდებდა თქვენთვის. ეჭვი არ არის, რომ ეს რამეები გამახსენდება წერილის გაგზავნიდან ხუთი წუთის შემდეგ. მხოლოდ ამ დილას მივიღე მისი. ელიოტის ლექსები.

გაჭირვების უამს დახმარებისთვის მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა, რასაც გამოვხატავ უცვლელით ბოძიკით, და თანაც არ მყოფის ამისთვის ფურცელი. თქვენი დიდი მადლიერი

ჯეიმზ ჯოისი

პარიზტ მოუ ვიივარს
20 ივლისი 1919, უნივერსიტატსტრასე 29
ციურინი, შვეიცარია

ძვირფასო მის ვიივერ, დავყოფნე თქვენი წერილის პასუხი იმის გამო, რომ იმედი მქონდა ან ტელეგრამას მივიღებდი თქვენი ადვოკატისგან, ან წერილს, მაგრამ რადგან არცერთი არ მომსვლია, ხოლო მე დაბნეულ მდგომარეობაში ვიმყოფები, ახალა გწერთ. ალბათ უკვე აღმოაჩენდით, რომ ძალზე სულელი ვარ, ეს არის ფაქტი, რის გაუმჯობესებლობასაც ვამჯობინებდი. მე შეცდომაში შემიყვანა თქვენი ადვოკატის მიერ გამოგზავნილ წერილში არსებულიმა გარკვეულმა განცხადებებმა თუ მინიშნებებმა და ჩემივე არასწორმა ინტერპრეტაციამაც იმ მინიშნებისა, რომელიც შეცდომით ჩემი კეთილისმყოფელის სახელად მივიჩინე. რომ იცოდეთ, როგორ სრულ უმეცრებაში ვცხოვრობ იმ მიზეზით, რომ არაფერი ვიცი ლონდონში მიმდინარე მოვლენებსა და ადამიანებზე, ალბათ მაპატიებდით ამ სისულელეს. იშვიათად მაქვს შეხება გაზეთსა თუ წიგნთან და არც ვინმესთან ვანარმოებ მიმოწერას, თუ არ ვიგულისხმებთ ოფიციალურ წერილებს (რომლებიც ახლა უკვე იშვიათად მოდის) და პაუნდისგან გამოგზავნილ ბარათებს. ვერ ვხედავ საიმისო მიზეზს, თუ რატომ უნდა ამოვიღო თქვენს მიერ მითითებული ფრაზები, თუმცა ყველანაირი მიზეზი მაქვს, რომ გამოვიყენო საწინააღმდეგო ეპითეტებიც საკუთარი თავის მიმართ და ამას გავაკეთებ კიდევ.

ამ ბოლო დღეების ლოდინთან ერთად გამიჩნდა დაბნეულობის შეგრძნებაც, რადგან ახლა, როცა აგრევიგად კმაყოფილი ვარ იმის გაგებით, რომ სწორედ თქვენ მიწვევით და ახლაც მიწვევით ასეთ გულუხვ დახმარებას, მწერთ, თუ რაოდენ სუსტი და უხვსიტყვაობით გაბუნდოვანებული გეჩვენებათ ბოლოს გამოგზავნილი ეპიზოდი. თქვენი წერილის მიღების შემდეგ ეს თავი რამდენჯერმე გადავიკითხე. ხუთი თვე დამჭირდა ამის დასაწერად და ყოველთვის, როცა ამა თუ იმ ეპიზოდს ვამთავრებ, მეუფლება საშინელი აპათია, რომლის გამოც მეჩვენება, რომ ველარც მე და ველარც ის ბედკრული წიგნი ველარც ამოვყვინთავთ დღის სინათლეზე. მისტ. პაუნდმა საკმაოდ ნაქარვევი უარყოფითი აზრი მომწერა, მაგრამ მისი უკმაყოფილება ემყარება ალოგიურ საფუძველს და ძირითადად გამოწვეულია მისი შესანიშნავი და ენერგიული ცხოვრების მრავალფეროვანი ინტერესებიდან გამომდინარე. მისტ. ბროკმაც მომწერა და მევედრებოდა, ამეხსნა მისთვის სიგისის მეთოდი (ან მეთოდები), თუმცა ეს მეთოდები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ისინი საათობრივად იცვლებიან დღის განმავლობაში, ცვლილებას განიცდიან სხეულის ერთი ორგანოდან მეორეში გადასვლისას, ნანარმოების ერთი ეპიზოდისგან მეორეში განვითარებისას. და იმის მიუხედავად, რომ მომწონს მისი თავშეკავებული კრიტიკა, მაინც ვერ შევძელი მისთვის მეპასუხა. უნდა გთხოვოთ, რომ თქვენს მიერ ჩემდამი განუთქ სიკეთეს მიამატოთ რამენაირი ხანგრძლივი ტანჯვა. თუკი „სირინოზების“ ასეთი უკმაყოფილება გამოიწვიოს, იმისი იმედიც კი აღარ რჩება რომ კიკლოპების და შემდეგ კირკეს ეპიზოდი იქნება მოწონებული, მეტიც, არ შემიძლია

სწრაფად დაწერო ეს ეპიზოდები. საჭირო ელემენტები ერთმანეთს შეერწყმის მხოლოდ ხანგრძლივი თანაარსებობის შემდეგ. ვალიარებ, რომ წიგნი უკიდურესად დამლელია, მაგრამ ეს ერთადერთი წიგნია, რომლის წერაც ამჯერად შემიძლია.

ამ ბოლო ორ წელიწადს, როცა თქვენს საჩუქრებს ვიღებდი, არ მტოვებდა ცუდი წინათგრძნობა (ახლა აღმოჩნდა, ვცდებოდი), რომ ყოველი ეპიზოდი, რომელიც წიგნს სრულყოფილებას უზღვევდა, თანდათან მაკარგვინებდა იმ პიროვნების კეთილგანწყობას, ვინც მე მეხმარებოდა. ჩემი წინასწარი შეკითხვის პასუხად თქვენი ადვოკატის მიერ გადმოცემულ შეტყობინებაში არსებულ სიტყვას „გამალეული“ ჩემისთანა ცრუმორწმუნე გონებისთვის აქვს სპეციფიკური მნიშვნელობა — თვითონ ნანარმოების არა იმდენად თვისობრივი ან ღირებულების თვალსაზრისიდან გამომდინარე, არამედ იმ ფაქტის გამო, რომ წიგნის პროგრესირება შედარებულია ქვიშის ჭავლის სისწრაფესთან. როგორც კი რომელიმე პიროვნებაზე გავაკეთებ აქცენტს ან ჩავრთავ ნანარმოებში, მისივე ვიგებ მისი ან გარდაცვალების, ან გადახვევის ან უბედურების შესახებ. ხოლო ნებისმიერი ნარმატიული ეპიზოდი, რაც დაკავშირებულია ხელოვნების კულტურასთან (რიტორიკასთან, მუსიკასთან ან დიალექტიკასთან), უკან კვალად ტოვებს თავისი ეფექტის გადაბუჯულ არეალს. „სირინოზების“ დაწერის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ვერანაირ მუსიკას ველარც ვუსმენ.

მე შეეცადა თქვენს მიმართ მადლიერება გამოვხატა, მაგრამ ვერ ვახერხებ. რამდენადაც თქვენ ბრძანდებით ის პიროვნება, ვინც ჩემი წიგნი „ხელოვნის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ წარუდგინა და „გააცნო“ საზოგადოებას, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ჩემგან მიიღებთ მაგ წიგნის ხელნაწერს. ის ტრიესტშია და, როგორც კი ვითარება გამოსწორდება იქ, წამოვიღებ და გადმოგიგზავნი.

თქვენ გამიჩინეთ ყველაზე უფრო გულუხვი და დროული დახმარება. ნეტავ მართლა ვიყო ღირსი მაგ სიკეთისა ან როგორც პოეტი, ანდა როგორც ადამიანი. ერთადერთი, რაც შემიძლია, მადლობის თქმაა. ძალზე გულწრფელია თქვენი

ჯეიმზ ჯოისი

პარიზტ მოუ ვიივარს
6 აგვისტო 1919, უნივერსიტატსტრასე 29
ციურინი, შვეიცარია

ძვირფასო მის ვიივერ, კიდევ ერთხელ უნდა გადაგიხადოთ მადლობა თქვენი საჩუქრისთვის, & 100-თვის, რაც გამოგიგზავნეს თქვენმა ადვოკატებმა გადანყვებილების მიღების დასრულების მოლოდინისა და თქვენი ნანატრი წერილის მიღების შემდეგ. უსაზღვრო შებვა ვიგრძენი ამ ყველაფრით. შეიძლება აღარც კი უნდა ვთქვა რამე „სირინოზების“ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ის პასაჟები, რაზედაც თქვენ მიმითითებთ, რეჩიტატივად არ მქონია ჩაფიქრებული. მაგ ეპიზოდში მხოლოდ ერთი ნიმუშია რეჩიტატივისა, 12-ე გვერდზე, სიმღერის ნანამძღვრად. მანდ სახეზეა fuga per canonem-ის რვავე დამახასიათებელი ნაწილი. მე არ ვიცი, სხვაგვარად როგორღა უნდა გადმომეცა ის მაცდუნებელი მუსიკა, რასაც უღიოს მოჰყვება. მე მესმის, რატომ განიხილავთ ამათიმ ეპიზოდის სტილის ასეთი შეშფოთებით და ამჯობინებთ მხატვრულად გადმოცემის თავდაპირველ მანერას, როცა მწირი დაეხეტებოდა და ენატრებოდა ითაკის კლდე. მაგრამ მთელი ამდენი ხეტიალის მოქცევა ერთ დღეში და იმ ერთი დღის ფორმით შემოსვა მხოლოდ ასეთი ვარიანტთა შექმნილი და, გთხოვთ დამიჯეროთ, რომ ამას სიჯიუტის გამო არ ვაკეთებ.

იმის დასადასტურებლად, რაც ბოლო წერილში მოგწერეთ, ამ ბარათს თან ვურთავ დუბლინის ახლახან მიღებული გაზეთიდან ამოჭრილ ცნობას, სადაც იუნყებიან ამ ეპიზოდის ერთ-ერთ პერსონაჟად გამოყენებული რეალური პიროვნების გარდაცვალებას.

ალბათ დავაინტერესებთ იმის გაგებაც, რომ ჩემი პიესა „განდევნილები“ ხვალ სალამოს პირველად გავა მიუნხენის თეატრში — Muenchner Schauspielhaus. ბევრი ტელეგრამა მივიღე, სადაც მეპატიჟებოდნენ დასასწრებად, მაგრამ მე არ ვიქნები იქ სპექტაკლის სანახავად. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მახსოვს, იმ პიესის პუბლიკაციის შემდეგ, ჩემდა გასაოცრად, თქვენგან მიღებული საქებარი გამოხმაურება. გივზავნით მისი თარგმანის ასლს, რომელიც გამოქვეყნდა აქ, ციურინში, რამდენიმე თვის წინათ და მგონია, სურვილი გექნებათ, გქონდეთ ერთი ეგზემპლარი.

თქვენს მიერ წინა წერილში წამოჭრილი საკითხები წნეხის

ქვეშ არ მაქცევს, მაგრამ იმასთან ერთად, რომ დიდ მადლობას ვუხდით მის მარსდენს მისი კეთილგანწყობისთვის, მიჩვენებ, ჩემი წიგნის ფასი იყოს 3/-, რაც, მგონია, რომ მის ღირებულებას შეესაბამება.

უღრმესი მადლობა თქვენი გულუხვობისთვის ჩემდამი და იმ დიდი ინტერესისთვის, რასაც ჩემი შემოქმედების მიმართ იჩენთ. მოგიკითხავთ უდიდესი მადლიერებით, გულწრფელად თქვენი **ჯეიმზ ჯოისი**

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ჯიჯიუვილია

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

კოეტიპი — საუკეთესო დეკლამატორები

პოეტები თვითონვე კითხულობენ საუკეთესოდ საკუთარ ლექსებს.

მსახიობი, როგორი ხელოვანიც უნდა იყოს დეკლამაციისა, მათ ვერ შეედრება.

ყველაზე გამორჩეულნი მათ შორის შესაძლოა როგორღაც მიუახლოვდნენ და... ეს იქნება მათი ყველაზე დიდი წარმატება, უფრო მეტი არც უნდა იფიქრონ და არც უნდა მოინდომონ.

და თურმე პოეტები საუკეთესოდ კითხულობენ სხვათა ლექსებსაც.

ეს ზოგადი თვალსაზრისი დამიდასტურებოდა კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის მიერ თარგმნილი ბრიტანელი პრერაფაელიტების პოეტური კრებული — „ყვავილების წიგნი“ — წარდგინებისას კაფე „პურპური“, 2013 წლის 31 ოქტომბერს.

ქეთი ნიჟარაძესა და სალომე სულაბერიძეს აქამდე ვიცნობდი როგორც პოეტებს, ნაცრისფერი ნაკადიდან აშკარად გამორჩეულთ, სულ უფრო წარმატებით რომ იმკვიდრებენ თავს სამწერლო ცხოვრებაში ორიგინალური ლირიკული ხილვებითა და საგულისხმო სტილური ძიებებით.

ახლა კი მოინდომებდნენ არამარტო მონაწილენი ყოფილიყვნენ დიდებული ინგლისელი პოეტებისათვის სწორედაც შესაფერისი წიგნის წარმოჩენისა, არამედ შეექმნათ მისი თეატრალური ფონიც, თითქოს პრერაფაელიტთა ნახატებიდან (ეს პოეტები ხომ არანაკლები რანგის მხატვრებიც გახლდნენ!) არიან გადმოსულნი: გარეგნული სამოსითაც და დეკლამაციის უნარითაც.

აი, რას ნიშნავს, როდესაც სრულყოფილად გაგი თავისებობა ორიგინალის თავისებურებაც და თარგმანის პოეტური მადლიც, არცერთ ნიჟანს რომ არა ჰკარგავ და ისე მოგაქვს აუდიტორიამდე, თითქოს იმ შორეულ სიმებზე შეახებინებდე ხელს, ამ პოეზიის სილამაზესა და იდუმალებას რომ ქმნის.

ცხადია, მათი დეკლამაციური ხელოვნება ასეთი შთამბეჭდავი ვერ იქნებოდა, კონსტანტინე გამსახურდიას რომ ვერ მოეძებნა ის გასაღები, ყველაზე უკეთ რომ მოერგო პრერაფაელიტური პოეტური ნაკადის გადაშხნელ კარიბჭეს. და ეს სულაც არაა შემთხვევითი, რადგანაც ამ ძალას მიანიჭებდა ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი, მამისაგან რომ გადმოსცემოდა — ზვიად გამსახურდია აკი ძალიან გატაცებულიყო პრერაფაელიტთა პოეზიით, უილიამ მორისის ცალკე ესეისაც უძღვნიდა და ოსკარ უაილდის ლიტერატურულ ზღაპრებსაც ალბათ იმიტომაც აამეტყველებდა ქართულად, რომ უაილდი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებდა პრერაფაელიტთა ესთეტიკასთან.

თუმცა ეს ყოველივე ცალკეა გასააზრებელიც და ჯეროვნად შესაფასებელიც: მამისეული წამოწყების სრულფასოვანი გაგრძელება.



ნიკა მაჭუტაძე, ქეთი ნიჟარაძე, სალომე სულაბერიძე, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი

აქ მხოლოდ ის ითქვას, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსიც ჩინებული დეკლამატორია.

და თურმე ნიკა მაჭუტაძეც, იმ სალამოს წამყვანი და საერთოდ კი მაძიებელი სულის ახალგაზრდა კაცი, ვინც დაბეჯითებით დაგვიზუსტებდა და დაგვიდგენდა, რომ 1841 წლის გურიის აჯანყება არა ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო სოციალური ამბოხი და მას უმთავრესად ეროვნული სულისკვეთება განსაზღვრავდა — ბოლოსდაბოლოს მის სათავეში იდგა დავით მაჭუტაძე, გურიის სამთავროს უკანასკნელი სახლთუხუცესი, ვინც ისტორიიდან ნიკა მაჭუტაძის სადებიუტო წიგნის ფურცლებზე გადმოინაცვლებდა და მთელი თავისი ღირსებითაც დაუბრუნდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

აქ კი, სალამოზე ისეთი ოსტატობით ნაიკითხავდა უფროსი მეგობრის თარგმანს, შეუძლებელია არ გეფიქრა: ესეც მსახიობი ყოფილა თურმეო...

ისე ნეტა ჩვენი მსახიობებიც — ორიოდ ოსტატის გარდა — ასე გულშიჩამწვდომად გვაცნობდნენ სცენიდან პოეზიის უჩვეულო მადლსა და სილამაზეს... თუმცა რა — პოეტებს ამ მხრივაც თავიანთი მოვალეობა დაჰკისრებიათ და დაე მხოლოდ საკუთარ ლექსებში ნუ გამოიკეტებიან, შეარჩიონ ხოლმე მათთვის ყველაზე შესაფერისი ნიმუშები ორიგინალური თუ თარგმნილი ლირიკიდან და ისევე გაგვხადონ თეატრალური გარემოს მონაწილენი, როგორც ქეთი ნიჟარაძემ და სალომე სულაბერიძემ იმ დღეს, იმ პოეტური კრებულის წარდგინებისას.

...ან გამიხსენე თუ გინდა, ან დამივიწყე სულმთლადო, — თავისას ივედრებოდა ქრისტიან-გეორგინა როსეტი იმ ლექს-სიმღერისას, „ყვავილების წიგნის“ მშვენებად რომ ცქეულა, თუმცა აკი — ეს ყოველივე ცალკეა გასააზრებელიც და ჯეროვნადაც შესაფასებელიცო...

ათვის ნერტილად: 1984 წელი

გილბერტ კით ჩესტერტონის ორი რომანის — „დონ კიხოტის დაბრუნება“ და „გადამფრენი დუქანი“ — ცალკე წიგნად გამოცემა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და სამართლიანად ევაყება „ელფის“ გამომცემლობას, რომელსაც თავისთავად საგულისხმო სერიაც წამოუწყია „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სახით... თუმცა ძნელი გასაზიარებელია ანოტაციაში გამოთქმული აზრი, თითქოს XX საუკუნის ეს მართლაც ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი მწერალი სრულიად უცნობი იყოს ქართველი მკითხველისათვის.

და ვერც მისი „უცნობობის“ ასეთი ახსნას ვირწმუნებთ:

— ეს არცაა გასაკვირი, რადგან მისი სოციალურ-პოლიტიკური ნაწარმოებები აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია კომუნისტურ იდეოლოგიასთან და ბუნებრივია, ჩვენს უახლოეს წარსულში მას არავინ თარგმნიდა.

თუკი ასეა — და მართლაც ასეა — რომ კომუნისტურ იდეოლოგიას არ დაენახებოდა ეს დიდებული მწერალი, მაშ მითუფრო დასაფასებელი ყოფილა ის ცდები, რაც საბჭოთა ხანაში განხორციელდა პაატა ჩხეიძისა და თქვენი მონა-მორჩილის მიერ.

ორი ესეი — „ცხოვრებისეულობა დიკენსისა“ და „მეცნიერება და ველურები“ — არამარტო ვთარგმნეთ, არამედ სხვადასხვა დროს გამოვაქვეყნეთ კიდევ: „ლიტერატურული საქართველოს“ 1984 წლის 10 თებერვლისა და 1985 წლის 13 დეკემბრის ნომრებში. და ეს ამ გაზეთის რედაქტორის — ვახტანგ ჭელიძის — თავგამოდების წყალობით.

სხვათა შორის, ორივე ესეი — და მათთან ერთად ჩესტერტონზე დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევიც — განმეორდებოდა 1989 წელს გამოცემულ დიდტანიან კრებულში „ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ესეები“.

თურმე ჯერ კიდევ როდღაც აღარ ყოფილა გილბერტ კით ჩესტერტონი უცნობი ქართველი მკითხველისათვის!..

მასზე ცოდნა შეივსებოდა ახალ ასწლეულშიც, როდესაც „ჩვენი მწერლობა“ თანდათანობით გამოაქვეყნებდა სამ დეტექტიურ ნოველას მამა ბრაუნის ციკლიდან.

ერთს — „მამა ბრაუნის ჯადოსნური ზღაპარი“ — კვლავ პაატა ჩხეიძისა და ჩემს მიერ ამეტიყველებულს ქართულად 2007 წლის 23 ნოემბრის ნომერში.

ორს კი — „ჯონ ბულნუას უცნაური დანაშაული“ და „უფლის ჩაქუჩი“ — ახალი მთარგმნელი გამოუჩნდებოდა: ლალი ჩხეიძე, ვინც თავისი დებიუტისათვის (და წარმატებული დებიუტისათვის!) სწორედ ჩესტერტონს აირჩევდა და ქართველ მკითხველსაც შესთავაზებდა 2010 წლის 8 იანვრისა და 26 ნოემბრის ნომრებიდან.

ნულა მოვცდებით ბანალური ჭეშმარიტების გასამეორებლად, რომ ყოველი მოსაზრების გამოთქმამდე აუცილებელია მისი შემოწმება თუ დაზუსტება; და რომ — რაც ჩვენთვის უცნობია, საერთოდაც უცნობია ყველასთვის. ქართველი მკითხველის მეხსიერებას ჰაიპარად ნუ მოვეპყრობით, თორემ შესაძლოა ისევე აღმოვჩნდეთ უხერხულ მდგომარეობაში, როგორც არაერთი ჩავარდნილა, ამჯერად კი „ელფის“ გამომცემლობაც ვერ ასცდა...

მათ მიერ გამოცემული წიგნის თანადროულად რომ მზადდებოდა გამომცემლობა „დიოგენეში“ ჩესტერტონის მამა ბრაუნის ციკლი ცალკე წიგნად (ზაზა ჭილაძის თარგმანი, როგორც მოსალოდნელია, ამჯერადაც შესანიშნავია და ამ ნოველების სული მოაქვს ჩვენს მკითხველამდე), შესაძლოა ეს არ სცოდნოდათ, მაგრამ ამდენი საგაზეთო და საყურნალო პუბლიკაციიდან ნეტა ერთს მაინც როგორ ვერ მოჰკრეს თვალი.

ასეა თუ ისე, ათვლის ნერტილი ჩესტერტონის გაქართველების გზაზე 2013 წელი კი არ არის, არამედ — 1984... თქვენი ნებართვით კიდევ გავიმეორებ: 1984.

თუმცა... არც ის გამიკვირდება, რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ რომ მოჰკიდოს ვინმემ ხელი მისი ამა თუ იმ თხზულების გადმოღებას და ზარზიმით ამცნოს საზოგადოებას: ეს უდიდესი მწერალი აქამდე სრულიად უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც გილბერტ კით ჩესტერტონის სოციალურ-პოლიტიკური ნაწარმოებები აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია კომუნისტურ იდეოლოგიასთან და, ბუნებრივია, ჩვენს უახლოეს წარსულში მას არავინ თარგმნიდა.



გილბერტ კით ჩესტერტონი

ჩვენი დროის პოეტური საგალობლები

მაკა ჯოხაძემ მოულოდნელი მიგნებებით რომ უნდა გაგვინათოს ხოლმე თითქოსდა კარგად ნაცნობი და შერჩეული საგანი თუ მოვლენა და მის არსში ჩაგვახედოს, იმ სულს გვაზიაროს, რასაც განცდით ალბათ ჩვენც განვიცდიდით, მაგრამ სახელი ვერ დაგვერქმია და ამით რალაც მნიშვნელოვანი აკლდებოდა ჩვენს აღქმასა თუ შთაბეჭდილებას.

და აი „ჩვენი მწერლობის“ 2013 წლის 24-ე ნომრიდან უნდა გაემჟღავნებინა კიდევ ერთი დაფარული და... მერაბ კოსტავას ლექსები საგალობლებად მოეხსენიებინა ესეიში, რომელსაც უთქვამს სხვა რა სათაური დამვენდებოდა, თუ არა ეს — „ღვთისმშობლის ღიმილი“.

ეს ღიმილი ხსოვნაში აღგვებქდვოდა ხატებიდანაც, ფრესკებიდანაც, ჩვენი პოეტური საგანძურიდანაც — ჯერ მარტო აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის ლირიკულ წარმოსახვებში რარიგი შარავანდით ბრწყინავს ღვთისმშობლის მიტევებლური და სიხარულიანი განცდით გაპობილი ბაგე — და თურმე ამ ლექსებიდანაც იეღვებდა ხოლმე, მზერა შესაფერისად რომ ვერ მიგვედევნებინა.

აგერ თუ არა!..

მერაბის ლექსთა უმეტესობა პირდაპირ ფსალმუნებად, საგალობლებად იკითხებაო, — მაკა ჯოხაძე რომ შეგვაგონებს, და შეგვაგონებს მისებური ექსპრესიითა და დახვეწილი მომხიბვლელობით — და მოადევნებს: ლოცვის სიმშვიდე, ამ სიმშვიდით მოგვრილი ძალა და ენერჯია გადმოდის მკითხველში და ყოველივე ამის თანაზიარი ხდებო, — შეუძლია მეტადაც განაზოგადოს ეს დაკვირვება, რაკილა ხელისგულზე უძევს მეოცე ასწლეულის პოეტური მონაპოვარი.

— XX საუკუნის პოეტთა შორის ასეთი ვნებიანი დამაჯერებლობითა და ძლევამოსილებით არავის გადმოუცია ლოცვის არსი, ის, თუ რაში მდგომარეობს ლოცვის ძალა.

და თვალსაჩინოებისათვის ამ სტრიქონებს რომ დაიმონებეს:

**ჭეშმარიტების მიჯნურთა მნდო,
ბეჭთა დახშულთა ლოცვაჲ ფარულო,
მარადი მამის მარადო ძეო,
რწმენავ, იმედო და სიყვარულო.**

კიდევ გულს აკლია და თავისებურ აკორდად ამ სიტყვებსაც დასქენს:

— ასე მგონია, არავის ასეთი სიმძაფრით არ განუცდია უცნობი წმინდა მამის ღრმა დაკვირვება — „რა ლოცვა მიაკლდეს სულს, შეძრწუნებული ვიდოდეს იგი“, როგორც მერაბ კოსტავას და ალბათ ამიტომაცაა მთელი მისი პოეზია ლოცვის სისავსით გაჯერებული.

როგორ გადაეხსნა გრიგოლ რობაქიძეს ქართული ცეკვის არსი ფორმისა და შინაარსის საოცრად რაფინირებული, ესთეტიკური დანყვილებით ესეიმი „ქართული გენია როკით განფენილი“?

და აგერ გვიმტკიცებენ და გვიდასტურებენ, რომ: ასევე გადაუხსნია საგალობლის არსი (ქართული გენიის კიდევ ერთი გამონათება) მერაბ კოსტავას ლოგოსით, სიტყვით.

— მერაბის ლექსის თვისებაა ილუზია, რომ მასში არაფერია დაშიფრული, ყველაფერი გამჭვირვალე და ცხადია. არადა, კითხვის პროცესშივე ვერ იცილებ იდუმალის, საკრალურისა თუ მისტიკურობის შეგრძნებას.

სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა. მერაბ კოსტავას ხომ სრულყოფილად ჰქონდა განცდილი გოლგოთის მისტერია, სამყაროს ევოლუციის ეს ყველაზე დრამატული მომენტი, ოდეს ღმერთი კაცად გადაიქცა. განცდილი — გულითაც და გონებითაც, და ამიტომაცაა, რომ არამარტო ალლოთი წვდება ამ იდუმალებას, არამედ სიტყვიერ ფორმულებადაც გარდასახავს და ის ფარული ქროლვა მოაქვს ჩვენამდეც, რომ: მარტვილობა ჯვარცმისა სხვა არა არის რა, თუ არა კაცის მარტვილობა, რადგანაც ღმერთმა მამინ უარი განაცხადა თავის ღმერთობაზე და მთლიანად კაცებრივის ნიაღს მისცა თავი.

რატომ? მაინც რატომ?

— რამეთუ ბოლომდე შეიყვარა კაცნი.

და რაკილა კაცური გახლდათ მარტვილობა ქრისტესი, ამიტომ გოლგოთის მისტერიას მხოლოდ მამინ შევიგრძნობდით სწორად, თუკი ყოველი ადამიანის სამართლიან ტანჯვას დედამიწაზე ამ მისტერიის დონეზე განვიცდიდით.

— ამით ჩვენ თავად ქრისტეს მივბაძავთ, რადგან ჩვენც შევეცდებით ისე განვიცადოთ მოყვასნი, როგორც ქრისტემ კაცნი განიცადა. ეს კი ნიშნავს გოლგოთის მისტერიის რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებას.

გოლგოთის მისტერიის ხორცშესხმის აუცილებლობა ყოველდღიურ ყოფაში თავისთავად ახალი შეხედულება სულაც არ არის, მაგრამ მთავარი და საგულისხმო ისაა, რომ მერაბ კოსტავას საკუთარ სულიერ ქურაში გამოუტარებია ეს სიბრძნე, მინდისავეთ ზიარებია მას და ჭეშმარიტება მისი ბაგიდან ამიტომაც მოედინება ასეთი ცხოველმყოფელობით.

როგორ ესმოდა თვითონ გალობის არსი?

ხმად ანგელოსთადმი შემსგავსებულად?

და ამიტომაც გვირჩევდა, რომ დემეტრე მეფის იამბიკო „შენ ხარ ვენახი“ ფერწერაში წარმოგვედგინა და თვალდათვალ გვეხილა... აღმდგარი ქრისტეს საფლავიდან ყინვისის ანგელოსის გონებისწამლები ხატება.

სიმღერითაც დიდებულად მღეროდა მერაბ კოსტავა „შენ ხარ ვენახსაც“ და სხვა სასულიერო ჰიმნებსაც და ეამყებოდა, რომ იშვიათად შეხვდებოდა კაცი ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ისეთ მრავალფეროვნებას სიმღერებისას, როგორც საქართველოში, კილოთა ერთიანი, მტკიცე ბალავერის მიუხედავად თვითული კუთხის სიმღერა თავისი ხასიათითა და სტრუქტურით მკვეთრად რომ განსხვავდება ურთიერთისაგან.

— ასეთი სახესხვაობა თვით ევროპის ცალკეული ქვეყნების სიმღერებს შორისაც კი არ მოიპოვება.

როგორც პროფესიონალ მუსიკისმცოდნეს, სრული დაბეჯითებით შეეძლო გამოეთქვა ამგვარი თვალსაზრისი და — რომ დასცლოდა — ყველასათვის გასაზიარებლადაც დაესაბუთებინა.

მთელი მისი პოეზია ლოცვის სისავსითაა გაჯერებული...

და ცალკე სამყაროდ რომ გამოჰყოფს მაკა ჯოხაძე მერაბ კოსტავას აპოკალიფსურ ლექსებს, მისეულ მონატრებას იმ დროისა, ოდეს მოყვასს უყვარდა მოყვასი, რა გასაკვირია, რომ უოლტ უიტმენის სტრიქონებიც წამოაგონდეს: როცა

ვხედავ, როგორ უყვარს ქალაქს ქალაქი, როცა ვხედავ, რომ ქვეყანას უყვარს ქვეყანაო.

როდესაც მერაბ კოსტავას ლექსებს ზვიად გამსახურდია შეადგენდა და გამოსცემდა 1990 წელს, შესავლად წამძღვარებულ ესეის („ძე ქარიშხლისა“) უფრო პოლიტიკურ მიზანდასახულებას დააკისრებდა, და არც შემდგომ ელირსებოდა ამ პოეზიას უკეთესი შეფასება, გარდა ემოციური დამოკიდებულებისა, ბოლოსდაბოლოს „ღვთისმშობლის ღიმლით“ რომ უნდა განხილვიო მისი თავისებურებაც და მადლმოსილებაც, ესეის ფინალი მისტიკური საბურველით რომ შეიბურებოდა, თუმც მის ფარულ გამჭვირვალეობაში ანგელოსსაც დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი, გალაკტიონური განცდისა არ იყოს.

მაკა ჯოხაძე კი მოგვაგონებს, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს ღვთისმშობლის ღიმლი ორჯერ აღიბეჭდებოდა თბილისის ცაზე, მამადავითის შემოგარენში.

პირველად, როდესაც მერაბის ნემტს მიიბარებდა წმინდა მთა და მეორედ, როდესაც სიჩუმის მისტერიაში ქრისტესმიერი ძმის, ზვიად გამსახურდიას ნაწამები სხეული დაიკრძალე-ბოდა მის გვერდით.

მჯერა და მეოცნებებო, — მხოლოდ ასეთი ექსტაზური ფინალი თუ დაშვენდებოდა აზრისა და სინატიფის ამ ჰარმონიულ შერწყმას, — ამიერიდან ყოველ გაზაფხულზე, ვარდობისთვის, მანოსობისა მთაწმინდისაკენ მიმავალ პატარებსა თუ შეყვარებულ გოგო-ბიჭებს ყელზე ნითელბაფთაშებმული უცოდველი ბატკანივით წინ წარუძღვება მერაბის ლექსის სტრიქონებიო:

**კაქმანი გადამიგდე, დარდი განუკურნელი,
დამიძვიდრე სულში ქრისტე და აღდგომის სურნელი,
ნუში, მთები და ველები, შუქთა ფენა მთიების,
თეთრი, თეთრი ყვავილები, თეთრი ეკლესიები.**

მთელი მისი პოეზია ლოცვის სისავსითაა გაჯერებული...

რასაც აქამდე ვგრძნობდით, ახლა სახელდებითაც მოგვეხსენება და გზამკვლევიც ასერიგად სანდო მოგვიპოვებია.

და თუ რაიმე გაგვახსენდება ამ ნუთებში, უსათუოდ ისიც, გრძნობით რომ ვგრძნობთ ზვიად გამსახურდიას პოეზიის თავისებურებასაც და მადლსაც, მაგრამ ჯერჯერობით კი შესაფერისი სახელი ვერ დაგვირქმევია, დაზუსტებით ვერ განგვი-საზღვრავს მისი ყველაზე ნიშანდობლივი თვისებები და არსი. და ეგებ ისევე მაკა ჯოხაძეს ვთხოვოთ ამ თავისებურებათა წარმორჩენა და მისებური ექსპრესიულობით მონოდებაც.

ბარემ მანვე შეჰკრას ღვთისმშობლის ორი ღიმლი თბილისის ცაზე, მამადავითის შემოგარენში...



მხატვარი იანა ზაალიშვილი

ირმა რატიანი

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა და ქართული ლიტერატურული პროცესი*

ლიტერატურა წარმოადგენს კონცეპტუალურ რეფლექსიას რეალურად მიმდინარე პროცესებზე; კონტექსტი, რომლის წინააღმდეგობა მხატვრული ტექსტი, ყოველთვის პოულობს ასახვას ამავე ტექსტის აზრობრივ თუ გამომსახველობით შრეებში. თუკი გავითვალისწინებთ ლიტერატურის თანდაყოლილ სწრაფვას ინტელექტუალური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, ცხადად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, იქმნება მხატვრულ ტექსტსა და რეალურ კონტექსტს შორის. ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნაა, კლიშეების ფორმირება და დანერგვა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირებულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი, ის საერთო სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში. დაპირისპირებამ ტოტალიტარულ რეჟიმსა და მხატვრულ-ლიტერატურულ აზროვნებას შორის მტკივნეული გამოცდილების ათეული წლები მიითვალა და ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი შექმნა. ამგვარ ვითარებაში, ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის თვალსაზრისით, ცხადია, მნიშვნელობს ტექსტის არამარტო კონცეპტუალური ან მოტივაციური მოდელების შეფასება, არამედ — ინტელექტუალურ ტერორზე ლიტერატურული პროცესის რეაქციის გამოვლენა, იმ სტრუქტურული მოდელების სისტემატიზება, რომლებსაც გვთავაზობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურული მასალა.

ათეული წლების მანძილზე საბჭოთა კავშირი ისტორიული და კულტურული ეკლექტიზმის სიმბოლოს წარმოადგენდა, თუმცა შეუთავსებლობანი წარმატებით ინიღბებოდა ჰიპერტროფირებული სახელისუფლებო მანქანის გამართული მუშაობითა და ხელისუფლების ცენტრალიზების პრინციპით: რაც ჭირდება ერთს, საჭიროა ყველასათვის, რაც წესია ერთისათვის, წესია ყველასათვის, როგორც ცხოვრობს ერთი, ისე უნდა ცხოვრობდეს ყველა — გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა ცენტრი; ეროვნება, ისტორია, ტრადიცია, აზროვნება, მისწრაფება მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია მასშტაბური ნითელი საბჭოთა მარკერის ფონზე. ამ სისტემის შემადგენელ ნაწილად საქართველო 1921 წლიდან იქცა.

ბოლშევიკურმა რევოლუციამ, რომელიც 1917 წელს მოხდა რუსეთში, საქართველომდე 1921 წელს მოაღწია და წერტილი დაუსვა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიან არსებობას (1918-1921 წ.წ.). საქართველო იძულებული



ბით იქნა გაერთიანებული საბჭოთა კავშირში — საერთო-კომუნისტური აჯანყების პოლიტიკურ ნაყოფში. პოლიტიკური ტერორის, სისხლის, სიკვდილისა და მსხვერპლის გზით, ქვეყანა ჩათრეულ იქნა „ახალი სოციალური წყობილების შემქნისა“ და ადამიანების „გადაკეთების“ პროცესში, რომელიც სრულად ემთხვეოდა ბოლშევიკური დიქტატურის იდეოლოგიურ კურსს. არადა, მარქსიზმის იდეოლოგიისა და პროლეტარიატის ინტერესთა დამცველების ჩანაფიქრი სულ სხვა მომავალს პირდებოდა „ბურჟუაზიის ბორკილებისაგან გათავისუფლებულ“ ხალხებს: კითხვაზე — „როგორი იქნება ამ რევოლუციის [პროლეტარულს] მსვლელობა?“, ენგელსი პასუხობდა: „უწინარეს ყოვლისა იგი შექმნის დემოკრატიულ წყობილებას და მით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას“ (ენგელსი, კომუნისტების პრინციპები, 1972, გვ. 17). იქვე: „დემოკრატია სრულიად უსარგებლო იქნებოდა პროლეტარიატისათვის, თუ მას იგი დაუყოვნებლივ არ გამოიყენებდა როგორც საშუალებას იმ ფართო ღონისძიებათა გასატარებლად, რომელნიც წარმოადგენენ უშუალო იერიშებს კერძო საკუთრებაზე და უზრუნველყოფენ პროლეტარიატის არსებობას“ (იქვე). დემოკრატის ამ უცნაურ მოდელს, განსაზღვრულს ძალადობის თითქმის აუცილებელი წინაპირობით, ნიკოლაი ბერდიაევი „ავტორიტარული ანუ კომუნისტური დემოკრატია“ უწოდა და დემოკრატის ყველაზე წარუმატებელ მოდელად მიიჩნია: „მასებისა და უპიროვნო სიმრავლეთა მბრძანებლობა, რომელიც ხან ბურჟუაზიული დემოკრატისა და ფულის დიქტატურის — ყოველთვის ფარული და შენიღბული დიქტატურის, ხან კი ავტორიტარული სახელმწიფოებისა და ბელადების ამკარა დიქტატურის სახეს იღებს, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს კულტურის შემოქმედთა ფენას, კულტურულ ელიტას. ეს კულტურული ელიტა სასიკვდილო აგონიას განიცდის, მისი მორალური და მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. ლიბერალურ დემოკრატიაში ის კაპიტალისა და ბრბოს ვულგარულ გემოვნებაზეა დამოკიდებული, ავტორიტარულ, ანუ კომუნისტურ დემოკრატიაში კი

* სტატია წარმოადგენს მესამე ნაწილს ავტორის ვრცელი ნარკვევისა — „ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. წინარე სტატიები დაბეჭდილი იყო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ შესაბამის ნომრებში: „ჩვენი მწერლობა“, №24, 2011; „ჩვენი მწერლობა“, №23, 2012 (ბროშურა).

— სულის დამთრგუნველ მსოფლმხედველობრივ დიქტატურაზე, სულის ორგანიზების პრეტენზიას რომ აცხადებს” (ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, 2001, გვ. 91). ე.ნ. კომუნისტური დემოკრატიის მთავარი პრობლემა ბერდიაევი „სოციალური დაკვეთის სისტემაში” დაინახა: „არ არსებობს დაკვეთა, უმაღლესი ხარისხის კულტურას, სულიერ კულტურას, ნამდვილ ფილოსოფიასა და ნამდვილ ხელოვნებას რომ მოითხოვდეს” (იქვე, გვ. 91-92).

პროლეტარულმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც დამყარდა პოლიტიკურად ერთპარტიული, ხოლო სოციალურად უნიფიცირებული (ფურცელზე მაინც) წეს-წყობილება, ე.ნ. კომუნისტური დემოკრატია, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს შეუზღუდა თავისუფალი არჩევანის უფლება, რამაც საავალალო დალი დაასვა კომუნისტური ქვეყნების კულტურულ ისტორიას. დეგრადაცია განიცადა კულტურის მთლიანობის იდეამ: კულტურის დაქვემდებარება მასების გემოვნებისა და მოთხოვნილებისადმი ზოგადკულტურული პროცესის დაკნინების მიზეზად იქცა — წარმოიქმნა კულტურის ორი მოდელი: ერთი მხრივ, მასების გემოვნებასთან გათანაბრებული კულტურა, რომელმაც გადაიჩინა თავი, მაგრამ დაკარგა ღირსება და მასთან ერთად — ღირებულება, მეორე მხრივ — ელიტარული კულტურა, რომელმაც „მაღალი კულტურის” კვარცხლბეკზე დგომა ირჩია, თუმცაღა, საბოლოოდ ჩაიკეტა საკუთარ თავში და, როგორც ხალხისათვის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) უსარგებლო კულტურამ, ღრმად კრიზისულ ფაზაში შეაბიჯა. შექმნილ ვითარებაში, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთათვის სირთულეს აღარ წარმოადგენდა „ჩვენიანისა” და „მტრის” დიფერენციაცია კულტურის სფეროში, მეტიც: ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო აღეზევიბინა მორჩილები, დაესაჯა ურჩები ანაც მოესყიდა ისინი ყველა შესაძლო საშუალებით — დაპირებით, მუქარით, შიშით, მატერიალური წახალისებით: მარგინალები ხომ მუდმივად განიცდიან სოციალური და მატერიალური გარანტიების დეფიციტს... ასეთ დროს ყველაზე მეტად სინდისი ზარალდება: „მსოფლმხედველობრივი დიქტატურა ადამბლავებს სინდისს და მხოლოდ თავისუფალი სინდისის გამორულ შემართებას თუ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს” (ბერდიაევი, იქვე, გვ. 95).

ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ, პირველი და ყველაზე მწვავე ათწლეულის ზემოქმედება ქართულ (და არამართო ქართულ), კულტურულ-ლიტერატურულ პროცესზე მტკივნეული აღმოჩნდა: „მამაცი” ბოლშევიკი-რევოლუციონერები მალევე ჩამოყალიბდნენ ცინიკოსებად და ფანტიკოსებად. იდეალური საზოგადოების აშენების აგრესიული სურვილი ერთგვარ სახელისუფლებო იდეოლოგიად გარდაიქმნა, ირაციონალურ სტრუქტურად, რომელიც საკუთარი ნებით ითავსებდა დემიურეტულ ანუ აღმშენებლურ ფუნქციას, რაც გულისხმობდა ახალი საზოგადოებრივი მოდელის „შექმნას” და ადამიანების „გადაკეთებას” შესაბამის ყაიდაზე. მაგრამ „შექმნისა” და „გადაკეთების”, აგებული ძალადობასა და ტერორზე, თანდათანობით გადაიზარდა ქაოსსა და უბედურებაში და, საბოლოოდ, ორგანიზებული ბოროტების სახე მიიღო.¹ ს. ლ. ფრენკი აღნიშნავს: „უტოპიურ მოძრაობებს ყოველთვის იწყებენ თავდადებული ადამიანები, ანთებულნი ხალხისადმი ისყვარულით, რომლებიც მზად არიან თავიანთი სიცოცხლე გასწირონ მოყვასისათვის; ასეთი ადამიანები არა მარტო ჰგვანან წმინდანებს, არამედ, რაღაც თვალსაზრისით, ნაზიარებნი არიან კიდევაც სინმინდესთან. მაგრამ თანდათან, სწორედ დასახული მიზნის პრაქტიკული განხორციელების მოახლოების გამო, ისინი ან თავად გარდაიქმნებიან სატანური ბოროტების ძალით შეპყრობილ ადამიანებად, ან, როგორც მემკვიდრეებს, ადგილს უთმობენ ძალაუფლების გარყვნილ და უსულგულო მამიებლებს. ასეთია ყველა რევოლუციის პარადოქსული განვითარება, ყველა უტოპიური ჩანაფიქრის

ცხოვრებისეულ წესად გარდაქმნის მცდელობა” (ფრენკი, ცხოვრების აზრი, 1992, გვ. 54).

ლიტერატურა, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ბერკეტი, მალევე გადაიქცა პოლიტიკური და სოციალური „დაკვეთების” ავანსცენად: მავანნი სიამოვნებით დაემორჩილნენ ამ ტენდენციას, მავანნი — იძულებით, და მხოლოდ მცირედმა ნაწილმა გაბედა წინააღმდეგობის განევა. დისკურსის კვალდაკვალ დიფერენცირდა სინდისი, ვინაიდან ავტორიტარული გარემო ავტორიტარული სინდისის ფორმირების პირველმიზეზად იქცევა. „ავტორიტარული სინდისი არის ხმა ინტერიორიზებული გარემო ავტორიტეტისა... — აღნიშნავს ერის ფრომი თავის საეტაპო ნაშრომში „ავტორიტარული სინდისი”, — ჩვეულებრივ, ავტორიტარული სინდისის მქონე ადამიანი მიჯაჭვულია გარემო ავტორიტეტებზე და მათს ინტერიორიზებულ ანარეკლზე... გარემო ავტორიტეტების არსებობა, რომელთა მიმართ ადამიანი მონივნებით შიშს განიცდის, ინტერიორიზებული ავტორიტეტის — სინდისის — მუდმივად მკვებავ წყაროს წარმოადგენს” (ფრომი, ავტორიტარული სინდისი, 1998, გვ. 1,4).²

ბოლშევიკთა სახელისუფლებო იდეოლოგიის უშუალო ლიტერატურულ რეფლექსიად **საბჭოთა დისკურსი** იქცა, ხელისუფლების მიერ საგანგებოდ ორგანიზებული სისტემა, რომელიც საქართველოში (ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნებში) იმთავითვე რამდენიმე შენაკადად განიტოტა: **პროლეტარული მწერლობა, სოცრეალისტური მწერლობა, საბჭოთა პუბლიცისტიკა**. კლასიკური განმარტებით, „საბჭოთა დისკურსი არის ლინგვოლოგიური კულტურის მქონე სიცოცხლურული ფენომენი” (ვოროტნიკოვა, დიდი პატრიოტული ომის პერიოდის ოფიციალური საბჭოთა ენა, 2000, გვ. 1), რომლის მენტალობის სოციოფსიქოლოგიურ გასაღებს წარმოადგენს ჰიმნი. ეს იყო, ერთი მხრივ, „ახალი დემოკრატიისა” და მემარცხენე ინტელიგენციის დისკურსი, სადაც სიტყვა-ფიქცია დომინირებდა სიტყვა-საგანზე, მეორე მხრივ კი — „ზედაპირული დისკურსი”, რომელსაც არ გააჩნდა სიღრმე და ნაციონალური ინდივიდუალობის განცდა. ამ დისკურსის ფარგლებში შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება, არამედ მხოლოდ სიმულაცია, სიმულაციის რადიკალურ გამოვლინებას კი იდეოლოგიზებული მაკულატურა წარმოადგენდა.

„აღმშენებლობის გზაზე” შემდგარი ქვეყანა ჯიუტად მიინევდა დასახული მიზნისკენ (კომუნიზმის მშენებლობა). ახალგაზრდა საბჭოთა წყობილება გაშლილი ფრონტით მკვიდრდებოდა იძულებით გაერთიანებული ქვეყნების ტერიტორიებზე; სპეციფიკური საბჭოთა ნარატივის სივრცეში, სხვა პოლიტიკებზე — ტერმინების გვერდით, საპატიო ადგილი ეჭირა ცნებებს — „პროლეტკულტურა”, „საბჭოთა მწერლობა”, „სოციალისტური რეალიზმი”, „საბჭოთა კრიტიკული სკოლა”, რომლებიც ზედმინეებით კარგად გამოხატავდა იდეოლოგიის ნიშნით მარკიზებული ლიტერატურის პრიორიტეტულობას და განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და პატივს ჰპირდებოდა მუზის მსახურებს.

„გასაბჭოებული მუზების” სამსახურში, სხვადასხვა მიზეზითა და მოტივაციით, სრულიად განსხვავებული გემოვნებისა და შესაძლებლობის ავტორები აღმოჩნდნენ:

ა) „მასების ხსნის” იდეით ანთებული (თუ მონამული? — ი.რ.) ერთუნიასტების მცირე ჯგუფი, რომელიც ქმნიდა საბჭოთა დისკურსის უტორიებულ მოდელს:

რევოლუციის იდეა-პირთვის რეალიზების მიზნით, ისინი მხარს უჭერდნენ სოციალური ინოვაციების რადიკალურ საშუალებებს, მათ შორის, ვანდალურსაც კი — წამებას, მკვლელობას, განადგურებას, ზოგადად ტერორს, როგორც უმოკლეს გზას მასობრივის კულტივირებისაკენ.

ფრომი: „ავტორიტეტისადმი მორჩილება არა მარტო მისი ძლიერებისა და ძალაუფლების წინაშე შიშს ეფუძნება, არამედ მისი მორალური უპირატესობისა და სიმართლის რწმენას” (ფრომი, იქვე, გვ. 7).

ბ) საშუალო ნიჭის ავტორები, რომელთათვისაც იდეოლოგიური მანქანისადმი ერთგულება სტაბილური კეთილდღეობის მინიმალურ გარანტიას მაინც წარმოადგენდა:

სტაბილური კეთილდღეობის გარანტია ძლიერი ბიძგი აღმოჩნდა მათთვის, ვინც ნაკლებად ფიქრობდა საუკუნო დიდებაზე: იქმნებოდა დიტირამბული ლექსები და ოდები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე, ინერებოდა სქელტანიანი რომანები საბჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომასა და შრომით გმირობებზე, ძმობის, ერთობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაზე და მათ დაუნდობელ ბრძოლაზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ბურჟუა-არისტოკრატებთან.

ფრომი: „ავტორიტარული სინდისის ზრახვები თვით ადამიანის ფასეულობითი მსჯელობებით კი არ განისაზღვრება, არამედ ოდენ იმ ფაქტით, რომ ყველა მისი ბრძანება თუ აკრძალვა ავტორიტეტის მიერაა დაწესებული“ (ფრომი, იქვე, გვ. 4).

გ) იდეოლოგიურად ზომბირებული ინტელექტუალები, რომლებისთვისაც ჩვეულებრივი, ადამიანური (და სავსებით გასაგებიც) შიში განსაზღვრავდა მორჩილებას ლიდერისა და სახელმწიფო სტრუქტურისადმი:

დაშინებული ინტელექტუალების ნაწილი გულმოდგინედ არწმუნებდა თავს საბჭოეთის, როგორც წარმატებული პროექტის ჭეშმარიტებაში: ისინი გასაოცარი სიჯიუტით მიუყვებოდნენ იდეოლოგიის ზიგზაგებს და ასეთივე სიჯიუტით არ აღიარებდნენ ზიზღს საკუთარი არსებობისადმი (ბზარი მეტრებსაც შეეპარათ). ხელისუფლებისადმი მათი მორჩილების მიზეზად ძნელად თუ დავასახელებთ გულწრფელ ნდობას საბჭოთა იდეოლოგიური კურსისადმი და, მით უმეტეს, აღფრთოვანებას. მიზეზი, უპირატესად, იყო შიში და ტერორი, მონობა კი — იძულებითი არჩევანი.

ფრომი: „ავტორიტარული სინდისის ძალა წარმოიშობა ავტორიტეტის წინაშე შიშის ან მისით აღტაცების ემოციებისაგან. ავტორიტარული სინდისის შემთხვევაში, სუფთა სინდისის მისი გაცნობიერებას წარმოადგენს, რომ ავტორიტეტი (გარეშე თუ ინტერიორიზებული) კმაყოფილია შენით; დამნაშავე სინდისი კი — ავტორიტეტის უკმაყოფილების გაცნობიერება (ფრომი, იქვე, გვ. 5).

დ) ლაქიებად ქცეული კრიტიკოსები, რომლებსაც საერთო-ავიტაციური ფონის

შექმნა ევალეობდათ:

საბჭოთა კრიტიკა ხოტბას ასხამდა ფუყე ლიტერატურულ ექსპერიმენტებს, თუმცა, ამასაც არ სჯერდებოდა და უმონყალოდ ასახიჩრებდა იმეხათობად ქცეული ხარისხიანი მწერლობის ინტერპრეტაციასაც. ამგვარი არასწორი, მიუღებელი ინტერპრეტაციის მსხვერპლად არაერთი ქართველი მწერლის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ტექსტი იქცა.

ფრომი: „ეს ნორმები სინდისის ნორმებად მათი სიკარგის გამო კი არ იქცევიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი ავტორიტეტების მიერ არიან დადგენილნი. თუ ეს ცუდი ნორმებია, ისინი მაინც ხდებიან სინდისის ნორმები“ (ფრომი, იქვე).

ე) მცირედი ჯგუფი ნიჭიერი ავტორებისა, რომლებსაც სწამდათ კომუნისმის ნათელი მომავლის და რომლებიც განწირულნი იყვნენ უდიდესი იმედგაცრუებისთვის:

ადრე თუ გვიან მათ „რომანებს“ საბჭოთა ხელისუფლებასთან განბილება მოელოდა და ეს განბილება სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს — იზოლაცია, ინფანტილიზმი, ლოთობა, თვითმკვლელობა და სხვ.

„სინდისი ადამიანში ჩამოყალიბებული გარეშე ავტორიტეტების ხატზე ახდენს გავლენას. ეს იმითაა განპირობებული,

რომ სინდისის ამგვარი სახეობა ყოველთვის გულისხმობს ადამიანში აღტაცების, რაიმე იდეალის მოთხოვნილებას, სწრაფვას გარკვეული სრულყოფილებისაკენ, და სრულყოფილების ეს ხატი გარეშე ავტორიტეტზე პროეცირდება, რის შედეგადაც ავტორიტეტი სინდისის „იდეალური“ ასპექტით შეფერილი აღმოჩნდება ხოლმე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანების წარმოდგენები ავტორიტეტის თვისებებზე განსხვავდება ამ ავტორიტეტის რეალური თვისებებისგან“ (ფრომი, იქვე).

ვ) ჭეშმარიტი ტალანტები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი „რეკლამისა“ და „პიარის“ მიზნით, „შეინყალა“ და „დაინდო“ საბჭოთა ხელისუფლებამ:

სწორედ მათ შექმნეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ის ინტელექტუალური ოაზისები, რომლებითაც ასე ამაყობდა ახალბედა ქვეყანა და ამაყად ებმებოდა საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურენციაში. თუმცაღა, ტალანტების დიდი ნაწილის ბედი ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის ბედსა და იღბალს უფრო წააგავდა, ვიდრე ძვირფასი ფაიფურისას. ისინი განიცდიდნენ დანაშაულის გრძნობას.

ფრომი: „ადამიანს არასოდეს შენელება სწრაფვა აღმშენებლობისა და შემოქმედებისაკენ, ვინაიდან აღმშენებლობა და ნაყოფიერება წარმოადგენენ ძალის, თავისუფლებისა და ბედნიერების იმ წყაროებს, რომელთა ამოძირკვა არანაირ აკრძალვებს არ ძალუძთ. მაგრამ ავტორიტარული სისტემის პირობებში იმ ზომით, რა ზომითაც ადამიანი მის მიმართ ტრანსცენდენტურ ძალებზე თავის დამოკიდებულებას გრძნობს, თვით მისივე ნაყოფიერება, მისივე ნებელობა აიძულებს მას, განიცადოს დანაშაულის გრძნობა“ (ფრომი, იქვე, გვ. 8).

კითხვა, რომელიც პასუხგასაცემია, შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: ამ ტრაგიკულ ფონზე, რა ბედი ეწიათ მათ, ვინც განდევნილი აღმოჩნდა ყველა ზემოთ დასახელებული კატეგორიიდან ანუ, რა ბედი ეწიათ მარგინალებს?

აქ, პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია, გავარკვიოთ თუ როგორია მარგინალობის გაგება ახალფესადგმულ საბჭოეთში. შემთხვევითი არ იყო, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურისმცოდნეობამ გადასინჯა მიმართება მარგინალობის ცნებისადმი: თუმისი საბჭოური მნიშვნელობით მარგინალური აღნიშნავს მეორეხარისხოვანს, რომელიც არადომინანტურია, თანამედროვე ინტერპრეტაციით ის, პირიქით, გაიაზრება როგორც საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ხარისხიანი ლიტერატურის ეპითეტი. ამგვარი ცვლილება ინტერპრეტაციულ სტრატეგიაში, რასაკვირველია, უკავშირდება მე-20 საუკუნის ტოტალიტარულ გამოცდილებას. სრულიად ცხადია, რომ 20-30-იან წლებში, პოსტრევოლუციური განწყობილებით გაჯერებულ ქვეყანაში, მარგინალუდად მიიჩნეოდა ანტი-საბჭოთა დისკურსი, კერძოდ, მოდერნისტული და ავან-გარდული ლიტერატურა, რომელიც იმთავითვე კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა ახალბედა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან;³ მაღალი მოდერნიზმი, მისთვის ნიშანდობლივი განსხვავებული ფორმებითა და შენაკადებით, სწრაფვით რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, აგრეთვე, ჭეშმარიტების ძიებისა და ინდივიდუალობის დამკვიდრების მხატვრული ტენდენციებით, მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა საბჭოთა დემაგოგებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ავანგარდიზმმა უარი თქვა მაღალი მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივ „სულიერ პრობლემათა, ექსისტენციურ მიმართებათა მთელ სისტემაზე“ (ნიფურია, პოსტ-მოდერნიზმი, 2008, გვ. 262), ის აქტიურად რეალიზდა გამომსახველობითი ფორმების ექსპერიმენტულ მოდელებში და არანაკლები საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კულტურპოლიტიკას. ანტისაბჭოთა დისკურსი, გამოხატავდა რა საბჭოთა რეჟიმისადმი ნეგატიურად განწყობილ შემოქმედთა პათოსს, გა-

მორჩეულს თავისუფალი იდეოლოგიური პოზიციითა და არასტანდარტული ლიტერატურული ჟანრებით, მარგინალურ პოზიციებზე იყო გადასაცვლებული; მის ფონზე კი დომინანტურ მოდელს წარმოადგენდა საბჭოთა დისკურსი, გამოვლენილი, უპირატესად, პროლეტარული და სოცრეალისტური მწერლობისა და საბჭოთა პუბლიცისტიკის სახით.

ამრიგად, აყვავებული ბოლშევიზმის ხანაში, მარგინალობის გაგება, ისევე როგორც ზოგადად ლიტერატურული ვითარება, ორმაგ სტანდარტს ქვემდებარება: დიქტომია **საბჭოთა დისკურსი/ანტისაბჭოთა დისკურსი**, შესაბამისად — **დომინანტური/მარგინალური** გამოხატავს არა ღირებულებათა რეალურ შკალას, არამედ წარმოადგენს მწერლების შემოქმედებისა და ლიტერატურული პროცესის შეფასებას წინასწარ დადგენილი იდეოლოგიური კრიტერიუმებით:

ა) ანტისაბჭოთა დისკურსი, რომელიც ეწინააღმდეგება წარმართველ იდეოლოგიურ კურსს, საბჭოთა იდეოლოგიების მიერ გამოცხადებული მარგინალურ დისკურსად, მწერლები კი ან თავად ირჩევენ მარგინალის პოზიციას, ანაც ემორჩილებიან მას, იძულებულნი წესით;

ბ) დომინანტურ დისკურსად აღიარებული საბჭოთა დისკურსი, ვინაიდან სრულად შეესატყვისება იდეოლოგიურ მოთხოვნებს, მწერლები კი კომფორტულად გრძნობენ თავს საბჭოთა სოციალური და კულტურული თეატრის სცენაზე.

ცხადია, ამ გზით შეუძლებელია მარგინალობის ნამდვილი სტანდარტის შემუშავება, ვინაიდან ცნების ობიექტური განსაზღვრების ერთადერთ გზად ლიტერატურული პროცესის, როგორც წინააღმდეგობრივი პარადიგმის შეფასება გვესახება. საბჭოთა დისკურსი ხელოვნურად, ზემოდან შექმნილი სისტემაა, რომელიც იდეოლოგიური დომინანტის პოზიციიდან ეწინააღმდეგება მარგინალურად გამოცხადებულ ანტისაბჭოთა რიტორიკას. მისგან განსხვავებით, ანტისაბჭოთა დისკურსი, ერთი მხრივ, განაგრძობს ქართული ნაციონალური ლიტერატურის განვითარების ბუნებრივ გზას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს მიმდინარე საერთაშორისო ევროპული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ადეკვატურ მოდელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ღირებულებათა შკალის ხელოვნური დეფორმაცია: ის, რაც ღირებულია, მაგრამ იდეოლოგიურად მიუღებელია, გამოცხადებულია მარგინალურ დისკურსად, ხოლო ის, რაც არ არის ღირებული, მაგრამ იდეოლოგიურად მისაღებია — დომინანტურად. სამწუხაროდ, პოსტრევოლუციური პერიოდის ქართველ (და არამართო ქართველ) მკითხველთა დიდი მასა, უპირატესად გაუნათლებელი და გულუბრყვილო, ამ „ობიექტური ტყუილის“ მსხვერპლად იქცევა, ინტელექტუალური მკითხველები კი, რომელთა რიცხვიც შედარებით მცირეა, მკაცრად დაინჯებიან „აქრძალული გემოვნებისა და სურვილების გამოვლენისათვის“... თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ, გადააფასა რა ვითარება, სრულიად საპირისპირო დასკვნა გამოიტანა: 20-30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის მარგინალური ლიტერატურა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი უგულებელყოფის მიუხედავად, შეფასდა როგორც შინაგან ლოგიკაზე დაფუძნებული და მომავალ ლიტერატურულ პერსპექტივებზე ორიენტირებული ლიტერატურული მოდელი — მულტილიტერატურული სივრცის ორგანული ნაწილი, მის წიაღში ფორმირებული ლიტერატურული მიმდინარეობების, ჟანრებისა და ცალკეული ტექსტური ნიმუშების თვალსაზრისით.

თუმცა, შეფასებამ რამდენადმე დააგვიანა: პოსტრევოლუციური ეპოქაში „სხვაგვარად განწყობილი“ მწერლები მარტივად ცხადდებოდნენ „საბჭოთა ქვეყნის მტრებად“, ხოლო მათი ხარისხიანი, ხშირად გენიალური შემოქმედება, — ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა: დასჯა. და ამ მიზეზით დასჯილ ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს. ვითარების ტრაგიზმი, ასეთ შემთხვევაში, ქმნის არამართო ცალკეული ადამიანების ბედის მსხვერველ, არამედ ლიტერატურული

პროცესის მთლიანი პარადიგმის წყვეტა, რასაც, როგორც წესი, ხანგრძლივი კულტურული რეაბილიტაცია ესაჭიროება.

ფრომი: „თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ავტორიტეტის მიერ ნაკარნახევი პოზიტიური ნორმების ნებისმიერი დარღვევა დაუმორჩილებლობას წარმოადგენს და, შესაბამისად, დამნაშავეობას გულისხმობს (იმისდა მიუხედავად, კარგია თუ ცუდი ეს ნორმები თავისთავად), ნორმების ამგვარი დარღვევა ნებისმიერ ავტორიტეტულ სიტუაციაში ფასდება როგორც დანაშაული. ამის პირველი და მკაფიო მაგალითი არის ბუნტი ავტორიტეტის მიერ დადგენილი წესრიგის წინააღმდეგ. დაუმორჩილებლობა „ყველაზე საშინელი ცოდვია, დამჯერობა — მთავარი ზნეობრივი ღირსება“ (ფრომი, იქვე, გვ. 7).

მწერლები მიდიოდნენ მსხვერპლზე, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ყველა სხვა გზა ან კომპრომისი იყო, რომელსაც ისინი ვერ დაუშვებდნენ, ან — არსებობის გახანგრძლივების გაუმართავი მექანიზმი. შედეგად, მონური საზოგადოების „იმეფა-ლური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არაერთი ქართველი შემოქმედი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას, გადასახლება, ემიგრაციას, ანაც — თვითმკვლელობას. პრობლემის „გადაჭრის“ ყველა ეს ფორმა შინაარსობრივად იდენტური იყო, განსხვავებას მხოლოდ განხორციელების სტრატეგია ქმნიდა. მწერალი თავად იყო ტრაგიკული პერსონაჟი, რომელიც მხვერპლად ეწირებოდა საკუთარ პრინციპებს.

იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში, ხელისუფლების მიერ ჩატარებული დიდი „პოლიტიკური წმენდის“ შედეგად, ქართული ლიტერატურა (ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნების ლიტერატურები) სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესისგან: ახალმა, საბჭოურმა ლიტერატურულმა კანონმა ჩაანაცვლა უნივერსალური კანონი და ქართული ლიტერატურა დისტანცირდა საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცესთან. მაგრამ, ეს არ იყო ბუნებრივი მდგომარეობა ქართული ლიტერატურისთვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მსოფლიო ლიტერატურული რუკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა! საქინო რეაქციამაც არ დაახანა: საზოგადოებამ იწყო გამოსვლა **პოსტრევოლუციური შოკიდან**, ანუ — იწყო იძულებითი ადაპტაცია კონტექსტთან, მწერლებმა კი „ისწავლეს“ ირიბი გზებით სარგებლობა: ტოტალიტარული პოლიტიკური მმართველობა გარდაუვალ ისტორიულ რეალობად შეფასდა, ხოლო მისგან თავის დაღწევა ხანგრძლივ პოლიტიკურ პროცესად, რომელსაც „შემოვლითი გზებით“ უნდა დაპირისპირებოდა მწერლობა. ანტისაბჭოთა ლიტერატურული დისკურსის ეს მოდელი **ნიღბის ეფექტი** მუშობდა და კონცეპტუალურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგია; მწერლები იბრძვიან მათ ხელთ არსებული ყველა იარაღით — ალერგორიით, სატირით, ირონიით,⁵ დასუსრდით; იბრძვიან საკუთარ ტერიტორიაზე და მის გარეთ — ემიგრაციაში, ღიად და — იატაკქვეშეთში. ყველა გზა ეფექტურია მიზნის მისაღწევად, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მწერალი თავად აღარ არის ტრაგედიის პერსონაჟი, არამედ მხოლოდ ტრაგიკოსია, რომელიც ცდილობს, მითისქმნადობის მძაფრი პროცესით ჩაანაცვლოს რეალობა. ანტისაბჭოთა ლიტერატურული დისკურსი, გამომდინარე რეპრეზენტაციული მოდელის „მუდმივი ძიებებიდან, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ჟანრული მრავალფეროვნების გენერატორადაც მოგვევლინა. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრები, როგორცაა **ლიტერატურული ანტიუტოპია, მითო-რეალისტური რომანი ან სატირული ნოველა და დრამა** ანტისაბჭოთა დისკურსისათვის იდეალურ ჟანრულ მოდელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ცხადია, არ ვამტკიცებთ, რომ ამ ჟანრების გენეზისი საბჭოთა იდეოლოგიას უკავშირდება, თუმცა, ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში, არც გამოვრიცხავთ ამგვარ დასკვნას.

ლიტერატურული დისკურსის რეაქციის სიმყარეს თუ ფლექსიურობას ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ, კონტექსტი განაპირობებს. როდესაც პროცესი ხანგრძლივია, ანუ ტოტალიტარული მმართველობა თითქმის საუკუნეს ითვლის, ის, რასაკვირველია, განსხვავებულ პერიოდებს მოიცავს: რევოლუციური ეიფორიის შემდგომ მოინიშნება მეტად და ნაკლებად რადიკალური, შედარებით ლიბერალური, ინერტული, ან პირიქით, გააქტიურებული და სხვა ტიპის პერიოდები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი სერიოზულ ზიანს აყენებდა ლიტერატურული თავისუფლების იდეას, საბჭოთა ეპოქის ქართული ლიტერატურული დისკურსის ფლექსიურობა ეჭვგარეშეა. ამის ნათელი მაგალითია ჯერ მეორე მსოფლიო ომის, იგივე — „სამამულო ომის“, მოგვიანებით ე. წ. „დათბობის პერიოდის“, ანუ 50-60-იანი წლების, დაბოლოს, „უძრაობის ხანის“, ანუ 70-80-იანი წლების ქართული ლიტერატურა.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა დისკურსის ყველაზე წარმატებულ ფუნქციურ და სტილურ რეალიზაციას **საბჭოთა პუბლიცისტური დისკურსი** წარმოადგენს. თუმცა, ამ ტიპის დისკურსშიც შეიძლება გავარჩიოთ განსხვავებული პლასტები: **ოფიციალური პრესა**, როგორც საბჭოთა იდეოლოგია პოზიციის გამოვლინება (რადიორეპორტაჟები — რად ღირდა თუნდაც ცენტრალური რადიოს დიქტორის, ლევიტანის ცნობილი ტემბრი და დრამატული ტექსტები); ავტორიტეტული მწერლების მხატვრულად დახვეწილი **პატრიოტული ტექსტები**, რომლებშიც გამოხატული იყო გულწრფელი თანადგომა საერთო-ეთნიკური პრობლემისადმი; დაბოლოს, მწერლების **ეპისტოლური ტექსტები** — **პირადი ჩანაწერები ან მიმონერა**, სადაც იგრძნობოდა განხეთქილება ოფიციალურ პოზიციასა და რეალურ მდგომარეობას შორის. საერთო ფიზიკური სამშრომლის განცდის მიზეზით, ეს, ანტი-საბჭოთა დისკურსის იატაკქვეშეთის პერიოდი იყო, როდესაც ის შედარებით ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, მისი ამ „მოდუნების“ ფონზე კი, წარმატებით მიმდინარეობდა საბჭოთა მენტალური კორელატის — **ჰომო სოვიეტიცუს**-ის ჩამოყალიბება.

ლიტერატურული პროცესის სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა 50-60-იანი წლების, ე.წ. „ოტტეპელის“ ხანა: საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში გაჭაღარავებული ავტორები გრძნობენ საკუთარი ტექსტების გადაფასების საჭიროებას, პარალელურად კი, თითქმის ოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ, დაუფარავად იზრდება დასავლური ლიტერატურული ტენდენციების ზეგავლენა. 20-30-იანი ქართველი მოდერნისტების განხილული თაობის ფონზე, ქართველი სამოციანელები გაცილებით პრივილეგირებულად გამოიყურებიან. ანტისაბჭოთა დისკურსის ეს პროდასავლური მოდელი, ცხადია, პოლიტიკური ლიბერალიზაციის შედეგია: თუ რკინის ფარდის მიღმა დანახულმა სამყარომ საბჭოთა ლიდერების სახლებში ამერიკული მარლბოროებითა და სხვა „იმპორტული“ (საბჭოთა ტერმინია) საქონელით შეაღწია, ლიტერატურას დასავლური მიმდინარეობებისა და კონცეფციებისათვის „თვალის შევლებს“ შესაძლებლობა მიეცა. **ანტისაბჭოთა ლიბერალური დისკურსი** ჰემინგუეისეული თემებითა და თამამი ნეორეალისტური ექსპერიმენტებით შემოიჭრა საბჭოთა ქვეყნების ტერიტორიებზე და თან მოიყვლა რომანტიკული ოცნებები მეგობრობაზე, გულახდილობაზე, ურთიერთობების სიფაქიზეზე, თავისუფლებაზეც კი! მაგრამ, როგორც კი ყინულის დნობამ საშიში სახე მიიღო, საბჭოთა ლიდერებს კვლავ გაუაქტიურდათ უცხო ხილის აკრძალვის ინსტინქტი: 70-იანი წლებიდან, ე.წ. „უძრაობის ხანაში“, მძაფრდება საბჭოთა ხელისუფლების აგრესია ყოველგვარი სიახლისადმი, რაც, ერთი მხრივ, იძენს უკიდურესად ხელოვნურ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, არღვევს კომუნიკაციის ელე-

მენტარულ ნორმებს. შედეგად, მწერალი, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიცირებული მომხმარებელი, განიცდის ინფორმაციულ დეფიციტს.

შექმნილ ვითარებაში, ქართული ლიტერატურული სისტემა არაორდინარულად ნაწევრდება. გამოიკვეთება განსხვავებული მიზანდასახულობისა და ფუნქციის მქონე კონცეპტუალური მოდელები: **ექსისტენციალური/სუბიექტივისტური** („სხვაგვარად“ მოაზროვნენი), როგორც ანტისაბჭოთა დისკურსის სიღრმისეული მოდელი; **რადიკალური** (დისიდენტები), როგორც ანტისაბჭოთა დისკურსის უტრირებული მოდელი; **ადაპტირებული** (კონფორმისტები), როგორც ანტისაბჭოთა და საბჭოთა დისკურსების ინტელექტუალური მორიგების მცდელობა; **ნეიტრალური** (ჩაურევლები), როგორც ანტისაბჭოთა დისკურსის პასიური მოდელი, რომელიც შინაგანად ენათესავება სუბიექტივისტურ დისკურსს, თუმცა განსხვავდება მისგან პოზიციის აქტივობის თვალსაზრისით; და, რასაკვირველია — **მოდერნიზებული საბჭოთა დისკურსი** (წინდახედული აპოლოგეტები), როგორც საბჭოთა ხელისუფლების ახალი დასაყრდენი. ამგვარი დიფერენციაციის საფუძველი უკვე აღარ არის მხოლოდ იდეოლოგიური ანტაგონიზმი დისკურსებს შორის ან, თუნდაც, ლიტერატურული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, არამედ — მწერლების პოზიცია, პროგრესული თუ რეგრესული, როგორც სოციალური იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის ფორმის გამოვლინება.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ 1950-1990 წლებში ქართველი მწერლების პროგრესულმა ფრთამ არნახული შემოქმედებითი სიმამაცე გამოავლინა, მათ ტექსტებში ზედმიწევნით იქნა არეკლილი საბჭოთა დიქტატურის ყოველი ეტაპი, არ დანებდა, იბრძოლა, გამოსავალი მოიძია გამოუვალ სიტუაციებში, კონტაქტი აღადგინა საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცესთან, შექმნა ქართული ინტელექტუალური მწერლობის ახალი ხანა,⁶ ხოლო 80-იანი წლების ბოლოს, დისკურსული და ჟანრული მრავალფეროვნებით შეიარაღებული, უკვე გადამწყვეტი გამარჯვების იმედით, აუჯანყდა მერყეულ საბჭოთა ხელისუფლებას.⁷ თუკი შევუდგებით საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურული დისკურსის დესტრუქციის დასაბამის ძიებას, რასაკვირველია, 1978 წლის 14 აპრილს მოვინშნავთ. ეს დღე მრავალი თვალსაზრისით იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში და, მათ შორის, ქართული ლიტერატურული დისკურსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც. თუმცაღა, საბჭოთა დიქტატურის დასასრული 1991 წელს გაფორმდა და ქართულმა ლიტერატურამაც, ისევე როგორც თავად პოლიტიკურმა ცხოვრებამ, ახალი სტატუსით განაგრძო არსებობა. ამ პროცესის დიდი ნაწილი უკვე მიმოხილული იქნა ჩვენს წინამორბედ სტატიაში.⁸

დასკვნის ნაცვლად

ტოტალიტარიზმის ჩიხიდან გამოსავალს მხოლოდ ნონ-კონფორმისტები პოულობენ იმ ისტორიული გარანტიით, რომ ჭეშმარიტად ლიტერატურული სახეების გადარჩენის უკიდურესად ტირანულ ვითარებაშიც კი არ ემუქრება საფრთხე, ვინაიდან ლირებულს გადაარჩენს დრო და არა ცალკეული ადამიანების ნება-სურვილი, როგორც წარმატებული დიქტატორებიც არ უნდა იყონ ისინი. არსებობს ისტორიული გამოცდილება, რომელიც გვაფრთხილებს: ლირებული ლიტერატურა, დიქტატურის პირობებში იქმნება ის, თუ ლიბერალური პოლიტიკისა, ერთნაირად ემყარება თავისუფალ აზროვნებას, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავთან ჭიდილში გამოიშვავდება. დიქტატურის, როგორც დამატებითი წინააღმდეგობის პირობებში ეს უფრო რთული ამოცანაა, ლიბერალური პოლიტი-

კის პირობებში — შედარებით ადვილი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში — ეკლიანი არჩევანია: კონტექსტი განსაზღვრავს მხოლოდ რაოდენობას და არა ხარისხს. ბოლშევიკურმა ტერორმა შეინარა არამარტო ცალკეული მწერლების სიცოცხლე, არამედ ბევრი იდეა, ჩანაფიქრი, დაუნერული ტექსტი. ეს იყო არარეალიზებული შემოქმედებითი პროექტების ეპოქა. ახალი თაობის ქართველი მწერლები დაზღვეულნი იყვნენ და არიან მსგავსი საშიშროებისაგან, თუმცა, მონობა ყოველთვის და ყველა დროში შეიძლება აირჩიოს მწერალმა — ნებით თუ ძალით, ის ხომ მაინც არჩევანია?!

¹ დეტალურად ამის შესახებ იხ. ი. რატიანი, ლიტერატურული დისკურსის მოდელი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში // სჯანი №11, 2010, გვ. 49-58.

² ჩვენ არაერთგზის დაუბრუნდებით ფრომის აღნიშნულ ნაშრომს (ი.რ.).

³ იხ. ი. რატიანი, ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში// სჯანი 11, 2010, გვ. 49-58; ზ. ნიფურია, პოსტმოდერნიზმი//ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ. 2008, გვ. 259-262.

⁴ იხ. ი. რატიანი ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. შუასაუკუნეებიდან მე-20 საუკუნემდე/ „ჩვენი მწერლობა“, №23, 2012.

⁵ სატირა და იუმორი დიქტატორის წინააღმდეგ წარმოებული ინტელექტუალური ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მარჯვე იარაღად იქცა და საფუძვლად დაედო ისეთი სპეციფიკური ლიტერატურული ჟანრების ფორმირებასა და დამკვიდრებას, როგორცაა საბჭოთა სატირული დრამა, სატირული რომანი, იუმორისტული მოთხრობა, ნოველა, ფელეტონი. სატირისა და იუმორის გამოყენება პოსტრევოლუციურ ლიტერატურაში ზნეობრივი და ეთიკური ღირებულებების ძიებისა და აღმოჩენის მცდელობად შეიძლება შეფასდეს, ეკლიან გზად, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის ჯურღმულებიდან მოიკლავება და გზას იკვლევს დაშინებული ადამიანების გულბისაკენ. ამის ნათელი მაგალითია პ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (1929). პიესა, ერთი მხრივ, პოლიტიკურად უმნიშვარი, „ახალი დროებისათვის“ მენტალურად მოუმზადებელი, მლიქვნელი ადამიანისა და მისთანების გამარჯვებას წარმოადგენდა, რაც სავესებით მისაღები იყო საბჭოთა კრიტიკისათვის, ხოლო, მეორე მხრივ — გარემოსა და მისი მკვიდრების სატირულ-გროტესკული დაცინვა იყო, რასაც აღარ ჩაეჭიდა საბჭოთა ცენზურა ტექსტის იუმორისტული განწყობილების გამო. იუმორმა პირველად შეასრულა იდეოლოგიისაგან დამცავი მექანიზმის მხატვრული ფუნქცია. დღეს, თითქმის ასწლიანი გადასახედიდან, სავესებით ცხადია პიესის ავტორის მიზანი: ყვარყვარე იმ ამაზრზენი და მიუღებელი თვისებების სიმბოლოა, რომლებიც არასოდეს წარმოიქმნება ნორმალურ საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც იდეოლოგიური წნეხის ქვეშაა მოქცეული. ყვარყვარე გარემო-პირობების, ამ შემთხვევაში, საბჭოთა რეჟიმის უშუალო ნაყოფია, ტრაგედიაა, უბედურებაა, რომელსაც ვერასოდეს და ვერც ერთი დიქტატორული მმართველობა ვერ დააღწევს თავს, ხოლო ყვარყვარის მიმართ — ნონკონფორმისტების მიერ დასაძლევნი ბარიერია.

⁶ ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ შეძლო დაბრუნება საერთაშორისო ლიტერატურულ ორბიტაზე: მან ღირებულად აირეკლა საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრებული მნიშვნელოვანი პროცესები — ნეორეალისტური და ექსისტენციალური მწერლობის, აგრეთვე, მაგიური რეალიზმის ტენდენციები.

⁷ დრამატიზმი ლიტერატურული ასახვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმად იქცა.

⁸ იხ. ი. რატიანი, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი/„ჩვენი მწერლობა“, №24, 2011.

თეიმურაზ დოიაშვილი

ერთი ისტერიის ისტორია

(მიხეილ ჯავახიშვილის „კურდღელი“)

უნდა ვიშოვო რემი დე გურმონის თხზულებანი და გიუსმანსი. ვიყიდო ფრეიდის ფსიქოსექსუალობა.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკიდან

მიხეილ ჯავახიშვილის „კურდღელი“ განკერძოებით დგას ქართულ ბელეტრისტიკაში. ეს არის უნიკალური ცდა იმ სულიერ პროცესთა მხატვრული ანალიზისა, ცნობიერისა და არაცნობიერის ზღვარზე რომ მიმდინარეობს. მწერალი დაკვირვებით მიადევნებს თვალს ფსიქიკურ კონფლიქტს, რომელიც პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, შემდეგ კი აღბეჭდავს განსაკუთრებულ გზას სულიერი აღდგინებისაკენ, წარმოსახვათა სამყაროდან სინამდვილისაკენ.

მოთხრობის დასაწყისიდანვე მკითხველი უჩვეულო ატმოსფეროში ექცევა. შვილმკვდარი ახალგაზრდა დედა — სიდონია, რომელმაც იმ დღეს დაასაფლავა ოთხი წლის ბიჭუნა, მთელი არსებით ემიჯნება სინამდვილეს, ისე უჭირავს თავი, თითქოს ტრაგედია არც მომხდარიყო. ირგვლივ ყოველივეს ჯიუტი უარყოფის ავადმყოფური ელფერი ახლავს: უბედური ქალის მხიარულ ქცევას და თეთრ საშოს, ოთახის ინტერიერს — თეთრ კედლებს, საწოლსა და მაგიდას, თეთრ შპიცს, კატას და იმ თეთრ კურდღელსაც, რომელიც სიდონიას მკერდზე მიუხუტებია. სითეთრეს თითქოს განუდევნია სიკვდილი, თითქოს არც უბედურება არსებობს და არც გლოვის შავი ფერი, „თეთრის“ არაცნობიერი სიმბოლიკა კი სიკვდილის ასოციაციას იწვევს. ეს ნეგატივ-პოზიტივის კლასიკური ჩანაცვლება.

უჩვეულობის განცდა უფრო ძლიერდება, როდესაც სიდონია სარკეში თავის „ორადს“, როგორც რეალურ არსებას, როგორც სხვა ქალს, ისე ესაუბრება.

სულის მდგომარეობას, რომელშიც სინამდვილესა და წარმოსახვას შორის გახიდილი სიდონია იმყოფება, ფსიქოლოგიაში, ზოგადად, პიროვნების გაორება ჰქვია, ხოლო ზიგმუნდ ფროიდი „ცნობიერების გახლეჩას“ უწოდებს. ამ დროს ფსიქიკაში გარესინამდვილისადმი ერთმანეთისაგან იზოლირებული ორი განწყობა თანამყოფობს. ერთი აღიარებს რეალობას, მეორე კი ცნობიერებას არასასურველი რეალობისგან თიშავს. ამ ნიადაგზე ყალიბდება ანომალური წარმოსახვანი, ფსიქონევროზები.

მიხეილ ჯავახიშვილი „კურდღელში“ მხატვრულად ასურათებს გაორების პროცესს, იმას, თუ როგორ გამოიყოფა სულიერად დაავადებულის ფსიქიკაში ორი არსება — საკუთრივ სიდონია, ბედნიერი დედა და მეორე „მე“ — უბედური „სალომე“. „მე სხვა ვარ, ეს ქალი კიდევ სხვა ვილაც არის“, — უმტკიცებს თავის თავს სარკეში მზირველი სიდონია.

სურვილთა კოშკში თავშეფარებული სიდონია თავის „ორადს“ უსიამოვნებათა წყებას ანუ საძულველ რეალობას გადაულოცავს — ქმართან სექსუალურ ურთიერთობას და, რაც უმთავრესია — შვილის დაღუპვას და დანაშაულის გრძნობას. „სალომე“ გაუცხოებული რეალობის პერსონიფიკაციაა.

როდესაც პიროვნება რაიმე მიზეზით უარს ამბობს სინამდვილეზე, როდესაც ცნობიერება კონფლიქტს ქმნის გარერეალობასთან, ფროიდის განმარტებით, ყალიბდება ისტერიულ-ფსიქოზური სინდრომი. სიდონიასთვის დასმული დიაგნოზი — „ისტერიული ფსიხიზი“ — ამ პარადიგმის კონკრეტული გამოვლენაა.

ამრიგად, მოთხრობის დასაწყისშივე გაცხადებულია, რომ მთავარი პერსონაჟი ანომალური პიროვნებაა, წინ კი ფსიქიკის იდეალურ ლაბირინთში მოგზაურობა გველის. ამ იდეალურებათა ასხნა და ინტერპრეტაცია მხოლოდ ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებისა და ფსიქოანალიზის კონტექსტშია შესაძლებელი.

1. ინფანტილური ფაზა: რაკონსტრუქცია

ამბავი, რომელიც „კურდღელში“ გადმოცემული, მიხეილ ჯავახიშვილს ცნობილმა მეცნიერმა, ფსიქიატრმა და ფსიქოთერაპევტმა მიხეილ ასათიანმა (1882-1938) უამბო.

სხვათა მონათხრობით არაერთხელ უსარგებლია მწერალს. „თავდავინყება“, მაგალითად, სვიმონ ყიფიანმა მოუყვა, „ტყის კაცი“ — პაოლო იაშვილმა, „მართალი აბდულაჰ“ — სანდრო მანშიაშვილმა, „ორი განაჩენი“ — შოთა დადიანმა...

საგულისხმო ისაა, რომ ჩამოთვლილთაგან ავტორმა საგანგებოდ მარტო მიხეილ ასათიანი გამოარჩია, როდესაც „კურდღელს“ ასეთი სტრიქონები წაუძღვარა: „პროფესორ მიხეილ ასათიანს, რომლის ნაამბობმა დამანერინა ეს მოთხრობა“.

რასაკვირველია, მიძღვნაში, უპირველესად, ავტორის მადლიერება და კეთილსინდისიერება უნდა დავინახოთ, მაგრამ განა ანალოგიური ნვლილი არ ჰქონდათ სხვა მთხრობელთაც, ეპიგრაფის ფორმით რომ არ აღინიშნა?!

მიხეილ ჯავახიშვილი, ალბათ, უნდა დაეფიქრებინა იმას, რომ 20-იან წლებში „ახალი სინამდვილის“ ასახვის ნაცვლად ფსიქიკური ანომალიის ანალიზი მის მრავალრიცხოვან ლიტერატურულ მტრებს არაკეთილსინდისიერად შეეძლოთ გამოეყენებინათ. გამორიცხული არ იყო, რომ ვულგარიზატორებს „კურდღელი“ რეალიზმისა და მისი პრინციპებისაგან განდგომად შეეფასებინათ, რაც არცთუ მცირე ხიფათს უქადდა ხელისუფლების თვალში ისედაც არასაიმედო რეპუტაციის მქონე მწერალს. ასეთ ვითარებაში მიხეილ ასათიანის სამეცნიერო ავტორიტეტს, როგორც ჩანს, დამცავის, ფარის ფუნქცია ეკისრებოდა: მწერალი რეალურ ფაქტს და აღიარებული სწავლულის კლინიკურ პრაქტიკას ეყრდნობოდა...

„კურდღელში“ ოთხი სრულფასოვანი პერსონაჟია, რომლებიც წარმართავენ სიუჟეტის განვითარებას, უშუალოდ მონაწილეობენ ფსიქიკური კონფლიქტის ფორმირებასა და განმუხტვაში. ესენი არიან: სიდონია, პროფესორი ფრიდონ დორაშვილი, ჯუანშერი და ბიძინა მარგვილი — სიდოს საყვარელი. ედიშერს, მართას, კატოს — მთავარი პერსონაჟის მეუღლეს, დედას და სამი წლის გოგონას — მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვთ.

სიდონია ახალგაზრდა, ოცდაექვსი წლის გათხოვილი ქალია. მის ანამნეზს თუ შევადგენთ, სწეულების წინარე ისტორია და ჩასახვა-განვითარების სურათი დაიხატება.

დედისერთა სიდონია ინტელიგენტურ ოჯახში იზრდებოდა. მამა, რომელიც რვა წლის წინ გარდაეცვალა, „ნერვიული ადამიანი იყო“. თავად სიდონია ემოციური და შთაბეჭდილებიანია, ექსცენტრული რეაქციებით.

მამის გარდაცვალების შემდეგ, გათხოვებამდე, 18-21 წლის ასაკში მრავალი რომანულ-სექსუალური გატაცება ჰქონდა. „ოცდაექვსისა ვარ და ოცდაექვსეჯერ მაინც მიყვარდა... ზოგნი ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი ორი და სამი ერთად... ერთხელ, მახსოვს, ოთხი შემეყვარდა...“ — უამბობს სიდონია დორაშვილს. წარუმატებლობას ავადმყოფურად განიცდიდა, რამდენჯერმე თვითმკვლელობა სცადა, თუმცა ვეღარ გაბედა.

პარადოქსია, მაგრამ ამ ფონზე — გადაჭარბებული სქესობრივი ლტოლვის პარალელურად — სიდონია ცივი, ფრიგიდული ქალია. მართალია, სიყვარულის ძალმოსილებას აღიარებს, მაგრამ ფიზიკური აქტისადმი მხოლოდ ზიზღს გრძნობს. ქალის უთანხმოებას ქმართან სწორედ ინტიმური საფუძველი აქვს. ედიშერი აყვადრიდა, „ცივი ქალი ხარო“, თავად სიდონია კი მეუღლესთან სიახლოვეს ტანჯვად აღიქვამდა: „დღესაც ვერ გამოვიდა, რა აგიყებთ ხოლმე ცოლ-ქმარს. სიყვარული ადამიანს თავსაც კი მოაკვლევინებს, მაგრამ ის... ფუჰ!“ ზიზღი ახლავს საყვარელ მამაკაცთან ინტიმსაც: „გეუბნები, არ მინდა-მეთქი... მაგრამ, რაკი აგრე დაგიყინია...“

ფუჰ, რა საძაგლობაა!.. მომშორდი, დამეკარგე!.. ფუჰ! ფუჰ!“ — უძალიანდება სიდონია ბიძინას.

სიდონია ინფანტილური არსებაა როგორც ბავშვური ქცევით, ისე, განსაკუთრებით, ემოციურ-ნებელობითი რეაქციებით. ის შვილებს კი არ ეთამაშება, თავადაც ბავშვითი თამაშობს. მუდმივად მოითხოვს დედის მზრუნველობას. „ასეთი დედა რომ არ ჰყოლოდა, ოჯახი დაენგრეოდა და შვილებიც...“ — ემადლიერება მართას ქალიშვილი. გასაჭირში ჩავარდნილი, მფრთხალი სიდონია ექიმშიც მფარველსა და დამცველს ეძებს, თუმცა ბავშვური ყოყორებით უმტკიცებს დორაშვილს, „სიდონია და შიში ერთმანეთს არ იცნობენო“.

პერსონაჟის ინფანტილიზმი უფრო მეტად ნებელობის სფეროშია საგრძნობი. მას უჭირს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, წინ აღუდგეს სხვისგან თავსმოხვეულ სურვილს. ამან საბედისწერო როლი შეასრულა მის ცხოვრებაში.

აუცილებელია სიდონიას ერთი თვისების აღნიშვნაც. მისი სიყვარული შვილებისადმი — განსაკუთრებულად, ჯუანშერისადმი — იმდენად არაბუნებრივია, რომ მართამ „გიჟი დედა“ შეარქვა. სხვათა შორის, ფროიდი შენიშნავს, რომ სინაზის ასეთი ამოფრქვევა ნევროტულ მშობლებს ახასიათებთ, რითაც უნებლიეთ შვილებსაც დაავადებისკენ უბიძგებენ.

ხასიათის ის ნიშნები, რომელიც გამოვყავით — ძლიერი სექსუალობა და თვითმკვლელობისკენ ლტოლვა, სიყვარულის სურვილი და ფრიგიდულობა, ინფანტილურობა და „გიჟი დედის“ სიმპტომი — ფსიქონალიზის ძირითადი ბინარული ოპოზიციების, არქაული კომპლექსებისა და მექანიზმების გამოვლინებებია. ესაა ეროსი და თანატოსი — სიცოცხლისა და სიკვდილის ლტოლვანი, სიამოვნებისა და რეაქციის პრინციპები, ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსთა ნაშთები, სუბლიმაცია...

სიდონიას ყველა პიროვნული თვისება შორეულ ბავშვობაში, ინფანტილურ ფაზაში იღებს სათავეს, იმეორებს იმ კონფლიქტებს, სუთ წლამდე ასაკში რომ გათამაშდა.

ინფანტილური ფსიქოსექსუალობის აღმოჩენა ზიგმუნდ ფროიდის სახელს უკავშირდება. მისი თეორიის თანახმად, პიროვნების ფსიქიკის ფორმირების და, ზოგადად, ადამიანის მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელია ოიდიპოსის კომპლექსი, მისი წარმოქმნისა და გაქრობის ისტორია. ეს უმნიშვნელოვანესი პროცესი გადაბმულია კასტრაციის კომპლექსთან, რაც განსხვავებული სქესის ბავშვებში განსხვავებულად მიმდინარეობს.

ოიდიპოსის კომპლექსი, რომელიც ვაჟებში დედისადმი ლტოლვით და მამის სიძულვილით აღინიშნება, მამის მხრიდან კასტრაციის შიშით ქრება, უქმდება. გოგონებში ეს პროცესი უფრო რთულია და სპეციფიკურიც: კასტრაციის კომპლექსი საფუძველს ქმნის ოიდიპოსის კომპლექსის ფორმირებისათვის.

ადრეულ ბავშვობაში, ე. წ. ფალიკურ ეტაპზე გოგონას აუცილებლად უხდება მამაკაცური ორგანოს უქონლობის აღიარება — ეს დასაწყისია კასტრაციის კომპლექსის ამოქმედებისა. არქონის ფაქტი აღიქმება, როგორც უსამართლობა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ამისთვის ორი გზა არსებობს: 1. კასტრაციის უარყოფა ანუ ილუზორული მტკიცება, რომ ორგანო თავის ადგილზეა და 2. თანდათანობითი შეგუება კასტრაციის ფაქტთან კომპენსაციის მექანიზმით, მამაკაცის ორგანოს სიმბოლური ჩანაცვლებით, ანუ მამისაგან „საჩუქ-



რად“ ბავშვის მიღების სურვილით. ეს მომენტი გოგონებში ოიდიპოსის კომპლექსის განვითარების მწვერვალია.

კომპენსაციის სურვილი აძლიერებს მამისადმი ლტოლვას და, შესაბამისად, **ინცესტის** შიშსაც, რომელიც ფორმდება, როგორც აკრძალვების ინსტანცია.

ფროიდის მიხედვით, ვინც ბოლომდე ვერ ძლევს ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსებს, ვის ფსიქიკაშიც ჩარჩენილია მათი ნაშთი, ფსიქოზისა და ფეტიშიზმისაკენ არის მიდრეკილი. კასტრაციის უარყოფას ადრეულ სტადიაზე რეალობის უარყოფამდე და ფსიქოზამდე მივყავართ, ხოლო სიმბოლური კომპენსირების არქაულ სურვილს — ფეტიშიზმამდე.

სიდონიას ანამნეზის საფუძველზე პროფესორ დორაშვილს არ გაუჭირდებოდა პაციენტის ფსიქოსექსუალური პორტრეტის აღდგენა ადრეულ, ინფანტილიზმის ფაზაში. პატარა სიდომ, როგორც ჩანს, იოლად ვერ შეძლო კასტრაციის აღიარება და მასთან შერიგებას არაცნობიერად წინარე, დედასთან ჰარმონიული მიმართების უკონფლიქტო ფაზაში ჩარჩენა ამჯობინა. ამიტომაც, რომ ეს ზრდასრული ქალი კვლავაც დედის ზრუნვასაა მიმდობილი.

სიდონიას ინფანტილურ-ისტერიული ბუნება, მისი ფსიქოზი კასტრაციის ფაქტის უარყოფის ანუ რეალობის იგნორირების ანარეკლია, ხოლო ძლიერი ლიბიდოს და ფრიგიდულობის თანაარსებობა იმის მაუწყებელი, თუ რა მიმედ მიმდინარეობდა კასტრაციის კომპლექსთან შეგუება. ისიც აშკარაა, რომ მკვეთრად გამოხატული სექსუალური სურვილი მამისადმი ძლიერი ლტოლვის კვალია, ხოლო სიცხე და კოიტუსისადმი ზიზილი — **ინცესტის** შიშის ნაშთი. ამ ფონზე, ალბათ, შემთხვევითი არაა სასიყვარულო თამაშების გააქტიურება მამის სიკვდილის შემდეგ.

კასტრაციის აღიარება, როგორც ვთქვით, დანაკარგის ანაზღაურებას, კომპენსაციას ითვალისწინებს ბავშვის ან რაიმე სიმბოლური ობიექტის სახით. ჯუანშერი სიდონიასთვის დიდი ხნის ნანატრი ცოცხალი „საჩუქარია“, ხოლო განუშორებელი მოსამართლი კურდღელი — ფეტიში, ცხადი სექსუალური შინაარსით. მათი დაკარგვა — ჯუანის სიკვდილი, კურდღლის განადგურება — ხელახალი კასტრაციის ტოლფასია. სიდონიას ფსიქოზი მათი გადარჩენისა და შენარჩუნების ხელოვნური, ისტერიული „ხერხია“.

ინფანტილური ფაზის რეკონსტრუქცია, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, მოთხრობაში უშუალოდ არ არის მოცემული. უეჭველია, რომ იგი არსებობდა პროფესორ დორაშვილის, როგორც ფსიქოანალიტიკოსის, გონებაში. პერსონაჟის ინფანტილურ კომპლექსებზე პირდაპირ საუბარს მწერალმა, ალბათ, შეგნებულად აარიდა თავი. ერთი, რომ ანალიტიკური ინფორმაციის შეტანა თხრობაში, მასალის მხატვრული ტრანსფორმაციის გარეშე, ესთეტიკურად წამგებიანი იყო. დასავინწყებელი არც ისაა, რომ ფროიდის შეხედულებათა, მით უფრო, მისი სკანდალური ინფანტილური სექსუალობის ღია მანიფესტაცია ოფიციალურ იდეოლოგიასა და ტრადიციულ მორალთან დაპირისპირების რისკსაც შეიცავდა.

მიხილ ჯავახიშვილმა გარემოებათა გამო უფრო ფრთხილი, შეფარული სტრატეგია აირჩია: სპეფიციკური სიგნალებით — „უცნაური“ პასაჟებით, დეტალებით, ნიუანსებით — უნიკალური კულტურული კონტექსტი მოგვინიშნა.

2. ფსიქოზისაკენ

სიდონიას თავგადასავალი დაიწყო ნალვერში, სადაც შვილებთან ერთად ზაფხულს ატარებდა. რადგან ბავშვებისთვის გადია ჰყავდა აყვანილი, გართობას არ იკლებდა, ქალაქის ობსიცილებდა.

შვილები მანც გიჟური სიყვარულით უყვარდა. როცა მათთან იყო, „მთლად ბავშვად იქცეოდა“, ანცობდა, კიოდა, კისკისებდა, ხოლო თუ სასიეროდ წავიდოდა, უცებ „მდედ-

რული სევდით მოიბურებოდა“, გაანჩხლდებოდა, სხვებსაც მხიარულებას ჩაუშლიდა და „დედურ ციებ-ციხელებას მხოლოდ მაშინ ჩაიქრობდა“, როდესაც „თუნდაც მძინარე ჯუანშერს გულში ჩაიკრავდა“.

იმ დილითაც თითქოს არაფერი მომხდარა განსაკუთრებული: დედამ ჯუანშერის უგუნებობას ყურადღება არ მიაქცია და მთელი დღე ტყეში — შვილების გარეშე — სხვასთან გაატარა. უფრო მეტიც, საღამოს სახლში მობრუნებულმა სიდონიამ სიცხიან ბიჭს მიუაღიერა და როცა ორივე ბავშვი დაანვინა, „თვითონ ხელმეორედ წავიდა, რადგან...“

„რადგან“ კი ის იყო, რომ ქალს „შეფიცხებული“ სისხლი „იმასთან“ ეძახდა!

სიდონიას სულიერი კონფლიქტი აქ, ამ დროიდან ისახება, როგორც **მოვლეობის გრძნობისა და სიყვარულის სურვილის დაპირისპირება**. მოთხრობის დინამიკას ამ კონფლიქტის განვითარება, გარე და შინაგანი პერიპეტეების ერთობლიობა განსაზღვრავს.

ქალის სხეულებრივი აღტყინება იმდენად ძლიერია, რომ თითქმის ჯაბნის დედობრივ მოვალეობას: „სიდონია მთვრალივით მიდის ბნელი ქუჩით და ჯერაც არ იცის, გაჰყვება ბაკურიანში მეგობარს, თუ შვილის ავადმყოფობას მოიმიზეზებს და დაბრუნდება“.

პიროვნება თითქოს ორ გრძნობას შორის მერყეობს, მაგრამ სიამოვნებისაკენ ლტოლვამ არაცნობიერად ადრევე გააკეთებინა არჩევანი. ნამოსვლისას ქალმა გადიას დაუბარა, ბავშვს თუ სიცხე აუნევედა, ექიმი მოეყვანა, გულში კი წასვლა და დილით დაბრუნება გადაწყვიტა. ერთი სიტყვით, **„თავისი ვალი მოიხადა“**.

„ვალის მოხდა“ ანუ სურვილის წინაშე კაპიტულაცია ტრაგიკულად დამთავრდა — სიდონიამ დაიგვიანა („რამდენი ხანი გავიდა, აღარ ახსოვს. რომ გაახსენდეს, მანც არ გეტყვი“), რასაც რამდენიმე დღეში ჯუანშერის სიკვდილი მოჰყვა.

შვილის გარდაცვალება ის ემოციური შოკია, რამაც სიდონია ფსიქოზამდე მიიყვანა, მანამდე კი პერსონაჟის სულიერმა კონფლიქტმა რამდენიმე ეტაპი გაიარა.

დედის მოვალეობის ფორმალურმა აღსრულებამ, უფრო — მისმა უგულვებლყოფამ, **დანაშაულის განცდაში** იჩინა თავი. მოვლენების ტრაგიკულ განვითარებასთან ერთად დანაშაულის ტვირთი სულ უფრო იზრდება.

რაკი ჯუანი ცოცხალია, სიდონია ინსტინქტურად ცდილობს, ჩამოიბერტყოს უამური გრძნობა ან დანაშაული სულაც სხვას — გადიას გადააბრალოს; ხოლო როცა საფრთხე კატასტროფულად იზრდება, თავგანწირვის ნამდვილ სასწაულებს ახდენს შვილის გადასარჩენად.

მატარებლის დევნის, სრბოლის ხიფათიან გზაზე სიდონიას, ცხადია, დედობრივი სიყვარული მიუძღვის, თუმცა თავგანწირვის მიღმა დანაშაულის შიშიც იკითხება, რომელიც სასონარკვეთილ ქალს სიკვდილის შიშს ავინწყებს.

სიდონიას ხსნა ჯუანშერის გადარჩენაშია, მაგრამ თუ განგებამ განირა, დედას სინდისი სუფთა უნდა ჰქონდეს. ამიტომ მოითხოვს დაჟინებით ექიმისგან დასტურს, რომ არ დაუგვიანია. სიტყვა „დაგვიანებული“ ნაკვერჩხალივით სწვავს („თუ დაგვიანებული არ არის, გადარჩება“), რადგან იგი დანაშაულის სიმბურვალეს გამოსცემს. აი, აქ ხდება სასწაული — სიდონიას ფსიქიკა **დროს ივინწყებს!** ქალმა მეხსიერებიდან ამოაგდო სიამოვნების სამი დღე და მხოლოდ შვილის გადასარჩენად თავდაუზოგავი სრბოლის ოთხი საათი ახსოვს.

მექანიზმი, რომელიც ცნობიერებაში დროის დავინწყებას, ამნეზიას იწვევს, ფსიქოანალიზის თეორიაში **„განდევნის“** სახელითაა ცნობილი. ეს თავდაცვის მექანიზმია, რომელიც პიროვნებისათვის უსიამო, რეალობის პოზიციიდან მიულე-

ბელ განცდებს არაცნობიერში აქევენს. ასე გადაინაცვლა გონების ნათელი ველიდან ამნეზიის უკუნში სამდღიანმა რომანულმა ავანტიურამ.

რადგან უსიამოვნო, დანაშაულებრივი თავგადასავალი დაინყებულა და მცხსიერებას მხოლოდ კეთილშობილური თავდადების ოთხი საათი შემოუნახავს, სიდონიას სინდისს სალბუნად ედება ექიმის სიტყვები: „არა მგონია, რომ ოთხ საათს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს“.

შვილის გადარჩენის ნადილთან ერთად სიდონიას პიროვნებაში წარმმართველია თვითგადარჩენის, სიცოცხლისადმი ლტოლვის პრინციპი. იგი გამოხატავს ადამიანის არაცნობიერ მზადყოფნას, ერთი მხრივ, შეეგუოს ტრაგიკულ ფაქტს, მეორე მხრივ კი — გათავისუფლდეს სინდისის ქენჯნისაგან. „თუ მოხდა რამე... ბრალი ხომ ჩემი არ იქნება, არა, ექიმო?“ — ინფანტილური გულუბრყვილობით ამხელს თავის საფიქრალს სიდონია.

ექიმის პასუხი, რომ იგი არათუ ბრალეულია, „გმირულადაც მოქცეულა“, დროებით ამშვიდებს დედას. ჯუანშერი ჯერ ცოცხალია და სიდონიას საქციელს მოვალეობის აღსრულების შარავანდი ადგას: „დამშვიდებული სიდონია ჰგრძნობს ამაც სიხარულს, რომელსაც ქება შეასხეს ვალის შესრულებისათვის“.

სანამ ჯუანი ცოცხალია, იმედიანი განწყობა ბუფტავს, მაგრამ სიდონიას სულ უფრო უძლიერდება სიკვდილის შიშზე უფრო მეტი და საზარელი „მეორე შიში“, შავი ლანდივით რომ მიუძღვის და სულს უდუღებს.

სინდისის ხმის ჩახშობა, „შიშისა და ლანდების“ განდევნა ცნობიერებიდან იოლი არ არის. სული დაჟინებით უბრუნდება ერთსა და იმავე კითხვას: „მართლა შეასრულა დედის ვალი სიდონიამ?“

დანაშაულის განცდა, რომელიც მოსვენებას უკარგავს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, დაკავშირებულია ფსიქიკური აპარატის ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტანციასთან, როგორცაა „სუპერ ეგო“ ანუ „ზე-მე“. იგი ტრადიციასთან, ზნეობრივ ნორმებთან, სინდისის ცნებასთან ასოცირდება. სწორედ „სუპერ ეგო“ (ინფანტილობიდან გადმოსული მამის ავტორიტეტი) აკონტროლებს პიროვნების ქცევებს, უნერგავს პასუხისმგებლობას, მოვალეობის გრძნობას.

თუ „მე“ სიამოვნების პრინციპს დაემორჩილა, დაივიწყა რეალურობის პრინციპი — უპირველესად, მოვალეობის ზნეობრივი კანონი, „სუპერ ეგოს“ განაჩენი არ დაიგვიანებს — ესაა სირცხვილის, დანაშაულის დამთრგუნველი განცდა.

„მართლა შეასრულა დედის ვალი სიდონიამ?“

„შეასრულა! თავიდან ბოლომდე შეასრულა! ან მეტი რა შეეძლო? არაფერი. მეტი არაფერი!“

შინაგანი დაეჭვება, ორი ხმა, მიუხედავად იმისა, რომ თავს იცავს, მთასავით აწვევა სიდონიას, ვერაფერს უხერხებს გამძვინვარებულ „სუპერ ეგოს“ — „სამართლებელივით გალესილ შიშსა და ცეცხლივით მწვავე მქენჯნავს“.

ფსიქიკის სასწორზე ორი განწყობა იწონება: ან უდანაშაულობის მტკიცება და სიცოცხლე ან ბრალეულობის აღიარება და სიკვდილი, ფიზიკური თუ არა, ზნეობრივი — გარდაუვლად.

ვიდრე ჯუანი ცოცხალია, სანამ სიდონია კვლავაც თავდავინყებით იბრძვის შვილის — და საკუთარი! — გადარჩენისათვის, ჯერ კიდევ არსებობს შანსი რეალურ ცხოვრებაში დარჩენისა, მაგრამ ტრაგედია მოხდა — ჯუანი მოკვდა და „დედაც დასაკლავ პირუტყვივით აბლავლდა...“

შემდეგ რა მოხდა, სიდონიას აღარ ახსოვს. იმედის მტყუტავი სანთელი ჩაქრა. შვილმკვდარმა დედამ სხვა სამყაროში გამოიღვიძა.

ჯუანშერის სიკვდილი უძლიერესი აფექტია, რომელიც მაქსიმალურად ამძაფრებს პერსონაჟის ფსიქიკურ კონფლიქტს. სიდონიას ტრავმირებულმა სულმა უნდა გაიაროს ის პროცესი, რასაც ფროიდმა „გლოვის სამუშაო“ უწოდა. სწორედ ფროიდმა დაადგინა, რომ საყვარელი არსების დაკარგვით აღძრული ტანჯვა ყოველთვის თანდათანობით და თავისთავად არ ქრება, რომ ფსიქიკამ საამისოდ განსაკუთრებული სამუშაო უნდა შეასრულოს.

ნორმალური ცნობიერება თვითშენახვის, სიცოცხლისადმი ლტოლვის გავლენით ურიგდება ტრაგიკულ ფაქტს, მაგრამ, ფროიდის თანახმად, არსებობს პათოლოგიური ფსიქორეაქცია — ჩადენილი დანაშაულის გამო პიროვნება უარყოფს სიყვარულის ობიექტის სიკვდილს, ანუ უარყოფს რეალობას. ეს სიდონიას მიერ არჩეული გზაა.

მიხეილ ჯავახიშვილი ცოდნით, თანამიმდევრობით, დამაჯერებლად აღწერს ავადმყოფობაში გასვლის პროცესს, გარრებული სულის ვიბრაციებს.

ცხადია, ტრაგიკული რეალობის განდევნა ცნობიერებიდან უცბად და ერთბაშად არ ხდება. ყვავილებით დათოვლილი პატარა კუბოს წარმოდგენაც კი მეზობელ ოთახში სიდონიას სინამდვილეში აბრუნებს: „ჯუანი მოკვდა!.. მე მოკვალა... ჩემი ბრალია, მარტო ჩემი ბრალია. მაშასადამე...“

დასკვნა ფრიად სამძიმოა: ან არაერთი სვედავსილი დედასავით მიიღოს ბედის განაჩენი, ან თავის მოკვლით განწყვიტოს ცხოვრებასთან კავშირი, გაეცალოს ეროსის მშფოთვარე სამკვიდროს და თანატოს მიეკედლოს. პირველი უცოდველ დედათა გზაა, ინფანტილური ნებელობა კი თვითმკვლელობას გამოიციხავს.

„დაუდევარსა და ბოროტ“ სიდონიას ცხოვრება მხოლოდ ტანჯვას უქადის: „პასუხისმგებლობა რკინის მორივით უნდა აიკიდოს და სიკვდილამდე ჰზიდოს, როგორც აქლემი ატარებს თავის ვეებერთელა და უშნო კუზს“.

შვილის სიკვდილის შემდეგ დანაშაულის განცდამ ჰიპერბოლურ-ჰიპერტროფიული ფორმა მიიღო, გაბზულ თვითგვემად იქცა. მწერალი დიდი სიზუსტით ხატავს სულის კრიზისულ მდგომარეობას:

„იზრდება და მძიმდება აქლემის კუზი. სიდონია უკვე იწყებდა, ჰბორგავს და იხრუკება. თავი უნდა დააღწიოს ამ ტვირთს, ესლავე უნდა გაუსხლტეს ამ რკინის გორას, მაჯლაჯუნას, ხულთამხუთავს, თორემ თვითონაც დაიხრჩობა, თავის ჯუანივით დაიხრჩობა...“

„თავის ჯუანივით დაიხრჩობა“ — უკანასკნელი ანასხლეტია შვილის სიკვდილის ცნობიერი განცდისა. თვითგადარჩენისათვის ფსიქიკა უჩვეულო ბილიკს კვალავს — გულყრამში გადასული სიდონია ზუსტად იმეორებს ჯუანშერზე მშობიარობას, ოთხი წლის წინანდელ სცენას.

ჯუანის „მეორედ დაბადება“ ფსიქიკის საოცარი აქტია. ეს არის ფიზიკურად განცდილი, ამავდროულად, სიმბოლური სურათი ახალი, წარმოსახვითი რეალობის დაბადებისა.

პიროვნების დაცვის მექანიზმმა დანაშაულის განცდა ტრაგიკული რეალობის არაცნობიერში განდევნით მოხსნა, „ბოროტ სულთან ბლლარძუნი და ჭიდილი დასრულდა“. „მშობიარობის“ შედეგად სიდონიამ ფსიქოზი მიიღო „საჩუქრად“. ახლა აღარც სანამლავი ან თოკია საჭირო, არც ვერის ხიდი!

„იყო სიზმარი — ავი, ბოროტი ლანი. იყო უშუური — საზარელი ქაჯი თუ ალქაჯი. მათ უნდოდათ სიდონიას დახრჩობა, წამება, ჯვარცმა. ესხა კი აღარაფერი არ არის, ყოველივე გათავდა, დასრულდა. ყველანი გაჰქრნენ, წავიდნენ — სამუდამოდ, უბრუნებლვ!“ — ასეთია სიდონიას შინაგანი განწყობილება.

სინამდვილე, ცხადია, სუბიექტის განწყობილებას არ ემორჩილება, შეუვალაობით განაგრძობს არსებობას, ამიტომ საჭიროა კომპრომისი. რეალობის აღქმა და ინტერპრეტირება ახალი, ისტერიული ცნობიერების სამზერიდან ხდება.

დიახ, მეზობელ ოთახში პატარა თეთრი კუბოა, მაგრამ იმ კუბოში „ვილაც ბავშვი“ წევს.

მოვალეა, კუბოს გაჰყვება? — „მერე რაო?! გაჰყვება, დამარხავს და დაბრუნდება“.

შავ კაბასაც ჩაიცვამს — „დინჯად, არხეინად იცვამს სამ-გლოვიაროს“.

სანამ ანომალიურ ნარმოსახვათა კოშკში საფუძვლიანად გამაგრდებოდეს, სინამდვილე სიდონიას ბოლო, სასტიკ გამოცდას უწყობს. ოთახში, სადაც ჯუანშერის კუბო დგას, ჩურჩული ჩაესმის: „დაუგვიანია შრატის შემხაპუნება, თორემ გადარჩებოდა... უეჭველად, უეჭველად გადარჩებოდა“.

„— მამ, იციან, იციან ყველაფერი... ესენიც მე მადანაშაულებენ...“ — ცახცახებს სიდონია და ჯუანშერის კუბოსთან მიდის.

უხეში, მტანჯველი, ხელშესახები რეალობა აქვეა, მის გვერდით. არა, თვალების დახუჭვა ვერაფერს უშველის და სიდონია თვალთ შიშვით და ხელით ეხება საშინელ სინამდვილეს: „მთრთოლვარე ხელი ცივ შუბლზე დაადო და დაჰხედა“.

დეტალები, რასაც მწერალი შემდეგ გამოყოფს, სიდონიას სულის უნიკალურ, წინააღმდეგობრივ მინარეაქციათა გარე-ნიშნებია. სახის გადაფითრება თითქოს შვილის სიკვდილის წამიერი აღიარებაა, ხოლო ტუჩებისა და ენის მოკნევა — ემოციურ-ვერბალური იმპულსის ჩახშობა, რასაც სხეულის დამორჩილება, „თრთოლვის ალაგმვა“ მოსდევს.

ეს კულმინაციური ნერტილია ისტერიული ცნობიერებისა და სინამდვილის კონფლიქტში. ავადმყოფურ ზმანებათა სიფრიფანა კოშკმა რეალობის ლოდნატყორცნებს გაუძლო:

„— არა, ჯუანშერი არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“ — საბოლოოდ დაირწმუნა თავი სიდონიამ და დასკვნა სიტყვიერადაც გაახმოვანა.

ფსიქოზმა გაიმარჯვა! ამიერიდან სიდონია თავის წარმოსახვაში ცხოვრობს, ამიტომ:

„— ისეთიც არაფერი მომხდარა“ — ამშვიდებს ედმერს და მართას;

- გარდაცვლილი შვილისთვის სათამაშოებს ყიდულობს;
- ახლობლებს ტირილს უკრძალავს, კუბოს უცხოსავით მიჰყვება;

— ქვების ხმაურზე ყურებს იხშობს, ამტკიცებს: „არა, ეს ჯუანში არ არის!“

სახლში მობრუნებული სიდონია უდარდელი, გულმშვიდი და პირლიმილიანია: „არაფერიც არ მოხდა“, არც სანამალავი ემუქრება, არც თოკი! „ამ სურათს ისევ პირველი სჯობია: ჯუანშერი წაღვერშია, ბაღში თამაშობს“.

ასე ჩერდება დრო. ცნობიერებიდან განდევნილი ტრაგედია ამნეზიის უფსკრულში იძირება. დანაშაული „სხვამ“ — „სალომემ“ უნდა ზიდოს. თავად ისტერიის ბასტიონზე გადმომდგარი სიდონია კი გამარჯვებული მეციხოვნესავით „ქვის ჟინით და რკინასავით მტკიცე რწმენით“ იმეორებს:

— ჯუანშერი არ მომკვდარა! ჯუანშერი ცოცხალია!!!
ახლობლებს ერთადერთი იმედი რჩებათ — ექიმი-ნევროლოგი, პროფესორი ფრიდონ დორაშვილი...

3. ფსიქოანალიზის მეთოდისა და ტექნიკა

„კურდღელში“ სრულყოფილად არის აღწერილი ფსიქოანალიზის პროცესი, ისტერიული ცნობიერების თავისებურებანი და მკურნალობის დინამიკა. მოთხრობაში ერთნაირად შთაბეჭდავია ფსიქიკურ რეალობათა ზუსტი ასახვა და სახეობრივ-ექსპრესიული სტილის ძალმოსილება, ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებების და მექანიზმების, მეთოდებისა და ხერხების ცოდნა და სულიერი პერიპეტიების მხატვრული გარდაქმნის ხარისხი.

ფსიქოანალიტიკური თერაპიის მიზანი ფროიდის ლაკონიურად და ნათლად აქვს ჩამოყალიბებული: „არაცნობიერი მი-

სანვლომი უნდა გახდეს ცნობიერებისათვის, რაც წინააღმდეგობის დაძლევათი მიიღწევა... მკურნალობის ამოცანა ამნეზიის მოხსნაა“.

„კურდღელის“ სიუჟეტი ბელეტრიზებული ფორმით ამ სქემას იმეორებს, ოღონდ ფსიქიკური კონფლიქტის განმუხტვის ისტორია ისეთი მღელვარებით, თითქმის დეტექტიური დაძაბულობით არის მოთხრობილი, რომ ემპირიულ ამბავს სულიერი კოლიზიების იდუმალება სჯაბნის, რომანულ ინტრიგას — ფსიქოანალიზის ვირტუოზული დრამატურგია...

ფსიქოანალიტიკური დრამის რეალურ სივრცეში მუდმივად ორი პერსონაჟი მონაწილეობს — პაციენტი და ექიმი. ფროიდი თავიდანვე მოითხოვს იმ უნიკალური ატმოსფეროს შექმნას, რომელიც წარმატების აუცილებელი პირობაა და რასაც ტრანსფერის მექანიზმი უზრუნველყოფს.

ტრანსფერი ანუ გადატანა რთული ფენომენია. ამ დროს ავადმყოფის არაცნობიერი ლტოლვა და ემოციური განწყობა ლტოლვის უშუალო ობიექტიდან ფსიქოანალიტიკოსზე გადადის. ფსიქოთერაპიის პროცესში პაციენტის სიყვარულის ობიექტი ხდება ექიმი.

ფროიდის განმარტებით, ამ მოვლენას განაპირობებს ლიბიდოს, სექსუალური ლტოლვის მუდმივი მზადყოფნა, მიეკედლოს ობიექტს.

მიხეილ ჯავახიშვილი სიდონიასა და პროფესორ დორაშვილის შეხვედრის აღწერას სწორედ ტრანსფერის პერიპეტიებით იწყებს, როდესაც ქალის სიყვარულის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისგან, სექსუალური იმედი, არაცნობიერად და ცნობიერადაც, ექიმზე გადადის.

ტრანსფერის წარმმართველი ექიმა. მისი ვალია, შეამჩნიოს და განამტკიცოს გადატანა, რაც პაციენტისადმი თბილი, ადამიანური მიდგომით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, დორაშვილის ღიმილიანი სახე და გულთბილი მისალმება სიდონიასთან გაცნობისას, უბრალოდ, ინტელიგენტური თავაზიანობა კი არაა, არამედ სტრატეგიის ელემენტი — ხაზგასმული დემონსტრირება კეთილმოსურნეობისა.

საბედნიეროდ, დორაშვილს ტრანსფერისათვის მზა ნიადაგი ხვდება — სიდონია თურმე მისი ნასტუდენტარია. „ძველ ნაცნობობას“ ექიმი მარჯვედ იყენებს გასაშინაურებლად. „გამარჯობა, სიდონი! როგორ ხარ... როგორ ხარ, ქალო?“ — ხელმეორედ, უკვე ახლობელივით ესალმება დორაშვილი ყოფილ სტუდენტს. უფრო მნიშვნელოვანია იმ მოდელის დაფიქსირება, რომელიც იდეალურად ითვლება ფსიქოანალიზში. ეს არის მამისა და შვილის პარადიგმის ანალოგიური მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობა. მამისა და მოძღვრის გავლენა და ავტორიტეტი ექიმზე გადაიტანება.

მოჭარბებული სექსუალობის გამო სიდონია მყისიერად იწყებს სასიყვარულო თამაშს: ხელის გამორთმევას აგვიანებს, დაუფარავად, გამომწვევად კეკლუცობს. „მუდამ ასეთ ფანდს ხმარობდა ვინმეს მოსახიბლად“, — ვკითხულობთ მოთხრობაში.

გამოცდილი პროფესორი, ცხადია, აფიქსირებს ტრანსფერის გამოჩენას, მით უფრო, რომ ქალის ნაზი აგრესია იერიშიში გადადის.

„— მე ძალიან მომწონს ორმოცი წლის მამაკაცი, თქვენისთანა შავკვრემანი, ხა-ხა-ხა!“ — კისკისით, თვალების თამაშით ამცნობს ექიმს სიდონია.

ფსიქოანალიტიკოსის ქცევა ტრანსფერში მკაცრად რეგლამენტირებულია. „საჭიროა, სასიყვარულო ტრანსფერს მაგრად ჩავჭიდოთ ხელი, მაგრამ აღვიქვათ როგორც რაღაც არარეალური, განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის ფონზეც წარმართება მკურნალობა“, — ურჩევს ფროიდი ექიმებს.

რეკომენდაციის შესაბამისად, დორაშვილი იოლად შედის მსუბუქი ფლირტის ატმოსფეროში, ზრუნავს მისი განმტკი-

ცებისათვის, ისე რომ არ არღვევს საექიმო ეთიკის ნორმებს. პროფესორის ხუმრობით შეფერილი, ოდნავ ირონიული მანერა პაციენტთან გულგულად ინტიმური კონტაქტის იმიტაციის საშუალებასაც იძლევა და დისტანცირების შესაძლებლობასაც. („—მამ მოგნონვარ, სიდონი? მართლა? ხო-ხო-ხო! მამ ავშენებულვარ!“).

ტრანსფერის უნიკალობა იმაშია, რომ იგი წინაპირობაა მამასთან მიმართების მოდელის ამოქმედებისა, რამდენადაც ნებისმიერი ლტოლვა ამ მოდელს იმეორებს. იქმნება სიყვარულის, ნდობის აურა, სადაც ექიმი უმადლესი ავტორიტეტია. პროფესორ დორაშვილს ორი მომენტი უქმნის განსაკუთრებულ მდგომარეობას: რეალურად იგი პაციენტის (ყოფილი) მოძღვარია, ტრანსფერში — მამის ანალოგი.

დორაშვილი ოსტატურად იყენებს ტრანსფერს, მისი დახმარებით აღწევს „**მოგონებისა**“ და „**გამეორების**“ მექანიზმების ჩართვას ანუ პაციენტის ფსიქიკური პრობლემატიკის გამომზეურებას.

ტრანსფერი ამბივალენტური ბუნების მოვლენაა. პოზიტიური მიმართულებით იგი სიყვარულში, აღტაცებასა და პატივისცემაში იჩენს თავს, ნეგატიური მიმართულებით — სიძულვილის, შიშის, ზიზღის გრძნობებში. ფროიდმა დაადგინა, რომ ტრანსფერი მაშინ ჩაირთვება, როდესაც არაცნობიერში განდევნილი შინაარსები ცნობიერებაში წამოტივტივდება. ამ დროს ექიმი პაციენტისათვის ლტოლვის გადატანის ობიექტიცაა, ახლობელი და მფარველია და, ამავდროულად, მტერიც, ვინც მის საიდუმლოში შეჭრას გეგმავს. სიდონია, მართალია, არმიყობს, კეკლუცობს, მაგრამ მუდამ თან სდევს „მტრის“ სიახლოვის განცდა: „ჰა, ფრთხილად! თავი ნუ აიგლიჯე!“

ტრანსფერის ამბივალენტურობა დიდ სიძნელებებს უქმნის ფსიქოანალიტიკოსს. მან ცრუ-რომანული ურთიერთობაც უნდა შეინარჩუნოს და პაციენტის წინააღმდეგობის დაძლევაც მოახერხოს, რათა არაცნობიერ ლტოლვათა რეპროდუცირებას მიაღწიოს. ექიმი „გულხელდაკრეფილი იჯდა და ოდნავ ილიმებოდა, ხოლო შავი მბურღავი თვალები სიდონიას სულში ჰქონდა ჩაბჯენილი“.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში ფსიქოანალიტიკური სეანსი კლასიკური სცენარით მიმდინარეობს. ტრანსფერი აქ მაშინ ჩნდება, როცა სიდონია საიდუმლოს გამჟღავნების საფრთხეს გრძნობს, დორაშვილისთვის კი სატრფიალო შემოტევები ფსიქიკური კონფლიქტის სიახლოვის ნიშანია. ექიმი არაცნობიერში შესვლას ცდილობს, რასაც პაციენტის წინააღმდეგობა ახლავს. წინააღმდეგობის, „ორთაბრძოლის“ პროცესში ავადმყოფი პოზიტიურიდან ნეგატიური ტრანსფერის რეჟიმში გადაერთვება.

ტრანსფერისთვის გადაამწყვეტი მანაც ექიმის ავტორიტეტია. საკუთარ არაცნობიერთან შეჯახებისას, წინააღმდეგობის დროს, როცა დაუნდობელი სიცხადით თვალსაჩინოვდება პიროვნების ფსიქიკური კონფლიქტი, საბოლოო ჯამში, ექიმის შესაძლებლობებისადმი რწმენა, მისი გავლენა ანუ ავტორიტეტი იმარჯვებს.

„კურდღელში“, ხაზგასმულად ტრანსფერული სიტუაციის ფონზე, არაერთი დრამატული შერკინება იმართება. პროფესორი დორაშვილი, საჭიროების მიხედვით, ხან შეყვარებულის იმიჯს ირგებს, ხან — მამისას, რათა გადაამწყვეტ მომენტში ექიმის ფუნქცია აღასრულოს; სიდონიასთვის კი იგი, როგორც ლტოლვის ობიექტი, უბრალოდ, ფრიდონია, როგორც მამა და ახლობელი — ძია ფრიდონი, როგორც ექიმი — ბატონი ფრიდონი!

ტრანსფერის ანუ გადატანის დაფიქსირება, მისდამი მუდმივი ყურადღება ნათელყოფს, რაოდენ ღრმად იცნობდა მიხეილ ჯავახიშვილი ფსიქოანალიზის თეორიას. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება — ფსიქოთერაპიული სეანსების კონკრეტული აღწერისას.

ისტერიის ძირითადი ნიშანი ამნეზიაა. სიდონიას, როგორც ვიცით, დავინყებულები აქვს შვილის სიკვდილი, შეხსენების დროს კი ცნობიერება ნახტომს აკეთებს წარსულში, სადაც ჯუანი ცოცხალია, ბაღში თამაშობს...

ამნეზიისას განდევნილია უსიამოვნო მოგონებები, დარღვეულია დროითი მიმართებანი, დაწყვეტილია მიზეზობრივი კავშირები. ფსიქოანალიტიკოსი უნდა დაეხმაროს ავადმყოფს, შეიცნოს განდევნილი არაცნობიერი იმპულსები, აღადგინოს კონტაქტი ცნობიერებასა და რეალობას შორის, მოხსნას ამნეზია. ამის მისაღწევად ფსიქოანალიზს შემუშავებული აქვს საკუთარი მეთოდები და ხერხები.

ტრანსფერთან ერთად არაცნობიერთან მისვლის ძირითადი მეთოდია **თავისუფალი ასოციაციები**, პაციენტის თავისუფალი თხრობა. დორაშვილი საშუალებას აძლევს სიდონიას, ყოველგვარი შერჩევის, გამოტოვების გარეშე ილაპარაკოს ყველაფერზე, გამოთქვას თავისი ფიქრები და გრძნობები. ამასთან, ექიმი ისეთ თემებს არჩევს სასაუბროდ, რომ ზღვრულად აღუწევს ქალის აზრთა კონტროლირებად დინებას. საუბრის პროცესში ფსიქოანალიტიკოსი აფიქსირებს **შემთხვევით, წამოცდენილ აზრებს**.

როდესაც ექიმი პაციენტისაგან შემთხვევითი აზრის განმარტებას მოითხოვს, წინააღმდეგობას აწყდება. „არაცნობიერის მიგნება და ახსნა მიმდინარეობს ავადმყოფის მუდმივი წინააღმდეგობით“, — წერს ფროიდი.

ფსიქოანალიტიკოსმა უნდა მოხსნას წინააღმდეგობა, მოიპოვოს საანალიზო მასალა, გნებავთ, პაციენტის ნდობით, დარწმუნებით, ანდა ამის საპირისპიროდ — წინააღმდეგობით, ზენოლით. „კურდღელში“, ხანგრძლივ ფსიქოანალიტიკურ სეანსში, ბევრჯერ მეორდება ეს სიტუაცია. მაგალითად:

ექიმი და სიდონია მხიარულად მასლაათობენ ქალის სასიყვარულო თავგადასავალზე, მარცხის გამო რამდენჯერმე კინალამ თვითმკვლელობით რომ დამთავრდა. საუბრის თავისუფალ მდინარებაში დორაშვილი წამოცდენილ აზრს იჭერს. „აი, დღესაც...“ — უყვება სიდონია და უცებ წყვეტს თხრობას. მოვუსმინო მწერალს: „უცებ გაჩუმდა, თითქმის გულის სარკმელი მიიხურაო, ექიმი კი მარწმუნებით ეცა ამ სიტყვას:

— რა იყო დღეს? რას აპირებდი?.. რა მოხდა?
— არაფერი.

და ლოკოკინასავით ჩაძვრა დუმილის ნაჭუჭში.
— მაინც, სიდონია, მაინც? — არ ეშვება ექიმი. მერე თვითონაც ჰშველის: — მამ მე გეტყევი...“

ამ მცირე დიალოგში სრულად ჩანს ფსიქოანალიტიკური თერაპიის ეტაპებიც და დინამიკაც: **თავისუფალი საუბარი — წამოცდენა — ფიქსაცია — წინააღმდეგობა — განმარტება**. ამ შემთხვევაში სიდონიას წინააღმდეგობას, რასაც მწერალი „სიკერპეს“ უწოდებს, დორაშვილმა ტაქტიკური მოსაზრების გამო დინჯი განმარტება შეაგება: „დღეს დილით ისევ გადასწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ ვერ გაჰბედე“.

მოთხრობისათვის, ტიპურია **დავინყებულის მოგონების ხერხიც**, როდესაც ამნეზირებული რეალობის ამა თუ იმ დეტალის შეხსენება-აღგენა ხდება.

სიდონია კალენდარს შესცქერის, ოცი რიცხვია. ექიმის კითხვაზე, თვის რომელი რიცხვია დღეს, ქალი უცნაურ პასუხს იძლევა: „არ ვიცი, მგონი ცხრამეტი ან ოცდაერთია“. ამკარაა, რიცხვი „ოცი“ დედამ მესხიერებიდან ამოიგდო, რადგან... და დორაშვილი უხსნის, რატომ ეშინია მას ცეცხლივით ამ რიცხვის, მოაგონებს, რომ ჯუანშერი ოცში გარდაიცვალა.

„კურდღელში“ შემთხვევითი აზრების ინტერპრეტაციისა და მოგონების ხერხები ერთმანეთს ენაცვლება, გადაჯაჭვება, განცალკევდება და ასე გრძელდება მანამ, სანამ ამნეზია არ დამარცხდება.

მწერალი მოთხრობაში რამდენჯერმე აღწერს ისტერიულ გულყრას — „სომნაბულაში გადასვლას“, როდესაც ირთვება

ფსიქონალიზმი კარგად ცნობილი განმეორების მექანიზმი. გულყრა ცნობიერების შევიწროებაა ემოციური შოკის დროს. სიდონია, როგორც წესი, სტრესულ სიტუაციებში გულყრას აფარებს თავს: შვილის სიკვდილისთანავე ჯუანშერის მეორედ დაბადებას „გაითამაშებს“, დორაშვილის დაჟინებულ მოთხოვნებს კი არაცნობიერში გადასახლებით უპასუხებს.

გულყრა ფსიქონალიტიკოსს პაციენტის დაგინყებულ წარსულში მოგზაურობის საშუალებას აძლევს. ექიმი, როგორც მონანილე, ისე ერთვება ავადმყოფის შინარეალობაში, საჭირო მიმართულებით წარმართავს წარმოსახვას. ცნობები სიდონიას საყვარელზე დორაშვილმა სწორედ სომნამბულაში ჩართვით მოიპოვა.

ფსიქონალიტიკოსი, ცხადია, ლოკალურ, კონკრეტულ სიმპტომებსაც აანალიზებს. სიმპტომების წარმოქმნა ფროიდის მიერ გამოვლენილი მექანიზმით — კონვერსიით აიხსნება. სულიერ კონფლიქტს სომატური, მოტორული, გრძობადი წარმონაქმნები ჩაენაცვლება.

„კურდღელში“ აღწერილია ე. წ. აკვიატებული მოქმედებანი, ისეთი სომატური სიმპტომები, როგორცაა უადგილო ზმორება, ან თუნდაც ხელის მკერდთან მიტანის ჩვევა. დორაშვილი ქალს მათი გაჩენის მიზეზებს განუმარტავს და შინაარსსაც უხსნის. ექიმი სიტყვიერადაც და ცდითაც უდასტურებს ქალს, რომ, მაგალითად, ხელის მკერდთან მიტანა უნებლიე, არაცნობიერი, აკვიატებული მოქმედებაა. ბავშვის ავადმყოფობის დროს დედას შვილის თავი გამუდმებით მკერდზე ჰქონდა მიხუტებული, დღეს კი მის ნაცვლად კურდღელს დაატარებს. სიმპტომი ისტერიულ წარმოსახვას შეესაბამება, სადაც ჯუანი ცოცხალია.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში ბევრი სხვა დეტალიც არის, ფსიქონალიზთან კავშირზე რომ მეტყველებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას: მწერალს კარგად ჰქონდა შესწავლილი არამარტო ფროიდის ის გამოკვლევა, რომელიც უბის ნიგნაკში შემოკლებით ჩაინიშნა — ფსიქოსექსუალობა („სექსუალობის ფსიქოლოგიის ნარკვევები“), არამარტო „ფსიქონალიზის მეთოდები და ტექნიკა“, არამედ ამ ავტორის სხვა ნაშრომებიც. ისიც ფაქტია, რომ 20-იან წლებში საბჭოთა კავშირი, შვეიცარიასთან ერთად, მსოფლიო ლიდერი იყო ფროიდის თხზულებათა გამოცემაში, როდესაც რუსულად ზედიზედ გამოდიოდა მისი ათეულობით დასახელების ნიგნი.

ფროიდი ერთგან წერს: „სამწუხაროა, რომ არანაირ მონათხრობს ფსიქონალიზზე არ შეუძლია აღადგინოს ის შთაბეჭდილება, რასაც ფსიქონალიტიკოსი განიცდის ანალიზის პროცესში. შეუძლებელია, მზა ტექსტის კითხვით მოიპოვო შეუქცევადი რწმენა იმისა, რასაც მხოლოდ უშუალოდ განცდილი გვაძლევს“.

„კურდღელში“ ისეთ ემოციურ-ექსპრესიულ დონეზეა წარმოდგენილი ფსიქონალიზის პროცესი, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა მიაღწია იმას, რაც ფროიდს შეუძლებლად მიაჩნდა: მოთხრობის მკითხველს ამ პროცესის უშუალო მონაწილის შთაბეჭდილებაც რჩება და შინაგანად განცდილი რწმენაც უცნაურ სენზე გამარჯვებისა.

4. კურდღელი, როგორც სიმბოლო

ფსიქონალიტიკურ სეანსს საგულისხმო ფინალი აქვს: სიდონია „გაკერპების“ გარეშე გადასცემს პროფესორ დორაშვილს თეთრ კურდღელს. მათ შორის ბოლო საუბარი იმართება:

- დროა, ეს კურდღელი გადავაგდოთ, სიდონი.
- ჩემი ბა... ბაჭია... ჭია.
- არა, ეს კურდღელი შენი არ არის.
- იმის ნა... ნაჩუქარია... ქარია. ნა... ნაიღეთ... აიღეთ.
- გარდა ამისა ძალიან დაგვტანჯა. ამიტომ ამ საძაგელს ამ სახლში ბინა აღარ ექნება.

კისერი მოუგრისხა, თავი მოსწყვიტა, გაპვლიჯა, კარი გამოალო და მართას გადაუგდო, თანაც მიაყოლა:

— დედი მართა, ეხლავე დასწვი“.

მოთხრობის სათაური, ნივთის განსაკუთრებული ადგილი და სტატუსი ნაწარმოებში, თვით ეს დასკვნითი დიალოგიც მიუთითებს, რომ კურდღელი არ არის უბრალო სათამაშო, იგი მხოლოდ შვილის ძვირფას ხსოვნასთან დაკავშირებული რამეა საგანი, ანდა საყვარლის სახსოვარი არაა. კურდღელი პოლისემანტიკური, მეტიც, კროსსემანტიკური სიმბოლოა, რომელშიც თავს იყრის მოთხრობის ყველა მნიშვნელოვანი მოტივი.

ლამაზი მექანიკური სათამაშო ურთიერთობის სამკუთხედს კრავს: სიდონია — ბიძინა — ჯუანშერი. იგი ამ პერსონაჟთა ბედის გადაკვეთის ნერტილია, სადაც თითოეული განსაზღვრული ფსიქონალიტიკური იდეის პერსონიფიცირებული სახეა: სიდონია გაორებულ ცნობიერებას განასხეულებს, ჯუანშერი — რეალობის პრინციპს და მასთან დაკავშირებულ დადამაჟულის განცდას, ხოლო ბიძინა — სიამოვნების პრინციპს.

თუ მოთხრობის დასაწყისში კურდღელი, როგორც მხატვრული სახე, ღია ანალოგიის საფუძველზე უკავშირდება სიდონიას, თანდათან ჯუანშერთან და ბიძინასთან მიმართების მნიშვნელობებსაც იერთებს, ხოლო დასასრულისკენ კონცეპტური სიმბოლოს მასშტაბურობას აღწევს.

რეალურ პლანში სიდონიას ანალოგია კურდღელთან ჯუანშერიდან მოდის: „დედიკო, შენ ჩემ ბანიას ჰგვებარ... ბანიაც შენა გავას“, — ტიტინებს ჯუანი და დედაც ღიმილით უდასტურებს: „მე და შენი ბაჭია ძალიან ვგვიერთ ერთმანეთს“. სიდონიას ამ იცტყვებში კურდღელთან თვითიდენტიფიკაცია იგულისხმება, ოღონდ არა გარეგანი, არამედ შინაგანი მსგავსების დონეზე.

სათაურში ნაგულისხმევი მეტაფორა სიდონიას კულტურული ტრადიციით განსაზღვრულ მნიშვნელობებს მიაწერს. კურდღელი, ერთი მხრივ, მფრთხალ, მშობარა არსებას აღნიშნავს, მეორე მხრივ, სექსუალურ პოტენციას, ჟინს, ავხორცობას. თუ ამ მნიშვნელობებს ფსიქონალიზის სააზროვნო სისტემაში გადავიტანთ, კურდღელი სრულფასოვან ფსიქოსექსუალურ სიმბოლოდ წარმოჩნდება: ცხოველის მფრთხალი, მშობარა ბუნება პერსონაჟის ისტერიულ კონსტიტუციას შეესაბამება, ხოლო ჟინი და პოტენციის სიძლიერე — ამავე თვისებების დომინანტურობას მის ცხოვრებაში.

ამრიგად, „კურდღელი“, როგორც მოთხრობის სათაური, თავიდანვე გვაწვდის ინფორმაციას ისტერიულ სუბიექტსა და ფსიქოსექსუალურ პრობლემატიკაზე.*

კურდღელი ჯუანშერის სახეობრივი ხატიცაა. „მე გავაჩინე ის... ჩემი ბაჭია“, — ამბობს სიდონია. ეს არის ღია ფსიქოლოგიური მოტივი გარდაცვლილი შვილის უსულო საგნით „ჩანაცვლებისა“. მაგრამ ჯუანშერის გაიგივებას კურდღელთან ფარული შინაარსიც აქვს.

ფროიდის თანახმად, ბავშვის ფსიქოსექსუალური ფორმირება ორი-ოთხი წლის ასაკში იწყება და მთავრდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოთხრობაში ჯუანის ხანმოკლე სიცოცხლის ეს წლებია მონიშნული. მწერალი ბავშვის ორ უცნაურ ლტოლვაზე გვიყვება. ორი წლის ჯუანშერი თეთრ ზამბახებს „ზედ აკვდებოდა. მისი ყნოსვა უმაძღარი იყო. ჩაყოფდა თავს თაიგულში და გაინაბებოდა“, დაჰკანკალებდა „თეთრსა და მოზრდილ ყვავილს — მსუქანს, სუნინანს, მაღალყელას...“ გამორჩეული სიყვარულის მეორე საგანი, როგორც ვიცით, თეთრი კურდღელია.

* თუ ევროპული ხელოვნების ტრადიციულ სიმბოლურ და სიუჟეტურ რეპერტუარსაც ვავიხსენებთ, კურდღელში საიდუმლო შეტყობინება ჩამალული. ამიტომ სათაურში შეიძლება ინტრიგის მინიშნებაც ვივარაუდოთ. კურდღელი, როგორც სიმბოლო, ავადობის „საიდუმლოს“ ინახავს, რომლის მუდმივი ძიება ფსიქონალიტიკურ სეანსს დეტექტივის ელფერს და დაძაბულობას ანიჭებს.

სიყვარულის ორივე ობიექტის არჩევა დედასთან მსგავსე-ბითი ასოციაციების საფუძველზე ხდება, რადგან სიდონია მხოლოდ კურდღელს კი არ ჰგავს, „სახე ზამბახს მიუგავს“. სხვათა შორის, ამ ყვავილს ამსგავსებს დედა კუბოში ჩასვენე-ბულ ჯუანსაც.

ჯუანშერის გრძნობები ინფანტილური სექსუალობის ბო-ლო ფაზის მაუწყებელია, როდესაც მშობლისადმი არაცნობი-ერი ლტოლვა სხვა ობიექტებზე — ზამბახზე, კურდღელზე — გადაინაცვლებს. სიდონია გრძნობს ამას და შეილთან მუდამ ზამბახებით ბრუნდება.

ობიექტის შენაცვლების ეტაპი, ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევა იმდენად მძიმედ მიმდინარეობს, რომ ტრაგიკული დასასრული აქვს. მხატვრულ ნაწარმოებში ყოველი სიუჟე-ტური სვლა ფუნქციაა, ამიტომ ჯუანშერის სიკვდილი ცხოვ-რებისეული შემთხვევითობა არ არის, იგი ფსიქიკური კონფ-ლიქტის ლოგიკური შედეგია.

რისთვის დასჭირდა მწერალს ბავშვის ფსიქოსექსუალურ ლტოლვათა მინიშნება, რომელსაც სიუჟეტის განვითარები-სათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს?

მიხეილ ჯავახიშვილმა ფროიდზე დაყრდნობით უნყოფა, რომ ოიდიპოსის კომპლექსი გადამწყვეტია პიროვნების მთე-ლი შემდგომი ცხოვრებისათვის. ის, რაც არ აღწერა სიდონიას ბიოგრაფიაში, მან ჯუანის მაგალითზე გვიამბო. ამას თავისი მიზეზი აქვს.

რადგან არამარტო სიდონია ჰგავს კურდღელს, რადგან ჯუანშერიც ბაჭიაა, კურდღელია, მემკვიდრეობით მსგავსე-ბასთან ერთად აშკარაა მათი ფსიქო-ფიზიკური იდენტურობა. ჯუანშერი იგივე სიდონიაა ბავშვობის ასაკში, მისი ფსიქოსექ-სუალური პრობლემატიკა დედის ინფანტილური ცხოვრების რეპროდუცირებაა. ისინი **მთლიან ფსიქოლოგიურ სუბიექ-ტად ერთიანდებიან**. ეს ერთიანობა კურდღლის სიმბოლოშია მოცემული, რომელიც ერთი ფსიქიკური წყობის ორ პიროვნე-ბას აღნიშნავს. სიდონიას ინფანტილური ცხოვრების ლაკუნა მწერალმა ამ სახით შეავსო.

მიმართება „ჯუანშერი — კურდღელი“ საგანს, როგორც სიმბოლოს, ერთ აზრობრივ მნიშვნელობასაც ჰმატებს. რამ-დენადაც სიდონია ჯუანშერს კურდღლით „ჩაანაცვლებს“, ამ ნივთზე გადადის დედის ვაჟიშვილთან მიმართების ფსიქიკუ-რი შინაარსები: კურდღელი ერთდროულად შვილისადმი სუბ-ლიმირებული სიყვარულის ხსოვნაც არის და კასტრაციის საზღაურად მიღებული ცოცხალი „საჩუქრის“ — ბავშვის ერ-ზაციც — **სიმბოლო-ფეტიში**.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კურდღელი საყვარლის — ბიძინა მარგიშვილის ნაჩუქარია, ე. ი. რეალური სექსუა-ლური ლტოლვის შინაარსს ინახავს. სიდონიას ტრაგედია იქი-დან იწყება, როდესაც ცოცხალ „საჩუქარს“ — ჯუანშერს ანუ სოციალურ სექსუალურ გრძნობას ზნეობრივად აკრძა-ლულ ლტოლვაზე — ბიძინასა და უსულო ნივთზე — კურ-დღელზე ცვლის. კურდღლის განცდა სიდონიასთვის ამბივა-ლენტურია: იგი დანაშაულსაც მოაგონებს, მაგრამ როგორც „იმის საჩუქარი“, სიამოვნების მომენტსაც ახსენებს. მაშასა-დამე, სხვა მნიშვნელობებთან ერთად კურდღელი ძირითად ფსიქიკურ კონფლიქტსაც აფიქსირებს — დაპირისპირებას რეალობისა და სიამოვნების პრინციპებს შორის.

ფსიქოანალიტიკურ სეანსებში პროფესორი დორაშვილი რამდენჯერმე ესაუბრება სიდონიას კურდღელზე. მან, რასაკ-ვირველია, იცის, რომ კურდღელი აკვიატებული საგანი კი არა, **მნესტიკური სიმბოლოა**, მატერიალურად სიმბოლო, რო-მელიც პაციენტის მთელს ფსიქიკურ პრობლემას იტევს.

ერთგან ფროიდი სიმბოლოს ძეგლს ადარებს, პათოლოგიუ-რი ფსიქიკური მოვლენის პატივსაცემად რომ აღიმართება ხოლმე. კურდღელი სიდონიას ავადმყოფობის საგნობრივი სა-ხეა, ისტერიული ფსიქოზის სიმბოლური „ძეგლია“. ცნობიერე-ბის აღდგენის, ფსიქოზის დამარცხების შემდეგ ეს „ძეგლი“ უნ-

და დაიმსხვრეს, განადგურდეს. დორაშვილი ასეც იქცევა: კურ-დღელს „კისერი მოუგრისა, თავი მოსწყვიტა, გაჰგლიჯა...“ ავი ზმანება დამთავრდა, სინამდვილემ გაიმარჯვა. ამიტომ:

— სარკიდან „სალომეს“ ნაცვლად ისევ სიდონია იმზირება — გაორება გაქრა!

— წარმოსახულ ზაფხულის ხვატს ზამთრის რეალური, ცი-ვი და თეთრი ფანტელები ცვლის — დროთა კავშირი აღდგა!

— თეთრის ნაცვლად შავი, სამგლოვიარო კაბა უნდა ჩაიც-ვას, სიკვდილს შეურიგდეს — ოღონდ მოვალეობისა და სი-ცოცხლის სახელით!

5. კლინიკურიდან მხატვრულ ნარატივამდე

„კურდღელში“ ისეთი სიზუსტეა ისტერიული ფსიქოზისა და ფსიქოანალიტიკური სეანსების აღწერაში, რაც მხოლოდ „ნაამბობით“, ზეპირი ინფორმაციით ძნელად თუ მიიღწევა. ამიტომ სავარაუდოა, რომ მიხეილ ჯავახიშვილს ხელთ ჰქონ-და ამბის წერილობითი ვერსიაც, რომელიც მთხრობლისგან უნდა მიეღო.

მიხეილ ასათიანის წიგნში „ფსიქონევროზები“, როგორც „მეოცე შემთხვევა“ ანუ სამეცნიერო თვალსაზრისით საყუ-რადლებო ფაქტი, დეტალურად არის გადმოცემული სიდონიას რეალური პროტოტიპის, 21 წლის ქალის — კ.-ს ავადმყოფო-ბის ისტორია. მკურნალობა მიმდინარეობდა 1912 წლის ზამ-თარში, მოსკოვთან ახლომდებარე ერთ-ერთ სანატორიუმში.

მოთხრობისა და ავადმყოფობის ისტორიის შეჯერება გვიჩვენებს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი კარგად იცნობდა სა-მედიცინო-კლინიკური აღწერილობის ტექსტს, საიდანაც არამარტო ძირითადი ამბავი, არამედ მთელი ეპიზოდები და არაერთი დეტალიც გამოიყენა.

მთავარ პერსონაჟს — სიდონიას ძალიან ბევრი რამ აკავ-შირებს თავის პროტოტიპთან. მეორდება ე. წ. ანამნეზის ფაქ-ტები (მემკვიდრეობითობა, ემოციურ-ექსცენტრიულობა, ინფანტილურობა, რომანული გატაცებანი და მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ, ფრიგიდულობა) და ოჯახური სიტუა-ცია (ქმართან უთანხმოება სექსუალურ ნიადაგზე, „გიჟი დე-დობა“ და ვაჟიშვილის განსაკუთრებული სიყვარული). „დედ-ნიდან“ მომდინარეობს სიდონიას ანომალური რეაქციები და ქცევებიც (შვილის სიკვდილის უარყოფა, გარდაცვლილისათ-ვის სათამაშოების მიტანა, უცნაურობანი დასაფლავებაზე, ქალიშვილის მოძულება), აგრეთვე, საკუთარი მდგომარეობის ინტერპრეტაცია: „ექიმები და ახლობლები მას თვლიან ავად-მყოფად, თუმცა იგი თავს მშვენიერად გრძნობს“. აქედანვეა აღებული ექიმთან სასიყვარულო თამაშიც.

მოთხრობის ფაბულაც, ფინალის გამოკლებით, აღწერილ რეალურ შემთხვევას მიჰყვება. ვაჟიშვილის სიკვდილს ცნო-ბიერების გახლენა და ფსიქოზში გასვლა მოსდევს, სომნამბუ-ლებში რეპროდუცირებულია გარდაცვლილი ბავშვის „მეო-რედ დაბადება“ და ამწერილებული რეალობანი. ნავარაუდე-ვია „უცნობის“ — საყვარლის — არსებობაც...

მწერალი ყურადღებით ეკიდება ავადმყოფობის ისეთ სიმ-პტომებს, როგორცაა აკვიატებული მოქმედებანი (თეთრი კურდღელი, უადგილო ზმორება), უსიამოვნო რიცხვისადმი შიში, დროის დავიწყება: „შემოდგომა სრულიად არ ახსოვს, კარგად ახსოვს მხოლოდ ზაფხული, უარზეა აღიქვას ზამთა-რი, თოვლი...“

„ნასესხობათა“ მთელი ნუსხა, რომელიც წარმოვადგინეთ, მწერლისთვის, ცხადია, პირველადი მონაცემებია, საწყისი პო-ზიციაა, საიდანაც იწყება მხატვრული სინამდვილის კონსტრუ-ირება. ესაა დესკრიფციული, ნეიტრალური მასალა, რომელ-საც მიხეილ ჯავახიშვილი დიდოსტატურად იყენებს გარკვეუ-ლი აზრობრივი შინაარსის მხატვრული ტექსტის შესაქმნელად.

„ნაამბობის“ მხატვრული ტრანსფორმაცია — მეოთხე განზომილების შექმნა, საზრისის შემოტანა — კლინიკური ნარატივიდან გადახვევას, ცვლილებებს განაპირობებს.

ცვლილებათა ერთი წყება მასალის „მორგების“ შედეგია. მწერალს მოქმედება რეგოლუციამდელი რუსეთის დრო-სივრცული არეალიდან თანამედროვეობაში, 20-იანი წლების საქართველოში გადმოაქვს, კლინიკის ოფიციალურ ატმოსფეროს კი ოჯახური გარემო, ფსიქოანალიტიკური სეანსისთვის უფრო მისაღები ოთახის კედლები ენაცვლება. ახალი სოციალური სინამდვილის შესაბამისად, აზნაურულ-არისტოკრატიული წარმომავლობის კ. და მისი ქალაქის მოთამაშე, უყურადღებო ქმარი ადგილს უთმობენ ნასტუდენტარ სიდონიას და ოჯახზე მზრუნველ, მუყაით ედიშერს — წვრილ მოსამსახურეს.

ცვლილებათა მეორე წყება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და მხატვრულ-კონცეპტუალური ღირებულება აქვს.

მიხეილ ასათიანი, ვის ნაამბობსაც დაეყრდნო მწერალი, ევროპაში განსწავლის წლებში ახლოს გაეცნო ზიგმუნდ ფროიდის შეხედულებათა სისტემას, მოგვიანებით კი საკუთარი, ფსიქო-ფიზიოლოგიური პლასტიკურობის თეორია შექმნა და განცდათა რეპროდუქციის მეთოდი შეიმუშავა.

მიხეილ ასათიანი ფროიდის ფსიქოლოგიურ თეორიას იყენებდა, მაგრამ არ იზიარებდა ფსიქოსექსუალობის ფუნდამენტურ პრინციპს. სხვათა შორის, ავადმყოფ კ.-ს ისტორიაში არის ადგილი, სადაც ე. წ. „სექსუალისტებთან“ დაპირისპირება ჩანს: „სცენას თან სდევდა მენჯის რითმული მოძრაობა. ხსენებული დაკვირვება მომყავს არა იმიტომ, რომ მას ვაძლევ მნიშვნელობას, არამედ სისრულისათვის, და იმიტომ, რომ ავიციდინო საყვედური იმ სექსუალისტების მხრივ, რომელნიც ისტერიულ გულყრაში ხედავენ მხოლოდ კოიტუსს. როგორც სურთ, ისე განმარტონ ეს მოძრაობანი, მე კი გვერდს ვუხვევ და სექსუალობის შორეულ ნიშანსაც კი ვერ ვხედავ ამ მოვლენაში“.

თავის თეორიაში ფსიქოსექსუალობა მ. ასათიანმა შეცვალა ფსიქო-ფიზიკურის ცნებით და, ი. პავლოვისა და ა. უხტომსკის შრომებზე დაყრდნობით, ფსიქონევროზების ასხნა ნეიროფიზიოლოგიის პოზიციიდან სცადა. ფროიდის ფსიქოსექსუალურ მექანიზმებს მან ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმი დაუპირისპირა და იგი თავის ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში დანერგა.

რომელ თეორიასა და მეთოდს იყენებს პროფესორი დორაშვილი, ანუ რომელ კონცეფციას ეყრდნობა მიხეილ ჯავახიშვილი „კურდღელში“? ამ მხრივ ორი რამ იმსახურებს ყურადღებას: რა არ გადაიტანა მწერალმა ავადმყოფობის ისტორიიდან მოთხრობაში და რა ინტერპრეტაციას აძლევს ერთსა და იმავე სიმპტომს მეცნიერი და მწერალი.

კლინიკურ ნარატივში მ. ასათიანი დიდ ადგილს უთმობს ფეხების „სირბილეს“, სიმპტომს, რომლის გამოც პაციენტი უარს ამბობს სიარულზე. მისი მეთოდის თავისებურება ისაა, რომ ავადმყოფს ნათელი წარმოდგენა უნდა მიეცეს დაკარგული ფუნქციის შესახებ — „უნდა წარმოიდგინოს ნათლად, სრულიად ნათლად ეს ფუნქცია“. ამის შედეგად ფუნქციონალური ხასიათის სიმპტომი ქრება.

ეს ეპიზოდი, რომელიც ფსიქო-ფიზიოლოგიური პლასტიკურობის თეორიის და განცდათა რეპროდუქციის მეთოდის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია, **საერთოდ არ მოხვდა მოთხრობაში**, ისე როგორც ანალოგიური სომატური სიმპტომები — ხელის გაჩერება თუ განითლება.

მწერალს სიმპტომის ადამიანური შინაარსი და ფარული მოტივების ძიება აინტერესებს და არა მკურნალობის შედეგი, რომელიც ფუნქციის შეხსენებით, ფსიქო-ფიზიოლოგიური მექანიზმის განმარტებით მიიღწევა. ამიტომ მისთვის ნაკლებად ღირებულია ფსიქიკური მოვლენების მატერიალისტური

ასხნა, მაშინ როდესაც ფსიქოანალიზი პიროვნების სულის სიღრმეთა მოხილვის პერსპექტივას გადაშლის.

ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ფსიქოანალიზზეა ორიენტირებული და არა პლასტიკურობის თეორიაზე, ერთი საინტერესო ფაქტით თვალსაჩინოვდება. ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით, თეთრი კურდღელი ბავშვის უკანასკნელი სათამაშოა, რომელსაც დედა არ იშორებს, ეალერსება. მუსიკის ჩართვა ქალში ფორიაქს იწვევს, რის გამოც წყვეტს მუსიკას და ამბობს: „არა, არ შეიძლება“. პირველი გულყრაც მაშინ დამართა, როდესაც სათამაშო ჩართო. ეს არის და ეს.

მიხეილ ასათიანი მხოლოდ ფაქტს გადმოსცემს და ყურადღებას არ აქცევს ძლიერ **წინააღმდეგობას**. არადა, წინააღმდეგობა რთულ განცდას ფარავს — დანაშაულის მოგონებას და კურდღლის „ალაპარაკების“ შიშს, რომელმაც შეიძლება „საიდუმლო“ გასცეს.

კურდღლის სექსუალურ მოტივთან დაკავშირება გამონაგონის სფეროს განეკუთვნება: ის, რომ კურდღელი საყვარლის საჩუქარია, კლინიკურ ნარატივში არ არის ფიქსირებული. უფრო მეტიც, აქ ქალის ამოუცნობ პარტნიორად ერთნაირად ივარაუდება ქმარიც და სხვაც. „იქნება ეს კაცი ქმარი, თუ სხვა პირი — პიროვნების ვინაობის საკითხი მე არ მიმაჩნია ძლიერ მნიშვნელოვანად“, — წერს მ. ასათიანი.

მამსახადამე, დანაშაულის განცდის სექსუალური ავანტიურით მოტივირება, **რეალობის და სიამოვნების პრინციპების დაპირისპირება** მხოლოდ და მხოლოდ მწერალს ეკუთვნის, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა კლინიკური ნარატივი ფროიდის კონცეფციისა და ფსიქოანალიტიკური თერაპიის კონტექსტში გადაიტანა.

მიხეილ ჯავახიშვილი არც ფსიქოანალიტიკური სეანსების უბრალო ილუსტრატორია და არც ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოსექსუალობის თეორიისა და იდეების პროპაგანდისტი. უჩვეულო ამბავი, რომელიც უამბეს, მან მხატვრულ-ესთეტიკურ ამოცანას დაუმორჩილა, ფსიქოანალიზი კი ის კულტურული კონტექსტია, რომელიც მხატვრული სიმართლის მეცნიერულად მოტივირებულ სისტემას ქმნის, მწერლის მიერ შემუშავებულ საზრისს ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური არგუმენტებით განამტკიცებს.

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხელოვანი, უპირველესად, ნაწარმოების ორგანულ მთლიანობაზე ზრუნავს, ამიტომ მას მნიშვნელოვანი ცვლილება შეაქვს კლინიკური ნარატივის მოტივთა სისტემაში.

მ. ასათიანის ინტერპრეტაციით, ფსიქოზში გასვლის „**ძირითადი მიზეზი**“ დანაშაულის მტანჯველი განცდა კი არაა, არამედ მხოლოდ შვილის სიკვდილი, როგორც უძლიერესი ემოციური სტრესი. ქალის ურთიერთობა „უცნობთან“ მისთვის „გარეშე გავლენაა“, რომელიც ართულებს პაციენტის სულიერ მდგომარეობას და რაღაც კუთხით სინდისის ქენჯნას უკავშირდება. რამდენადაც „უცნობი“, მისი აზრით, შესაძლოა ქმარიც იყოს, ამდენად, პრაქტიკულად, უარიყოფა ფსიქიკური კონფლიქტის სექსუალური შინაარსი.

საქმე ისაა, რომ კლინიკური ნარატივის მიხედვით, ბავშვი იმსხვერპლა არა დედის სექსუალურმა გატაცებამ, არამედ არაკვალიფიციურმა პროვინციელმა ექიმმა, რომელსაც გამორჩა მძიმე ინფექცია და შრატის შემსაპუნება დაავადიანა.

საყვარელი შვილის გარდაცვალება იმდენად ძლიერი აფექტია, მით უფრო ისტერიული პიროვნებისთვის, რომ მან ნამდვილად შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა. სწორედ ასე ემართება გრაფინია როსტოვას, ლევ ტოლსტოის რომანის გმირს, როდესაც უმცროსი შვილის — პეტის დალუპვას შეიტყობს: „სინამდვილესთან უმწეო ბრძოლაში დედა უარს ამბობდა დაეჯერებინა, რომ თავად შეეძლო ეცოცხლა,

როცა სიცოცხლით სავსე, საყვარელი შვილის მოუკლეს. სინამდვილისგან გაქცეული, შეშლილობის სამყაროს აფარებდა თავს“.

მიხეილ ჯავახიშვილი „კურდღელში“ ობიექტური კლინიკური ნარატივისგან განსხვავებულ, სუბიექტურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რომელსაც მხატვრულ-კონცეპტუალური მიზანდასახულობა აქვს.

მოთხრობაში შვილის სიკვდილი ნაჩვენებია არა როგორც სტიქიური უბედურება, არამედ როგორც დედის დანაშაულის შედეგი. მწერალმა „გააქრო“ პროვინციელი ექიმი და დანაშაულის მთელი სიმძიმე სიდონიას დააკისრა. ამით მან მოხსნა ფსიქიკური კონფლიქტის ორმაგი მოტივირება („ძირითადი მიზეზი“, „გარეშე გავლენა“) და, მხატვრული ამოცანიდან, ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სიუჟეტის განვითარება ერთ ძირითად, გამჭოლ მოტივს — დანაშაულის მოტივს — დაუმორჩილა.

ცვლილებას არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა ასპექტიც აქვს. მიხეილ ჯავახიშვილმა კლინიკური ნარატივის „გარეშე გავლენა“ — ურთიერთობა „უცნობთან“ — რომანულ-სექსუალურ თავგადასავლად დააკონკრეტა და მასთან დაკავშირებული დანაშაულის განცდა ერთ-ერთი ფაქტორიდან მთავარ მოტივად აქცია. ამის შედეგად შეიქმნა მოთხრობის კონცეპტუალური საყრდენი, ნიადაგი მომზადდა საზრისის ფორმირებისათვის. ცნობიერებისა და რეალობის დაპირისპირება, რასაც კლინიკური ნარატივი გვთავაზობს, მწერალმა პრინციპულად შეცვალა რეალობისა და სიამოვნებისაკენ ლტოლვის დაპირისპირებით, სადაც ლტოლვას ღია სექსუალური მიზანობა აქვს. გლოვის დრამა სექსუალურ დრამად გადაიქცა, რომელიც აზრობრივ შინაარსს ფროიდის მოძღვრებასთან მართებაში იძენს.

მიხეილ ჯავახიშვილისათვის ერთგულების ცნება შემოქმედების სფეროში მხატვრული პრინციპებისადმი ერთგულებას ნიშნავს და არა ბრმა მორჩილებას შეხედულებათა რომელიმე სისტემისადმი, თუნდაც ფსიქოანალიზისადმი.

კლინიკური ნარატივის მიხედვით, „შემთხვევა არ არის ჩამთავრებული“, ანუ პაციენტი კ. ნანილობრივ გათავისუფლდა ფსიქოზის სიმპტომებისაგან. „კურდღელში“ სიდონია რეალობას და ჯანსაღ ცხოვრებას უბრუნდება, ოღონდ მოთხრობის დასკვნითი სცენები — ბიძინას რეალური შემოყვანა სიუჟეტში, მისი მკვლელობა — მწერლის გამონაგონია, მისი შეთხზულია.

რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, პროფესორ დორაშვილის სენსები — კლასიკური ფსიქოანალიზის ჩარჩოებში — მარცხით მთავრდება. მას შემდეგ, რაც ფსიქოზის „საიდუმლო“ ამოცნობილია ანუ დადგენილია ფსიქიკური კონფლიქტის არაცნობიერი მიზეზები და იგი ცნობიერდება პაციენტის მიერ, დაავადება უნდა გაქრეს. მოთხრობაში ასე არ ხდება. მკურნალობა ფერხდება და დორაშვილი აღმოაჩენს, რომ ირღვევა ფსიქოანალიზის ერთ-ერთი აქსიომა: „ექიმსა და სნეულს შორის მესამე არავინ უნდა ჩადგეს“. ეს მესამე ბიძინაა, რომელიც თურმე განაგრძობს სიდონიასთან ფარულ კონტაქტს.

ასეთ სიტუაციაში პრობლემა ფსიქოანალიტიკოსის კაბინეტიდან და პაციენტის ცნობიერებიდან რეალობაში გადაინაცვლებს, ფსიქოანალიზისა და ფსიქოანალიტიკოსის ფუნქცია აქ მთავრდება. მაგრამ ის, რაც ამოწურულია გარკვეული თეორიის პოზიციიდან, მხატვრული ლოგიკით დასრულებას მოითხოვს. მწერალი ვერ შეწყვეტს თხრობას კულმინაციურ მომენტში, ესთეტიკური მთლიანობის პრინციპი აუცილებლად საჭიროებს სიუჟეტის განმუხტვას, კვანძის გახს-

ნას. ამბის განვითარებაში თავად ცხოვრება იჭრება, უფრო ზუსტად, მწერლის მიერ კონსტრუირებული გამონაგონი, რომელიც არ ცნობს არავითარ დოგმებს, თვინიერ ესთეტიკური კანონებისა.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით მასალის კომპოზიციურ, დრო-სივრცით ორგანიზაციაზე, რომელიც მხატვრული საშუალებებით იმეორებს ცნობიერების ფუნქციონირების მოდელს, არც ფსიქოანალიტიკური სენსის, როგორც მეცნიერული რეკონსტრუქციის, სიუჟეტის პრინციპებით კონსტრუირებაზე. „კურდღელი“ არ არის უბრალოდ ერთი ისტერიის ისტორია, გააზრებული ფსიქოანალიზის კონტექსტში, იგი ერთი ისტერიის მხატვრული ისტორიაა, გამოკვეთილი კონცეფციით, ავტორისეული საზრისით.

მოთხრობის ფინალური ეპიზოდები, მწერლის გამონაგონი, რომელიც ფსიქოანალიზის ჩარჩოებს არღვევს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ნაწარმოების აზრობრივი შინაარსისათვის. სიამოვნების პრინციპში, რომელიც ჯვანის, განდევნის რეალობას, იმდენად ძლიერია, რომ მის დასამარცხებლად მხოლოდ ფსიქოანალიტიკური თერაპია საკმარისი არ არის. პიროვნების ტრადიციულ განზომილებებში, ცხოვრებაში მოსაბრუნებლად საჭირო გახდა ლტოლვის რეალური ობიექტის მკვლელობა, სექსუალური იმედის განადგურება. ეს კი პიროვნების ბედზე სექსუალური ლტოლვის ძალმოსილებას ცხადყოფს, რასაც ფროიდი თავისი მოძღვრების ქვაკუთხედად მიიჩნევდა.

მინც რა გზით მიჰყავს დორაშვილს სიდონია? ესაა სექსუალური ლტოლვის სუბლიმაცია, ლბიდოს სოციალიზაცია მოვალეობის, „სუპერ ეგოს“ სახელით. მასში ირეკლება ადამიანის ტრაგიკული ბედი: ან იყოს ბედნიერი, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი სურვილები, ან მიიღოს ცივილიზაცია, კულტურა ამ სურვილთა უარყოფის ფასად. მიხეილ ჯავახიშვილი, ფროიდის მსგავსად, ცივილიზაციის, კულტურის მხარეზეა, მაგრამ თანაღმობას უცხადებს ადამიანს, რომელმაც მოვალეობას, ოჯახს, სამშობლოს, „სოფელზე ზრუნვას“ პირადი ბედნიერება უნდა ანაცვალოს.

გასული საუკუნის 20-იან წლებში, ზუსტად იმ დროს, როდესაც „კურდღელი“ იქმნებოდა, მიხეილ ბახტინი წერდა: „ყველას, ვისაც სურვილი აქვს უფრო ღრმად გაიგოს თანამედროვე ევროპის სულიერი სახე, გვერდს ვერ აუვლის ფსიქოანალიზს“. მიხეილ ჯავახიშვილის დაინტერესება ფროიდის მოძღვრებით ევროპის სულიერ პრობლემატიკასთან ქართული მწერლობის თანაზიარობის ანგარიშგასაწივნი ფაქტია, მხატვრული გააზრების ცდაა იმ გლობალური კონცეფციისა, რომელიც შორს გასცდა ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის საზღვრებს და ცხოვრების ფილოსოფიად გადაიქცა.

იქცვლება ალექსანდრე ყაზნევის დაბადებიდან 166-ე წლისთავს

სამშაბათს, 21 იანვარს
ურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა
მუსიკალურ ანსამბლთან
„ღები ნაყურაბი“
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41



ნათელა არველაძე

არტიტი-ტრიბუნი

□

ბურამ სალარაძის ბასსანება

უკვე ერთი წელია, რაც გურამ სალარაძე გარდაიცვალა. ის უკანასკნელი მსახიობი იყო იმ „შვიდკაცას“ გუნდიდან, რომელთანაც დაკავშირებულია რუსთაველის თეატრის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წარმატებული ისტორია. გურამი ამ თეატრის ფერისცვალებათა მონაწილე და გამომხატველია, მისი შემოქმედება სისხლხორცეული ნაწილია ძიებათა იმ რისკიანი პროცესებისა, რამაც გამოარჩია დასის ხელოვნება ჩვენში და მას საერთაშორისო ასპარეზზეც მოუპოვა ავტორიტეტი.

ხელოვანი მისი შემოქმედებით ფასდება, მაგრამ არიან რჩეულებიც, რომლებიც თავიანთი მისიით ამშვენებენ და ამდიდრებენ თეატრის ისტორიას. რუსთაველელთა „შვიდკაცა“ თეატრის გარდატეხა-გარდაქმნის მისიით გამორჩეული გუნდია. ამიტომაც, კიდევ უფრო გამოიკვეთა ეროსი მანჯგალაძის, გიორგი გეგეჭკორის, მედეა ჩახავას, გურამ სალარაძის, რამაზ ჩხიკვაძის, კოტე მახარაძის, ბადრი კობახიძის როლი ეროვნული თეატრის განვითარებისათვის. ისინი მთელი თაობის მისწრაფებათა გამომხატველნი აღმოჩნდნენ და თუნდაც ამიტომ ერთმორწმუნე დასის პროტაგონისტებად იქცნენ.

რუსთაველელთა „შვიდკაცამ“, მიხეილ თუმანიშვილის ლიდერობით, აალორძინა ჩვენში რეჟისორული თეატრი. ისინი ღირსეული მემკვიდრენი აღმოჩნდნენ გაერთიანება „დურუჯელებისა“, რომელთაც ნილად ხვდათ, წამოეწყოთ ქართული რეჟისორული თეატრის შენება; „შვიდკაცამ“, მოდერნული სათეატრო იდეის კვალდაკვალ, აალორძინა ქართული რეჟისორული თეატრი და საფუძველი გაუყარა კონცეპტუალური რეჟისორული თეატრის შექმნას. გურამ სალარაძე ამ პროცესის ავანგარდში იმყოფებოდა.

ახლა მისი ხელოვნების, მისი ოსტატობის ნიმუშთა განხილვას არ შევუდგები, ამის თაობაზე არაერთი ნაშრომი შექმნილი; არც საკუთრივ მხატვრული სიტყვის, მხატვრული კითხვის ოსტატობას გამოეჩინე; არც მის პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩავუღრმავებდი. მსურს, მკითხველს გავახსენო, როგორი მოქალაქე-არტიტი ჰყავდა ჩვენს თანამედროვეობას მისი სახით. გურამ სალარაძე უწინარესად ტრიბუნი გახლდათ — ეს დაედო საფუძვლად მის შემოქმედებას. გურამი პატიოსანი მოქალაქე გახლდათ — ეს უმაგრებდა საძირკველს მის ოსტატობას; გურამი პირდაპირი, გულწრფელი და გულმხურვალე დამცველი გახლდათ მისი თაობის პრინციპებისა — ეს ადამიანური სიმდიდრე ალამაზებდა მისი გმირების სასცენო ბიოგრაფიას, მხატვრული კითხვის მისეულ მანერას, ახლავაზრდა თაობასთან მისეულ ურთიერთობასაც.

ამ გაპოხიერებულ ნიადაგზე ამოიზარდნენ მისი გმირები: ბარათაშვილი, დონ ხაიმე, მილან სტიბორი, ლაერტი, თეზეუსი, პეტრე, მასხარა, გენერალი ბერდოსანი, კეისარი, თავადი ყაზბეგი-ფერეიტორი-ბერი, ალქაჯი, სერ ტობი, სხვანი და სხვანი — დიმიტრი ალექსიძის, გიორგი ტოვსტონოგოვის, მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის, სხვათა და სხვათა სპექტაკლებში.

ახლა გავისხენებ, როგორ მოქმედებდა ის თეატრისა თუ ქვეყნის განვითარების კრიზისულ ვითარებაში. უმნიშვნელო მეგობრობის ნიჭითა და აზარტული მოთამაშის ვნებათაღელვით გამორჩეული გურამი იშვიათად ცდებოდა; გულწრფელობა მისი მთავარი ღირსება იყო და ამ თვისების გამო შეუნდო მას ქართველმა ხალხმა ყველა შეცოდება — ერთი მაინც განსაკუთრებით საჩოთირო საქციელი.

გურამი ჩემს სიახლოვეს ცხოვრობდა, მაშინდელი პლენარის, ახლანდელი აღმამენებლის გამზირზე, ხშირად თეატრიდან ან ტელევიზიიდან, ან სხვა თავშეყრის ადგილიდან შინ ერთად ვბრუნდებოდით. არ მახსენდება ერთი შემთხვევა, რომ ვინმე გაეკრიტიკებინოს, ვინმეზე უკადრისი ეთქვას, ან სკაბრეზული გამოთქმა წამოსცდენოდა. ის ყველგან რაინდული ქცევით გამოირჩეოდა, ამიტომაც იმკიდა საყოველთაო პატივისცემასა და რიდს. არაერთგზის ერთად გამოვსულვართ რადიოგადაცემის სტუდიიდან. ზოგჯერ გადამეხვეოდა, ან თბილად მეტყოდა — კარგი იყო. ერთხელ მანქანაში ჩავჯექით თუ არა, ძრავა ჩართო და ვიდრე ადგილიდან დაძრავდა, დაფიქრებით მითხრა: ერთი გამაგებინე, სიტყვებს სასწორზე წონი თუ რა ხდებაო. ეს იყო ყველაზე მაღალი შეფასება ჩემი ხელობისა.

განსაკუთრებულად მახსენდება რამდენიმე შემთხვევა. ერთი მწარედ ჩამრჩა მესხიერებაში: რუსთაველის თეატრის ფერისცვალებას დაუპირისპირდნენ სათეატრო კრიტიკოსთა ნაწილი და კულტურის სამინისტროს ჩინოვნიკები. 1964 წლის ივნისში გაიმართა თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი, რომელიც მთლიანად რუსთაველელთა ძიებებისა და მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლების კრიტიკას მიექცნა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ აგრესიული ქალბატონი-კრიტიკოსები, კულისებიდან მათ ამხნევებდნენ „რანდი“ მამაკაცები. თანდათან მიძიდებოდა სიტუაცია, ინევდა ტემპერატურა, ზღვარს აღწევდა ვნებათაღელვა...

ტრიბუნიდან ისმოდა უსამართლო შეფასებები, შეურაცხმყოფელი გამოთქმები. დარბაზი ღელავდა და მსახიობები ადგილიდან რეპლიკებს ისროდნენ. უცებ წამოგდა გურამი — **სინდისი არ გაქვთო?! —** ხმამაღლა აღმოხდა და აღშფოთებულმა ნაკვესები ჰყარა თვალებიდან. ის მსახიობებმა გაიყვანეს დარბაზიდან. გაფითრებული და დამწუხრებული მიხეილ თუმანიშვილი ჩემკენ გადმოიხარა და წამწერწერა: „გურამს თავის შეკავება გაუჭირდა, აქაც გულწრფელია!..“

ორიოდე წლის შემდეგ, როცა „ანტიგონეს“ დგამდა, კრეონი-ზაქარიაძისა და ანტიგონე-კვერენჩხილაძის ორმოცწუთიანი დიალოგი — ბრძოლის დროს გურამს სთხოვა — სცენის კუთხეში ჩამომჯდარიყო და თვალყური ედევნებინა მოვლენისათვის. რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ გურამი აღარ დაიბარა რეპეტიციაზე. მერე ამისხნა ბატონმა მიშამ: „მინდოდა, გურამის მაცნეს ცოცხლად განეცადა კრეონის ბრალდებები და მასში იგივე განწყობა შექმნილიყო, რაც მაშინ, პლენუმის დროს მოხდა, რომ იმავე ხარისხის აღელვებით წარმოეთქვა მონოლოგი. შინაგანი დუღილის ტემპერატურით, მაგრამ გარეგნულად ძნელად მისაღწევი სიმშვიდით“.

გურამ სალარაძე გულფიცხი დამცველი იყო თეატრისა და საკუთარი მრწამსისა.

1978 წლის 14 აპრილი. იწყება უმაღლესი საბჭოს სერია. ქართულ ენას ახალი კონსტიტუცია სახელმწიფო ენის სტატუსს უსხნის. ყალყზე შემდგარა სრულიად საქართველო. მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მანიფესტანტები არიან შეკრებილნი. პრობლემა დადებითად გადაწყდა, კონსტიტუციის 75-ე მუხლი ხელუხლებელი დარჩა. 17 საათზე გადაწყდა ეს საკითხი. საღამოს 20 საათზე კონცერტია დანიშნული ფილარმონიაში. ეძებენ გურამ სალარაძეს. ეძებენ თეატრში, ტელევიზიაში, თეატრალურ ინსტიტუტში...

რეკავენ ბინაზე, მეგობრებთან... გურამს ვერ პოულობენ... მან ლექსი უნდა წაიკითხოს ამ დღესთან დაკავშირებით... გურამს ვერ პოულობენ, გურამი გაქრა!.. იმ საღამოს ლექსი პარტიაზე სხვა მსახიობმა წაიკითხა. გურამ საღარაძე პატიოსნად მსახურებდა და იცავდა ერის ინტერესებს.

1982 წლის იანვარში უეცრად გარდაიცვალა ეროსი მანჯგალაძე. „შვიდკაცას“ გუნდიდან ის პირველი აღმოჩნდა. შოკის მომგვრელი ცნობა მთელს ქვეყანას მოედო და ეს იყო საყოველთაო, სახალხო გლოვა. დაობლებულ „შვიდკაცას“ ისევე ვუსამძიმრებდით, როგორც ეროსის ოჯახის წევრებს, ნათესავებს. დაკრძალვის დღეს ფერმიხდილი გურამი ნერვიულად მიმოდიოდა კულისებში, ბოლოს სცენაზე ჩადგა მეგობრებს შორის. მწუხარებაში დანთქმულს ხმა არ ამოუღია, ყრუდ ქვითინებდა, თვალელებში ნაპერწკლები აღარ უელავდნენ, მის სულში რაღაც ჩაკვდა, ფრთამოკვეთილ ფრინველს ჩამოჰგავდა... მარტოსულად გლოვობდა.

ბოლო სამი ათეული წლის მაძილზე ამ გუნდიდან ყველა შემოეცალა. უზომო იყო მისი სანუხარი. რამაზ ჩხიკვაძე და გურამი ძმებავით იყვნენ შეზრდილები, ჯერ კიდევ ყმანვილობიდან. რამაზის პანაშვიდზე ფერმიხდილი და გაოგნებული იდგა. თავისი ყმანვილკაცობის, ყრმობის, სიჭარბავის თეატრს მისტიროდა, ის მისტიროდა თავისი და უახლოესი მეგობრების მხრებით ნატარებ შემოქმედებით მიღწევებს და უზომო იყო მისი მწუხარება. დაკრძალვის დღეს ორიოდ წუთით მის გვერდით აღმოვჩნდი, კიდევ ერთხელ მივუსამძიმრე, ჩუმად მითხრა: „რა ბედისა ვყოფილვარ, ყველას გამოვეთხოვე, ახლა ჩემი ჯერია“ (ეს სხვებისთვისაც უთქვამს)... რამდენიმე თვეში თვითონაც მიიცვალა..


გურამი რაინდული მეგობრობის ნიჭით მომადლებული ადამიანი გახლდათ.

ძალზე განიცდიდა ქვეყნის წაღმა-უკულმა ბედის ტრიალს. 1991-92 წლების სამოქალაქო დაპირისპირებას პირად ტრავმად აღიქვამდა. რამდენიმე ხნით შემეცნებითი ტელეგადაცემები რომ შეწყდა, სიბნელემ თითქოს შთანთქმა ქალაქი. მერე ისევე განახლდა ამგვარი ხასიათის სიუჟეტები. ერთი ასეთი გახმაურებული თეატრალური გადაცემა იყო — შეხვედრები ფიქრის გორაზე, ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლიდან, რომელსაც უძღვებოდა სოფიკო ჭიაურელი. პირველად რომ აღადგინეს ტელეგადაცემა, ეკრანზე გამოჩნდა მსახიობთა ხალისიანი სახეები, დანატრებული მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს! ისინი ერთურთს ეხვეოდნენ, ოხუნჯობდნენ, ლალობდნენ... ოპერატორი შორი ხედით გვიჩვენებდა მათს გასხვიოსნებულ სახეებს, მერე თითოეულს მსხვილი ხედით გამოჰყოფდა და ეკრანზე ჩანდა ერთად ყოფნას მონყურებული მსახიობების სიხარული! გამოჩნდა ოთახის ერთ კუთხურეში მდგარი გურამიც. გაყურებულნი მდუმარედ შეჰყურებდა კოლეგებს. როცა მისი გამოსვლის ჯერი დადგა, ოპერატორმა კამერით აღბეჭდა გურამის კაემნიანი სახე, ის არ იცინოდა, არ ლალობდა, ის ფიქრობდა. და... გაისმა მისი მტკიცე, ნაღვლიანი, დაზაფრული ხმა: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!..“ ილია ჭავჭავაძის სულისშემძვრელი სიტყვები მსახიობს ეკუთვნოდა, ახლა ის ცდილობდა, ბანგისაგან გამოეხსნა თავისი მრევლი...

გურამს გულის ფიცარზე ერის წყლული აჩნდა წყლულად. ის პატრიოტი იყო და ყველგან: სცენაზე, ეკრანზე, მიკროფონთან, კონცერტზე ამ ვნებათაღელვებით აღვსილი სიტყვით მიმართავდა თავის მაცურებელს!..

1964 წელს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე „პოეზიის საღამო“ წარმოადგინეს. კლასიკური და თანამედროვე პოეზია და პროზა რეჟისორული ჩანაფიქრით ერთიან სანახაობად იქცა. სანახაობის პროტაგონისტი გურამ საღარაძე გახლდათ. მიხეილ თუმანიშვილმა მსახიობს შესთავაზა, დარბაზიდან ასულიყო სცენაზე. სინათლის სხივით განათე-

ბული გურამი ნელა ადიოდა ფიცარნაგზე... პრემიერაზე ერთ მუშტად შეკრული სცენა და დარბაზი სრულიად საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იქცა და ეს უწინარესად გურამის დამსახურება იყო, რადგანაც... ის ნელა, დაფიქრებით, მშვიდად მიემართებოდა სცენისაკენ, პატარა კიბესთან შეყოვნებოდა და თითქოს საკუთარ მოსაზრებას უზიარებდა დარბაზს, საგანგებოდ უმხელდა: „რად ეძახიან საქართველოს მგოსანთა მხარეს?!“ მერე სულის ჭიდილთან გამობრძმებული მტკიცე ინტონაციით აგარძელებდა მაცურებელთან შესიტყვებას,



გურამ საღარაძე

ნელა ადიოდა სცენაზე და რამპასთან გამოსული სიფიცხითა და დაჯერებით ამთავრებდა ფრაზას, მერე მისი ნაჭედი ხმა მონოდებასავით ეფინებოდა დარბაზს და უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საქართველო მგოსანთა მხარე მანამდეც იყო, ვიდრე პერგამენტს გამოიგონებდნენ და პირველ სიბრძნეს ჩანერდნენ მასზე. მსახიობს სასოებით აღმოხდა: „აქ პოეზია იყო მისი შემეჭიდროება“ — მართლაც, ლოცვასავით წარმოთქვა პოეტთა მეფის შეგონება, ურვა, სიამაყე... იმედიან და მადლიერ მაცურებელს წრფელი ოვაცია აღმოსკდა და მოქმედების გაგრძელება შეუძლებელი გახდა...

როცა ფინალში მთელი დასი გამოეფინა სცენაზე, მათი ციხე-კოშკის კედელივით აღმართული რკალი გაარღვია პროტაგონისტმა, ლალი და შინაგანად გაცისკროვნებული ჩადგა შუაგულში, სულის სიღრმიდან ამოხეთქილმა ხმამ სიფიცხითა და დაქადნებით აღმოთქვა მუხრან მაჭავარიანის ლექსი რომელი მხედართმთავარსავით ხელაღმართულმა, ნაჭედი ხმით მიმართა თითქოს ფორუმზე შეკრებილ მხედრებს: „და, იარონ, იარონ, ამინ!..“ მთელი დარბაზი ფაფარაყრილ მეომრების დარად, შემართულნი და გულოვანები, მოქნულ მახვილს ჩამოჰგვდნენ... პროტაგონისტს ხელთ ეყრა სადავეები და თვალნათლივ გვიჩვენებდა, რომ ჭეშმარიტად „აქ პოეზია იყო მათი შემეჭიდროება!“ ამ აზვრითებული ვნებათაღელვების გამჩალებელი გურამ საღარაძე, დასთან ერთად, მეუფებდა სცენაზე, რადგანაც ქართული დარბაისული და დიდებული სიტყვის მადლით, პოეტური სიტყვის მადლით გაერთიანებული მაცურებელი მოქნულ მარჯვენასავით შემართული გახლდათ. გურამ საღარაძემ შეკრა, თაკარა ვნებით აღავსო სანახაობა, პოეზიად აქცია ყოველი ეპიზოდი, პროზაც კი პოეზიად აჟღერდა.

არაერთგზის მომისმენია მისი ინტერპრეტაციით ნაკითხული გალაკტიონის „დროშები ჩქარა!“ მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებში ნაკითხულმა ამ ლექსმა გრძნეული ძალითა და ელფერი გამოანათა. ახლა სხვა სიღრმე და სიდიადე ახლად დანატრებულ სიტყვებს: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“ როცა გურამი ლექსად გამოთქმულ აზრსა და ვნებას გვიზიარებდა, ყოველთვის იგრძნობოდა დრო, ეპოქა, განწყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა. მის გამოთქმულ ლექსს თან სდევდა გულფიცხი მსმენელის გულწრფელი შემართება.

ის არტისტი-ტრიბუნი იყო!..

ორი ფლე, ორი შეხვედრა

დღე პირველი

ბაღამწვარ მზეს, ბაღამწვარს?..



უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი

წინა დღით ვახტანგ დავითაია შემხვდება და მეტყვის: **ზურაბ ნიჭარაძესთან** წასვლას რომ ვაპირებდით, ხვალ ან ზეგ ხომ არ ვეწვიოთ?

მე მოვახსენებ, რომ სწორედ ხვალ და ზეგ დასავლეთში უნდა ვიყო: 28 ნოემბერს — ზესტაფონში, **უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი**, სადაც დიდი მსახიობის დაბადების დღე აღინიშნება, 29-ში კი — ქუთაისის **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი** — საკუთარი წიგნის განხილვაზე.

დიდებული გეგმები გქონია, — მომმართავს ბატონი ვახტანგი და დასძენს: „ქუთაისის სალიტერატურო ცხოვრება ძალიან გამოცოცხლდა. **თავბერიძე** ყოჩალი კაცია“. მე კი ხუმრობის გუნებაზე დავდგები და ვიტყვი, თუ რას ნიშნავს, კაცს რომ სახელი გაუფარდება — ამიერიდან ქუთაისში რაც მოხდება, ყველაფერს ელგუჯას დააბრალებენ.

...მაგრამ არის კი ეს ხუმრობა?

მშობლიური ზესტაფონი. უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი. ნამდვილი იმერული ოდა და ეზო-კარი... ჩამავალი მზის სილამაზე და ზამთრისპირის სევდა გალაკტიონის იმ სტრიქონებს გაგახსენებდათ, მტვრად და ნაცრად ქცეულ ფიქრებს რომ მიმართავს: **„რად მიჰყვებით ასე მკაცრად, ჩამავალ მზეს, ჩამავალს“**...

ჩვენ კი აქ სწორედ იმან ჩამოგვიყვანა, რაც მტვრად და ნაცრად არასდროს იქცევა.

რამდენ მსახიობს თუ რეჟისორს დაუჩივლია თეატრალური ხელოვნების უნუგეშო წარმავლობაზე, მაგრამ უშანგი ჩხეიძე ის სიდიდეა, ამ ეფემერულობას რომ ამარცხებს: მისი სახლის სარდაფში მოწყობილ შესანიშნავ თეატრონში ჩამავალზე კი არა, „გაღამწვარ მზეზე“ უნდა ვისაუბროთ.

ეს **როსტომ ჩხეიძის** ახალი წიგნის სათაურია, დიდ მსახიობს რომ ეძღვნება.

იონა მეუნარგია წერს, ბარათშვილის გვარს საქართველოსთვის ერთი დიდი პოეტი ემართაო.

საინტერესოა, რამდენი დიდი მოღვაწე ემართა საქართველოსთვის ჩხეიძის გვარს. სხვათა შორის, 28 ნოემბერი **ოთარ ჩხეიძის** დაბადების დღეც არის.

დიდი მსახიობი და დიდი მწერალი!

აქ, რა თქმა უნდა, დიდი რეჟისორიც გაგვახსენდება, არაერთი შესანიშნავი მსახიობიც, სხვა დარგთა მოღვაწეიც...

...როსტომსაც ემართა უშანგი ჩხეიძეზე წიგნის დაწერა. ის ხშირად გვანებიერებს ბიოგრაფიული რომანებით, ამ წიგნს კი **„უშანგი ჩხეიძის ბიოგრაფიული ნატყეხები“** უწოდებ. ვინც წიგნს წაიკითხავს, ამას უთუოდ თავმდაბლობად ჩაუთვლის, რადგან „ნატყეხები“ ისე ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, რომ მთლიან მხატვრულ ქსოვილს ქმნიან.

ამ ქსოვილში ბუნებრივ ორნამენტებად ჩანს ყველა და ყველაფერი — ანოტაცია, ეპიგრაფი, მკითხველისადმი მიმართვა, ბიოგრაფიული დეტალებიც.

ამ ქსოვილში ასევე ორგანულად ეწერებიან დიდ მსახიობთან დაკავშირებული პიროვნებანი, მათი ვნებანი და ქმედებანი. აქ თვით **როდენიც** კი აუცილებელი პერსონაჟია.

ყველა, ყველა და როდენი მაინც რით უკავშირდება უშანგი ჩხეიძეს?

რით და შემოქმედებითი მრწამსით, რომელსაც ფრანგი მოქანდაკე ასე გამოთქვამდა:

„ისე გააკეთე, როგორც არის, მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე. ბუნება მღერის, იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა“.

როდენის ეს ფორმულა როსტომ ჩხეიძეს უშანგის ინდივიდუალურობის გასაღებს აპოვებინებს.

„ისიც ასდევდა ამ სიმღერას, იმეორებდა მის მელოდიას, ოღონდ უფრო ხმამაღლა და ამიტომაც მიაღწევდა ისეთ სცენურ სიმართლეს, ყოფით რეალობას რომ ნააჭარბებდა“.

ამგვარ ახსნას კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის ის, რასაც თვითონ უშანგი **კოტე მარჯანიშვილზე** ამბობს:

„მისი სცენიური სიმართლე იყო ბევრად უფრო მახვილი, ხაზგასმული, ზეანეული, ვიდრე სინამდვილე. მას ჰქონდა თავისი თვალთახედვა, რაც მისი აზრით იყო მთავარი, არსებითი, იმას გირჩევნებდათ ხაზგასმით, პირველი კლანი“.

მარტო ეს ახსნა, ეს აღმოჩენა ეყოფოდა ერთ ბიოგრაფიულ რომანს, თუნდაც ავტორი „ნატყეხებს“ უწოდებდეს.

ამ წიგნმა, როდენის, მარჯანიშვილისა და უშანგის ამ ფორმულებმა მე თვითონ როსტომ ჩხეიძის ინდივიდუალური სტილის განმსაზღვრელი თვისებაც მაპოვინა:

როცა წერს, როსტომიც ბუნების სიმღერას ასდევს. მის მელოდიას იმეორებს. ამიტომაც არის მისი სტილი ასეთი განსხვავებული, „უფრო მახვილი და ხაზგასმული, ყოფით რეალობას საკმაოდ რომ ნააჭარბებს“...

„გაღამწვარი მზის“ წარდგინებას საღამოს მეორე ნაწილი დაეთმობა. მანამდე კი **ემა ქლიბაძე** და **მალხაზ მაჭავარიანი** ლიტერატურულ კომპოზიციას წარმოგიდგენენ, ძირითადად, მწერალ **ანდრო თევზაძის** მოგონებებზე აგებულს. აქ კოტე მარჯანიშვილის ფილმის „კომუნარის ჩიბუხის“ ფრაგმენტსაც ვნახავთ და თეატრის დიდი რეფორმატორის კინემატოგრაფიული აზროვნებით კიდევ ერთხელ განვცვიფრდებით. მშვენიერი პატარა ბიჭი სათაგურიდან გამოღებულ პურის ნამცეცს შეექცევა. „რამეთი ჩამოუფარდება ეს კადრი ჩაპლინის შედეგებს?“ — იკითხავს როსტომი, რასაც ყველა უყოყმანოდ დაეთანხმება.

შემდეგ **რევაზ ლალიძის** უკვდავ „**განთიადს**“ მოვისმენთ, აკაკის ლტოლბერი შედეგზე შექმნილს, მეათე კლასის მოსწავლის **ნინო ხუსკივაძის** შესრულებით.

არ გინდა, ნანი ბრეგვაძის სამშობლოში ამის გაბედავა?! მურმან ლებანიძე გაგახსენდება: „არაერთი ზედ მიემსხვრა გემი“ (ანუ მომღერალი)...

სრულყოფილ შესრულებაზე, რა თქმა უნდა, ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ გოგონას ვოკალური მონაცემები ყველამ აღიარა. ისიც აღნიშნეს, კარგი პედაგოგის ხელში ნამდვილ მომღერლად ჩამოყალიბდებო.

ვუძღვნი უშანგი ჩხეიძეს

ჰამლეტი, ანუ სცენიდან ნასაკითხი რამინისცანცია

...ვფიქრობ და თითქოს ეჭვები მფარავს, —
 ეჭვი ასუსტებს გონების ნათელს...
 დღისით სიგიჟეს ვიყენებ ფარად,
 სიკვდილ-აჩრდილთან ღამეებს ვათევ.
 და შურისგების მიხურულ კართან
 ვჭკვრეტ, რომ წინასწარ განსაზღვრულია
 მოქმედებები, სიზმრებით გვმართავს
 ბრმა ბედისწერა... (ყოფნა კრულია)...
 განგების ხელით გვსჯის მოქმედება
 და საკითხავი წყდება არყოფნით,
 ისრწნებ-იშლება და მზის ქვეშ ლეება
 კაცთა ცხოვრება — ცოდვის ნაყოფი...
 და თუკი ვამხელ, მყის დავეცემი
 სულშეხუთული გარყვნილთა შხამით...
 ზეცას ვერვინ თვითმკვლელის გვემით,
 მკვლელ დედამინას კი მკვლელის წამით
 ვერვინე... და ან უცრემლოდ ვგლოვობ
 სიყვარულს, ცრემლით ვინც მიმატოვა...
 აქ კი გაგიმხელთ და საბოლოოდ:
 მხოლოდ ვთამაშობ თქვენს თვალწინ გლოვას...

მალხაზ მაჭავარიანი

ამაზე ჩვენ ვიზრუნებთო, — თქვა გოგი ქავთარაძემ, ვი-
 საც მართო მასზე კი არა, მთელს ზესტაფონის რაიონზე (ახლა
 რომ მუნიციპალიტეტს უწოდებენ) ზრუნვა ევალება: ის ხომ
 მაჟორიტარი დეპუტატია.

ამ საღამოს კი ბატონი გოგი ორმაგი ვალით ესრებოდა —
 როგორც მაჟორიტარი და, რაც მთავარია, როგორც საქართველოს
 თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

...მალხაზ მაჭავარიანის ლექსსაც მოვისმინეთ და ჩხეიძეთა
 ერთ-ერთი შთამომავლის, ქალბატონ მაია ჩხეიძის სამად-
 ლობელსაც — ამ მშვენიერი საღამოს გამო...

მეორე ნაწილი კი, უკვე ვთქვით, „გადამწვარ მზეს“ დაეთ-
 მობა...

ნიგნს ავტორი თავად წარადგენს.

შემდეგ მე ვისაუბრებ ძირითადად, იმაზე, რაც თქვენც
 გითხარით: როდენისა და უშანგის ფორმულებზე, მარჯანიშ-
 ვილის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის საიდუმლოზე,
 როსტომის სტილზე, ანუ ჩემს „აღმოჩენაზე“...

ბოლოს კი ეზოში მდგარ პატარა, ბუხრიან ქოხში, მამაპა-
 პურ ტაბლასთან გადავინაცვლებთ.

იმერულ სუფრას ზესტაფონის კოლორიტი თამაზ ბეჟუ-
 აშვილი გაუძღვება. ენაწლიანი თამადა სადღეგრძელოზე
 მეტ დროს გალაკტიონის ლექსების კითხვას დაუთმობს...

და ეს იქნება არა ჭამა-სმა, არამედ ისეთი მცირე ლხინი,
 უშანგი ჩხეიძის დიდ სახელს რომ ეკადრება. ამ მცირე ლხინს,
 ისევე როგორც მთელი ამ დღის მშვენიერებას, თან სდევდა
 მთავარი მასპინძლის — სახლ-მუზეუმის დირექტორის თა-
 მარ არაბიძის გულითადი ღიმილი...

გარეთ კი უკვე ჩამონოლილიყო ნოემბრის უმთვარო ღამე,
 რომელსაც რაღაც უჩვეულოდ ანათებდა.

რაღაც კი არა, მზე.

უშანგის მზე.

გადამწვარი, მაგრამ მზედ დარჩენილი.

იოსებ ჭუმბურიძე

დღე მეორე

„ნათა ჩამი ლეჰტორი ყოფილიყავით!“

სავარდო და სამაისო ქუთაისი ნოემბერშიც ხელგამლილი
 ხვდება სტუმრებს. უყვართ აქ ნიგნი, მწერალი, ქართული სიტყვა.
 უყვართ და აფასებენ ქვეყნის ჭირისუფალთ, სამშობლოზე მო-
 ფიქრალთ, ერისთვის მზრუნველთ. 29 ნოემბერს იოსებ ჭუმბური-
 ძის ნიგნის წარდგინება გაიმართა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტ-
 ში. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზმა უმასპინძლა „ინტე-
 ლექტის“ მიერ „ჩანაწერების“ სერიით გამოცემულ ნიგნს „არ ეწყი-
 ნება ყოვლადღიერსო“. მანამდე კი ადგილობრივმა ტელევიზიამ
 („რიონი“) მიიწვია ბატონი იოსები. დილის გადაცემის წამყვანმა
 ნინო ნებიერიძემ მცირე ინფორმაციის შემდეგ მიკროფონი ჯერ
 ელგუჯა თავბერიძეს დაუთმო, ვის სიტყვისაც სიამოვნებით ისმე-
 ნენ და ენდობიან არამარტო ქუთაისში (და, ცხადია, არამარტო
 იმიტომ, რომ ბატონი ელგუჯა წლებადელი „საბას“ მფლობელია).

შემდეგ თვითონ ავტორსა და კიდევ ერთ მწერალს, როს-
 ტომ ჩხეიძეს ვუსმენთ. სოსოს უჩვეულო დღევა გადაფარა ბა-
 ტონი როსტომის ჩვეულმა ღრმა, ანალიტიკურმა და იმავდ-
 როულად ემოციურმა საუბარმა...

12 საათზე უნივერსიტეტში შეხვედრა გახსნა პრორექტორმა
შალვა ლავთაძემ, მან აუდიტორიას გააცნო სტუმრები, რომელ-
 თაც საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია იცნობს ნიგნები-
 თა და წერილებით და ზეპირი გამოცხადებით. ბატონმა შალვამ
 ზეიმი უწოდა იმდღევანდელ შეკრებას, რასაც უშალ დაეთანხმა
როსტომ ჩხეიძე, რომელიც გაუძღვა კიდევ შეხვედრას.

არიან მწერლები, რომელთა ნიგნის გამოსვლა მართლა
 ზეიმი. დღეს ბევრი კარგი ნიგნი გამოდის, მათ შორის არის
 გამორჩეულნიც. ასეთია სოსო ჭუმბურიძის „ჩანაწერებიც“,
 — ასე დაიწყო საუბარი ბატონმა როსტომმა. შემდეგ საყუ-
 რადღებოდ მიმოიხილა ჟანრის ისტორია და მასთან მკითხვე-
 ლის დამოკიდებულება საზღვარგარეთ და ჩვენში. დაასკვნა,
 რომ ახლა უკვე ჩვენშიც აღარაა ეს ჟანრი მარგინალური, თან-
 დათან დიდი პოპულარობა მოიპოვა და რაც წინათ ხანდახან,
 ჟამიდან ჟამამდე ხდებოდა, დღეს მიზანმიმართული გახდა.

წამყვანმა ისაუბრა რა ნიგნის ავტორის შესახებ, საგანგე-
 ზოდ გაიხსენა ის ხანა, როცა ბატონი სოსო გაზეთ „თბილისს“
 რედაქტორობდა, ყურადღება მიაქცია მისი ნაწერების საზო-
 გადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობას და
 აღნიშნა, რომ სოსო განზე დგას ყოველგვარი პარტიულობის-
 გან, მიკერძოებისგან, ჯგუფობრიობისგან.

ეს ნიგნი კარგი მეგზურია იმ ქაოტურ წლებში გასარკვევად,
 რომელშიც გვიხდებოდა ყოფნა, — განაგრძობს როსტომ ჩხეი-
 ძე — გზის გამკვლევად კი განსაკუთრებით ახალგაზრდებს გა-
 მოადგებათ. არსებობენ ჩვენს სინამდვილეში მწერლები, ყურ-
 ნალისტები, რომლებიც მიყურადებულნი არიან ხელისუფლე-
 ბას, ბატონი სოსო კი იქით კარნახობს ხელისუფალთ. მას, რო-
 გორც ხდება ხოლმე, მართლის თქმას არ პატიობენ, ფიზიკური
 თავდასხმაც კი მოუწყვეს, მაგრამ მან კრიტიკული პათოსი —
 შეჩერების ნაცვლად — კიდევ უფრო გაამძაფრა. დიდ საქმეს
 აკეთებს მშვიდად. თუმცა გაზეთი დაიხურა, მაგრამ სამაგიე-
 როდ ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ შეიძინა ამის
 შემდეგ ერთი მძლავრი კრიტიკოსი სოსო ჭუმბურიძის სახით.

ელგუჯა თავბერიძემ და როსტომ ჩხეიძემ ჯერ კიდევ დი-
 ლის სატელევიზიო გადაცემაში შეადარეს სოსო ჭუმბურიძე
 ნიკო ლორთქიფანიძეს. მაშინ, მაგონი, ავტორსაც ყური მოჭრა
 ამ შედარებამ, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი უხერხულო-
 ბისგან შეიმშუშა კიდევ. უნივერსიტეტში კი ბატონი როს-
 ტომი დაბეჯითებით იმეორებს: ის, რაც თვითონ სოსოს პუბ-
 ლიცისტიკა ეგონა, პოლიტიკური მინიატურები თუ დოკუმენ-
 ტური პროზა. თავის დროზე ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდე-
 ბა საქართველო“, მინიატურის კლასიკური ნიმუში და შედეგ-
 რი, გამოქვეყნდა, როგორც პუბლიცისტური წერილი.

სავსებით გასაგები და დასაბუთებული მსგავსება აღარც
 ყურს ჭრის ვინმეს და აღარც ეუბნებება (თავმდაბალი ავ-
 ტორის გარდა).



ელგუჯა თავბერიძე, შალვა ლავთაძე, იოსებ ჭუმბურიძე, როსტომ ჩხეიძე, ნინო ვახანიანი

ახლა ელგუჯა თავბერიძე მიმართავს მსმენელთ: ვისაც ხვალ და ზეგ უკეთესი საქართველო უნდა, ეს წიგნი უნდა წაიკითხო. სოსოსთვის დამახასიათებელია „მართლის თქმის“ პრინციპი. რასაც ამბობს, შთამბეჭდავად ამბობს. ფრაზა ისეთი ფრთხილია, ისეთი ელასტიური, რომ გამოთქმაც გამახსოვრდება და ამბავსაც გამახსოვრებინებს. დიდი პერიოდის (1996 წლიდან 2012-მდე) სიმართლეს ამბობს შეუღალაზებულად და მიმზიდველად. ძნელია დანერო თუნდაც მცირე ჩანანერი, თუ პროვინებას კარგად არ იცნობ. დანახვა, შემჩნევა, მწერლის ალო უნდა იმას, რასაც სოსო წერს. იგი ხატავს მთელ ეპოქას. ყოველ შტრიხს აქვს თავისი დანიშნულება. სოსო დაუბრუნებელია. როცა საქმე ქვეყნის ინტერესების დაცვას ეხება, განათლების მინისტრსაც არ ერიდება. აშკარად და თვალმისაცემად იკვეთება ავტორის პოზიცია და იგი ყოველთვის ეროვნულია.

სოსო სათაურების შერჩევის ოსტატიაა. მინიატურების სათაურები ისეა მიგნებული, მორგებული შინაარსს, რომ მუდმივად თან დაგყვება.

სოსო დიდი განათლებისა და ცოდნის კაცია. ეს წიგნი კი ახალგაზრდებისთვის იმითაც არის საყურადღებო, რომ ხელს შეუწყობს დაოსტატებაში, წერას ასწავლით.

ქუთაისის უნივერსიტეტის ლექტორი, შესანიშნავი მწერალი და კრიტიკოსი **გია ხოფერია** თავის გამოსვლას იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ხუთ წუთში შეუძლებელია მთელი ათი წლის ჩანანერები შეაფასოს კაცმა, და მერე განაგრძობს:

— ნერო ცოცხალ ადამიანზე იმას ჰგავს, შიშველი ფეხებით რომ ცეცხლზე იდგე. ნერ იმ წრეზე, რომელიც შენს ირგვლივაა, მოქმედებს, საზოგადოებრივ ასპარეზზე... ბევრი საყვედურს გეუბნება, გემუქრებიან კიდეც... ბატონი სოსო კი არც პოლიტიკოსებს ერიდება და არც სხვადასხვა რანგის მოღვაწეთ. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის ჩანანერები მწერლებზე — მურმან ლებანიძეზე, ანა კალანდაძეზე. მიუხედავად ღრმა პატივისცემისა, თავგანებამდე მისული სიყვარულისა, ავტორი, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ეკამათება კიდეც მურმან ლებანიძეს.

შეიძლება ვეება წიგნები წაიკითხო, მაგრამ გამომშრალი, სულგამოცლილი. სოსო მოკლედ წერს და ძალიან ცოცხლად. ყოველგვარ მატერიალურ შემწეობაზე მეტია სიტყვით გამომხატული თანაგრძობა. მოყვასის შეჭრების გამო კაცს რომ ცრემლი მოსდის, ყველაზე დიდი დახმარებაც ესაა. ამ ტიპის ნაწერში ყველაფერს დიდი გაზომვა სჭირდება, ფესვები სჭირდება, ღმერთმა ხელი მოუშაროს სოსო ჭუმბურიძეს წერასა და ბრძოლაში.

ლუკა დვალისვილი, მკვლევარი, ლიტერატურის კრიტიკოსი, რომელიც ყველას მიმართ არ იმეტებს აღმატებულ შეფასებას:

— სოსოს ერთი სხარტულაც რომ წაიკითხო, მერე წიგნს ვერ მოშორდები. რა დასამალია და ზოგჯერ გვინევს თავის გამამაცურება და იმის თქმაც, რისიც არ გვჯერა. თავს იმით ვიშაროლებთ, რას ვიზამთ, კაცნი ვართო. სოსო კი ყოველთვის იმას წერს, რასაც ფიქრობს. იგი სიტყვის კაცია. ჟურნალისტიკა არის და ადამიანიც.

მე თუ მკითხავთ, მწერლობაზე უფრო დიდი სოციალური მეცნიერება არც არსებობს. ნაპოლეონს უთქვამს, ორი გაზეთისა უფრო მეშინია, ვიდრე კარგად შეიარაღებული ჯარისო. ცხადია, წყალმაჭარა გაზეთს კი არ გულისხმობდა, არამედ აქტიურ, ცოცხალ, ძლიერ გაზეთს.

მთავარი ჟურნალისტიკაში მაინც ინფორმაციაა, მაგრამ სოსოსთან ის საოცარი ჩუქურთმა-ვარაყითაა შემკული. „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“, — შესთხოვდა უზენაეს რუსთაველი. ამ გზაზე მავალი კაცია სოსოც, რომელსაც სამივე თვისება აქვს. ყველა ადამიანში არის ფარულად ვაჟკაცობაც და შიშიც, ლომიც და კურდღელიც. როცა საქმე საქმეზე მიდგება, ამ წიგნის ავტორში ყოველთვის ვაჟკაცური სანყისი იმარჯვებს. მის გვერდით ყოფნას ჭირშიც ინატრებ და ლბინშიც. სამშობლოსა და ჭეშმარიტების ურთიერთმიმართების შესახებ ყველანი დავფიქრებულვართ და ალბათ ბევრს გასჭირვებია

გადამწყვეტი პასუხის გაცემა. როცა სოსო 9 აპრილის ღამეს ისვენებს ძალიან დელიკატურად, ფაქიზად ეპყრობა საკითხს.

საერთოდ, მთელი წიგნი ისეა აგებული, თითქოს ყურძნის აკიდო, ჩხა იყოს ასხმული, ესთეტიკურად ლამაზი და სასიამოვნო. ყველგან თვალნათლივ ჩანს ავტორის ნიჭიერება, კარგი გული და აკადემიზმი.

ამდენი კარგი გამოსვლის შემდეგ მეც მეძლევა შესაძლებლობა, აუდიტორიას მივმართო. ვამბობ, რომ რამდენიმე მინიატურის სათაურში ვკითხულობთ სიტყვას „სამშობლო“. იქაც, სადაც ასე პირდაპირ არ წერია, აუცილებლად იგულისხმება. სამშობლო იოსებ ჭუმბურიძისთვის მართლაც უფალივით ერთადერთია. იგი ყველაფერს ზომავს და აფასებს მამულიშვილის თვალთა და პოზიციით. როგორც მეტროლო პუბლიცისტს, მას ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს ვადარებ. რა თქმა უნდა, ვიმეორებ მრავალგზის აღნიშნულსაც — ეს ჩანანერები კომპოზიციურად შეკრულია და ნოველებს (თუ მინიატურებს) უფრო ჰგავს. გულწრფელად ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ სოსო ჭუმბურიძეს პირადად კარგად ვიცნობდი, წიგნმა მაინც სხვა ადამიანი, სხვა პიროვნება გამაცნო და დამანახა. ძალიანაც არ გამეკვირვებია, უფრო გამიხარდა ასეთი მეტროლო და შეუპოვარი ჟურნალისტიკის გაცნობა, რადგან სამშობლოს დასაცავად ნებისმიერი ბრძოლა საპატიო და ღირსეული მოვალეობა მგონია თითოეული ადამიანისა, და ასეთ მწერალთან მეტრობობა ჩემთვისაც საამაყოა.

ამ წიგნით ბატონი სოსო მკითხველსაც ასწავლის სამშობლოს სიყვარულს, რომელიც მარტო სიტყვით კი არა, საქმიანაც უნდა გამოიხატოს. მიმაჩნია, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფართო ტრიბუნა ანუ აუცილებლად რედაქტორობდეს გაზეთს ან ჟურნალს.

შემდეგ **ლია კუხიანიძე** ვუსმენთ, რომელიც მსგავსი სალიტერატურო შეხვედრების თაოსანი თუ არა, აქტიური მონაწილე მაინც ყოველთვისაა:

— ნარდგინების დროს, ჩვეულებრივ, უარყოფით აზრს არ გამოსატავებ ხოლმე, ეს დაუნერული წესია, მაგრამ დღეს აქ არ თქმულა არცერთი ლიტონი სიტყვა. ჩემი და სხვა გამომსვლელთა აზრი ემთხვევა ერთმანეთს. წიგნი ისეთი მრავალსპექტრიანია, არც კი იცი, რა კუთხით გააანალიზო. სოსოს ქვეყნის სატიკვიარი გულთან ისე მიაქვს, როგორც საკუთარი. ისეთ არეულ დროში ვცხოვრობთ, რომ რამდენიმე, ჩემი აზრით, ოდიოზურ პიროვნებას ყველაფრისმცოდნედ მივიჩნევთ, ყველაფრის შესახებ აზრს ვეკითხებით და უკრიტიკოდ ვიზიარებთ. ბატონი სოსო ბედავს გააკრიტიკოს ისეთი ადამიანებიც, რომელთა ნათქვამსაც რატომღაც კანონის ძალა აქვს. ამის დამწერს სულ მზად უნდა ჰყავდეს შეკაზმული ცხენი. სოსო კი მაინც წერს, იმიტომ, რომ გაბედული კაცია და ვაჟკაცია.

ამავე დროს მგრძობიარე კაცია და პოეტი. თუმცა მისი ლექსების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ისე ახლოს მივიდა ანასა და მურმანთან, რა თქმა უნდა, თვითონაც პოეტია.

ბატონმა სოსომ იცის, რომ არსებობს ისეთი სინამდვილე, რომლებსაც კაცი მარტივად და თამამად არ უნდა შეეხოს. ვაჟა თამარს ქებას ვერ უბედავდა, სიტყვები საქებრად არ ჰყოფნიდა, ლაშა ბულაძეს კი ჰყოფნის სიტყვები სალანძღავად. ამით წიგნის ავტორი, ცხადია, აღშფოთებულია.

ერთგან კითხულობს, ვინ უსმენს ილიასო. ბატონო სოსო, თქვენ უსმენთ ილიას, — გიპასუხებთ მე. მინდა მოვესწრო ისეთ გაზეთს, რომლის რედაქტორიც თქვენ იქნებით.

— ჟურნალისტიკა მებრძოლი პროფესიაა და რთული პროფესია, — კვერს უკრავს გამომსვლელთ **იოსებ ჭუმბურიძე** და იხსენებს: თამაზ კვაჭანტირაძის უღირსი მოქმედების წინააღმდეგ მიმართული წერილი ვერ დავებეჭდე გაზეთ „თბილისში“ მაშინ, როცა მე იქ რედაქტორის მოადგილე ვიყავი. „შანსის“ რედაქტორმა, ბონდო ქურდაძემ დამიბეჭდა. ჩვენ ვერ გავებეჭდეთ.

სინანულს და მადლიერებას ერთად ვგრძნობთ მის ნათქვამში.

ორატორად შესახებელი ავტორი შიგადაშიგ საკუთარ მიმართულებას გვიკითხავდა გულშიწამწვდომად. „პომპიას ლალატიდან ჩვენს უმნიშვნელოებამდე“, „ვაჟა კი ქებას ვერ უბედავდა“, „სამშობლო და ჭეშმარიტება“, „მოკლედ თქმის ხელოვნება“ და სხვა.

ჟურნალისტიკის არტისტულმა მონაცემებმა, აუდიტორიის განსაკუთრებულმა ინტერესმა და ყურადღებამ, დარბაზში შესანიშნავი მწერლისა და ან უკვე მსახიობისაც, **გიზო თავაძის** ყოფნამ ბატონ როსტომს ორიგინალური იდეა შთააგონა, რომელიც ასე გაგვაცნო: ამ ჩანაწერებზე შეიძლება მშვენიერი ლიტერატურული კომპოზიცია აიგოსო, — და იქვე დავგიბეჯეთა: შეიძლება კი არა, აუცილებელიცააო.

ბატონმა შალვამ დასასრულ მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს, ავტორს, სტუმრებს, ჟურნალისტიკის დეპარტამენტს და ბატონ სოსოს უნივერსიტეტის სახელით საჩუქრები გადასცა.

შთაბეჭდილებებით დატვირთულთ დღე დამთავრებული გვეგონა, რომ დილის გადაცემით მოხიბლულმა სხვა ჟურნალ-

ლისტებმა — **ხათუნა არბოლიშვილმა** და **მიმი ჯავახიშვილმა** ახლა შუადღის გადაცემაში მიიწვიეს ბატონი სოსო.

— ძალიან გამანებივრა ქუთაისმა... განსაკუთრებით ამალელებელი გამოდგა შეხვედრა იმ დარბაზში, სადაც დავითისა და კონსტანტინეს ძვლები ესვენა ერთ დროს, — ამას გრძნობამორეული სოსო ამბობს ეკრანიდან.

ღია კუხიანიძე კი: საქართველოს ამდენი ჟურნალისტი არასოდეს ჰყოლია, თუმცა არც ისეთი დრო ყოფილა, რომ საძებარი გამხდარიყო პატიოსანი ჟურნალისტი.

სწორედ სოსოა ასეთი ზნეობრივი ადამიანი, რომლის ნაწერებშიც არ არის ისეთი ინფორმაცია, ხვალ რომ მოძველებულად მოგვეჩვენოს.

კარგა ხანია სტუმრებისათვის განკუთვნილი დრო ამოიწურა, ნამყვანები კი ვერა და ვერ ელევინა სოსოსა და ლიას. მიმი ჯავახიშვილი იმასაც კი ეტყვის: ბატონო სოსო, ნეტა ჩემი ლექტორი ყოფილიყავითო! ყოველ შეკითხვას საინტერესო პასუხი მოსდევს, ყოველი პასუხი ახალ შეკითხვას იწვევს. ხომ უნდა დამთავრდე მაინც გადაცემა და საფინალო აკორდად სოსო ჭუმბურიძე გიდე მოპასანს მოიხმობს, რომელიც შეგვაგონებდა, თუ გაზეთი ვერ შეძლებს სიმართლის თქმას, სჯობს დაიხუროს, ხოლო თუ მთავრობა დახურავს მას, მით უარესი მთავრობისათვისო.

გასრულდა ესე ამბავი... მოვდივართ და, ცივი და ღრუბლიანი ამინდის მიუხედავად, თან მოგვდევს ქუთაისური სითბო და გამორჩეული მადლი.

ერის გონების თვალის ახელილია თუ არა, ამას ილია ჭავჭავაძე იმითაც ზომავდა, როგორ ხვდებოდნენ ამა თუ იმ ქალაქსა თუ სოფელში მწერალს.

ფიზიკური და გონიერი თვალი ადვილად არჩევს ავსა და კარგს. მოუთმენლად ველოდებით, როდის მოგვინვევენ ქუთაისში ახალი ლიტერატურული კომპოზიციის სანახავად. იმედი გვაქვს, ძალიან მალე.

ნიკო ვახანიანი

ლიქცია ქართულ ეთნოგენეზზე

ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში მოხსენება ნაიკითხა **გურამ ყორანაშვილმა**. მოხსენების თემა იყო „ქართული ეთნოგენეზის საკითხი“.

საღამო კვლევის ავტორმავე გახსნა და დამსწრეებს 84-გვერდიანი ნაშრომი წარუდგინა. საკითხი, რომელიც ამ ნაშრომშია განხილული, არ არის ახალი. მას უხსოვარი დროიდან იკვლევდნენ და პირველად ჰეროდოტესთან გვხვდება. ავტორის თქმით, უამრავ მეცნიერს უფიქრია ამ პრობლემაზე, მაგრამ დღესაც ბუნდოვანია ის, თუ საიდან მოვიდნენ ქართველები. ბატონმა გურამმა მიმოიხილა ლეონტი მროველის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი მელიქიშვილისა და სხვათა მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისი კვლევა იმით არის საინტერესო, რომ ემყარება რეტროსპექტულ მეთოდს. ეს მეთოდი მარტივიდან რთულისკენ, დღევანდელიდან წარსულისაკენ სვლას გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, გამყარებულია ცოდნითა და აზროვნებით. მკვლევარის აზრით, ამ საკითხის ერთი კუთხიდან შესწავლა არაფერს მოგვცემს. ის უნდა იქნეს შესწავლილი მრავალი კუთხიდან, რაც შესაძლებელია მხოლოდ „უზარმაზარი ცოდნის შეჯამებითა და ლოგიკური აზროვნებით“. ამ მეთოდს ემხრობოდა ილია ჭავჭავაძეც.

„იმ დროს როდესაც რუსი მეცნიერები ქართველებს არ სწყალობენ, ამერიკელები გვაიგნორებენ, სკოლის სახელმძღვანელოში კი იმდენად გაუგებრადა ეს საკითხი ახსნილი, რომ მოსწავლე ვერაფერს იგებს, სწორედ დროა, რომ ხელი მოვიკიდოთ ამ საკითხის ღრმად შესწავლას“ — გულისტკივილით აღნიშნავს მკვლევარი და იქვე დასძენს, რომ შვიდი წლის მუშაობის შემდეგ, კომპლექსური კვლევის მეშვეობითა და

ტოპონიმებზე დაკვირვებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართველთა ეთნიკური ერთობა იწყება ქვემო ქართლიდან მეორე ათასწლეულის დასაწყისში.

მოხსენებას ესწრებოდა არქეოლოგი **გიორგი მინდიაშვილი**. მან ზოგადად ისაუბრა ქართველთა ეთნოგენეზის საკითხზე და არქეოლოგიის უმნიშვნელოვანეს როლზე ამ საკითხის კვლევის დროს.

სიტყვით გამოვიდა ცნობილი ეთნოლოგი **ლევან ფრიძე** და დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ დღესდღეობით არ არსებობს ისტორიოგრაფიის მეცნიერული კატალოგი. არ იწერება ლირებული სამეცნიერო კვლევები, მიუხედავად იმისა, რომ 22 წელი გავიდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. მეცნიერმა მოუწოდა იქ მყოფ საზოგადოებას, რათა დასხდნენ და ერთად იმუშავონ ამ საკითხზე. ბატონ გურამს კი მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი ღრმა და მნიშვნელოვანი ნაშრომი შესძინა მეცნიერებს.

„აღარ არიან ისეთი ადამიანები, ვინც კომპლექსურად შეისწავლის ამ საკითხს. არ არსებობს კრიტიკა, პროფესიონალური მიდგომა. იაფფასიანი თემებია დღეს პოპულარული. ჩვენ დიდი კულტურის მქონე ვართ, რომელიც არაა შესწავლილი.“

მე გაფასებთ იმის გამო, რომ შეგიძლიათ ღრმა კვლევა, უზარმაზარი ინფორმაციის სისტემატიზაცია. ამ ყველაფერს ერუდიცია და მახვილი გონება სჭირდება“ — ასე შეაფასა მოხსენების ავტორი **ვაჟა კიკნაძემ**, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა.

საღამოს ესწრებოდნენ ისტორიკოსები: **ბექან ხორავა**, **დაზმირი ჯოჯუა**, **კობა ოკუჯავა**, ფილოლოგი **თამარ ჭიჭიშვილი**. მათი აზრითაც, მოხსენება საინტერესო და მრავლისმთქმელი იყო.

მერი გოგილაშვილი

მურმან ჯგუბურია

„მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“

ანუ

**ზოგი რამ სულიერი საკარმიდამო და
სადღეღამისო საკითხავის შესახებ**

ეგება უკვე დაუნერიათ, ეგება მეშველა-მეთქი...
ოთარ ჩხეიძე

ჩემი რჩევაა, რაც ძალიან, ძალიან გტკივთ და განუხებთ, იმაზე ნურაფერს დაწერო. რაც არ გტკივთ და არ განუხებთ, იმაზე ხომ არ უნდა მოცდეთ და არა. საერთოდ კი... წერა რა გამოსავლებელი იყო, ეს გამაგებინა და სხვა აღარც არაფერი მინდა.

როსტომ ჩხეიძე

საკარმიდამო ნაკვეთის არსებობა თვალნათლივით და ხელშესახებით, ხოლო სულიერი საკარმიდამო ნაკვეთი ასეთი თვალნათლივით და ხელშესახებით არც არის და ვერც ვერასოდეს იქნება.

როსტომ ჩხეიძე

1.

ნამდვილი შემოქმედი ბუნებაა.

ბუნება თავის ნახელავს (ნაწერებს), ნახატებს არ ინახავს: თესლს გალივებს, ყლორტს ამოიყვანს, გაზრდის, ნაყოფს გამოადებინებს, დაამწიფებს. ნაირ-ნაირი ფერებით შემოსავს და დაფერთხავს. ფოთლებს გააცლის. და თითოვით შიშველს დატოვებს. „გარდებს ნუ იცოდებ. კვლავაც აყვავდება გაისად“, — ჩინელი პოეტი იტყვის.

ბუნების მსგავსია უფვალი ჩვენი იესო ქრისტე. ქადაგებს, მაგრამ არაფერს არ წერს. აქედან იღებს ალბათ სათავეს ეს ჩანაწერიც, „ჩემი რჩევაა“, რომ გვეუბნება.

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

ბუნება თავის ნახელავს თავადვე შლის.

„საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“.

და მაინც:

ყველაზე მეტად (ვაჟაზე მეტადაც კი!), ალბათ ფიროსმანი ენათესავება ბუნებას. შემოქმედ-ბუნებას. არ ელოლიავენება თავის ნახატებს, „მიჰკარგ-მოჰკარგავს“, როგორც ამბობს გალაკტიონი. ხელგაშლით არიგებს თავის ნახელავებს, ან კიდევ იქვე ტოვებს, სადაც შექმნა და სადაც გამოიძინა. სად გამოიძინა? სახლი არ გააჩნია. საკარმიდამო ნაკვეთი არ გააჩნია. არ არის კერძო მესაკუთრე. სულიერი საკარმიდამო ნაკვეთი კი გააჩნია. ათასში ერთხელ, რაკილა მაინც ადამიანია და სხეული გააჩნია, თავის ნახელავებს ჭიქა ღვინის ფასად ასაღებს, ჩალის ფასად, ესე იგი, რამაც, ძვირფასო მკითხველო, ერთხელაც ასეთი ლექსი მიკარნახა:

რკალიდან: „ლექსები თბილისს“

შენ ფიროსმანი გიფორმებს დუქანს,
ჩააქვს სარდაფში ფერი და შუქი.

ლუკმა პურზე ცვლის დიდებულ ტილოს
და მოგატყუოს როგორმე, ცდილობს —
და მოგასალოს ნახატი თვისი,
ნახატის მისის თუმც არ ხარ ღირსი,

**და ევაჭრები, დაგიკლოს ფასი
და ჭიქა ღვინოს უგულოდ ასმევ.**

ეძვირება მედუქნეს (ქალაქს), გენიოსის ნახელავი რომ ჭიქა ღვინოდ შეიძინოს. ფიროსმანის დარად არ აფასებს თავის ნახელავებს ვაჟა:

ჩემისთანები ბაგაზე ასი, ათასი აბაო.

„პოეტად ვიხსენიებო“, — პოეტი შოთა და დავითი არიო, მე რა პოეტი ვარო, ესე იგი.

საკუთარ შემოქმედებას როგორ აფასებთო, ეკითხებიან ერთ ნობელიანტ პოეტს. კარგ ლექსებს ვწერო, მაგრამ, ეგ არი, ჭრიჭინობელი მჯობნისო.

ჩინელი მხატვარი ცი ბაი ში მთელი თავისი ცხოვრება (თითქმის ასი წელიწადი იცხოვრა) მარტოოდენ კიბორჩხალებს ხატავდა. ამათ ვერაფერი გაუფეო. უკმაყოფილო იყო თავისი ნახელავით. თოჯინების თეატრის მესვეურს — სერგეი ობრაზცოვს მიაწოდა ერთი თავისი მონასმი (ექსპრომტად), — და ობრაზცოვს ნახატი ხელიდან გაუვარდა. შემაშინაო, ისეთი ცოცხალი იყოო.

რა მოსატანია, მაგრამ ფშავ-ხევსურეთი რომ მოვიარე, თითქმის ასამდე ლექსი დავწერე, რამაც შეიძლება ერთი მომცრო კრებულიც შეადგინოს.

რამდენიც არის ბალახი, აქ იმდენს დავწერ ლექსებს.

ვანო ამირხანაშვილის ესეიში ამოვიკითხე, პასტერნაკს უთქვამს, პოეზია ბალახიაო. ბალახშიაო.

ბალახი სულიერი არსებაა. ფეხს დაადგამ. გაივლი და ისევ წამოიშრება, წელში გასწორდება და გაკვირდება, ვინ იყო, აქ ვინ გამოიარაო.

ერთი ამერიკელი პოეტი წერს, გააჩაღეთ, ტროა, აუსტერლიცი, ვატერლოო. მე ვარ ბალახი და მე ყველას და ყველაფერს დავფარავო. და მაინც, ბალახი მარადიული არ არის. ჭკნება, ხმება, ქრება. იმიტომ, რომ იბრძვის. „მარადია ცა და მიწა, თავიანთი თავისათვის არაფერი უნდათ“ (ლაო ძი). მარადიული არიან, რადგან უანგარონი არიან. მაგალითად, მიწა სარჩო-საბადებელს აძლევს კაცის მკვლელსაც. ზარდამცემია. მაგრამ ასეა. მიწა არს ღმერთი. ასე ამბობს ბერი თევდორე. ასე ამბობს ოთარ ჩხეიძე. მთელი თავისი ცხოვრება რომ უტრიალებდა (აღწერდა) მარადსახსოვარი 24-ის აგვისტოს. და იმის კვალობაზე შექმნა 24 რომანი. ახალი „ილიადას“ 24 კარი.

24 საათი.

დღე და ღამე.

დღე-ღამე.

„Ночь. Улица. Фонарь. Аптека.“

ანუ სადღეღამისო აფთიაქი,

სადღეღამისო საკითხავი.

რუსეთის დედაქალაქში ამა სწორედში გახსნეს სადღეღამისო (24 საათიანი) წიგნის მაღაზია.

ოთარ ჩხეიძემ ძალზე დიდი ხნით ადრე გახსნა მსგავსი მაღაზია-აფთიაქი. სადღეღამისო საკითხავი 24 წიგნი-რომანი. აფთიაქი.

სამკურნალო დაწესებულება, რასაც აკითხავენ „ავადმყოფი“ მკითხველები. „ჯანმრთელ“ მკითხველებს აფთიაქი არ სჭირდებათ, და არც ახსოვთ. ანუ „ჯანმრთელი“ ადამიანი მკითხველი არ არის.

ჯანმრთელი მეტია თუ ავადმყოფი?

აი, საკითხი და საკითხის კიდევ საკითხი.

ჯანმრთელები რომ მეტნი იყვნენ, საქართველოს მაჯის შემტყობარი სადღეღამისო აფთიაქს (საკითხავს) არ გახსნიდა. გახსნა იმიტომ, რომ ავადმყოფი მეტი ეგულებოდა. გა-

ცილებით მეტი. ნაკლები რომ ჰგულუბოდა, 12-საათიან აფთიაქს გახსნიდა მხოლოდ, — 24 საათიანი გახსნა (შექმნა), 24 წიგნი დაწერა. დაწერა არა იმათთვის, რომელთაც თავიანთი, კერძო საკარმიდამო ნაკვეთი გააჩნდათ, არამედ იმათთვის, თავიანთი სულიერი საკარმიდამო ნაკვეთი რომ უნდა მოემკათ. ანუ — ნამალი. აფთიაქი. 24. სადღელამისო.

როცა გინდა მიაკითხე. ნამალი არის. „სულიერი საკარმიდამო ნაკვეთი“ — როსტომ ჩხეიძის მინაგნებია.

„დედა ნახე, მამა ნახე“, გვეუბნება ანდაზა, რომელიც ჩვენზე (კაცზე) ჭკვიანია.

2.


ოთარ ჩხეიძე, კარგად რომ გავხედოთ და გავისივრებოთ, იმდენად მწერალი კი არაა, რამდენადაც არის ნამალ-მცოდნე, მენამლე. მკურნალი-დასტაქარი. ექიმი. „ექიმთან შედარებით, იმპერატორიც არაფერია“ (ადრინაე). ექიმთან შედარებით, ანუ ექიმის მოლოდინში. მარტო მწერალი რომ ყოფილიყო, ოთარ ჩხეიძეს ის ერთი წიგნიც, „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“ რომ უნოდა, ეყოფოდა სასახელოდ, მაგრამ მან არამარტო თავისი სოფლის, არამედ ყველა ჩვენი სოფლის (ცხოვრების) ბედ-იღბალი გამოაჩინა და გამოამზეურა. გამოამზეურაში ლომის წილი, ცხადია, მზეს მიუძღვის. მაგრამ ეგაა, რომ მზეც კი, გავიმეოროთ, მზეც კი ვერ აღწევს ყველგან, ყველაფრამდე, ყველა კედელ-კუთხემდე, ყველ კუნჭულამდე, ანუ მზესაც კი რჩება მოუხილველი, მიუწვდომი ადგილები. ოთარ ჩხეიძე ნანობს თავის დღიურებში, რომ უამრავი რამ ჰქონდა კიდევ სათქმელი და მოსასწრები, და ვერ ასწრებს. დრო არა ჰყოფნის. დრო ღრუბელია, იყო და არ არის, და დროსთვის ერთია — მოასწრებ თუ არ მოასწრებ, და მწერალი ცდილობს უსულ-გულ დროის დამარცხებას. დროს უნდა აჯობოს. სხვა გზა არ არის. რაც შეიძლება მეტი უნდა გამოსტაცოს. მეტი სამკურნალო ბალახი. მეტი ნამალი. ამიტომ მწერალი ხან აქაა და ხან — იქ. ხან სოფელშია და ხან — ქალაქში, სოფლიდან ჩამოაქვს სამკურნალო მცენარეები (ბალახი), ფერი და გემო. სურნელი. ცხოვრობს. მეტი ნამალია საჭირო და აუცილებელი. სიტყვა — ქართული — ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშები. ქართული ხალხური. თუ ქართულია, ესე იგი, ხალხურია. და თუ ხალხურია, ესე იგი ქართულია. ანუ ოთარ ჩხეიძის ენა. ქართული. ქართლური. შუა-ქართლური. „გორო, ქართლის მეთაურო, შუაგულო ქართლისაო“ (აკაკი).

ერთხელ დავწერე, როგორც გორელი საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში უდრის მსოფლიოს ჩემპიონს, ასევე არ ჩამორჩება გორელი მწერალი ოთარ ჩხეიძე თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს მესიტყვეებს.

იქ. აქ.

ამის თაობაზე ამ სამი ათეული წლის წინათ ლექსი დავწერე, რაც მიუძღვენი მწერალსა და მოძღვარს. ხანმა გაიარა. და ერთ-ერთი ლექსების კრებულში ამოვიკითხე მსგავსი შინაარსის მომცველი ლექსი, რაც მეტად, ანუ უკეთ ესადაგება ქართველი მწერლისა და მოძღვრის (მენამლის) ბუნება-ხასიათს, პიროვნებას. ლექსი ასეთია, ჩემეული, მდარე თარგმანის მიხედვით:

**მთაში ავედი და ვიკითხე მოძღვარი,
მე რომ დიდი ხანი არ მყავდა ნანახი,
და მითხრა შევირდმა: „ნავიდა მოძღვარი,
რათა მოიძიოს მკურნალი ბალახი.**



**ის სადღაც ახლოა, ჩემი ვარაუდით.
წყარო რომ ჩაუდის ტყე-ჭალას წინვიანს,
მაგრამ საღამური ბინდი რომ ხშირდება,
ზუსტად მიგიითოთ მე არ შემიძლია“.**

არა ჩანს, მაგრამ ახლოა. აქვეა სადღაც. ახლოა, მაგრამ არ ჩანს. ესე იგი, არის, მაგრამ არ არის. არ არის, მაგრამ არის.

ბატონი ოთარ ჩხეიძე გამოგვეთხოვა, წავიდა, მაგრამ არ წასულა. აქვეა. აქვეა, მაგრამ აქვე არ არის.

შუალამეა. ქუჩის ფარანი ანთია. და ზედ წარწერა იკითხება: 24. ანუ სადღელამისო. ანუ ოთარ ჩხეიძის სადღელამისო შემოქმედება. ნამალი. როცა გინდა, მიაკითხე. მუდამ რომ ადგილზეა. როგორც მუდამ ადგილზეა მისი პირდაპირი შთამომავალი. როსტომ ჩხეიძე, თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მესვეური და გზის მაჩვენებელი.

მესიტყვე. არ ყოფილა შემთხვევა, „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მოვსულიყავი და როსტომი არ დამხვედროდა. მუდამ ადგილზე არ ყოფილიყო.

მამ საიდან ეს ათეულობით ტომები? — იკითხავს მავანი. საიდან? საიდან თუნდაც ეს წიგნი, აგერ, ამაღამ რომ ვკითხვლობ, „ავგისტოს შვილები, ანუ მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“, რაც დიდი ფორმატის 815 გვერდს მოიცავს. და საესეა უზარმაზარი ცოდნა-განათლებით, ინფორმაცია-ნაკითხობით და ნიჭიერებით, რაც ერთგვარად შემზარავიცაა რიგითი მკითხველისთვის ანუ ჩემთვის. არის კი წიგნი ამ სამყაროში, როსტომ ჩხეიძეს რომ არ წაეკითხოს, არ გაეჩხრიკოს და თავისი საკუთარი აზრი არ გამოეთქვას. საიდან ამდენი დრო? ასეთ უდროობაში! თუ დრო მართლა იმას არაა ჰყოფნის, ვინც არაფერს არ აკეთებს. და იმას კი მოეპოვება, ვინც საქმის ერთგულია. მაშინ რას ნიშნავს წუთისოფელი? ნამნამის მსწრობელი? თვალის ერთი დაფახულება? საუკუნე ნამიაო, მაგრამ უკულმა თუ წავიკითხეთ და გავიზრეთ, დრო მართლაც რომ თავზესაყრელად მოგვეჩვენება, ანუ, ვთქვათ: ნამი — საუკუნეა. ვისთვის. როგორ. როსტომ ჩხეიძისთვის კი, თავისი დიდი მამის კვალობაზე, ნამი სწორედ რომ საუკუნეა. და სხვაფრემ მისი შემოქმედების გასივრცელება-შეფასება არ იქნება. ასევე ვრცელი არეალი მოებმის ერთი შეხედვით სიტყვა-ძუნე შეხმინანებას: გამარჯობა-გაგიმარჯოს. რასაც ფიქრებში აუცილებლად მოსდევს: როგორა ხარ? როგორ გყავს ცოლ-შვილი? დედ-მამა? ნათესავ-მეზობლები, მეგობრები. და ასე შემდეგ, რასაც ნამიერად შემხვედრი ადამიანები არ ეკითხებიან ერთიმეორეს და ისე აუქცევენ ერთმანეთს გვერდს. მწერალი კი იმა და იმ გაფიქრებულის შესახებ გვესაუბრება (აკაკი და ილია ესაუბრებიან ერთმანეთს, სიტყვებით ერთს ამბობენ, ფიქრით კი სხვაგან არიან („Как вышедшие из тюрьмы, мы что-то знаем друг о друге“), — ამგვარი შთაბეჭდილება იქმნება, როცა კითხვლობ როსტომ ჩხეიძის პიესას ივანე მაჩაბლის გაქრობასთან დაკავშირებით შექმნილს („26 ივნისის საიდუმლო“). მაგრამ მკითხველიც არის და მკითხველიც. ზოგი მკითხველი ჯანმრთელია. ზოგი მკითხველი — ავადმყოფი. მე იმდენად ავადმყოფი მკითხველი არ გახლავართ, სამაგალითოდ ვამბობ, როგორც გახლავთ როსტომ ჩხეიძე, ანუ ამ წიგნის „მამაჩემი ოთარ ჩხეიძის“ ავტორი, მაგრამ ნამალი მართლა მჭირდება, და ამჯერად ამ ნამალს „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“ ეწოდება. მენამლე უმცროსი ჩხეიძეა, მენამლე, ანუ ავტორი სათანადოდ მოძიებული სამკურნალო ბალახებისა, რამაც შეადგინა ეს აფთიაქი, ეს წიგნი. წიგნი ხელთა მაქვს. ორივე ხელი

მაქვს დაკავებული (დაკავებული რა სიტყვაა?), ქადა ორივე ხელით იჭმევად. მე ვჭამ წიგნს. ვსვამ წამალს. და თანდათან, ვატყობ, გუნება-ხასიათი მიუმჯობესდება, სხვა მოვალეობა კარგ ნაწარმოებსა და კარგ წამალს არ გააჩნია, არ უნდა გააჩნდეს. თავით პატარა ნათურა მინთია, რომელიღაც, ჩემთვის უცნობი მწერი („ეს ხეა აკაცია, ეს რა ხეა, არ ვიცი“, ტერენტი გრანელი) — რომ უტრიალებს, აქ, ამ გადაშულ-ლაშქვულზე, აქ რა ხდება და რა ამბავიაო, ანუ, აინტერესებს. ვინ ვარ მე და რატომ მინთია ამ ღამეში სინათლე. თუ... დღე არი ახლა მისთვის და არა — ღამე? მაგრამ ეს წიგნიც რომ სადღე-ღამისა (24), როგორც უფროსი ჩხეიძის წიგნები, ხომ ცხადია...

P.S.

ეს წიგნი „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“ ოკეანეს მაგონებს. კაცია და გუნება. მე ოკეანეს (ზღვას) მდინარე მირჩევნია. ამიტომაც არის, რომ ჩემს ესეებსა და ჩანაწერებში მეტწილად დეტალებზე ვამახვილებ ძვირფასი მკითხველის ყურადღებას.

ყველა მწერალმა (წიგნმა) იცის ამა თუ იმ სიტყვის ხშირი მოხმობა-მოხსენიება, რაც საბოლოო ჯამში, თუკი კარგად გავხედავთ, შეიძლება ის კონკრეტული სიტყვა თვით მწერლის (წიგნის) ეპითეტადაც გაილანდოს. ასეთი სიტყვა გახლავთ უფროსი ჩხეიძის შემოქმედებაში: სული.

სულიერება (რწმენა. რელიგია).

გნებავთ, ეთიკა და არა ესთეტიკა, რაზედაც მიგვანიშნა ამ წიგნის დასაწყისშივე უმცროსმა ჩხეიძემ: „სულიერი საკარმიდამო ნაკვეთი“, რასაც სხვა ადგილას „სულიერი ქრონიკა“ ენაცვლება. ანუ ეს არის წიგნი, ანუ ოთარ ჩხეიძის სულიერი ბიოგრაფია, ანუ მთელი ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ისტორია, მწერლის ისტორია, რაც იტევს ლიტერატურის ისტორიას, იმ მწერლისა, რომელიც გახლდათ „სხვა სულიერი სისუფთავის პატრონი“.

ქართლის მატთანე.

საქართველოს მავისა შემტყობარი.

აფთიაქარი.

დასტაქარი.

საქართველოს მოჭირნახულე.

ა-ნიდან ჰ-ამდე რომ გადმოგვიშალა ქვეყნის ავ-კარგი. ნავიდა და დავგიტოვა უზარმაზარი შემოქმედება. სადღელამისო (24) საკითხავი.

გამიგონია, ბატონი მერაბ ბერძენიშვილი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ წიგნს — „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობს მთელი თავისი ცხოვრება, რაც გაფიქრებინებს, გამორიცხული არაა, ისეთი მკითხველიც გამოჩნდეს, მთელი თავისი ცხოვრება „ქართლის მატთანეს“ რომ ჩაუჯდეს.

მე რაც შემეხება, როგორც იქნა, გავედი უმცროსი ჩხეიძის წიგნის ბოლოში და შევბით ამოვისუნთქე. მაგრამ განა ყოველი კარგი წიგნის დასასრული — წიგნის დასაწყისი არ არის?

„ნაკითხეთ ორგზის“.

„ნაკითხეთ სამგზის“ (რობერტ ფროსტი).

ლელა ჯიყაშვილი

ერთი კაცი და სინათლე გზაზე

არასდროს მინახავს, ზღვა დაეხატოს, თუმცა თავს ვერ დავდებ, არც დაუხატავს-მეთქი... იქნებ დახატული აქვს კიდეც და სადმე, რომელიმე კედელს ამშვენებს ეს ტალღებისხმიანი, ამოხვნეშასავით უბრალო და მისთვის ბუნებრივი სურათი. მე, ყოველ შემთხვევაში, ასე მწამს — მისთვის ბუნებრივი უნდა იყოს... ზღვის საზღვრებნაშლილი სივრცე სწორედ საიმისაო. ცოტა უფრო რომანტიკული რომ ვიყო, იმასაც ვიტყვოდი, ლურჯი ზღვის ციალი მის თვალბეჭდში მიგრძენია-მეთქი, ყველა დაიჯერებდა, მი-თუმეტეს, რომ თვალის ფერიც შეესიტყვებოდა ნათქვამს... მაგრამ არ ვიტყვი, იმიტომ, რომ ტყუილი იქნება. ასე არ ყოფილა!

მე ზღვა გია მირზაშვილის სურათებში ვნახე. და კიდეც მის სტრიქონებში — გინდა ლექსები დაარქვით, გინდა — ფიქრები. იმ მარტივ შეკითხვაშიც ამოვიკითხე, ბათუმში ესენინის სახლს რომ ეძებდა და მოხუცმა კაცმა რომ უპასუხა: დამალენ, ბაბუაო...

იქნებ ის სახლი რომ „დამალენ“, სწორედ მაშინ იწყო ზღვამ უკუსვლა მისი სამყაროდან, სწორედ ისე, როგორც ოთარ ჭილაძის რომანშია — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“:

კლასიკოსს ერთი სტრიქონიც რომ არ დაენერა ჩვენგან გაქცეულ ზღვაზე, მაინც ასე იქნებოდა. და ეს სულაც არ გამახსენებოდა, გია მირზაშვილის სურათების გამოფენას რომ არ შევსწრებოდი.

ახლა რომ ვფიქრობ, ის ლურჯი, ამ ტილოებში რაღაცნაირად რომ გიკუმშავს გულს, მონმენდილი ცის ფონზე შუალამის ზღვის სილურჯეს უნდა ჰგავდეს, ის სინათლე კი, რომელიც მართლაც განსაკუთრებული შუქით ანთია ოთხკუთხე ჩარჩოებში მოქცეულ, ფერით ამეტყველებულ ფიქრებში — ზღვაში გაჩენილ ციურ მნათობთა ანარეკლს.

სწორედ რომ გზაზე ერთი კაცი მიდიოდა! ეს სიზიფეს წრებრუნვა და ადამიანად ყოფნის უნუგეშო ერთადერთობა განსაკუთრებით მეტყველია ბოლო გამოფენაზე. მითუმეტეს, რომ კარგა ხანია „ზღვაც უკუიქცა ამ ადამიანებისაგან“... ახლა უფრო მართოსულები არიან ირგვლივ... და მერე რა, რომ მხატვარმა კარგად იცის, — აგერ მერამდენედ ნახავდა და დარწმუნდებოდა, რომც არ ცოდნოდა, — „ადამიანი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ერთი ტახტზე ზის, მეორე კი ტახტს დაეძებს“.

ოღონდ გია მირზაშვილისთვის ფუმფულა, ატლასგადაკრული და ოქროთი მოვარაყებული ტახტი ვერაფერი ვერაფერი ბედენაა, მაშინ, როცა არსებობს ზღვა, რომელიც შვებადაც გეყოფა და მრისხანებადაც.

უზღვაოდ დარჩენილი მინისამყარო, სადაც კაბინეტებში დიდრონ სავარძლებზე დიდრონ სხეულებს ასვენებენ, მერე კი დიდებულ გვამებად ქცეულები დანარჩენთა ბედს განაგებენ, ზურგს უკან რჩება, მისთვის სრულიად უინტერესო მიწის ნაგლეჯზე... თვითონ სხვაგანაა, სხვა სივრცეებს მიიკვლევს უღალატოდ. წინ ძიებაა, მუდმივი სვლა, მუდმივი წრებრუნვა, რომელსაც ვერასოდეს განუდგება. იმ ჩვეულებრივ სიმბოლოებს მიღმა — როცა გია მირზაშვილის სურათებში ადამიანები უფანჯრო ან ფანჯრებიანი სახლები, ან ლარნაკში მოქცეული ყვავილები, ან თანამეინახებთან ერთად მდგომი „ბოთლები“ არიან, ახლა პირდაპირაც გამოჩნდნენ კაცთა მოდემის მარტოსული არსებანი, მათი შავი სილუეტები და მძლავრად გადადგმული ნაბიჯები, შემხვედრის ქარის სუსხისგან მოზუზული მხრები აუცილებლად გრძნობენ დიდი, ფერადი სამყაროს დაწოლას საკუთარ ქედზე... მიდიან და საგზაოდ ის სინათლე მიაქვთ, რომელიც მაინც ანთია გაუდაბურებულ, „გაუზღვავებულ“ ქალაქებსა და სოფლებში. რომ არა ეს სინათლე, ვერც გია ივლიდა, დაიღვებოდა და დაიშრიტებოდა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, — იტყვოდა და ჩაჰყვებოდა, დაუთმობდა წუთისოფელს... „არა, დათმობაზე ღიპარაკსაც არ აპირებდა, დათმობა სისუსტეს ნიშნავდა“. როგორც დედაშვილობა არ დასუსტდება, როგორც მამაშვილობას ვერ წააქცევს სისუსტის საფარველი, ცხოვრებაც ისეა...

ერთხელ, რიტორიკულად გამომივიდა, ვკითხე თუ ვუთხარი, წასულიყავი უცხოეთში-მეთქი. ისე შემომხედა, ახლაც თვალწინ მიდგას — იქ რა მინ-

დაო. მისი პატარა სამშობლო ისედაც ყელამდე იყო საფხვე ან უცხოეთისკენ წასვლითა და უცხოელთა აქ ჩამოსვლით.

გია, როგორც მხატვარი და შემოქმედი კი ერთი იყო და არის, და გზაზეც ისე მიდის, როგორც ერთი კაცი, თავისი ერთობის ტვირთის ქვეშ უსიტყვოდ შემდგარი.

მხატვრის ტილოებზე აშკარად აღიბეჭდა ეს უნდობლობა უცხო სახლში და საკუთარ წიაღში, როგორც სამშობლოში ჩაბრუნებული თვალი.

უბრალო პარალელი: არ მახსოვს არცერთი შეხვედრა მხატვართან, რომელიმე ქართულ სიტყვაზე რომ არ ეკითხოს, რა შემთხვევაში უფრო იყენებენ და რომელი ფორმა უფრო მართებულიაო. მის სამუშაო მაგიდაზე გაშლილი ლექსიკონები ისეთივე ბუნებრივია, როგორც მოლბერტის არსებობა სახელოსნოში, იმიტომ, რომ ქართული ენა სისხლხორცეულად შეუსრუტავს, ეს მისი ფიქრის ენაა. ფიქრის გარეშე კი ვინ მიახლოვდება სამშობლოს?

ისევ „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“: „რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლოს, მით უფრო რწმუნდებოდა, ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრებდა. არადა, სწორედ ახლა სჭირდებოდა იგი. ახლა უნდოდა მასთან საუბარი, რადგან თვითონაც ბევრ რამეს მიხვედრილიყო უკვე...“

...ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, წყვილი კვიპაროსი დაინახა, მერე მომლოდინე ქალივით ღობეზე მკლავებგადმონწყობილ ლელვასაც შეასწრო თვალი და გული აუთრთოლდა, მამისეულ სახლთან მისულიყო. „რა ახლოს ყოფილა აქედან ჩემი სახლიო“.

ერთი შეხვედრისას:

— ჩემთვის ახლა განსაკუთრებით ახლობელია ჩუბჩიკას ნახატები, ნეტა მეც ასე ვხატავდე, — მერე ცოცხალი გაჩუმდა და გაიმეორა — ასე ვხატავდე-მეთქი!

ახლა „ვეთარგმნი“ ამ სიტყვებს ჩემებურად: ნეტაც ისე ვიყო სამშობლოში, როგორც მამა იყო... თენგიზ მირზაშვილი კი სამშობლოში იყო და სამშობლოს ატარებდა კიდეც საღებავით დასვრილი სამოსით შენიღბული, დიდ ჩანთაში ჩაწყობილ ათას ხელნაწერს ამოფარებული, ხალხური პოეზიის ტექსტებსა და სიმღერის ჰანგებს მიყოლილი და ისტორიის მტვერნაყირილი სიმართლის მძებელი.

სინათლე, რომელიც გია მირზაშვილის ბოლოდროინდელ სურათებშია, იქიდანაც მოდის, ძაფს კი არ აბამს, უძღვევლ ჯაჭვად არის ნაქცევი.

ასეთი სურათების შექმნას, რომელიც მხატვარმა გამოფენაზე წარმოადგინა, დიდი ხელოვნება, განცდა და გამოცდილება სჭირდება. ეს ახალი, გაუნელებელ ფიქრსა და დარდში გატარებული ხელოვნებაა, რეალობაში ასე მოჭარბებულ ჭაობებს შორის შორეული ზღვისა და მამა-პაპისეული მამულის განცდის მომნიჭებელი.

ვიყავი გამოფენაზე, რომელმაც დამარწმუნა: ქვეყანა ასეთიც არის და იქნება კიდეც, იმიტომ, რომ არსებობს სინათლე, რომელიც არსად გაგიშვებს, რომელიც სულ მოგაბრუნებს თავისკენ...

ზაფხულის შემოდგომა

მაინც რა იყო ეს უცნაური ზაფხული, ვერ ვკითხე... როგორ გაიარა მისმა დღეებმა — მცხუნვარედ თუ მზემომკრთალად... ისე კი მზენაკლი ზაფხული იდგა, გრილი და წვიმიანი. მაგრამ მისი ამინდები ხომ ამ ზოგად ამინდებზე არ იყო დამოკიდებული... მასთან გაცილებით ხშირად ჭექდა და წვიმდა ხოლმე, ვიდრე საერთოდ, ბუნებაში...

ძალიან, ძალიან დიდხანს ვერ ვუთხარი, რომ ინტერვიუს ჩანერა მინდოდა. ჯერაც ვერ მითქვამს. რაღაც ხომ უნდა ვკითხო, და ვგრძნობ, რომ რასაც უნდა შევეხო, რაღაცნაირ ტკივილს მოუტანს. იმას ნაკლებად შეეშინდება, — „არ გაცივეთილა რკინა ნაჭედი. / უძღლებს ანმეოსთან ჭიდილს“ — მაგრამ მე კი ახლავე მემინია.

2013 წლის ზაფხულიც მიილია და ის უცნაური წიგნიც დაიბადა: გია მირზაშვილის „უცნაური ზაფხული“.

ლაკონიურად და ზუსტად ამბობს იმას, რაც ფიქრებად სტუმრობს მის გონებაში, გაუთენებელი-მრუემე ღამეების განმავლობაში.

გატეხილი კიკაჩი და უკუნი, თვალბლიადაც ნანახი სიზმრების დარი ლექსების, თუ უბრალოდ ფიქრების ათვლის წერტილია.

მგონი არცერთი მისი ლექსი დეკლამაციისთვის არ გამოდგება. რაღაცნაირი დაბალი ტონით უნდა წაიკითხო, დაახლოებით ისე, შინ რომ ყველას სძინავს და შენ რომ საკუთარ უძილობას ესაყვედურები: რა გახდი, რით ვერ დასრულდიო... არც ჩურჩული უნდა და არც ღალადება, არც იმას ითხოვს — აუცილებლად უნდა გაიზიარონ, რაც მიგრძენია და სტრიქონისთვის გამინდიაო. უბრალოდ, იმ უცნაური ზაფხულის გაშვება არ მოუნდა უამსტრიქონებოდ და სათავისოდ მოიმწყვდია: არ ვიცი, სანუგეშებლად, არ ვიცი — დორის დარად... (დორი ზურგის მისაყუდებელი ბალიშია)

გია მირზაშვილს უყვარს სიტყვების „შიგნით და შიგნით“ (ტარიელ ჭანტურიას დავესესხე...) არსის ძიება. ამიტომ მისთვის სიტყვას შინაარსის გარდა ფერი, ჟღერადობა და გემოც მიაქვს. უშურველად მიწოდებულ სიტყვის მადლს კი უშურველადვე გაიღებს — არც ნელსაცხებით შეფეთქავს და არც ელიტური ელვარებით მოაჭრევინებს თვალს... რა-რა და მადლი ხომ ის არის, რასაც არც ფერწერაში უღალატებს ოდესმე, არც სტრიქონში და არც ცხოვრებაში, ცხადია...

სულხან-საბა: მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის-გეზისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილ და ქველის-საქმე ქნას, კვალად მადლი არს ყოველივე კეთილი, რაიცა ცოდვა არ არს. და მიუხედავად იმისა, რომ სულ საცალფეხო, ციცაბოპირიან, გზადაგზა ნაშალ და ამდენად, ვერდასაყრდნობ ბილიკზე მიაბიჯებს, ის, რაც მხრებში აქვს შემდგარი და უფსკრულისკენ დაქანების საშუალებას არ აძლევს, მადლია — რაც არცა ნაცვლის-გეზისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისთვის და არცა... სიყვარულისთვის, ზოგჯერ თვითონაც რომ დავინწყებია ისე, მაგრამ დაუტოვებია კი ნაკვალევზე — სურათებშიც და ბევრისთვის სულ უბრალო სტრიქონებშიც.

სულხან-საბა: მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის-გეზისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილ და ქველის-საქმე ქნას, კვალად მადლი არს ყოველივე კეთილი, რაიცა ცოდვა არ არს. და მიუხედავად იმისა, რომ სულ საცალფეხო, ციცაბოპირიან, გზადაგზა ნაშალ და ამდენად, ვერდასაყრდნობ ბილიკზე მიაბიჯებს, ის, რაც მხრებში აქვს შემდგარი და უფსკრულისკენ დაქანების საშუალებას არ აძლევს, მადლია — რაც არცა ნაცვლის-გეზისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისთვის და არცა... სიყვარულისთვის, ზოგჯერ თვითონაც რომ დავინწყებია ისე, მაგრამ დაუტოვებია კი ნაკვალევზე — სურათებშიც და ბევრისთვის სულ უბრალო სტრიქონებშიც.

ცოდვა-ბრალი? — კაცი უცოდველი ვერ იქნება.. მაგრამ ხომ არსებობს ჭაობის ცოდვა, — ცოდვა, რომელიც სრავს და ანადგურებს ირგვლივ ყველაფერს... და ცოდვა, რომელიც საკუთარი არსებისკენა არის მომართული და თუ რამეს ვნებს — მხოლოდლა შენს სულს, ნერვებსა და ჯანმრთელობას... ჭაობისას არასოდეს გაეკარებოდა...

მაგრამ ზოგჯერ თუ „დაილანდა საფრთხე, სიყვარულის დარი“, ეგ სხვაა...

**დადა ენკენის თვე...
ვეპოტინები ხავსს —
ლაგამაყრილი ხმით,
როცა ვშორდები მას...
მზე სევდის სხივებს ჰფენს
როულ და შფოთიან გზას.**



გია მირზაშვილი

გია მირზაშვილის ლექსები ლაგამაყრილი ლექსებია, ლექსებ-
ბად ყოფნის ლაგამსაც კი არ იგუებს... და გია მირზაშვილი — უბე-
ლო ცხენის მხედარია, იქნებ ცოტა დალილიც, მაგრამ მანც:

მე გადავლახე შიში სიკვდილის,
არც ვერიდები, არც მეკარება...

დრო ყველაფრის ბატონია — მცხუნვარე მზეს შემოდგო-
მის თბილი სხივები ენაცვლება.

უცნაურ ზაფხულს შემოდგომის რბილი ტონები შეპარ-
ვია...

„უცნაური ზაფხული“ ერთიციდა წიგნია, გია მირზაშვილ-
მა სულ შვიდ ლექსს გადაუწყვიტა წიგნად შეკვრა.

ეკატერინე ტუკვაძე

ბაკურ გეგიას ამერიკული გალია

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე (№17-20) რუბრიკით „ბედი კაცისა“ დაიბეჭდა ბაკურ გეგიას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულება „ამერიკული გალია და მოუშუშებელი ნატყვიარები“. ჟურნალი მკითხველს საინტერესო პუბლიკაციებით მუდამ ანებიერებს. „ამერიკული გალია და მოუშუშებელი ნატყვიარები“ კი ერთგვარად განსხვავებული ნაწარმოებია, სადაც ამერიკულ ციხეში გამოკეტილი ქართველი ტუსაღის ხიფათიანი თავგადასავალია მოთხრობილი. ავტორი მძაფრად, შეულამაზებლად გადმოგვცემს იმ საზარელ რეალობას, რასაც ციხის კედლებში პატიმრის ცხოვრება ჰქვია. ფაქტობრივად, მთლიანად ნატურალისტური სცენებით აგებული თხრობა ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ხელშესახებად გვიჩვენებს, თუ რამდენად შემადრწუნებელია გისო-სებს მიღმა არსებული სამყარო, და რომ ციხე ყველგან ციხეა — თვით დემოკრატიის ბურჯად ნოდებულ აშშ-შიც!

ბაკურ გეგიამ თავისი თხზულებით იმ ქვეყნის უმკაცრესი ციხის ჯურღმულებში შეგახედა, მსოფლიოში თავისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის სიმბოლოდ რომ გვევლინება. აქ ზედმეტია იმ ფათერაკების სათითაოდ ჩამოთვლა, რომლებიც ადამიანის გატაცებაში, შეიარაღებულ ძარცვასა და პოლიციელის მოკვლის მცდელობაში მსჯავრდებულს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ელის. ეს მკითხველმა თავად უნდა წაიკითხოს და განიცადოს. ავტორი ამაღლებულად გვიყვება იმ ადამიანებზე, რომლებმაც 20; 25; 35 და 38 წელი ციხის გამოკეტილ საკანში გაატარეს. მას შეხვედრია პატიმრებიც, რომლებსაც 750, ზოგს კი 800 წელიც ჰქონდა მისჯილი. და ეს იმ სახელმწიფოში ხდება, სადაც, ბაკურ გეგიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შუა საუკუნეების კატეგორიებით აზროვნებენ.

„ამერიკელები დღემდე მისდევენ პრინციპს: თუ დამნაშავეს მკაცრად დასჯი, სხვებს შეეშინდებათ და დანაშაულს აღარ ჩაიდინენ. ამ პრინციპის მიუხედავად, ამერიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კრიმინოგენური ქვეყანაა და ერთმანეთს შორის არაადამიანური მოპყრობა აქ ჩვეულებრივი ამბავია“, — გვაფრთხილებს ავტორი.

ბაკურ გეგიას ყოფას ერთიორად ამძიმებს და აუტანელს ხდის საქართველოდან ძალიან შორს, ოკეანის მიღმა, მშობლიურ ფესვებს მონყვება.

„სამინელბაა, როცა ახალგამოღვიძებულზე აღმოაჩენ, რომ სამშობლოდან შორს, სადღაც გადაკარგულში და თანაც უმკაცრესი რეჟიმის ციხეში იმყოფები. ასეთ დროს ოთხზე დგომა და ყფა-ყივილი გინდება, თავის მოკვლაზე რომ არაფერი ვთქვათ“, — წერს ბაკურ გეგია.

ავტორის ყურადღების მიღმა ციხის ცხოვრების არცერთი დეტალი არ რჩება. იგი განსაკუთრებით საინტერესოდ კრიმინალური დაჯგუფებების მიერ საპატიმროებში „მეტ-ნაკლებად დამყარებულ ნესრიგზე“ მოგვითხრობს. თვით დეტექტიურ ჟანრში განაფულ ავტორებსაც კი არ ჩამოუვარდება იმ სარის-კო საქმიანობის აღწერისას, რომელსაც იტალიელების, ზანგე-



ბის, ლათინოამერიკელების, რუსებისა და ირლანდიელების კრიმინალურ დაჯგუფებათა ზონაში ეწეოდნენ.

ჩემი დაკვირვებით, ამ საქმიანობის აღწერისას ამა თუ იმ ერის ნაციონალური თვისებები და ფსიქოლოგიური შტრიხებიც საინტერესოდ იკვეთება.

სატუსაღოს ყოველდღიურობის კვალდაკვალ, ბაკურ გეგია პატიმრის სულიერ განცდებსაც შეუფერავად გადმოგვცემს და დროის სვლასთან დაკავშირებულ, სულიერი მდგომარეობის ცვლილებასაც თანმიმდევრულად აღწერს. სევდიანად, მაგრამ მომავლის რწმენით აღსავსე სტრიქონებით გვიამბობს, თუ როგორ თანდათანობით ეგუება ციხის ცხოვრებას ადამიანი. იგი საკუთარი გამოცდილებით ადასტურებს მოარულ აზრს, რომ ყველაზე ძვირფასი 5 წელია.

სწორედ ამ დროის გასვლის შემდეგ შეუდარებლად მოკლდება დღე, სიმხნევე მატულობს, ურთიერთობანი სტაბილური ხდება, სამშობლოს მიმართ ნოსტალგიაც კლებულობს, თავისუფლების ინსტინქტიც ჩლუნგდება და ადამიანს იუმორის გრძნობა უბრუნდება, რაც დეპრესიიდან გათავისუფლების უპირველესი ნიშანია.

„წიგნსაც მიგუბრუნდი და ჭადრაკსაც, ანუ საკუთარ ფიქრებთან დარჩენა ტკივილს აღარ მგვირია“, — წერს ავტორი.

და კიდევ, მთავარი: ბაკურ გეგია მთელი სიმძაფრით ისეთ ამაზრზენ დანაშაულებრივ ქმედებასაც ეხება, როგორც პატიმართა წამებაა. ეს წერილის ის სცენებია, რომლებმაც საქართველოს სულ ახლო წარსული გამახსენა და გონებაში ციხის ცნობილი კადრები დროებით მიყურებული, განუკურნელი, დიდი ტკივილივით ამომიხეთქა. ეს ის ეპიზოდები იყო, რომელთა ბოლომდე წასაკითხადაც, იმ კადრების მსგავსად, ძალიან არ მეყო! თუმცა ამ ეპიზოდებმა ბოლომდე წაუკითხავადაც კი ათასჯერ წაკითხულსა და ნანახზე მეტად შემზარა. მართლაც — ციხე ყველგან ციხეა!

და კიდევ, ვისურვებდი, ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებისათვის ხელი რომელიმე ნიჭიერ რეჟისორს მოეკიდა, რიგითი პატიმრის ხიფათიანი ცხოვრება ფურცლიდან ეკრანზე გადაეტანა და ის ცხოვრებისეული სიბრძნე, რაც ბაკურ გეგიას გისოსებს მიღმა გატარებულმა 11-მა წელმა და 7-მა თვემ ასწავლა, თავისუფლების ფასის არმცოდნეთათვის სწორედ ეკრანიდან ჩაეგონებინა: „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

სოფიკო ჯერვალდიძე

მარი-მადლენ ბარტი, საქართველო და რეპაზ გაგაშვილის გადაჩენილი საფლავი პარიზში...



საფრანგეთის ყველაზე პატარა რეგიონი ელზასი 1 734 000 მაცხოვრებელს ითვლის და ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ულამაზესია მისი პატარა დედაქალაქი სტრასბურგი, რომელშიც ჩემი საუკეთესო მეგობარი მარი-მადლენ ბარტი ცხოვრობს. არიან ადამიანები, რომელთა გარეშეც ძნელია ცხოვრება, არსებობა, რომელნიც ძალიან ალამაზებენ სამყაროს და, როდესაც ხანდახან კითხვას უსვამ საკუთარ თავს, რისთვის მოვედი ამქვეყნადო, იქვეა პასუხიც: ალბათ იმისთვის, რომ ასეთი მეგობარი მყოლოდა ანუ „მინიცი გაუყარი სათანადო მოყვასი“, როგორც განვიცხადებ სულხან-საბა.

თბილისი — პრალა — სტრასბურგის ბილეთი აღებული მაქვს და 2013 წლის აგვისტოს ერთ ღამეს თბილისის აეროპორტს ვტოვებ. სამზადისი წინასწარ მაქვს დაჭერილი და ცხოვრებაში პირველად ქართული ნუგარით დატვირთული მივემგზავრები საქართველოდან. მანამდე ვცდილობ არაფერი დამავიწყდეს, არაფერი გამომრჩეს, მინდა ძალიან ვავახარო და ვასიამოვნო ადამიანს, რომელიც მარტო ჩემი მეგობარი კი არა, მთელი საქართველოს დიდი მოყვარული და ქომაგიცაა.

ქართული მოვალეობა-ვალდებულებებითა და გამგზავრების ფაციფუცით დაღლილი პრალის აეროპორტში ხუთსაათიან შუალედს ფიქრში ვატარებ და ნებით თუ უნებლიეთ ჩვენი მეგობრობის ცამეტწლიანი ისტორია ლამაზ ნახატებად იქარება...

1991-92 წლების საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საზოგადოება ორად გაყო, დაიშალა ოჯახები, მეგობრები ერთმანეთს დააცილა... ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი ომარ თუმანაული და მეც სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში აღმოვჩნდით, ჩვენს შორის ხანგრძლივი დუმილის ფარდა დაეშვა. მე, „დამარცხებული“, საქართველოში დავრჩი, ის, „გამარჯვებული“, საფრანგეთში გაიხიზნა... მრავალწლიანი სიჩუმე ზაფხულის ერთ ღამეს ტელეფონის ზარმა დაარღვია, ჩემი მეგობრის ხმა უმალ ვიცანი — საქართველოში ჩამოვედი ფრანგ მეუღლესთან ერთად, შეპირებული ბინა დაკავებული აღმოჩნდა და ღია ცის ქვეშ ვრჩებოთ. არ დავმალავ, ჯერ ხუმრობა მეგონა, შემდეგ კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩემი არაკომფორტული სახლი შევთავაზე. ელვისებური სისწრაფით ოთახისა და საწოლის მომზადება დაიწყებოდა სამი საათი იყო, როდესაც უცხოეთში გადახვენილმა ჩემმა მეგობარმა და მისმა ფრანგმა მეუღლემ, მარი-მადლენ ბარტი, ჩემი სახლის კარი შემოაღეს. მარი მაღალი, გამხდარი, არაჩვეულებრივი აღნაგობის, ცოტა მკაცრი იერის ფრანგი აღმოჩნდა. ორმა თუ სამკვირიანმა სტუმრობამ კარგ, გულითად ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც დღემდე გრძელდება.

სალამობით დიდხანს ვსაუბრობდით. მისი მშობლები — მარი-ტერეზა ვაგნერი და ფრანსუა ბარტი — 50-იან წლებში დაოჯახებულან სტრასბურგთან ახლოს მდებარე დაბა ბენვირში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მიწასთან გაასწორეს. ბენვირი ორჯერ მოინახულა შარლ დე გოლმა. პირველად, როგორც ყველაზე დაზარალებული კუთხე, მეორედ კი აღდგენითი სამუშაოების მსვლელობისას.

ოჯახის ხუთი შვილიდან მარი-მადლენი უფროსია და აქედან გამომდინარე სხვა წევრების მიმართ მეტად ყურადღებიანი და გულითადი. საღამოს საუბრებში ჩემდაუნებურად ერთხელ ვყვები იმასაც, რაც საქართველოში მოხდა, ძალიან ველავ, განვიცდი, ცრემლებს ძლივს ვიკავებ. ომარიც დაძაბული მისმენს და

ბოლოს ერთადერთ წინადადებას ამატებს მონათბრობს: „ეს არ უნდა მომხდარიყო საქართველოში, ახლა ალბად სხვანაირად მოვიქცეოდი“.

ეს ფრაზა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია და მრავალწლიან დუმილს სწრაფად აბათილებს. დასაძინებლად მივდივართ ყველანი, მაგრამ ჩვენი უახლოესი წარსულის ტრაგედია არ მაძინებს. მეორე საღამოს კი მარი მეუბნება — შენმა მონათბრობმა ისე შემძრა, თვალი არ მომიხუჭავს, ვხვდები, რა მძიმე გადასატანი უნდა ყოფილიყო ეს შენთვის, მაგრამ გაცოცხლებს ვარ, რომ ცხოვრება თითქმის თავიდან დაიწყე და, მიუხედავად ომართან არსებული პოლიტიკური განხეთქილებისა, ასეთი სტუმართმოყვარეობითა და სიყვარულით დაგვხვდით. ასე ნელ-ნელა მოხდა ჩვენი გაცნობა, დაახლოება, შემდეგ დამეგობრება. ჩემმა მახვილმა თვალმა და გულმა უმალ იგრძნო მისი დიდი ინტერესი ჩვენი კულტურის, ისტორიის, ლიტერატურისა და საერთოდ, ტრადიციებისადმი. სამწუხაროდ, ეს ფრანგულ-ქართული ოჯახი მალე დაიშალა, ჩვენი ურთიერთობა კი დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

...
2005 წელს სტრასბურგში სტუმრად ჩასულს მარი ძალიან შეცვლილი მხვდება. ექიმთან კონსულტაციაზე მისულს სასწრაფო ოპერაციას უკეთებენ, დიაგნოზი ძალზე ცუდია — სიმსივნე. ყოველდღე საავადმყოფოში მივდივარ, ძალზე განვიცდი მის მდგომარეობას და სენტ ოდილის ულამაზეს კათოლიკურ ტაძარში მის სახელზე სანთელს ვანთებ და ღმერთს ამ არაჩვეულებრივი ადამიანის გამოჯანმრთელებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას მთელი გულით ვთხოვ. რამდენიმე ოპერაციის შემდეგ იწყება ქიმიოთერაპია და სამწლიანი ინტერვალის მერე დიდი სიხარულით კვლავ თბილისში ვმასპინძლობ.

...
ჩემი სტუმარი ზაფხულის ხეატს უნდა გავარიდო და მის საყვარელ კუთხეში, ფშავში მივდივართ. ვრჩებით ერთი კვირა, საშინელი ალერგია დამენყო, დამე არ მიძინავს, ვერ ვსუნთქავ, ერთი სული მაქვს, თბილისში, ჩემს სახლში დავბრუნდე. ჩემი ტანჯვის მაყურებელი მარი მეუბნება, თბილისში დავბრუნდე, ის ფშავში მარტო დავტოვო და, მიუხედავად ქართულის არცოდნისა, ურთიერთობებს თავს გაართმევს. ცოტა ხნის შემდეგ კი მწერებისაგან მთლიანად დაკბენილ ტანს მაჩვენებს და ჩემდაუნებურად ვფიქრობ, როგორ უნდა უყვარდეს აქაურობა და ეს ხალხი, რომ ამ ყველაფერს არად მიიჩნევდეს. მარი-მადლენი ვაჟა-ფშაველას მშობლიურ კუთხეში ყველას ძალიან უყვარს და, თუ რომელიმე ფრანგთან ერთად იქაურობას ვსტუმრობ, მისალმების შემდეგ ურთიერთობა მისი მოკითხვითა და მასზე საუბრით გრძელდება. მოკლედ, მარი-მადლენ ბარტი საფრანგეთის არაჩვეულებრივი სავიზიტო ბარათია...

...

ვცდილობ ჩემი სტუმარი ძალიან არ დავღალო და პროგრამას მისი ტემპის მიხედვით ვადგენ. დღეს თინათინ თუმანიშვილის სახელობის თოჯინების მუზეუმში მივდივართ. მარი აღფრთოვანებულია ქართული თოჯინებით და მუზეუმის მესვეურთ კოლექციის გასამდიდრებლად თავისი ბავშვობის-დროინდელ ალზასურ თოჯინას ჰპირდება. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ალზასური თოჯინაც მალე თბილისშია.

...

მარის განსაკუთრებულად უყვარს თბილისის ბაზრის მონახულება. აღმოსავლური ბაზარი მისთვის ერთგვარი სპექტაკლია. აპარატომომარჯვებული მთხოვს, რომ სურათის გადაღების ნებართვა ვთხოვო გლგხს, რომელიც მეუღლესთან ერთად ჩურჩხელებს ყიდის. სურათი გადაღებულია და გურჯაანელი ვალიკო ძია ერთ ჩურჩხელას უცხოელ სტუმარს ჩუქნის. კახური ჩურჩხელა უგემრიელესია. მარი მეუბნება, შეუვაჭრებლად 15 ჩურჩხელა ვუყიდი. თან მიხსნის, რომ ძია ვალიკო ქართველი პატიოსანი მშრომელი გლგხის ტიპური სახეა. ფოტო არაჩვეულებრივი გამოდის და ერთი თვის თავზე, კონვერტში ჩადებულს სტრასბურგიდან მატანს ძია ვალიკოსთან. მას შემდეგ მე და მარი მისი ერთგული კლიენტები ვხდებით, მისი უგემრიელესი ჩურჩხელეები არაერთგზის იგზავნება სტრასბურგში. ძია ვალიკოც ყოველი შეხვედრისას მის ამბავს მეკითხება და გულთბილ მოკითხვას მბარებს. საქართველოში ჩამოსული ფრანგი ქალბატონი ჩვენებური წესით ყველას მოკითხავს, უყურადღებოდ არავის ტოვებს და საქართველოში გადაღებულ სურათებსაც ნაცნობ თუ უცნობ ადრესატებს ჩემი ხელით ურიგებს. მათგან მისი გულისხმიერება, უბრალოება და სიყვარულის დიდი ნიჭი.

ოპერის თეატრის მიწისქვეშა მალაზიაში სუვენირებს ვყიდულობთ. უეცრად პირველი ლედი, სანდრა რულოვსკი, დაცვასთან ერთად შემოდის. მარი იგებს რა მის ვინაობას, მყისიერ ნარუდგება, როგორც საქართველოს ფრანგი მეგობარი, ეუბნება, რომ კარგად იცნობს ფშავს, წლებია მას სტუმრობს და შეწუხებულია, რადგან ცვლილებასა და უკეთესობას ვერ ხედავს, მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაშია, არა აქვთ სამედიცინო მომსახურება, ბავშვები შორი სოფლებიდან, მგლები სიშითი, სკოლაში მშობლებთან ერთად დადიან...

...

2008 წლის ზაფხულში, თბილისში მორიგი სტუმრობისას სტრასბურგში ვბრუნდებით. ერთად გატარებულ ლამაზ დღეებს რუსეთის აგრესია და ომი აფერმკრთალებს. ფრენები არაა და სტრასბურგის მერია ერთი თვით ვიზას მიგრძელებს. ორივე დაძაბული ვადვენებთ თვალყურს საშინელ ინფორმაციას, რომელიც საქართველოდან მოდის. მე ტელევიზორს არ ვშორდები, თვითონ ყოველდღე მოაქვს ახალი გაზეთები, ინტერნეტში ზღვა ინფორმაციას ერთად ვკითხულობთ, ვცდილობთ ერთმანეთი დავამშვიდოთ, მითუმეტეს, მისი ნერვიულობა არ შეიძლება. ყოველდღე მივდივართ ქართველებთან, რომლებიც ფრანგ მეგობრებთან ერთად უწყვეტ საპროტესტო მსვლელობებს აწყობენ, აქტიურადაა ჩართული ომარიც, დღედაღამ ევროსაბჭოს წინაა აქციაზე. მარი-მადლენის ოჯახის წევრები, თანამშრომლები, მეგობრები სისტემატიურად მკითხულობენ, გულისხმიერება იჩენენ, მე ხომ იმ ქვეყნიდან ვარ, რომელიც მარის ძალზე უყვარს.

ვითარება ლაგდება და გამოსამგზავრებლად ვემზადები. მარი-მადლენის ახლობლები ლტოლვილთათვის ტანსაცმელსა და ფულს აგროვებენ, მთხოვენ მრავალშვილიანებს გაეუნანოლო, თვითონ კი აირზენას ხელმძღვანელობას ფრანკფურტში უკავშირდებიან და სთხოვენ ამ ტვირთის ტრანსპორტირება უფასოდ მოხდეს. თბილისში დაბრუნებული ერთი კვირის მანძილზე მრავალშვილიან ლტოლვილ ოჯახებს ვუფრთხილავ, ტანსაცმელს, ვუღებ ფოტოებს, რომელთაც საფრანგეთში ვგზავნი, რათა ფრანგებმა იცოდნენ, ვის დაეხმარნენ.

...

2009 წელს მარის ჯანმრთელობის მდგომარეობა უფლებას აძლევს საქართველო კვლავ მოინახულოს. პირველი, რასაც მთხოვს, სურს რომელიმე ლტოლვილ მრავალშვილიან ოჯახს იმ ფულით მიეხმაროს, რომელიც მისიანებმა გამოატანეს, თან აინტერესებს დასახლება, სადაც ისინი კომპაქტურად ჩაასახლეს. მანქანით ნეროვანისაკენ მივდივართ, გზად ვფიქრობთ, როგორ ან ვის უნდა გადავცეთ ეს „მოკრძალებული“ თანხა. ნეროვანში შესულები უეცრად ვხედავთ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ერთი ბავშვი ხელში უჭირავს, ორი უკან მოყვება, ყველას გველიმება, უფალმა გვიჩვენა, ვის უნდა დავხმარებოდით. გაცემული ლტოლვილი გონზე ვერ მოდის, მარი კონვერტს ხელში უღებს, ფოტოს უღებს და სწრაფად ვტოვებთ იქაურობას, რომ ქალმა უხერხულობა არ იგრძნოს.

...

მარი-მადლენი ფშავს კარგად იცნობს, დასავლეთიც ერთად მოვიარეთ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, კახეთიც ნახოს, და გეზი სიღნაღისაკენ ავიღეთ. განცვიფრებულია ალაზნის ველის ულამაზესი ხედით, ფაროსმანის ორიგინალუბით, სიღნაღის გალავნითა და ტაძრით. ქალაქის ცენტრში გავლისას კი დანანებით მეუბნება, თავი თეატრის სცენაზე, დეკორაციებს შორის მგონიაო. ეს ევროპული ქალაქია, ქართული სული არ არისო; და მისი აღდგენა სიძველესთან შერწყმაში უნდა მომხდარიყო. ახლობლების ოჯახი სტუმრად გვეპატიუება ქართულ სუფრაზე. წამოსვლისას კი დიასახლისი თავისი ბალის ყვავილების მშვენიერ თაიგულს უძღვნის. ამჯერად ფოტოგრაფი მე ვარ. მომდევნო დაბადების დღეზე ფოტოალბომს ვჩუქნი, რომელიც საქართველოში მისი სტუმრობებია აღბეჭდილი. თბილისისკენ მომავალთ მარი მეუბნება, აზრი შემეცვალა, აღარ ვფიქრობ, რომ საქართველო პატარა ქვეყანააო...

...

ვაშინგტონში მცხოვრები ქართული ემიგრაციის პატრიარქი პეტრე ხვედელიძე მარი-მადლენს ჩემი მონათხრობით კარგად იცნობს. ძია პეტრე მისი დიდი გულშემატკივარია და სტრასბურგშიც დროდადრო ურეკავს, ცდილობს გაამხნეოს. ძია პეტრე თბილისშიც გვეხმანება — ერთი ქართველი მოდის და „გზავნილს“ ვატანო. „გზავნილის“ დანიშნულებას დეტალურად მაცნობს, მეუბნება, იცოდე, გენაცვალე, ასი დოლარი მარი-მადლენისთვისაა, ჩემგან სამახსოვროდ რამე იყიდოსო. მარი უარზეა, ძია პეტრე კი უხსნის: ეს ერთგვარი სამადლობელია საფრანგეთისადმი, რომელმაც მე და ჩემი მრავალი თანამემამულე შეგვიფარა, სიკვდილს გადაგვარჩინა და გვიპატრონაო. ძია პეტრე ჯერ ვერც კი წარმოიდგენს, რომ სამიოდ წლის შემდეგ მარი-მადლენი მისი უფორს მეგობრის, რევაზ გაბაშვილის საფლავის მოძიება-გადასწავლაში დიდ წვლილს შეიტანს. 2012 წელს, 14 სექტემბერს ძია პეტრე დაბადების დღეს ტელეფონში სიმღერით ულოცავს და, წარმოდგენილი მაქვს, რა ენერგიასა და იმედს უნანილებს ჩვენს ლამაზ ქვეყანაზე შეყვარებულ ფრანგ ქალს.

მარის წასვლის დღეც დგება, 2009 წელია. განანაწიანი ვართ, არაფერი დავგავინწყდეს. ჩემი დეიდაშვილი საგანგებოდ ჩამოდის სოფლიდან, რომ დაემშვიდობოს, და მისთვის უგემრიელესი ხილი ჩამოაქვს. მარის გული სწყდება, რომ წაღებას ვერ მოახერხებს, თუმცა გამოსავალს უმალ ვპოულობთ და ქართული ხილის ასორტი — თანხის გადაუხდელო — საბაჟოს კვეთს. იგი დარცხვენია, მე ვამშვიდებ, საქართველოს განძი ხომ არ მივაქვს, ხილია. სწორედ ესაა თქვენი განძი, ასეთი გემრიელი ხილი არსადააო, მპასუხობს იგი...

...

2009 წლიდან პეტრე ხვედელიძის არქივზე მუშაობას ვიწყებთ და მთლიანად ვწყებთ იქაურობას, ყოველდღიურობას. ჩემი გულითადი მეგობარი ინტერესით ისმენს ჩემს მონათხრობს და უთვალავ რამეს იგებს ქართულ ემიგრაციაზე

საფრანგეთში, გულშემატკივრობს ნიგნს და წარდგინების შემდეგ ერთი ეგზემპლარი მის ბიბლიოთეკაში იდება ბინას, მერე რა, რომ ქართული არ იცის, ყველაფერი მოყოლილი მაქვს.

პირველ ნიგნს მეორე მოყვება, რევაზ გაბაშვილის წერილები... უდიდესია სურვილი, მოიძებნოს მისი საფლავიც, თუმცა იმედი, რომ ის კიდევ არსებობს, არა გვაქვს. ჩვენი ყოველკვირეული საუბრების დროს მარის ბევრ რამეს ვუყვები მასზე და გულდანყვეტილი ვარ, რომ საფლავის ძიება ინტერნეტით უშედეგოა. აზრად არ მომსვლია, მისთვის მეთხოვა, ეს მისია ეტვირთა, მას ხომ თავისი გაჭირვებაც ყოფნიდა. გული მიგრძობდა, რომ იგი ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო ამ საქმის მოგვარება. საუბრის ბოლოს გადანყვეტილად მითხრა — მე ვითავებ, ოღონდ დრო იქნება საჭიროო. მივეცი სასაფლაოს მისამართი და გულისფანცქალით ველოდი პასუხს, რომელიც ნამდვილად მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა — საფლავი არსებობს, მაგრამ 20 წელია თანხა არაა გადახდილი და, რადგან საფლავის შექმნა 30 წლით ხდება საფრანგეთში, შეიძლება გააუქმონო. როგორც გაირკვა, საფლავი შეუქმნიათ 1963 წელს, როდესაც რევაზ გაბაშვილს მეუღლე, ლიზა ყიფიანი გარდაცვლია, და მას ნასყიდობის ვადა 1993 წელს გასვლია. ასე რომ, საფლავი სამიშროების წინაშე არისო.

სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ, მეუბნებოდა იგი.

ინტერნეტით გადავუგზავნე ყველანაირი ინფორმაცია რევაზ გაბაშვილზე ფრანგულად, რათა სასაფლაოს ხელმძღვანელობა დარწმუნებულიყო, რომ საფლავით საქართველოდან მკვლევარები იყვნენ დაინტერესებულნი. საქმის კურსში ჩავაყენეთ რევაზ გაბაშვილის ღრმად მოხუცებული შვილი გურამ გაბაშვილი და საჭირო საბუთების გადმოცემა ვთხოვეთ. ბატონი გურამიც უიმედოდ იყო, არ სჯეროდა, რომ მამის საფლავი კიდევ იარსებებდა. სასაფლაოს ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ყველა საბუთი, ფრანგულად თარგმნილი და დამოწმებული, ახლობელ ქართველს გავატანეთ, თუმცა საფრანგეთის ბიუროკრატიულმა მიმონერამ ძალიან დიდი დრო წაიღო, დაგვიწუნეს აქედან გაგზავნილი თარგმნილი დოკუმენტები და მოითხოვეს იქვე თარგმნა-დამოწმება, შემდეგ მდგომარეობა უფრო გაითიხრა და ბ-ნი გურამის თანხმობაც გახდა საჭირო. მთელი ეს პროცედურები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა და ერთ მშვენიერ დღეს მარი-მადლენის გახარებულმა ხმამ მამცნო, რომ პარიზის მერიამ და ბანიოს სასაფლაოს ადმინისტრაციამ იგი ბ-ნი გურამ გაბაშვილის პირად წარმომადგენლად სცნო საფრანგეთში და უფლება მისცა, ეწარმოებინა ყველანაირი მოლაპარაკება და ხელი მოეწერა ყველა საჭირო დოკუმენტზე. ბოლოს, როგორც იქნა დადგა თანხის გადახდის დღეც, თბილისიდან გაგზავნილი თანხა სასაფლაოს ადმინისტრაციას გადაეგზავნა. მორიგი სასიხარულო ამბავი, რევაზ გაბაშვილის საფლავი 10 წლით შენარჩუნებულია და ეს ზუსტად მის საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 130 წლისთავს დაემთხვა, ნიგნთან ერთად...

ოთხნობიანი შუალედის შემდეგ სტრასბურგის აეროპორტში ჩვენი საერთო მეგობარი, სილვი მხვდება და სულ მალე მარი-მადლენის ბინაში ვარ. საქართველოდან ჩატანილ მისთვის საყვარელ ნუგბარს მაგიდაზე ვალაგებ და, ვიდრე მივუსხდებით, აღფრთოვანებული მარი-მადლენი სუფრას სურათს უღებს. მის სამოთახიან ბინაში არაფერი შეცვლილა, კედლებს ფიროსმანის რამდენიმე რეპროდუქცია, ვაჟა-ფშაველას გამირები და ქართული თექა-გობელენი ამშვენებს, საკმაოდ მოზრდილ ბიბლიოთეკას კი — ნიგნები საქართველოზე.

დასვენების შემდეგ ვინყებთ თბილისიდან გაგზავნილი წერილების ნაკითხვასა და თარგმნას. ყველას ამბავს დეტალურად მეკითხება, მეც იძულებული ვარ ვუპასუხო, რომ ძია ვალიკო გარდაიცვალა, ბ-ნი გურამ გაბაშვილიც მისის თვეში დაიკრძალა, აღარც ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ბ-ნი შალვა დავითაშვილია ცოცხალი, რომელ-

მაც გულითადი მეგზურობა გაუწია მუზეუმში სტუმრობისას. ჩვენი სასაუბრო თემა საქართველო, მისი აქაური ნაცნობ-მეგობრები და ჩემი საქმიანობაა, რომელშიც იგი უერთგულესი მხარდამჭერია, ის ხომ ერთადერთია, რომელმაც ყოველი გვერდის შინაარსი ნიგნის გამოსვლამდე უკვე იცის.

ერთ საღამოს კომპიუტერთან ვსხდებით, მარი-მადლენის მიერ საქართველოში გადაღებულ უამრავ ფოტოს ერთად დიდი სიამოვნებით ვათვალიერებთ და ლამაზ ნარსულში ვბრუნდებით. ისეთი ადგილები მაქვს გადაღებული, რომელიც თბილისში ან ალდგენითმა სამუშაოებმა შეინირა, ან დაინგრა, არ მინდა ჩემს შემდეგ ეს ფოტოები დაიკარგოს, მათ ერთ დისკზე გადავიტან, ჩემგან სახსოვრად დაგრჩებო. ვცდილობ მისი ეს ფრაზა მსუბუქად მივიღო და ვპასუხო, რომ უფლის განგებას ვერავინ დაემალება, და რომ მხოლოდ მან უწყის, ვის როდის გვიხმობს თავისთან.

ერთად ყოფნის ლამაზი დღეები სწრაფად მიჰქრიათ, გამოგზავრების წინა საღამოს კი უცნაურ გამოფენას აწყობს, მაჩვენებს ყველა ნივთს, რომელიც მისთვის გვიჩუქებია წლების მანძილზე და მეუბნება, რომ ეს ყველაფერი ერთ დღეს კვლავ საქართველოში დაბრუნდება. ვცდილობ ოდნავ განვმუხტო ეს სამწუხარო რეალობა და ვუხსნი, რომ ჩვენი ტრადიციის მიხედვით, მემკვიდრე ოჯახის უმცროსი ნევრია და რომ ყველა საჩუქარი საქართველოდან მის უმცროს ძმას, ლორან ბარტს უნდა გადაეცეს, მითუმეტეს, რომ მათი ურთიერთობა განსაკუთრებული და-ძმობაა... ლორანიც საქართველოზე, ლვინის ქვეყანაზე საკმაოდ ინფორმირებულია და, იმედი, ოდნავ საქართველოში ჩემი სტუმარი იქნება. ეს ელზასელი მეღვინე, ახალგაზრდა კაცი, თავის უნიკალურ ფრანგულ ლვინოს, რომლის ეტიკეტსაც ქართული წარწერაც ამშვენებს, მსოფლიოს რამდენიმე დიდ ქვეყანაში უწევს რეალიზაციას. ბოლოს დგება მომენტი, როცა მარი-მადლენი რევაზ გაბაშვილის საფლავის საბუთების, მიმონერის პატარა საქალაქს მამცნებს და მეუბნება: აქ ყველაფერია, რაც აუცილებლად საქართველოში უნდა იყოს. კიდევ ერთხელ ათვალიერებს დოკუმენტაციას და მიმეორებს — რევაზ გაბაშვილის საფლავი 10 წლით შენარჩუნებულია, აი თანხის გადახდის ჩეკიც, ლიზა ყიფიანი და რევაზ გაბაშვილი ერთ საფლავში განისვენებენ, აი მისამართიც, პარიზი, ბანიოს სასაფლაო, თელის ხეთა გამზირი, კვადრეტი 49, ხაზი 11, საფლავი 41. შემდეგ ამატებს, რომ ბანიოზე მხოლოდ დიმიტრი ამილახერის დის, დოდოს საფლავია მუდმივად შექმნილი და მის მისამართსაც იქვე მაჩვენებს. მოცემული საბუთებიდან ერთ ფურცელს იღებს — ეს 29-კაციანი სიაა, და მეუბნება: ახლა შევეცდებით ის გავარკვიო, ამ სიიდან რომელთა საფლავებია კვლავ შენარჩუნებული. მე კვლავ გულითად მადლობას ვუხდია ასეთი თვალდადებისათვის, სამაგიეროდ კი მეუბნება: არ გინდა მადლობა, ისეთი არაფერი გამიკეთებია, მე უბრალოდ კარგად ვიცნობ საფრანგეთის ადმინისტრაციულ ბიუროკრატას და საკმაოდ გამოცდილებაც მაქვს მათთან ურთიერთობისო. პატარა საქალაქს ჩემს ჩანთაში იღებს ბინას, მეორე საქალაქს საკმაოდ მოზრდილია, აქაა ყველა წერილი და სტატია, რაც საფრანგეთში საქართველოზე დაბეჭდილია წლების მანძილზე: ამას ომარს დავუტოვებ, იმედი, ქართველებისათვის საინტერესო იქნებაო.

აეროპორტში მივდივართ, გული მტკივა, რომ საუკეთესო მეგობარს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვტოვებ. გამგზავრების წინ ვიღებთ ფოტოებს, ვემშვიდობებით ერთმანეთს და მარი-მადლენი მთხოვს, არცერთი ფოტო არ გავასაჯაროო, არც რაიმე წერილი დავწერო მასზე, რადგან ეს სულ მცირეა, რისი გაკეთებაც მან საქართველოსთვის შეძლო. კიდევ ერთხელ მაოცებს თავისი დიდი ადამიანობით და ჩემს თავს ვეკითხები, რა უნდა იყოს მისი ასეთი ერთგულების თავი და თავი... ალბათ, ყოველსიმომცველი და უანგარო სიყვარული...

გოჩა კუჭუხიძე

სელასალი დაბადება ნამდვილი სახით

(დავით კარიჭაშვილის მსახურება
ღვთისა და ერის წინაშე)

მკვლევარისგან ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს ისეთი მონოგრაფიის დაწერა, რომელშიც იმ ადამიანის ცხოვრება და შემოქმედებაა შესწავლილი, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის სახელს კარგად იცნობს საზოგადოება, მაგრამ ვის შესახებაც ძირითადად მხოლოდ სპეციალისტებმა იციან, ისიც უმეტეს შემთხვევაში ცალკეულ საკითხებსა და მოვლენებთან დაკავშირებით...

ცხადია, ამგვარი წიგნის დაწერა უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო მამინ არის, როცა მრავალმხრივ მოღვაწე ეძღვნება... ავტორი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, — გარკვეულწილად დაზინყებულ პიროვნების შესახებ წერისას აუცილებელია, რომ სწორად დავსვათ აქცენტები, არ გამოგვრჩეს და შესაფერისად გამოვკვეთოთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის ნიუანსები, რომლებიც მართლა საჭიროებს ყურადღებას, არ უნდა გამოგვრჩეს არცერთი მნიშვნელოვანი დეტალი, ძალიან ობიექტურად უნდა ვიყოთ ამ ადამიანის შეფასებისას და მის ცხოვრებასთან, შემოქმედებასთან დაკავშირებული არცერთი მოვლენა არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა... ვთქვათ, თუ მეცნიერს ეხება მონოგრაფია, ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ არა მხოლოდ ის, თუ რა სიახლე შემოიტანა მან მეცნიერებაში, უნდა გავარკვიოთ, რა იყო მისაღები, რა არ მიიღო მისმა თანადროულმა მეცნიერებამ, რა გვეჩვენება ჩვენ საეჭვოდ... საჭიროა, მისი ცხოვრება და შემოქმედება სწორი კუთხიდან გავაშუქოთ, უნდა შევძლოთ და დავხატოთ ისტორიულ პიროვნებასთან ძალზე მიახლოებული პორტრეტი — იმიტომ, რომ შემდგომში სწორედ ჩვენი ნაშრომის საშუალებით დაუბრუნდეს ეს ადამიანი თანამედროვეობას. ფაქტობრივად უკვე დაზინყებულ მოღვაწეზე შესაძლოა ძირითადად ჩვენ ნაშრომზე დაყრდნობით დაინეროს ცალკეულ საკითხთა ირგვლივ ახალი გამოკვლევები, შესაძლოა შეიქმნას მხატვრული ნაწარმოებები, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, ფართო საზოგადოებას სწორედ ჩვენი წიგნი უცოცხლებს მის სახეს... საკმარისია მცირე შეცდომა, პორტრეტი არასწორი დეტალის შეტანა, რომ ეს არასწორი დეტალი შესაძლოა გამყარდეს საზოგადოების სხოვნაში, სტერეოტიპად იქცეს და მისი მოცილება და შესწორება ვეღარც მოხერხდეს...

ჩვენ ფაქტობრივად ამქვეყნიურ სიცოცხლეში ვაბრუნეთ ადამიანს და უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რომ თავისი ნამდვილი სახით შემდგომში დასეხება ასე ითქვას, თავიდან დაბადება...

ვფიქრობთ, ლია კარიჭაშვილმა შესანიშნავად გაართვა ამ მოვალეობას თავი. „მსახურება ღვთისა და ერისა“ („ჩვენი მწერლობა“, 2013). დავით კარიჭაშვილი — ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, რუსთაველოლოგი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, მუბლიცისტი, მთარგმნელი, სხვადასხვა პერიოდიკის რედაქტორ-გამომცემელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი... მრავალმხრივი გახლდათ მისი სამოღვაწეო ასპარეზი. მეცნიერების ყოველ დარგში მრავალ სფეროს სწვდებოდა... იმ ყოველივეს მხოლოდ ჩამოთვლა ცი, რასაც დავით კარიჭაშვილი შეხებია, შორს ნაგვიყვანს...

ლია კარიჭაშვილი გამონვლილით მიმოიხილავს დავით კარიჭაშვილის რუსთაველოლოგიურ ნაშრომებს, საერთოდ, რუსთაველოლოგიაში მის მიერ შეტანილი წვლილს, ტექსტის დიდგნებასთან, პოემის წარმომავლობასთან, ეპოქასთან და-

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შედგა პრეზენტაცია ლია კარიჭაშვილის წიგნისა „მსახურება ღვთისა და ერისა“.

მონოგრაფია ეძღვნება დავით კარიჭაშვილს, XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. წიგნი მოიცავს შესავალს, 5 თავსა და ბოლოთქმას, დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გარდა დამონებული ლიტერატურისა, ნაშრომს ახლავს დავით კარიჭაშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია და პირთა საძიებელი.

ლონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები. საზოგადოებას მიესალმა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ. სხდომას უძღვებოდა პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი. სიტყვით გამოვიდნენ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი ვახტანგ გურული, წიგნის რედაქტორი, მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხივიძე, პროფესორი ნოდარ ნათაძე და ფილოლოგიის დოქტორი გოჩა კუჭუხიძე. დაასრულა სიტყვა წარმოთქვა ლია კარიჭაშვილმა. ყველა გამომსვლელმა ხაზი გაუსვა იმ ეპოქას, რომელშიც დავით კარიჭაშვილი უზღებოდა მოღვაწეობა, და მისი ღვაწლის მნიშვნელობას იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც, ფაქტობრივად, შექმნეს ქართულ სიძველეთა კვლევის პირველი ეტაპი; აგრეთვე ისაუბრეს მონოგრაფიის მრავალმხრივ ღირსებებზე. აღინიშნა, რომ ამ შესანიშნავ და უსამართლოდ მიჩქმალულ მოღვაწეს სწორედ შესაფერისი მკვლევარი გამოუჩნდა.

ლია კარიჭაშვილი: დავით კარიჭაშვილი იყო პედაგოგი, სხვადასხვა დროს ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, თავმჯდომარე. საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო საზოგადოების აქტიური წევრი, ლიტერატორი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, რედაქტორ-გამომცემელი. იმისდა მიუხედავად, კვლევის თანამედროვე ეტაპზე რამდენად მიღებულია მისი ვერსია ამა თუ იმ საკითხზე, ის მაინც შეიცავს საყურადღებო ნიუანსებს, ახლებურ მიდგომას, ანგარიშგასასწავ დებულებებს (ასეთებია, მაგალითად, ნარკვევები „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“, „როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი“, „ვინ იყო ნიკიფორე ირბანი“ და სხვა).

დავითის ფილოლოგიური ძიების შედეგად საბოლოოდ გადაწყდა „კალმასობის“ ავტორის პრობლემა, გაირკვა „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი („ვინ იყო მოზიდან ეპისკოპოსი“, „ამოტ კუროპალატის გენეალოგია“...), გამოიკვთა კვლევის ახალი ასპექტები („ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემები, ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“).

დავითის მიერ შედგენილი „სუცური ანბანი და ქართული ენის გრამატიკა“ იყო სახელმძღვანელო წიგნები, რომელთაც დროული დახმარება გაუწიეს სპეციალისტებს.

მისი ინიციატივით და ძალისხმევით მოხდა ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის აღწერა-კატალოგიზაცია. მისივე ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა დიდი ლექსიკოლოგიური სამუშაო. დავით კარიჭაშვილის არაერთი ნაშრომი, როგორც „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, „წიგნის ისტორია“, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, იყო ახალი მონოგრაფიული ცდები ბიბლიოგრაფიაში.

დავითის საისტორიო ნაშრომებს ჰქონდა სრულად ნათელი, გამოკვეთილი მიზანი: მათ უნდა გაენათ ერთგვარი პოპულარიზაცია საქართველოს ისტორიისა, მოსახლეობის ფართო მასებში უნდა გარკვეულწილად თავიანთი ქვეყნის ისტორიულ წარსულში და ამისთვის მათ სჭირდებოდათ შესაბამისი ფორმით, მოცულობითა და ენით მისწოდებოდათ ინფორმაცია. ასეთი დანიშნულება აქვს „საქართველოს მოკლე ისტორიას“ (1907) და ნარკვევებს, რომელთაც იგი მუდმივად აწვდიდა საყმანვილო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს.

შეიძლება ითქვას, დავითის ინტელექტუალური ენერგია ერთგვარად განაწილდა ჰუმანიტარული კვლევის სხვადასხვა უბანზე. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ცდილობდა თავისი ცოდნისა და ეროდიციის კვალობაზე შემოქმედებოდა ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა თითქმის ყველა მიმართულებაში.

აღსანიშნავია დავით კარიჭაშვილის მაღალი პიროვნული კულტურა (რაც კარგად ჩანს მის წერით მტყვევლებაში); პოლემიკის ღირსეულად წარმართვის უნარი, ჭეშმარიტ ერისკაცთა და ინტელექტუალთა უცთომელი შეფასების ნიჭი.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დავითის ცხოვრება-მოღვაწეობა (ისევე, როგორც მისი თაობის არაერთი წარმომადგენლისა) არის შესანიშნავი ნიმუში, როგორ რეალიზდება პიროვნების პატრიოტიზმი ყველაზე საუკეთესო ფორმით მისივე საქმიანობაში, ყოველდღიური შრომით, ღირებულებათა გადაფასების ეტაპზე შენარჩუნებული სწორი ორიენტაციებით. მისმა პირადმა არქივმა მადლიერების გრძნობით აღსავსე უამრავი წერილი შემოინახა. ამ წერილებში გამჟღავნებული სიყვარული და პატივისცემა, როგორც სიმონ ჯანაშია წერდა, დავით კარიჭაშვილის უნაგარობის, სერიოზულობისა და საზოგადო საქმისთვის თავდადების სახალურია.

კავშირებულ და სხვა მრავალ საკითხს... განხილულია მისი შრომები, რომლებიც ეძღვნება ქართულ წარმართობას, „მოქცევა ქართლისას“, „წმიდა შუშანიკის წამებას“, ვახტანგ გორგასალის ეპოქას, „წმიდა კოლაელთა წამებას“, არაბების ხანას, ლეონტი მროველს, დავით აღმაშენებელს, XII ს-ის საქართველოს, გიორგი ბრწყინვალეს... იოანე შავთელის „აბდულმესიანს“, ჩახრუხადის „თამარიანს“, შესწავლილია წიგნები: „თამარ მეფე“, „საქართველოს ისტორია“... გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“, ამ წიგნის ავტორის ვინაობასა და სხვა საკითხებს, ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას, წმიდა ქეთევან დედოფალს, გიორგი სააკაძეს... განხილულია დავით კარიჭაშვილის მიერ განეული ღვანლი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“, ლექსიკონების გამოცემაში შეტანილი წვლილი... საუბარია მის ნაშრომზე „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოცემულა...

მკვლევარს შესწავლილი აქვს დავით კარიჭაშვილის ხელნაწერები, ცალკეა წარმოჩენილი იგი როგორც რედაქტორ-გამომცემელი... ჩვენ ვხედავთ საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის საკითხებითაც დაინტერესებულ პუბლიცისტს, მრავალი წიგნისა და ნაშრომის რეცენზენტს... ჩვენს წინაშე წარმოჩნდებიან დავით კარიჭაშვილის თანამედროვენი... მონოგრაფიის ავტორი აქვეყნებს დავით კარიჭაშვილის პირად წერილებს, მიმოწერას, გვაცნობს მის ოჯახს. გამოქვეყნებულია ფოტოსურათები... ავტორს შეუდგენია დავით კარიჭაშვილის ბიბლიოგრაფია, ცალკეა ცალკეა წარმოდგენილი მოთხრობები, თარგმანები, კორექტორული ციხები, ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული ნაშრომები...

ლია კარიჭაშვილის წიგნში მხოლოდ კონსტატაცია არ ხდება ფაქტებისა. იგი, ვინც მის სხვა ნაშრომებსაც იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ჩვენს წინაშეა დინჯი და აუჩქარებელი მკვლევარი, რომლისათვისაც ყოველთვის არგუმენტირებული მსჯელობაა დამახასიათებელი. დავით კარიჭაშვილისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის წერილს მისთვის უმთავრესი იყო, წარმოეჩინა ყოველმხრივი ღვანლი ამ პიროვნებისა, მკითხველისათვის გაეცნოს მის განსხვავებული აზრები, რომლებზეც ამა თუ იმ სამეცნიერო დებულებასთან დაკავშირებით წარმოიშობოდა... ლია კარიჭაშვილი კარგად წარმოაჩენს ამ მოსაზრებებს, უმეტესწილად ცდილობს თვითონ არ ჩაერიოს, რადგან ამ შემთხვევაში ეს მისი მიზანი არ არის, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი შენიშნავს, თუ რომელ მოსაზრებას უჭერს იგი მხარს... ზოგჯერ კი მკვეთრად წერს, თუ რა არის პირადად მისთვის მისაღები და რა — არა... მკვლევარი გვიჩვენებს, თუ ვინ იყვნენ დავით კარიჭაშვილის მოსაზრების გამზიარებლები, რომელი დებულება მიიღო მეცნიერებამ... ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილ ფაქტებს შორის ვხედავთ, რომ დავით კარიჭაშვილის ესა თუ ის მოსაზრება არ მიიღო საზოგადოებამ, თუმცა ვხედავთ იმასაც, რომ დავით კარიჭაშვილის მიერ მოსაზრების გამოთქმამ დიდი როლი შეასრულა პრობლემის შესწავლაში...

ლია კარიჭაშვილს ყურადღების მიღმა არ დარჩენია და მკითხველს წარმოუჩინს, რომ დავით კარიჭაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილია, მეცნიერებამ გაიზიარა... შემდგომ კვლევამ დაადასტურა მეცნიერის არაერთი მოსაზრება, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ნაკითხვას ეხება... არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა დავით კარიჭაშვილის შეხედულებანი ქართული წარმართობის შესახებაც...

დავით კარიჭაშვილის სამეცნიერო მუშაობა მხოლოდ ქრისტიანობამდელ და შუასაუკუნეების ისტორიას არ ეხებოდა. მის მრავალმხრივობას კარგად წარმოაჩენს თუნდ ის ფაქტი, რომ მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური კრებული, გამოიცა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების კრებული, მოიხილა დოკუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც წარმოადგინა მწერლის ბიოგრაფია... მან არც დიმიტრი ყაზბეგის შესაძლო ავტორობის შესახებ არსებული ჰიპოთეზა დატოვა უყურადღებოდ. ამ ჰიპოთეზამ მძაფრი პოლემიკა გამოიწვია.

იპოლიტე ვართაგავა წერდა: „დიდი ხნის შემდეგ კარიჭაშვილის ჰიპოთეზა უტყუარ ფაქტად აღიარა მიხეილ ზანდუკელი“.



ლია კარიჭაშვილი

მა“. ლია კარიჭაშვილი, ვიტყვით ასე, ერთეულს ამ მსჯელობაში და მართებულად აღნიშნავს, რომ დავით კარიჭაშვილი არ იზიარებდა ამ ჰიპოთეზას, მაგრამ მიაჩნდა, რომ ამ აზრს ჰქონდა არსებობის უფლება. მკვლევარი ეყრდნობა თვით დავით კარიჭაშვილის შემდეგ სიტყვებს: ...ის გარემოება, რომ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ნაცნობებზე ახდენდა ფუქსავატისა და განუერთარებელი კაცის შთაბეჭდილებას, სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო კარგი მოთხრობების დაწერა... იმას ჰქონდა მხატვრული ნიჭი, ცოდნა და სიყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხისა და საკმაოდ განვითარებული ჭკუა-გონება“.

წიგნში განხილულია დავით კარიჭაშვილის პედაგოგიური საქმიანობაც, გამოკვეთილია ის დიდი როლი, რაც მან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავის აღწერა-კატალოგიზაციის საქმეში შეიტანა... ლია კარიჭაშვილი წარმოგვიჩენს არა მხოლოდ დიდ მოღვაწესა და მეცნიერს, არამედ მეტად კარგ პიროვნებასაც, სამშობლოს სიყვარულისათვის თავგადასხვადულ კაცს, რომელიც უანგაროდ ემსახურა თავის მოწოდებას.

ლია კარიჭაშვილმა ან უკვე წიგნად დასტამბული ნაშრომი საკანდიდატო დისერტაციად წარმოადგინა და წარმატებითაც დაიცვა რამდენიმე წლის წინათ. იგი მადლიერების გრძნობითა და სიყვარულით მოიხსენიებს თავის ხელმძღვანელს — პროფესორ **ლევან მენაბდეს**, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ნაშრომის დასრულებას. ლევან მენაბდის შემდეგ ლია კარიჭაშვილს ხელმძღვანელმა გაუწია პროფესორმა **ნესტან სულავამ**, რომელიც, ცხადია, ასეთივე დიდი მადლიერების გრძნობითა და სიყვარულით არის ნაშრომში მოხსენიებული.

ჩვენს წინაშეა წიგნი, რომელმაც კიდევ ერთი ჩინებული მოღვაწე დაუბრუნა ქართველ საზოგადოებას, გააცოცხლა მისი სახე; მონოგრაფია საინტერესოა ფართო მკითხველისათვის და მეტად საჭიროა სპეციალისტებისთვის, რომელთაც ამა თუ იმ პრობლემაზე მუშაობისას საშუალება მიეცემათ, რომ მოიძიონ ამ საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი მეცნიერის ნაშრომები, გაეცნონ მის და სხვათა შეხედულებებს...

წიგნის, რომლის ტიტულსაც ამშვენებს **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** გრიფი, გამოცემისათვის უღრმეს მადლობას იმსახურებენ რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი — **როსტომ ჩხეიძე**, რეცენზენტები — **კახა ჯამბურია** და **თამაზ ჯოლოგუა**, წიგნს ამშვენებს ჩვენგან ნასული შესანიშნავი მხატვრის — **თენგიზ მირზაშვილის** ნახატი... ცხადია, თენგიზ მირზაშვილის სახელიც მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ... წიგნის გამოცემაში მხარდაჭერისათვის მადლობას მოვასხენებთ **ნინო კარიჭაშვილს**, საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტს — ასპინძლობისათვის, და, ცხადია, უღრმესი მადლობა წიგნის ავტორს — ქალბატონ ლია კარიჭაშვილს! რამდენადაც ვიცნობთ მის შრომისმოყვარეობას, დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალშიც არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომს შემოგვთავაზებს.

სომერსეტ მოემი

ედვარდ ბარნარდის დაცემა

ბეითმან ჰანტერს ცუდად ეძინა. ორი კვირის განმავლობაში მოდიოდა გემით ტაიტიდან სან-ფრანცისკოსკენ და იმ ამბავზე ფიქრობდა, რომელიც უნდა მოეთხრო, და სამი დღე მატარებელში თავისთვის იმეორებდა სიტყვებს, რომლებითაც ამბის მოყოლას აპირებდა. აი, რამდენიმე საათიც და ჩიკაგოში იქნება. აქ ექვები მოეძალა. სინდისი ქენჯინდა, ვერ გაერკვია, შეძლო თუ არა იმის გაკეთება, რასაც მისი ღირსება მოითხოვდა. ეს აზრი ალელვებდა, რადგანაც საქმე მის ინტერესებს შეეხებოდა, მან კი ინტერესები რაინდობას ამჯობინა. თავგანწირვის გრძობას ისეთი მწვავე გამოძახილი ჰქონდა მის წარმოსახვაში, რომ რაიმეს გაკეთების უუნარობა იმედგაცრუებით ავსებდა. ის იმ ფილანტროპს ჰგავდა, რომელიც გაჭირვებულებისთვის სანიმუშო საცხოვრებლებს აშენებს და მიაჩნია, რომ ფული მომგებიანად დააბანდა. არ ძალუძს, უარი თქვას კმაყოფილებაზე, როდესაც ხედავს, რომ წყალს გატენულ პურს ათი პროცენტი სარგებელი მოაქვს, მაგრამ უხერხულად ცეცხლს თავს, რადგანაც ეს მის სათნოებას მომხიბვლელობას უკარგავს. ბეითმან ჰანტერმა იცოდა, რომ სინდისი სუფთა ჰქონდა, მაგრამ ეჭვობდა, რამდენად გაუძლებდა იზაბელ ლონგსტაფის ცივ, ნაცრისფერ თვალთა მზერას, ამბავი ხომ მისთვის უნდა მოეთხრო, მეტისმეტად პუნქტუალური სამართლის გრძობით ზომავდა და იმაზე მეტი გაკიცხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე ის ცივი დუმილი, რომლითაც საკუთარ უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რაც მის მომთხოვნ მორალურ კოდექსს არ შეეფერებოდა. საკუთარ შეხედულებას ვერ გადაათქმევინებდი, რადგანაც აზრს არასოდეს შეიცვლიდა, მაგრამ ბეითმანს იგი მხოლოდ ამგვარი სურდა. მას ნიბლავდა არა მხოლოდ მისი ნატიფი და გამართული სხეულის სილამაზე, რასაც ამაყად შემართული თავი აგვირგვინებდა, არამედ, უფრო მეტად, მისი სულის სიმშვენიერე, მისი სამართლიანობა, პატიოსნების ურყევი გრძობა, უშიშარი გამოხედვა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მას თავის თავში მოეცვა ყველაფერი ის, რითაც მის თანამემამულე ქალბატონები სხვებს ალტაცებდნენ. მაგრამ ბეითმანი მასში მეტსაც ხედავდა, ვიდრე ამერიკელი ქალიშვილის სრულყოფილებაა, ის გრძობდა, რომ ეს სრულყოფილება მისი გარემოცვიდან გამომდინარეობდა და, დარწმუნებული გახლდათ, მსოფლიოს არცერთ ქალაქში, ჩიკაგოს გარდა, არ იქნებოდა მისი მსგავსი. უეცრად ძლიერი ტკივილი იგრძნო, როდესაც ედვარდ ბარნარდზე ფიქრისას გაახსენდა, რომ იზაბელის სიამაყისთვის მწვავე დარტყმა უნდა მიეყენებინა და გული რისხვით აუძკერდა.

როგორც იქნა, მატარებელმა ჩიკაგოს მიაღწია და იგი აღფრთოვანდა ნაცრისფერი სახლების გრძელი მწკრივების დანახვაზე. არ შეეძლო აუღელვებლად ეფიქრა სტიეტსა და უობაშუე თავისი ხალხით გაჭედული ტროტუარებით, გადატვირთული ტრანსპორტითა და ხმაურით. ის შინ იმყოფებოდა და ხარობდა, რომ დაიბადა შეერთებული შტატების ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქში. სან-ფრანცისკო იყო განაპირა, ხოლო ნიუ-იორკი დაცემის გზაზე მდგარი ქალაქი, ამერიკის მომავალი ეფუძნებოდა მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ჩიკაგოს, თავისი მდებარეობისა და მცხოვრებთა ენერჯის გამო, ქვეყნის ნამდვილ დედაქალაქად გადაქცევა ელოდა ბედად.

— ვფიქრობ, მოვესწრები, როგორ გახდება იგი უდიდესი ქალაქი თველ მსოფლიოში, — თავისთვის თქვა ბეითმანმა, როდესაც ფეხი პლატფორმას დაადგა.

მამა მის შესახვედრად მოსულიყო, მხურვალე მისალმების შემდეგ ეს წყვილი, მაღალი და მოყვანილი, ერთნაირად მშვენიერი, ზომიერი სახის ნაკვეთებითა და თხელი ტურნით, სადგურიდან გზას გაუდგა. მისტერ ჰანტერის ავტომობილი მათ ელოდებოდა და ისინი ჩასხდნენ. მისტერ ჰანტერს არ გამოჰპარვია, თუ როგორი სიამაყითა და ალტაცებით ადევნებდა თვალს ქუჩას მისი შვილი.



— მოხარული ხარ, რომ დაბრუნდი? — ჰკითხა მას.

— რაღა თქმა უნდა. — თქვა ბეითმანმა.

ის გაფაციცებით აკვირდებოდა მშფოთვარე ქალაქს.

— ვფიქრობ, აქ ცოტა მეტი მოძრაობაა, ვიდრე თქვენს სამხრეთის ზღვების კუნძულებზე, — გაეცინა მისტერ ჰანტერს, — როგორ მოგეჩონა იქაურობა?

— ჩიკაგოს რა სჯობს, მამა? — უპასუხა ბეითმანმა.

— ედვარდ ბარნარდი არ ჩამოიყვანე?

— არა.

— როგორ არის?

ბეითმანი ერთხანს დუმდა და მას მომხიბვლელი, ნაზი სახე მოელუშა.

— ვამჯობინებდი, ამაზე ჯერ არ მესაუბრა, — თქვა ბოლოს.

— ძალიან კარგი, ჩემო მეგობარო. ვფიქრობ, დღეს დედაშენს გააბედნიერებ.

გასცდნენ ხალხით გაჭედილ ქუჩებს ლუპში და გაემართნენ მიჩიგანის ტბის გასწვრივ, მიუახლოვდნენ უზარმაზარ შენობას, რომელიც მდინარე ლუარზე მდგარი სასახლის ზუსტ ასლს წარმოადგენდა, და რომელიც მისტერ ჰანტერმა აიგო რამდენიმე წლის წინათ, რანამს ბეითმანი მარტო დარჩა თავის ოთახში, ტელეფონის ნომერი აკრიფა. მას გული აუძგერდა, როდესაც ხმა მოესმა.

— დილა მშვიდობისა, იზაბელ, — თქვა მხიარულად.

— დილა მშვიდობისა, ბეითმან.

— როგორ გამოიცანი ჩემი ხმა?

— არცთუ დიდი ხნის წინათ მოვისმინე ის ბოლოს, ამას გარდა, მოგელოდი.

— როდის შემიძლია შეგვხვედი?

— თუ სხვა უკეთესი საქმე არ გელოდება, ხომ არ ისადილებდი ჩვენთან?

— კარგად იცი, უკეთესს სხვას ვერაფერს გავაკეთებდი.

— ვფიქრობ, შენ ბევრი რამ იცი ახალი.

მისი აზრით, ქალის ხმაში რაღაც წინათგრძნობა იგრძნობოდა.

— დიას, — იყო პასუხი.

— კარგი. ამას ამაღამ მომიყვები. ნახვამდის. კავშირი შეწყდა. ეს მართლაც იზაბელი იყო — მხოლოდ მას შეეძლო კიდევ დიდხანს ეთმინა, ვიდრე გაიგებდა იმას, რაც ასე ძლიერ ალელვებდა. ბეითმანს ალაფრთოვანებდა ქალის თავმეკავება, რაც მისი სულის სიძლიერეზე მეტყველებდა.

სადილობისას, რომელსაც მათთან ერთად სხვა არავინ ესწრებოდა, იზაბელის დედისა და მამის გარდა, ბეითმანი აკვირდებოდა, თუ როგორ მიჰყავდა იზაბელს დახვეწილი საუბარი და წარმოიდგინა, რომ ზუსტად ამგვარი უნდა ყოფილიყო რომელიმე მარკიზა გილიოტინის აჩრდილქვეშ თავისი დღიური საქმეებით, რომელთაც მომავალი დღის ხილვა არ ეწერათ. მისი დახვეწილი სახის ნაკვეთი, მოკლე ტურჩი და ხშირი, ლამაზი თმა მიგვანიშნებდა, რომ საქმე კვლავ მარკი-

ზასთან გვექნა და რომ მის ძარღვებში ჩიკაგოს ყველაზე კარგი ოჯახების სისხლი ჩქეფდა. სასადილო ოთახი ზუსტად მისადაგებოდა მის ნატიფ სილამაზეს, ის ხომ იზაბელის წარმოსახვის ნაყოფი იყო. ვენეციის დიდი არხის სასახლის ზუსტი ასლი ლუი XV-ის სტილში, განყოფილი ინგლისელი სპეციალისტის მიერ და ბრწყინვალე მორთულობა, დაკავშირებული სიყვარულს მონყურებულ მონარქის სახელთან, უფრო მიმზიდველს ხდიდა იზაბელის მომხიბვლელობას და იმავდროულად უფრო ღრმა მნიშვნელობასაც სძენდა. იზაბელი ძლიერ ნაკითხი გახლდათ და მისი, თუნდაც მაღალი წრის ქალის საუბარი, არასდროს ყოფილა წრეგადასული.

ახლა ის საუბრობდა კერძო კონცერტზე, რომელსაც დედასთან ერთად დღეს ნაშუადღევს დაესწრო, მოხსენებაზე, რომელსაც ერთი ინგლისელი პოეტი კითხულობდა აუდიტორიუმში, პოლიტიკურ მდგომარეობასა და ცნობილ ძველ მხატვარზე, რომლის ტილოც მამამისმა ორმოცდაათი ათას დოლარად შეიძინა ნიუ-იორკში. მისი მოსმენა ბეთმანს შეეპას ჰგვირდა და კიდევ ერთხელ გრძობდა, რომ ცივილიზებულ სამყაროში იმყოფებოდა, კულტურისა და განსაკუთრებულობის ცენტრში, და ერთგვარი ხმები, რომლებიც აშფოთებდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ კიდევაც მის სურვილს, როგორმე ჩაეხშო ისინი, საბოლოოდ მაინც მიწყნარდა მის გულში.

— რა კარგია შინ, ჩიკაგოში, — თქვა მან.

სადილი დასრულდა და როდესაც სასადილო ოთახიდან გადიოდნენ, იზაბელმა დედას უთხრა.

— ბეთმანი ჩემს ოთახში მიმყავს, ბევრ რამეზე უნდა ვისაუბროთ.

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო, — მიუგო ლონგსტაფმა. — მე და მამას მადამ დიუ ბარის ოთახში მოგვინახავთ, როგორც კი საუბარს დაამთავრებთ.

იზაბელმა ახალგაზრდა მამაკაცი კიბის ზემოთ აიყვანა და იმ ოთახის კენ მიუთითა, რომელთანაც მას ბევრი სასამოვნო მოგონება აკავშირებდა. ამ ოთახს მართალია კარგად იცნობდა, მაგრამ არ შეეძლო დაემაღლა ის ალტაცება, რომელსაც იგი დანახვისთანავე იწვევდა მასში. მან ლიმილით მიმოიხედა ირგვლივ.

— ვფიქრობ, ეს წარმატებაა, — თქვა იზაბელმა, — მთავარია, ეს წამდვლია, აქ ხომ საფერფლესაც ვერ ნახავთ, რომ იმ ეპოქისა არ იყოს.

— ვფიქრობ, ამიტომაცაა ასე საუცხოო, ჩანს, ყველაფერი ეს შესაშური სიზუსტით გააკეთეთ.

ისინი ბუხრის წინ მოთავსდნენ და იზაბელმა მას თავისი მშვიდი, ნაცრისფერი თვალების მზერა მიაპყრო.

- აბა, ახლა რას მიაბობთ? — ჰკითხა მან.
- მეძნელება დანყება.
- დაბრუნდება ედვარდ ბარნარდი უკან?
- არა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ვიდრე ბეთმანი ხმას ამოიღებდა, იცოდა, მისი სიტყვა ორივესთვის ღრმად დამაფიქრებელი იქნებოდა. ეძნელებოდა საუბრის დანყება, რადგანაც ბევრი რამ იყო მასში ქალის მგრძობიარე სმენისათვის შეურაცხყოფელი, რაც შეუძლებელია არ ეთქვა მისთვის, ამას ხომ სამართლიანობა მოითხოვდა.

ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ დაიწყო, როდესაც ის და ედვარდ ბარნარდი, ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას, იზაბელ ლონგსტაფს შეხვდნენ ჩაის წვეულებაზე, რომელიც გაიმართა იზაბელის წარსადგენად საზოგადოების წინაშე.

იმ დროიდან იცნობდნენ, როდესაც ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო და თვითონ კი უწვევრულვამო ბიჭები. შემდეგ იზაბელი ორ წელიწადს ევროპაში იმყოფებოდა განათლების მისაღებად და მათაც, უეცარი შეხვედრით ალტაცებულებმა, განაახლეს ნაცნობობა ამ საყვარელ გოგონასთან, რომელიც სამშობლოში დაბრუნებულიყო. ორივეს თავდავიწყებით შეუყვარდა, მაგრამ ბეთმანმა მალევე შეამჩნია, რომ იზაბელს თვალი ეჭირა ედვარდზე და, როგორც მეგობრის ერთგული, მათ შორის მე-

საიდუმლოებას დასჯერდა. მართალია ამით სიმწარეც იწვინა, მაგრამ იმის დაუნახაობაც არ შეეძლო, რომ ედვარდი ბედნიერების ღირსი იყო. იმაზე ფიქრით შეწუხებული, რომ არაფერს შეესუსტებინა მათ შორის მეგობრობა, რასაც ასე ძლიერ აფასებდა, იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ არასოდეს გაემჟღავნებინა თავისი გრძობები. ნახევარ წელიწადში ქალ-ვაჟი დაინიშნა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ და იზაბელის მამამ გადაწყვიტა, რომ არ დაქორწინებულიყვნენ, ვიდრე ედვარდი სწავლას არ დაასრულებდა. მათ კიდევ წელიწადი უნდა დაეცადათ. ბეთმანს ახსოვდა იმ ზამთრის მინურული, როდესაც იზაბელსა და ედვარდს უნდა ექორწინათ — ზამთარი ცეკვების, თეატრალური წვეულებებისა და ვინო წრის გართობებისა, რომლებსაც ის, ყოველთვის მესამე, აუცილებლად ესწრებოდა. იმის გამო, რომ იზაბელი მეგობრის ცოლი უნდა გამხდარიყო, იგი უფრო მეტადაც უყვარდა; მისი ღიმილი, მისგან ხუმრობით ნათქვამი სიტყვა, მისი ერთგულება თავისი სიყვარულის მიმართ, ბეთმანს ყოველთვის ალტაცებას ჰგვირდა: და იგი, როგორღაც თვითკმაყოფილი, საკუთარი თავის მაღლობელი იყო იმის გამო, რომ მათი ბედნიერება არ შურდა. შემდეგ უბედურება დატრიალდა. დიდი ბანკი გაკოტრდა, ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით ბირჟაზე პანიკა ატყდა და ბარნარდის მამამ თავი განადგურებულად იგრძნო. ერთ საღამოს შინ დაბრუნდა, ცოლს უთხრა, გავკოტრდი, და ნასადილევს თავის კაბინეტში ტყვია დაიხალა.

ერთი კვირის შემდეგ ედვარდ ბარნარდი, მოტეხილი, გაფითრებული სახით მივიდა იზაბელთან და სთხოვა, რომ მას ქორწინების პირობაზე უარი ეთქვა. იზაბელმა იმით უპასუხა, რომ კისერზე ხელები მოხვია და ცრემლები გადმოაფრქვია.

— გულს უფრო მეტად ნულარ დაიმძიმებ, საყვარელო, — უთხრა ედვარდმა.

— გგონია, რომ ნებას დაგრთავ, გამეცალო? მე შენ მიყვარხარ!

— როგორ შეგიძლია მთხოვო, რომ მე შენი ქმარი გავხდე? საქმე უიშვია, ამას მამაშენი არასოდეს დაგვრთავს, მე ცნობტიც კი არ გამაჩნია.

— არ მადარდებს, მე შენ მიყვარხარ.

ედვარდმა მას თავისი გეგმები გაანდო, მას ერთბაშად უნდა ეშოვა ფული. ჯორჯ ბრაუნშიმდტი, მისი ოჯახის ერთი ძველი მეგობარი, შეჰპირდა, რომ საკუთარ ბიზნესში ჩართავდა. იგი სამხრეთის ზღვების კომერსანტი გახლდათ და წყნარი ოკეანის ბევრ კუნძულზე საკუთარი სააგენტო ჰქონდა. მან ედვარდს შესთავაზა, რომ ნასულიყო ტაიტიზე ერთი ან ორი წლით, სადაც მის საუკეთესო მენეჯერთა მეთვალყურეობის ქვეშ შეისწავლიდა სხვადასხვა საქმიანობის დეტალებს, და ამ დროის განვლის შემდეგ ახალგაზრდა კაცს მყარი მდგომარეობა აღუთქვა ჩიკაგოში. ეს საუცხოო წინადადება იყო და, როცა მან ყველაფერი აუხსნა, იზაბელს კვლავ ღიმილი მოეფინა სახეზე.

— ჩემო სულელო ბიჭუნავ, რად გინდოდა, რომ უბედური გავხდებო?

ედვარდს ამ სიტყვებზე სახე აუწითლდა და თვალებში სხივი ჩაუდგა.

- იზაბელ, იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ დამელოდები?
- შენი აზრით, ამისი ღირსი არა ხარ? — ღიმილით მიუგო მან.
- ოჰ, ნუ დამცინი, გვედრები, სერიოზული იყო. ეს შეიძლება ორი წელი გავგრძელდეს.
- შიში ნუ გაქვს. მე შენ მიყვარხარ, ედვარდ, როდესაც უკან დაბრუნდები, შენი მეუღლე გავხდები.

ედვარდის დამსაქმებელი იყო ადამიანი, რომელსაც საქმის გაჭიანურება არ უყვარდა, ამიტომ უთხრა, თუ შეთავაზებულ დანიშვნას იღებდა, ერთ კვირაში ზღვით უნდა ნასულიყო სანფრანცისკოდან. ედვარდმა ბოლო საღამო იზაბელთან ერთად გაატარა. ნასადილევს მისტერ ლონგსტაფი, იმ მიზეზით, რომ საქმე ჰქონდა ედვარდთან, მას მოსანეე ოთახში შეუძღვა. მისტერ ლონგსტაფმა გულითადად შეხედა თავისი ქალიშვილის გა-

დანყვეტილებას და ახლა ედვარდს ვერ წარმოედგინა, თუ რა სა-
იდუმლო უნდა ჰქონოდა მასთან, ძლიერ დაიბნა, როცა ნახა, რომ
მისი მასპინძელი შეცბუნებული ჩანდა, ენას უკიდებდა, უმნიშვნე-
ლო რამეებს ლაპარაკობდა, ბოლოს კი ერთბაშად წარმოთქვა:

— ფეიქრობ, გსმენიათ არნოლდ ჯექსონის შესახებ, — რო-
დესაც ამას ამბობდა, ედვარდს მოღუსული მისჩერებოდა. ედ-
ვარდი ყოყმანობდა, ბუნებრივი გულწრფელობა აიძულებდა,
რომ ელიარებინა ის, რისი უარყოფისაც მოხარული იქნებოდა.

— დიახ, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, ამისთვის
განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია.

— არცთუ ბევრი ადამიანია ჩიკაგოში, ვისაც არ სმენია
არნოლდ ჯექსონის შესახებ, — თქვა მისტერ ლონგსტაფმა,
— და თუკი ასეთიც არის, მისთვის ძნელი არ იქნება, ვინმეს-
გან შეიტყოს მასზე. იცით თუ არა, რომ იგი მისის ლონგსტა-
ფის ძმა გახლდა?

— დიახ, ამის შესახებ მსმენია.

— ცხადია, ჩვენ მასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს
მრავალი წელია. მან ასწრაფოდ დატოვა ქვეყანა და, რო-
გორც ვხვდები, ქვეყანაც არ წუხდა იმის გამო, რომ მას ველარ
ნახავდა. ვიცით, ტაიტიზე ცხოვრობს. გირჩევ, თავი აარიდო,
მაგრამ თუ მასზე რაიმეს გაიგებ, მე და მისის ლონგსტაფი
ძლიერ მოხარულნი ვიქნებით, თუ შეგვატყობინებ.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— ესაა, რისი თქმაც თქვენთვის მსურდა. ახლა, ალბათ, ამჯო-
ბინებდით, რომ ქალბატონების საზოგადოებას შეერთებოდით.

ცოტა თუ იქნება ოჯახი, რომელსაც თავის ნევრებს შორის
არ ჰყავდეს ვინმე ისეთი, რომელსაც სიამოვნებით დაივინყებდა,
თუ მისი ახლობლები ამის ნებას მისცემდნენ, და ბედნიერია,
როდესაც ერთი ან ორი მომდევნო თაობა მის უსაქციელობას
შეცდომით რომანტიკული შარავანდით შემოსავს. მაგრამ რო-
დესაც ცოცხალია და თუ იმგვარი ახირებაც ახასიათებს, რომე-
ლიც შეიძლება ეპატიოს შემდეგი ფრაზით: მხოლოდ თავისი თა-
ვის მტერიაო, — ერთი გამონაკლისის გარდა: თუ მას ბრალს
ვდებთ, უკეთეს შემთხვევაში, ალკოჰოლიზმისა და ქალების
დევნის გამო, მაშინ ერთადერთი გზაა დუმოლი. სწორედ ეს გახ-
ლდა, რაც ლონგსტაფებმა აირჩიეს არნოლდ ჯექსონის მი-
მართ. მასზე არასოდეს საუბრობდნენ, იმ ქუჩაზეც კი არ გაივ-
ლიდნენ, რომელზეც მას უცხოვრია. როგორც დიდულოვანი
ადამიანები, არ დაუშვებდნენ, რომ მის ცოლ-შვილს გასჭირვე-
ბოდა. ესმარებოდნენ წლების მანძილზე, მაგრამ იმ პირობით,
რომ მათ ევროპაში ეცხოვრათ. ლონგსტაფებმა ყველაფერი
იღონეს, რაც კი შეეძლოთ, რათა არნოლდ ჯექსონის ხსენება
ამოეძირკვათ, და მაინც კიდევ ფიქრობდნენ, რომ ეს ამბავი ხალ-
ხის მეხსიერებაში ისევე ცოცხლობდა, როგორც მაშინ, როდესაც
სკანდალმა იფეთქა გაცეხებული ქვეყნის წინაშე — არნოლდ
ჯექსონი იყო არამზადა, რადგანაც მრავალი ოჯახი დააზარალა.

როგორც მდიდარი ბანკირი, ცნობილი თავის მრეველში, ფილან-
ტროპი, ადამიანი, ყველასაგან პატივცემული თავისი წარმომავ-
ლობითაც (მის ძარღვებში ჩიკაგოს ცისფერი სისხლი ჩქეფდა)
და უმნიშვნლო რეპუტაციითაც. ერთ დღეს იგი დააპატიმრეს
თაღლითობის ბრალდებით და ის უპატიოსნება, რაც სასამართ-
ლომ მზის სინათლეზე გამოიტანა, ახსნილი იყო არა უეცარი
ცდუნებით, არამედ როგორც წინასწარგანზრახული და განუწყ-
ვეტელი, რაც არა ერთი თუ ორი წელი გრძელდებოდა. არნოლდ
ჯექსონი — როგორც არამზადა — შვიდი წლით გამოსასწორე-
ბელ დაწესებულებაში გააგზავნეს, ძნელად თუ ვინმე იქნებოდა,
რომელიც არ ფიქრობდა, რომ იგი სასჯელს იოლად გადაურჩა.

როდესაც საღამოს დასასრულს შეყვარებულები განმარ-
ტოვდნენ, ბევრი საზეიმო განაცხადი და ერთგულობის ფიცი
წარმოითქვა, იზაბელს ცრემლები ღვარად სდიოდა, ცოტათი
დანყნარდა, როცა ედვარდის მგზნებარე სიყვარულში დარწ-
მუნდა, მას საოცარი გრძნობა დაეუფლა; საყვარელ ადამიან-
თან განმორებით უბედურად გრძნობდა თავს, მაგრამ იმავდ-
როულად ბედნიერიც იყო, რადგან ედვარდი მას აღმერთებდა.

ამ ამბიდან ორ წელზე მეტი გავიდა.

მას შემდეგ ედვარდი ხშირად აგზავნიდა წერილებს, —
სულ ოცდაოთხი წერილი იყო, რადგანაც ფოსტა თვეში მხო-
ლოდ ერთხელ მოდიოდა. ეს წერილები იმგვარი გახლდათ,
როგორც უნდა იყოს შეყვარებულის წერილები: ინტიმური
და მომხიბვლელი, იუმორით შეზავებული, უკანასკნელები
განსაკუთრებით. თავიდან ისინი მოგვანიშნებდნენ, რომ მათი
ავტორი სამშობლოში დაბრუნების, ჩიკაგოსა და იზაბელის
ნახვის დიდი სურვილით იყო ავად და ცოტა შეწუხებულიც.
იზაბელი საპასუხოდ სწერდა, რომ ურყევი ყოფილიყო მიზნის
მისაღწევად, ეშინოდა, ედვარდს უარი არ ეთქვა თავის მდგო-
მარეობაზე და საჩქაროდ უკან არ დაბრუნებულიყო. მას რო-
დი სურდა, რომ მის შეყვარებულს მოთმინება დაეკარგა და
ერთი პოე-ტის ასეთ პნკარებს სწერდა.

**ვერ შევძლებდი, რომ მყვარებოდი ასე ძლიერად,
ჩემს ღირსებას მეტ პატივს რომ არ მივაგებდე.**

მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, კარგად მოეწყო და იზაბელი
ბედნიერი იყო, თვალი ედევნებინა, თუ როგორი აღმავალი ენ-
თუზიანით ნერგავდა იგი ამერიკულ მეთოდებს ამ, ქვეყნიერე-
ბის მივინყებულ, კუთხეში, მაგრამ ედვარდს კარგად იცნობდა
და წლის მიწურულს, როდესაც ტაიტიზე მისი შესაძლო ყოფნის
უმოკლესი ვადა იწურებოდა, იმედოვნებდა, გამოეყენებინა
მთელი თავისი გავლენა, რათა მისთვის სამშობლოში დაბრუნე-
ბის სურვილი გაენელებინა, სჯობდა, ბიზნესი სრულყოფილად
შესესწავლა და თუ მათ შეძლეს უერთმანეთოდ ერთი წელი ყოფი-
ლიყვნენ, რატომ არ უნდა მოეთმინათ კიდევ ერთი, შემდგომი
წელი. ამას ის განიხილავდა ბეითმან ჰანტერთან ერთად, რომე-
ლიც მეგობართა შორის ყველაზე კეთილშობილი გახლდათ (ედ-
ვარდის ნასვლიდან პირველ დღეებში იზაბელმა არ იცოდა, თუ
რას მოიმოქმედებდა უიმისოდ). გადაწყვიტეს, რომ ედვარდის
მომავალი ყველაფერზე წინ უნდა დაეყენებინათ და მანაც სიმშ-
ვიდე იგრძნო, როდესაც ნახა, რომ დათქმული დროის გასვლის
შემდეგ უკან დაბრუნების არავითარი წინადადება არ ყოფილა.

— იგი შეუდარებელია, ხომ მართალია? — ალტაცებით
უთხრა მან ბეითმანს.

— ნამდვილად ღირსეულია.

— როდესაც მისი წერილის სტრიქონებს ვკითხულობ,
ვხვდები, რომ იქ ყოფნა მეტისმეტად არ მოსწონს, მაგრამ
არაფერად აგდებს, იმიტომ, რომ... — იზაბელი ცოტათი ნაშო-
ნითლდა და ბეითმანმა თავშეკავებული ღიმილით, რომელსაც
მას ასე მომხიბვლელს ხდიდა, მისი წინადადება დაასრულა:

— იმიტომ, რომ უყვარხარ.

— ეს იძულებულს მხდის, ბედს დავმოიჩილდე, — თქვა
იზაბელმა.

— გასაოცარი ბრძანდებით, იზაბელ, ნამდვილად გასაო-
ცარი.

თითქმის მეორე წელი გადიოდა და იზაბელი ყოველთვის
იღებდა ედვარდისაგან წერილს. ახლა ცოტა უცნაურად ეჩვენე-
ბოდა, რომ იგი არაფერს ამბობდა უკან დაბრუნებაზე, ისე
ინერებოდა, თითქოს საბოლოოდ დამკვიდრდა ტაიტიზე და,
მეტიც, მოხერხებულად მოეწყო იქ. ამ აღმოჩენით გაცეხებული,
განმეორებით კითხულობდა წერილებს, ყველას რამდენჯერმე,
და ახლა პნკარების კითხვისას, საგონებელში ჩავარდნილმა,
შენიშნა ცვლილება, რომელიც გამოეპარა. ბოლო წერილები
ისეთივე ნაზი და სიამოვნების მომგვრელი იყო, როგორც პირ-
ველები, მაგრამ ტონი შეცვლილი ეჩვენებოდა. ისინი თავიანთი
იუმორით ბუნდოვან ეჭვს ბადებდნენ, ქალისათვის დამახასია-
თებელი ინსტინქტური უნდობლობა საფიქრალს უჩენდა, იზა-
ბელი მთლად დარწმუნებული არ გახლდათ, რომ ამ წერილებს
ის ედვარდი ინერებოდა, რომელსაც იცნობდა. ერთხელ, შუ-
ადლისან ტაიტიდან მორიგი ფოსტის მიღების წინ, როდესაც
ბეითმანთან ერთად ავტომობილით მგზავრობდა, მან ჰკითხა:

— შეგატყობინა ედვარდმა, თუ როდის მოემგზავრება?
— არა, არაფერი უხსენებია, ვფიქრობდი, შენ გითხრა რაიმე ამის შესახებ.

— სიტყვაც არ დასცდენია.

— შენ იცნობ ედვარდს, — სიცილით მიუგო ქალმა, — ის დროს ვერ გრძნობს. თუ საშუალება გექნება, წერილი მისწერო, იქნებ გეკითხა, როდის ფიქრობს დაბრუნებას?

მისი თავდაჭერა ისეთი უბრალო იყო, რომ მხოლოდ მკვეთრი მგრძობილობის ადამიანს შეეძლო ამ თხოვნაში გაერჩია ძალზე სერიოზული სურვილი. მან ჩაიცინა.

— დიას, ვკითხავ. წარმოდგენა არ მაქვს, თუ რას ფიქრობს ამაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ, იზაბელმა შენიშნა, რომ ბეთმანმა აღელვებული იყო. ისინი ხშირად ხვდებოდნენ მას შემდეგ, რაც ედვარდმა ჩიკაგო დატოვა: ორივე მისი ერთგული დარჩა და, როგორც ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ მსმენელებს, თითოეულს დიდი სურვილი ჰქონდა ესაუბრა მასზე: შედეგი კი ის გახლდათ, რომ ქალი კარგად ცნობდა ბეთმანის სახის ყოველგვარ გამომეტყველებას და მისგან უარის თქმა ამო იქნებოდა იზაბელის ბასრი ინსტინქტის წინაშე, იზაბელს რაღაც მიანიშნებდა, რომ ბეთმანის შენუხებული მზერა ედვარდთან იყო დაკავშირებული და არ მოისვენა, ვიდრე მისგან სიმართლეს გაიგებდა.

საქმე ისაა, — თქვა მან ბოლოს, — სხვადასხვა გზით გავიგე, რომ ედვარდი დიდხანს აღარ მუშაობს ბრაუნშიდტსა და კომპანიაში: გუშინ კი ბედნიერება მხვდა უშუალოდ ბრაუნშიდტისთვის მეკითხა.

— შემდეგ?

— ედვარდი სამუშაოდან გათავისუფლდა დაახლოებით ერთი წლის წინათ.

— საოცარია, ამაზე არაფერი მოუწერია.

ბეთმანი ყოყმანობდა, მაგრამ ისე შორს შევიდა, რომ ახლა იძულებული იყო ყველაფერი ეთქვა, რაც უკიდურესი უხერხულობის გრძნობას ჰგვრიდა.

— დაითხოვეს.

— ღმერთო ჩემო, რისთვის?

— როგორც ჩანს, ერთხელ თუ ორჯერ გააფრთხილეს, საბოლოოდ კი უთხრეს, წასულიყო, ჩათვალეს, ზარმაცი და საქმის უცოდინარი.

— ედვარდი?!

ერთხანს დუმდნენ, შემდეგ მან დაინახა, რომ იზაბელი ტიროდა და ანგარიშიუცემლად ხელზე ხელი მოჰკიდა.

— ოჰ, ძვირფასო, არა, არა ამის ატანა არ შემიძლია.

იზაბელი ისეთი აღელვებული ჩანდა, ხელის უკან წაღება არც კი უცდია, ბეთმანი მის დამშვიდებას შეეცადა.

— დაუჯერებელია, რომ ეს ედვარდს შემთხვევად, გული მიგრძნობს, აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს.

იზაბელს ცოტახანს ხმა არ ამოუღია, შემდეგ კი ყოყმანით წარმოთქვა:

— უცნაური ხომ არაფერი შეგინიშნავს მის ბოლოდროინდელ წერილებში? — როდესაც ამას ამბობდა, მისი ცრემლებით გაბრწყინებული თვალები შორს იყურებოდნენ.

ბეთმანმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

— რაღაც ცვლილებები შევნიშნე, — აღიარა. — როგორც ჩანს, ის სიბეჯითე და სერიოზულობა დაკარგა, რაც მასში ძლიერ მხიბლავდა. შეიძლება იფიქრო, რომ ამგვარი ამბები... — კარგი, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

იზაბელმა არაფერი უპასუხა: იგი გონებაგაფანტული და შემფოთებული იყო.

— შესაძლოა, მან პასუხად მოგვწეროს, თუ როდის აპირებს დაბრუნებას. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ამას დაველოდოთ. შემდეგ ორივემ მიიღო ედვარდისაგან წერილი, ამჟამად არაფერს ინერებოდა დაბრუნებაზე, მაგრამ შესაძლებელი იყო, როდესაც ამ წერილს წერდა, ჯერ კიდევ არ მიეღო ბეთ-

მანის შეკითხვა. მორიგ წერილს უნდა გაეცა ამაზე პასუხი. შემდეგი ფოსტაც მოვიდა და ბეთმანმა იზაბელს მოუტანა ახლახან მიღებული წერილი. ქალისთვის ვაჟის ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ მიმხვდარიყო, ბეთმანი განზილებული გახლდათ. წერილი ბოლომდე წაიკითხა და შემდეგ, ოდნავ მოკუმული ბავით, ხელმეორედ გადაიკითხა.

— ძალზე უცნაური წერილია, — თქვა მან, — ვერაფერს მივხვდი.

— კაცი იფიქრებდა, რომ გამეხუმრა, — წარმოთქვა წამოწითლებულმა ბეთმანმა.

— ასეც ჩანს, მაგრამ წინანარგანზრახვით არ უნდა იყოს, ეს ედვარდს არ სჩვევია.

— დაბრუნების შესახებ არაფერს ამბობს.

— მის სიყვარულში ასე ღრმად რომ არ ვიყო დარწმუნებული, ვიფიქრებდი... არც კი ვიცი, რას ვიფიქრებდი.

შემდეგ ბეთმანმა მას გააცნო ამ დღეს ჩამოყალიბებული გეგმა, მამამისის ფირმას, რომელიც აწარმოებდა ყოველგვარი სახის ტრანსპორტის მოტორებს, განზრახული ჰქონდა ჰონოლულუს, სიდნეისა და ველინგტონში სააგენტოთა დაარსება; ბეთმანმა, როგორც ამ ფირმის პარტნიორმა, გადაწყვიტა თვითონ წასულიყო იმ მენეჯერის მაგივრად, რომელიც იქ უნდა გაეგზავნათ. უკან ტაიტის გავლით დაბრუნდებოდა და აქ კი შეეძლო ედვარდის ნახვა.

— აქ რაღაც საიდუმლოება იმალება და მზად ვარ გამოვამსკარავო. ეს ერთადერთი გზაა საამისოდ.

— როგორი კეთილი და დიდსულოვანი ხარ, ბეთმან, — წამოიძახა იზაბელმა.

— კარგად იცი, ამქვეყნად არაფერი ისე არ მსურს, როგორც თქვენი ბედნიერება, იზაბელ!

იზაბელმა შეხედა და ორივე ხელი გაუწოდა.

— შესანიშნავი ხართ, ბეთმან. არ ვიცი, არსებობს თუ არა კიდევ ამქვეყნად თქვენი მსგავსი, შევძლებ კი, ოდესმე მადლობა გადაგიხადოთ?

— მადლობა არ მსურს, მხოლოდ ის მინდა, ნება დამართოთ, დაგეხმაროთ.

იზაბელმა თვალები დახარა და ოდნავ წამოწითლდა, ისე იყო ბეთმანთან მიჩვეული, დავინყებოდა კიდევ, თუ როგორი მომხიბვლელი გახლდათ იგი, ედვარდით მალაღი და ტანადი, შავთმისი, მაგრამ სახეფერმკრთალი, მამინ, როდესაც ედვარდი მნიშვნელოვანი გახლდათ. რა თქმა უნდა, იზაბელმა იცოდა, რომ მას იგი უყვარდა, ეს აღელვებდა და ბეთმანის მიმართ ნაზი გრძნობით იყო განმსჭვალული.

აი, ამ მოგზაურობიდან დაბრუნდა ბეთმან ჰანტერი შინ.

ბიზნესის საქმეებმა იმაზე მეტხანს დააყოვნა, ვიდრე ელოდა, და საკმაოდ დრო ჰქონდა, თავის ორ მეგობარზე ეფიქრა. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისეთი განსაკუთრებული არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც ედვარდს ხელს შეუშლიდა დაბრუნებაში, შესაძლოა, ეს იყო ღირსების გამძაფრებელი გრძნობა, წარმატებისთვის მიეღწია, ვიდრე თავის სათაყვანებელ საცოლეს ხელს სთხოვდა, მაგრამ თუ ასე იყო, ეს ედვარდთან განსჯას მოითხოვდა. იზაბელი იტანჯებოდა. ედვარდი ჩიკაგოში უნდა დაბრუნებულიყო, უმაღლეს მასზე დაქორწინებულიყო, ჰანტერის საავტომობილო კომპანიის ქარხნებში მისთვის შესაფერი თანამდებობა მოიძებნებოდა, და მათი გულშემატკივარი ბეთმანი აღტაცებაში მოდიოდა იმის განჭვრეტით, თუ როგორ მოუტანდა ამ ორ, მისთვის ამქვეყნად ყველაზე საყვარელ ადამიანს, ბედნიერებას თავისი ბედნიერების სანაცვლოდ, ცოლს არასდროს მოიყვანდა, ედვარდისა და იზაბელის შვილების ნათლია იქნებოდა და მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ის ორნი ცოცხლები აღარ იქნებოდნენ, იზაბელის ქალიშვილს მოუყვებოდა, თუ როგორ უყვარდა დიდი, დიდი ხნის წინათ დედამისი, ამ სურათის წარმოდგენისას ბეთმანს თვალები ცრემლით ევსებოდა.

ბეთმანს განზრახული ჰქონდა, ედვარდს მოულოდნე-

ლად გამოცხადებოდა, ამიტომ წინასწარ არ შეატყობინა მგზავრობის შესახებ და ბოლოს, როდესაც გემით ტაიტიზე ჩამოვიდა, ახალგაზრდას, რომელმაც სასტუმრო „დე ლა ფლერის“ მფლობელის შვილად წარმოუდგინა თავი, სთხოვა, სასტუმრომდე გაეცილებინა, გულში კი ეცინებოდა, როცა წარმოიდგენდა მისი უეცარი ხილვისგან გაოცებულ მეგობარს, როდესაც იგი, ვის ნახვასაც ყველაზე ნაკლებ ელოდა, მის ოფისში შეაბიჯებდა.

გზად ბეთმანმა იკითხა: — სხვათა შორის, სად შეიძლება მისტერ ედვარდ ბარნარდის ნახვა?

— ბარნარდის? — თქვა ახალგაზრდამ. — მგონი ეს სახელი მსმენია. — იგი ამერიკელია — მალალი ახალგაზრდა კაცი, მოყავისფროთმიანი და ლურჯთვალა, აქ ორი წელიწადზე მეტია, რაც იმყოფება.

— ვხვდები, ვისაც გულისხმობთ, მისტერ ჯექსონის დის-შვილზე ლაპარაკობთ.

— ვის დისშვილზე?

— მისტერ არნოლდ ჯექსონის.

— ვფიქრობ, სხვადასხვა ადამიანებზე ვლაპარაკობთ, — ცივად მიუგო ბეთმანმა. იგი სახტად დარჩა. უცნაური იყო, რომ ყველასათვის კარგად ცნობილი არნოლდ ჯექსონი აქ ცხოვრობდა იმ სამარცხვინო სახელით, რომლითაც დამნაშავედ იყო მიჩნეული. ბეთმანს მხოლოდ ის ვერ წარმოუდგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ედვარდი მისი დისშვილი ან ძმისშვილი ყოფილიყო. მისის ლონგსტაფი მისი ერთადერთი და გახლდათ და ძმა არასოდეს ჰყოლია, ახალგაზრდა კი, თავის მხრივ, სიტყვაუხვი აღმოჩნდა, მაგრამ მის ინგლისურს უცხოური ინტონაცია დაჰკრავდა და ბეთმანმა ირიბი მზერით შენიშნა ის, რაც ადრე ვერ შეამჩნია, მასთან მოსაუბრეში ადგილობრივ მცხოვრებთა სისხლი სჭარბობდა, ბეთმანის ქცევას უნებლიეთ ოდნავი სიამპარტავენე გამოერია. მათ სასტუმროს მიაღწიეს. როდესაც ბეთმანი ოთახში მოეწყო, ბრაუნშმიტისა და კომპანიის ოფისის ადგილსამყოფელი იკითხა. აღმოჩნდა, რომ სანაპიროზე, ლაგუნას წინ იმყოფებოდა, ალტაცებულმა, რომ გემით რვა დღის მგზავრობის შემდეგ ფეხქვეშ მყარი მიწა იგრძნო, მზიან გზატკეცილზე ზღვის ნაპირს მიაშურა, მისვლისთანავე ბეთმანმა თავისი სავიზიტო ბარათი მენეჯერს შეუგზავნა და მალალი, ფარდულის მსგავსი ოთახის გავლით, რომელიც სანკობს თუ მალაზიას წარმოადგენდა, შეუძღვნენ ოფისში, სადაც სქელი, სათვალისანი მელოტი კაცი დახვდათ.

— შეგიძლიათ მითხრათ, სად შეიძლება ვნახო მისტერ ედვარდ ბარნარდი? როგორც ვიცი, ამ ოფისში გარკვეული ხანს იმყოფებოდა.

— დიახ, ასეა, მაგრამ არ ვიცი, ამჟამად სად არის.

— ვფიქრობდი, აქ მისტერ ბრაუნშმიდტის განსაკუთრებული რეკომენდაციით გამოცხადდა, მე მისტერ ბრაუნშმიდტის კარგად ვიცნობ.

სქელმა კაცმა ბეთმანს გამომცდელად შეხედა და სანკობში ერთ-ერთ ბიჭს გასძახა.

— ერთი მითხარი, ჰენრი, თუ იცი, სად იმყოფება ამჟამად ბარნარდი?

— მგონია, ახლა კემერონებთან მუშაობს, — უპასუხა ვილცამ ისე, რომ არც კი განძრეულა.

სქელმა კაცმა თავი დაუქნია.

— აქედან რომ გახვალთ, მარცხნივ მოუხვევთ და სამიოდე წუთში კემერონებს მიადგებით.

ბეთმანი ყოყმანობდა.

— ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მოგახსენოთ, რომ ედვარდ ბარნარდი ჩემი ყველაზე გულთაძი მეგობარია, დიდად გავოცდი, როდესაც გავიგე, რომ ბრაუნშმიდტის კომპანია დაუტოვებია.

სქელმა თვალეები მოხუჭა და მისმა გამჭოლმა მზერამ ბეთმანს ისე შეაცბუნა, სახეზეც კი წამოწითლდა.

— როგორც ჩანს, ბრაუნშმიდტის კომპანია და ედვარდ ბარნარდი გარკვეულ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ, — მიუგო მან.

ბეთმანს არ მოეწონა ამ ადამიანის საუბრის მანერა, ამიტომაც ადგა საკუთარი თავისადმი ღირსების გრძობით, ბოდიში მოუხადა შეწუხებისთვის და დაემშვიდობა. ეს ადგილი იმ უცნაური განცდით დატოვა, რომ კაცს, რომელსაც ახლახან შეკითხვებს აძლევდა, ბევრი რამ შეეძლო მოეთხრო მისთვის, მაგრამ ეს არ ისურვა. ნაჩვენები მიმართულებით გაეშურა და მალე თავი კემერონებთან ამოყო. ეს სავაჭრო ფარდული ისეთივე იყო, როგორსაც არაერთს ჩაუარა გზაზე და, როდესაც შიგ შევიდა, პირველი, ვინც დაინახა მოკლე სახელოებიან პერანგში, იყო ედვარდი, რომელიც გასაყიდი ბამბის მატერიის სიგრძეს ზომავდა, ბეთმანი შეკრთა, როდესაც მისთვის შეუფერებელ გარემოში იხილა, ედვარდი ზემოთ იყურებოდა, შესვლისთანავე შენიშნა იგი და გაოგნებულმა სიხარულით წამოიძახა.

— ბეთმან! აქ რამ მოგიყვანა?

ხელი თაროს გადმოაწვდინა და ბეთმანს მაგრად ჩამოართვა, მის ქცევაში უხერხულობის ნატამალიც არ იგრძნობოდა და დაბნეული უფრო ბეთმანი ჩანდა.

— მომიცადე, ვიდრე ამ ფუთას შევკრავდე.

სრული თავდაჯერებულობით მაკრატლით მატერია განივრად გაჭრა, შემდეგ დაკეცა, ამანათის ფორმა მისცა და ფერადკანიან კლიენტს გადასცა.

— გთხოვთ, მაგიდასთან გადაიხადოთ.

შემდეგ კი მომლიმარი, თვალეგაბარწყინებული ბეთმანს მოუბრუნდა.

— აქ როგორ აღმოჩნდი! აი, მესმის! როგორ გამიხარდა შენი დანახვა. დაბრძანდი, მეგობარო, თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში.

— აქ ვერ ვისაუბრებთ, წავიდეთ ჩემთან, სასტუმროში, ხელს ხომ არაფერი შეგიშლიდა, რომ წამომყოლოდი? — სიფრთხილით დასძინა მან.

— რა თქმა უნდა, შემიძლია. არცთუ ისე საქმიანი ხალხი ვართ ტაიტიზე. — მან თავისთან მოიხმო დახლის იქით მყოფი ჩინელი. — ალინგ, თუ უფროსი მიკითხავს, გადაეცი, რომ ჩემი მეგობარი ეს-ესაა ამერიკიდან ჩამოვიდა და მასთან წავედი სტუმრად.

— ძალიან კარგი, — გამოცრა კბილებში ჩინელმა. ედვარდმა პიჯაკი ჩაიცვა, დაიხურა ქუდი და ბეთმანთან ერთად გავიდა სანკობიდან. ბეთმანმა ხუმრობა სცადა.

— არ მოველოდი, რომ ვნახავდი, თუ როგორ აყიდებდი სამნახევარ იარდ დამპალი ბამბის მატერიას ვილაც პირდაუბანელ შავკანიანს, — გაიცინა მან.

— ბრაუნშმიტმა გამომისტუმრა, მოგეხსენებათ, და მეც ვიფიქრე, რომ ეს საქმე ისევე კარგი იქნებოდა, როგორც სხვა რამ. ედვარდის გულწრფელობა ამჟამად მეტად უცნაურად ეჩვენა ბეთმანს, მაგრამ არაგონივრულად მიიჩნია, რომ ბოლომდე ჩასიბებოდა.

— ვფიქრობ, ვერ გამიდრდები, სადაც ამჟამად იმყოფები: — უპასუხა ცოტათი მშრალად.

— მეც ასე ვფიქრობ; მაგრამ იმდენს კი ვიღებ, რომ თავი გავიტანო და სავსებით კმაყოფილი ვახლავარ.

— ასე არ იფიქრებდი ორი წლის წინათ.

— წლები სიბრძნეს გვმატებს, — სიცილით მიუგო ედვარდმა. ბეთმანმა მას მზერა მიაპყრო, ედვარდს გაცრეცილი თეთრი ტილოს პიჯაკი ემოსა, არცთუ მთლად სუფთა და დიდი, ფართოფარფლიანი, ადგილობრივი წარმოების ჩალის ქუდი ეხურა, უფრო გამხდარი ჩანდა, ვიდრე იყო ხოლმე, მზისგან ძლიერ გარუჯული, და აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ მის გარეგნობაში იყო რალაც, რაც ბეთმანს საგონობელში აგდებდა. ის მხიარულად მიაბიჯებდა და მის ქცევაში იგრძნობოდა უზრუნველობა, სიხარული არა რაიმე განსაკუთრებულის გამო, ამისთვის ბეთმანი მართალია ვერ გაკიცხავდა, მაგრამ ძლიერ აშფოთებდა.

— ნეტა ვიცოდე, ასე ძლიერ რა ახარებს, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

სასტუმროსთან მივიდნენ და ტერასაზე ჩამოსხდნენ. ჩინელმა ბიჭმა კოქტეილი მოართვათ. ედვარდი ჩქარობდა მოესმინა, თუ რა იყო ჩიკაგოში სიახლე და თავის მეგობარს მოუთმენლად აყრიდა შეკითხვებს. მისი ინტერესები ბუნებრივი და გულწრფელი გახლდათ, მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ერთდროულად ბევრი რამ აინტერესებდა; მოუთმენლად სურდა გაეგო როგორც ბეთმანის მამის, ისე იზაბელის ამბები. ქალზე საუბრობდა თამამად, მაგრამ ვერ გაარჩევდით, ვინ იყო იგი მისთვის — და თუ საცოლე, და ვიდრე ბეთმანი გაარკვევდა ედვარდის შენიშვნების ზუსტ მნიშვნელობას, შეამჩნია, რომ საუბარი მისი საქმიანობისა და იმ ქარხნის კორპუსების შესახებ წარიმართა, რომლებიც მამამისმა რამდენიმე ხნის წინათ ააშენა. ბეთმანს სურდა საუბარი იზაბელის შესახებ გადაეტანა და ამისთვის ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, ამ დროს შენიშნა, რომ ედვარდი ვილაცას მონდომებით უქნევდა ხელს, ის კაცი მათკენ მომართებოდა ტერასაზე, მაგრამ ბეთმანი მისგან ზურგშექცევით იდგა და ვერ გაარჩია, თუ ვინ იყო.

— მობრძანდით, დაბრძანდით, — თქვა ედვარდმა სიხარულით.

უცნობი ახლოს მოდგა. ძალზე მალალი, გამხდარი კაცი იყო, ტილოსშარვალისანი და ლამაზთავიანი, რომელსაც ხუჭუჭა თეთრი თმა ამშვენებდა, სახეც გამხდარი ჰქონდა, გრძელი, დიდი არწივის ცხვირითა და ლამაზი, მეტყველი პირით.

— ეს ჩემი ძველი მეგობარი ბეთმან ჰანტერი გახლავთ. უკვე მოგახსენებ მასზე. — წარმოთქვა ედვარდმა ღიმილით, რომელიც სახეზე არ სცილდებოდა.

— მოხარული ვარ, რომ გაეცანით, მისტერ ჰანტერ. ბედნიერება მქონდა მამათქვენის ნაცნობობისა.

უცნობმა ხელი გაუწოდა ბეთმანს და მტკიცედ, მეგობრულად ჩამოართვა. ეს მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ედვარდი უცნობის სახელს ახსენებდა.

— მისტერ არნოლდ ჯექსონი.

ბეთმანი გაფითრდა — იგრძნო, თუ როგორ დაუარა სიცივემ ხელეში. ეს გახლდათ დოკუმენტების გამყალბებელი, ნასამართლევი, იზაბელის ბიძა. ბეთმანმა არ იცოდა, რა ეთქვა, და თავისი დაბნეულობის დაფარვას ცდილობდა. არნოლდ ჯექსონმა გაბრწყინებული თვალებით შეხედა.

— ვფიქრობ, ჩემი სახელი თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს.

ბეთმანმა არ იცოდა, ეთქვა რაიმე თუ ჩუმად ყოფილიყო, უფრო დიდ უხერხულებში აგდებდა ის, რომ, ჩანდა, ორივე, ჯექსონიც და ედვარდიც, თავს იქცევდა. უხერხულობას გრძნობდა, რადგან იძულებული იყო, კუნძულზე წარსდგომოდა ადამიანს, რომელსაც სიამოვნებით აარიდებდა თავს. მაგრამ უარესი გახლდათ ის, რომ მას დასცინოდნენ, თუმცა შესაძლოა, ეს დასკვნა ნაქარევეად გამოიტანა, რადგან ჯექსონმა იმწამსვე დაუფაჭა.

— ვიცი, რომ ლონგსტაფებს მეგობრობთ. მერი ლონგსტაფი ჩემი და გახლავთ.

აქ კი ბეთმანი თავს დაეკითხა; ნუთუ ჯექსონს შეეძლო ეფიქრა, რომ არაფერი იცოდა იმ ყველაზე უფრო საშინელი სკანდალის შესახებ, რომელსაც ჩიკაგო ოდესმე იცნობდა? მაგრამ ჯექსონმა ედვარდს მხარზე ხელი დაადო.

— არ შემძლია დაგვდე, ტედი, — თქვა მან, — არ მცალია, მაგრამ აჯობებდა კი, რომ ორივე ყმანვილი მწველით და ერთად გვესაძლია ამ საღამოს.



მხატვარი თამარ მინაშვილი

— მართლაც, შესანიშნავი იქნებოდა. — თქვა ედვარდმა.

— დიდად გამადლობთ, მისტერ ჯექსონ, — თქვა ცივად ბეთმანმა, — მაგრამ აქ მცირე ხნით გახლავართ; ჩემი გემი ხვალ მიცურავს, თქვენც იცით. ვფიქრობ, მაპატიებთ, მე ვერ მოვალ.

— აჰ, ეს არაფერს ნიშნავს, ისე გაგიმასპინძლებით, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ სჩვევიათ. ჩემი მეუღლე საუცხოო მზარეულია. ტედი ჩემთან მოგიყვანთ, მობრძანდით, რათა მზის ჩასვლა იხილოთ და, თუ მოისურვებთ, ღამითაც ჩემთან დარჩებით.

— აუცილებლად გესტუმრებით, — თქვა ედვარდმა. — ამ სასტუმროში ხომ ღამით ყოველთვის აუტანელი ხმაურია, როდესაც გემი შემოდის, ბუნგალოში კი შეეძლებთ საუბრით გული ვიჯეროთ.

— ვერ შეგეღვეით, მისტერ ჰანტერ, — წარმოთქვა ჯექსონმა გულმხურვალედ. მსურს ყველაფერი გავიგო ჩიკაგოსა და მერის შესახებ.

თავი დაუკრა და გაეშურა, ვიდრე ბეთმანი რაიმეს იტყოდა.

— ჩვენთან, ტაიტზე, უარს არაფერზე ამბობენ, — ჩაიცინა ედვარდმა. — ამას გარდა მთელ კუნძულზე ყველაზე კარგად აქ გაგიმასპინძლებიან.

— რას გულისხმობდა, როდესაც თქვა, ჩემი ცოლი კარგი მზარეულია? როგორც ვიცი, მისი მეუღლე ყენევაში ცხოვრობს.

— იმ მეუღლემდე შორი მანძილია, — თქვა ედვარდმა. — დიდხანია, რაც აღარ უნახავს. მე მგონი, სხვა მეუღლეზე ლაპარაკობდა.

რამდენიმე ხანს ბეთმანი ხმას არ იღებდა, სახეზე ღრმა ნაოჭები დააჩნდა, მაგრამ როგორც კი ზემოთ აიხედა, შენიშნა, რომ ედვარდს თვალები მხიარულად უბრწყინავდა, და სახე სიბრა-

ზისგან აუჭარხალდა.

— არნოლდ ჯექსონი საზიზღარი თაღლითია, — თქვა მან.

— ვშიშობ, რომ მართლაც ასეა, — ღიმილით უპასუხა ედვარდმა.

— ვერ წარმომიდგენია, თუ რა საქმე შეიძლება ჰქონდეს პატიოსან კაცს მასთან.

— შესაძლოა, მე არ ვარ პატიოსანი.

— ხშირად ხვდები მას, ედვარდ?

— დიახ, საკმაოდ. საკუთარი დისშვილივით მიმიღო.

— მოგწონს?

— ძლიერ.

— მაგრამ არ იცი, რომ ის დოკუმენტების გამყალბებელია და ამის გამო გაასამართლეს? იგი ცივილიზებული საზოგადოებისგან შორს უნდა იყოს. ედვარდი თვალს ადევნებდა ბოლის წრეებს, რომლებიც მისი სიგარიდან წყნარ, სურნელოვან ჰაერში მიცურავდა.

— ვიცი, რომ აშკარა თაღლითია, — თქვა ბოლოს, — და თავს არ მოვიტყუებ, რომ თავის ბნელ საქმეთა გამო გამონეული სინანული თითქოს კმაროდეს მის საპატიებლად. ის იყო ყალბათანდი და თვალთმაქცი, ამას ვერსად ნაფუვალო. მე კი არასოდეს შევხვედრივარ უფრო სასიამოვნო მეგობარს. მან მასწავლა ყველაფერი, რაც კი ვიცი.

— რა გასწავლა? — წამოიძახა გაოცებულმა ბეთმანმა

— თუ როგორ ვიცხოვრო.

ბეთმანს ირონიული სიცილი აუტყდა.

— შესანიშნავი მასწავლებელი გაყავს, ალბათ, მისი გაკვეთილების შედეგია, რომ წარმატების მოპოვების ყოველგვარი

შესაძლებლობა დაკარგე და პურის ფულს მხოლოდ ათცენტი-
ან ფარდულში, დახლთან, შოულობ.

— იგი საუცხოო პიროვნებაა, — თქვა ედვარდმა გულლია
ლიმილით, — თუმცა თვითონვე ნახავ ამ ღამით, თუ რას ვგუ-
ლისხმობ.

— არა მსურს მასთან ვისადილო, თუ ეს ისაა, რასაც შენ გუ-
ლისხმობ. ვერაფერი მაიძულებს, ამ კაცის სახლში ფეხი შევდგა.

— ჩემი ხათრით მოდი, ბეითმან, მრავალი წელია მეგობრე-
ბი ვიყავით, ხათრს არ გამოიტყვ, რაკი მე გთხოვ.

ედვარდის საუბრის ტონი ეუცხოვა ბეითმანს, მისი კე-
თილგანწყობა არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი იყო.

— თუ ეს შენთვის ასე მნიშვნელოვანია, ედვარდ, არაფე-
რი მეტქმის, — გაიღიმა მან.

ბეითმანი იმაზეც ფიქრობდა, რომ ეს სტუმრობა წაადგებოდა
იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა არნოლდ ჯექსონის ირგე-
ლივ. ჩანდა, დიდი გავლენა ჰქონდა ედვარდზე და დიდი ძალისხ-
მევა იყო საჭირო იმის გასარკვევად, თუ ზუსტად რაში გამოიხა-
ტებოდა ეს. რაც მეტს საუბრობდა ედვარდი, მით უფრო იმსჭვა-
ლებოდა ბეითმანი იმის შეგნებით, რომ ბევრი რამ შეიცვალა მას-
ში. ალლო კარნახობდა, ფრთხილად მოქცეულიყო, და გადაწყვი-
ტა, თავისი სტუმრობის ნამდვილი მიზანი მანამდე არ გაემჟღავ-
ნებინა, ვიდრე ყველაფერს ბოლომდე არ გაარკვევდა. ერთი ამბი-
დან მეორეზე გადადიოდა, მოჰყვა თავის მოგზაურობასა და მის
შედეგებზე, პოლიტიკურ სიახლეებზე, ჩიკაგოში თავიანთ საერ-
თო მეგობრებსა და კოლეჯში ერთად გატარებულ დღეებზე.

ბოლოს ედვარდმა სამუშაოზე წასვლა მოიმინება და ბე-
ითმანს შესთავაზა, რომ ხუთ საათზე გამოუვლიდა და ერთად
წავიდოდნენ ჯექსონთან.

— სხვათა შორის, ვფიქრობდი, რომ ამ სასტუმროში იცხოვ-
რებდი, — თქვა ბეითმანმა, როდესაც მათ პარკი გაიარეს. —
ჩემი წარმოდგენით, ეს ერთადერთი რიგიანი ადგილია აქ.

— არა, — გაეცინა ედვარდს, — ეს ჩემთვის ძლიერ მდიდრუ-
ლია. მე ქალაქგარეთ მიკავია ოთახი. იაფიც არის და სუფთაც.

— თუ მესხიერება არ მალაატობს, ასეთი რამ მნიშვნე-
ლოვნად არ მიგაჩნდა, როდესაც ჩიკაგოში ცხოვრობდი.

— ჩიკაგო!

— არ მესმის, ამით რას გულისხმობ, ედვარდ! ის ხომ
მსოფლიოს უდიდესი ქალაქია.

— ვიცი, — თქვა ედვარდმა.

ბეითმანმა მოულოდნელი მზერა მიაგება, მაგრამ მის სა-
ხეზე ვერაფერს ამოიკითხავდით.

— როდის აპირებ უკან დაბრუნებას?

— თვითონაც არ ვიცი, — ღიმილით თქვა ედვარდმა.

ამ პასუხმა და იმანაც, თუ როგორი კილოთი იყო ნათქვა-
მი, ბეითმანი წონასწორობიდან გამოიყვანა, მაგრამ ვიდრე
ამას გაარკვევდა, ედვარდმა ხელის დაქნევით მოიხმო მეტისი,
რომელიც ავტომობილს მართავდა.

— თან წამიყვანე, ჩარლი, — უთხრა მან.

შემდეგ თავი დაუკრა ბეითმანს და გაედევნა ავტომო-
ბილს, რომელიც რამდენიმე იარდის დაშორებით გაჩერდა.
თავგზადამბნევი შთაბეჭდილებებით დამძიმებული ბეითმანი
მარტო დარჩა.

ედვარდმა დანჯღრეული, ფაშატშებმული ორთვალით გა-
მოუარა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ გაემგზავრნენ. გზის
ორივე მხარეს ქოქოსის პალმისა და ვანილის ხის პლანტაციე-
ბი გაეშენებინათ. მათ შორის აქა-იქ მანგოს ხეებიც მოჩანდა,
დახუნძლული წითელ-ყვითელი ნაყოფით. მწვანე ფოთლებს
შორის დროდადრო თვალს სჭრიდა ლაგუნა, წყნარი და ლურ-
ჯი, აქა-იქ პანანინა, მაღალპალმიანი კუნძულებით. არნოლდ
ჯექსონის სახლი პატარა ბორცვზე იდგა და მისკენ მხოლოდ
ბილიკი მიუყვებოდა. გამოხსნეს ცხენი. მიაბეს ხეს და ორთვა-
ლა გზიდან გადაიტანეს. ბეითმანი გაკვირვებული დარჩა, თუ
როგორ სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი, როდესაც ზევით
ავიდნენ, შემოხვდათ მაღალი, მომხიბვლელი აბორიგენი ქა-

ლი, რომელსაც ახალგაზრდაც აღარ ეთქმოდა. ედვარდმა მას
ხელი გულმხურვალედ ჩამოართვა და ბეითმანი წარუდგინა.

— ეს ჩემი მეგობარი, მისტერ ჰანტერია. ჩვენ თქვენთან
ვისადილებთ, ლავინა.

— ძალიან კარგი, — თქვა მან ღიმილით, — არნოლდი ჯე-
რაც არ დაბრუნებულა.

— ჩვენ ქვევით ჩავალთ და ვიბანავებთ, შენ კი ორი პარეო
გავვიზიდავ.

— ვინ არის? — ჰკითხა ბეითმანმა.

— ჰო, ეს ლავინაა, არნოლდის ცოლი.

ბეითმანმა ტუჩები მოკუმბა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ქა-
ლი სწრაფად დაბრუნდა და ედვარდს რალაც შეკვრა გადასცა.
ორივე მამაკაცი ტაატით გაუდგა გზას ქვემოთ, ციცაბო ბი-
ლიკის გავლით, ზღვის სანაპიროს ქოქოსის პალმის ხეების
ტევრისკენ. სამოსი გაიძრეს და ედვარდმა მეგობარს უჩვენა,
თუ როგორ გაეკეთებინა წითელი ბამბის ნაჭრისგან, რომელ-
საც პარეო ეწოდება, უბრალო საცურაო კოსტუმი. სულ მალე
ჭყუმპალაობდნენ ნაპირზე, თბილ წყალში, ედვარდი ამაღლე-
ბულ განწყობაზე დადგა, იცინოდა, ყვიროდა, მღეროდა, პა-
ტარა ბიჭი გეგონებოდათ. ბეითმანს ასეთი მხიარული არასო-
დეს უნახავს და შემდეგ, როდესაც ნაპირზე იწვნენ, სიგარეტს
ენეოდნენ და ბოლს კრისტალივით სუფთა, გამჭვირვალე ჰა-
ერში უშვებდნენ, ედვარდში ისეთი დაუძლეველი უდარდე-
ლობა იგრძნობოდა, რომ ბეითმანი საგონებელში ჩავარდა.

— შენ, როგორც ვხედავ, სიცოცხლეს შეხარი, — თქვა მან.
— ნამდვილად.

ჩუმი ხმაური შემოესმათ და, როდესაც შემობრუნდნენ,
დაინახეს, არნოლდ ჯექსონი უახლოვდებოდა.

— ვიფიქრე, ჩამოვალ და ორივეს უკანვე წამოვიყვან-მეთ-
ქი, — თქვა მან, — იჯერეთ გული ბანაობით, მისტერ ჰანტერ?

— ძალზე, — თქვა ბეითმანმა.

არნოლდ ჯექსონს კოპნია ტილოს სამოსი უკვე მოეცილე-
ბინა და მხოლოდ თეძოზე გარშემოვლილი პარეოთი დადიოდა
ფეხშიშველი, ტანი მზეზე ძლიერ გარუჯოდა. გრძელი, ხუჭუ-
ჭა თეთრი თმითა და ასკეტის სახით ადგილობრივ სამოსში
ძლიერ უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ თავი ყოველგვა-
რი უხერხულობის გარეშე ეჭირა.

— თუ მზად ხართ, გავნოთ ზემოთ, — თქვა ჯექსონმა.

— ამ წუთას, ტანთ ჩავიცვამ, — თქვა ბეითმანმა

— ტედი, შენს მეგობარს პარეო რატომ არ მიართვი?

— ვიფიქრე, ხომ არ ერჩია ტანსაცმლით ევლო, — ღიმი-
ლით თქვა ედვარდმა.

— ნამდვილად მერჩია, — მიუგო ბეითმანმა, როდესაც და-
ინახა, რომ ედვარდმა თეძოებზე შემოირტყა საფარი და ელო-
დებოდა, თუ როდის ჩაიცვამდა ბეითმანი პერანგს.

— ძნელი არ არის ფეხშველა სიარული? — ჰკითხა ედ-
ვარდს, — მომეჩვენა, რომ ბილიკი ქვიანი იყო.

— აჰ, მე შეჩვეული ვარ.

— ძლიერ სასიამოვნოა პაეროს მორგება, როცა ქალაქი-
დან შინ ბრუნდები, — თქვა ჯექსონმა, — თუ თქვენ ტაიტზე
აპირებთ დარჩენას, დაბეჯითებით გირჩევთ მის ტარებას. ეს
ერთ-ერთი საუკეთესოა იმ სამოსთაგან, რომელიც ოდესმე
მიტარებია; გრილია, მოსახერხებელი და იაფი.

ზემოთ, სახლისკენ გასწიეს და ჯექსონმა დიდ, თეთრად-
შეღებულკედლებიან, ღიაჭერიან ოთახში შეიყვანა, სადაც
განწყობილი მაგიდა იდგა. ბეითმანმა შენიშნა, რომ სუფრა ხუ-
თი კაცისთვის იყო გაშლილი.

— ევა, მობრძანდი, ეჩვენე ტედის მეგობარს და თან კოქ-
ტილი ჩამოგვისხი, — გასძახა ჯექსონმა. შემდეგ ბეითმანი
გრძელ დაბალ ფანჯარასთან მიიყვანა.

— უყურე ამას, — თქვა დრამატული შესტით, — კარგად
უყურე.

მათ ქვემოთ ქოქოსის ხეები დაბლა დამრეცად ეშვებოდ-
ნენ ლაგუნისაკენ, ლაგუნა კი საღამოს მზის სხივებში შეფე-

რადებული იყო ნაზი მტრედის მკერდის მსგავსი ფერებით. ყურეში, ცოტა მოშორებით, მოჩანდა ადგილობრივი დასახლება ერთმანეთს მიჯრული ქოხებით, რიფის მიმართულებით კი კანოე, მკვეთრი სილუეტით, რომელშიც რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები თევზის ჭერით იყო გართული. უფრო შორს იგრძნობდით წყნარი ოკეანის უკიდევანო მდებარეობას, ოციოდე მილის მოშორებით კი მოჩანდა ჰაეროვანი და უსხეულო პოეტის წარმოსახვის მსგავსი, წარმოუდგენელი სილამაზის მურეას კუნძულები. სურათი ისეთი მომხიბვლელი იყო, ბეითმანი შეცბუნებული იდგა მის წინაშე.

— მსგავსი რამ არასოდეს მინახავს, — თქვა ბოლოს. არნოლდ ჯექსონი მეოცნების სინაზით სავსე თვალებით წინ იყურებოდა. მისი თხელი, ფიქრით მოცული სახე ძლიერ მკაცრად გამოიყურებოდა. ბეითმანი უყურებდა და ხვდებოდა მის დაძაბულ სულიერ განცდებს.

— მშვენიერებაა, — ჩურჩულებდა არნოლდ ჯექსონი, — იშვიათად იხილავთ მშვენიერებას პირისპირ. კარგად შეხედე, მისტერ ჰანტერ, რასაც ახლა ხედავთ, ველარასოდეს იხილავთ, რადგან ეს წარმავალი ნამიერებაა, ის წარუშლელ მახსოვრობად დარჩება თქვენს გულში, თქვენ შეეხებთ უკვდავებას.

იგი ბოხი, მჟღერი ხმით ლაპარაკობდა, ჩანდა, უნმინდესი გრძნობები და აზრები ასულდგმულებდა და ბეითმანმა თავს ძალა დაატანა, რათა გაეხსენებინა ადამიანი, რომელიც დასჯილი იყო როგორც თაღლითი და საშიში დამნაშავე. ამ დროს არნოლდის ხმა მოესმა და სწრაფად შემობრუნდა.

— ეს ჩემი გოგონაა, მისტერ ჰანტერ.

ბეითმანმა ხელი ჩამოართვა, მას ჰქონდა მუქი, შესანიშნავი თვალები, ღიმილით ათრთოლებული ტუჩები და ყავისფერი კანი. მისი ნახშირით შავი ხუჭუჭა თმა ტალღებად ეშვებოდა მხრებზე. მხოლოდ ერთი, მიხაკისფერი, ჩითის სამოსი ემოსა, ფეხები შიშველი ჰქონდა და თავზე თეთრი დამატრობელი სუნის ყვავილების გვირგვინი ედგა. ეს საყვარელი ქმნილება პოლინეზიის გაზაფხულის ღვთაებას ჰგავდა.

ცოტა დარცხენილი ჩანდა, მაგრამ არაუმეტეს ბეითმანისა, რომელიც გარემოებას მეტისმეტად საგონებელში ჩაეგდო და ვერ წარმოედგინა, რომ ამ სილფიდის მსგავს ქმნილებას შეეძლო, დიდი დახელოვნებით დაემზადებინა სამი კოქტეილი.

— ცოტათი გავმხიარულდებით, ჩემო პატარავ, — თქვა ჯექსონმა.

გოგონამ კოქტეილები ჩამოასხა და მომაჯადოებელი ღიმილით გაუნოდა თითოეულს. ბეითმანს თავი კოქტეილის მომზადების დახვეწილი ოსტატობის დიდ მცოდნედ მიაჩნდა და გაოცებული დარჩა, როდესაც გასინჯა და საუცხოო აღმოჩნდა. ჯექსონმა ამაყად გაიღიმა, როდესაც სტუმრის უნებლიე აღტაცებული მზერა შენიშნა.

— ცუდი არ არის, ხომ ასე! გოგონას მე თვითონ ვასწავლე და მთელ ძველ ჩიკაგოში, ვფიქრობ, არ მოიძებნებოდა ბარმენი, რომ ამ საქმეში გამჯობებოდა, სხვა საქმე არ მქონდა ციხეში და თავს ახალ კოქტეილზე ფიქრით ვირთობდი, მაგრამ სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, მშრალ მარტინის არაფერი სჯობს.

ბეითმანი თავს ისე გრძნობდა, თითქოს ვილაცხა ძლიერად გაერთყა მხარში, იგი ჯერ განითლდა, შემდეგ გაფითრდა, მაგრამ ვიდრე რაიმეს თქმას მოიფიქრებდა, მომსახურე ბიჭმა დიდი თასით წვინანი შემოიტანა და ყველა მაგიდას შემოიუსხდა. არნოლდ ჯექსონს, როგორც ჩანს, თავისმა ნათქვამმა მოგონებების საღერლეი აუშალა, რადგან ციხეში გატარებულ დღეებზე ალაპარაკდა, სრულიად ბუნებრივად საუბრობდა, გაუბრაზებლად, თითქოს უცხო ქვეყნის უნივერსიტეტში სწავლის ამბებს ყვებოდა. ის ბეითმანს მიმართავდა და ბეითმანი დარცხენილი და დაბნეული ჩანდა, ხედავდა, რომ ედვარდის მზერა მისკენ იყო მიმართული და თვალებში მხიარული ნაპერწკლები უელავდა. განითლდა, მოეჩვენა, ჯექსონი მას მასხრად იგდებდა და შემდეგ მიხვდა, რომ ეს უაზრობა იყო, რადგანაც ამისთვის მიზეზი არ არსებობდა. იგი განრისხდა. არნოლდ ჯექსონი

თავზე გახლდათ, ამას სხვა სიტყვებს ვერ მოუძებნიდით, და მისი სიუხეში, მოგონილი თუ არა, აღმაშფოთებელი იყო მისთვის. სადილი გრძელდებოდა, ბეითმანს სხვადასხვა კერძი შესთავაზეს, — ცოცხალი თევზი და კიდევ სხვა რამ, რომელიც მან არ იცოდა და იძულებული იყო, თავაზიანობის გამო გაეხსინჯა, მაგრამ იმავდროულად, მისდა გასაკვირად, მეტად გემრიელი აღმოჩნდა. შემდეგ მოხდა ინციდენტი, რაც ბეითმანისთვის ყველაზე დამამცირებელი იყო მთელი საღამოს განმავლობაში: მის წინ ყვავილების პატარა გვირგვინი იდო და საუბარი ისე წარიმართა, რომ მან გაბედა და იკითხა, თუ ეს რა არისო.

— ეს გვირგვინია, რომელიც ევამ თქვენ დაგიწნათ, — თქვა ჯექსონმა, — მაგრამ ისეთი მორცხვია, მორთმევა ვერ გაბედა.

ბეითმანმა ხელში აიღო და მოკლედ, თავაზიანად გადაუხადა მადლობა ქალიშვილს.

— ეს ამ ქვეყნის მომხიბვლელი ჩვეულებაა, — თქვა არნოლდ ჯექსონმა.

მან ერთ-ერთი გვირგვინი თავზე დაიდო, ედვარდიც ასევე მოიქცა.

— მგონია, ამ წვეულებისთვის სათანადოდ არ მაცვია, — თქვა ბეითმანმა უგუნებოდ.

— პარეოს ხომ არ ისურვებდით? — მკვირცხლად მიუგო ევამ. — ახლავე გავაჩენ.

— არა, გმადლობთ, ასედაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— უჩვენე, ევა, თუ როგორ დაიხუროს, — თქვა ედვარდმა.

ამ წუთებში ბეითმანს სძულდა თავისი ყველაზე გულითადი მეგობარი. ევა ადგა და სიცილით დაადგა გვირგვინი შავ თმაზე.

— ძალიან გიხდებათ, — თქვა მისტერ ჯექსონმა, — ხომ მართალია, არნოლდ?

— რა თქმა უნდა.

ბეითმანს სიმწრის ოფლმა დაასხა.

— რა ცუდია, რომ ბნელა. — თქვა ევამ. — შეგვეძლო ყველას ერთად სურათი გადაგველო.

ბეითმანი კი ამის გამო ბედის კმაყოფილი იყო, გრძნობდა, რომ საოცრად სულელურად გამოიყურებოდა თავის ლურჯ კოსტუმსა და მალალ საყელოში, — მეტისმეტად წესიერად და ჯენტილმენურად, ამ სასაცილო ყვავილების გვირგვინით შემკული. აღშფოთებით ბობოქრობდა და სიცოცხლეში თავისთვის ძალა ისე არ დაუტანებია ნონასწორობის შესანარჩუნებლად, როგორც ახლა, როდესაც გარეგნულად თავაზიანად გამოიყურებოდა. აშმაგებდა ეს ხანშიშესული მამაკაცი, რომელიც მაგიდის თავს უჯდა, ნახევრად შიშველი, უცოდველი სახითა და ყვავილებით მომხიბვლელი თეთრი თმის ხვეულებზე, მთელი ეს მდგომარეობა იყო საზარელი.

ბოლოს სადილი დასასრულს მიუახლოვდა. ევა და დედამისი დარჩნენ სუფრის მოსაწესრიგებლად, სამივე მამაკაცი კი ვერანდაზე გავიდა, ძლიერ თბილოდა და ჰაერი თეთრი, ღამის ყვავილების სურნელით იყო გაჯერებული. სავსე მთვარე უღრუბლო ცაზე მიცურავდა და უკიდევანო ზღვაზე ბილიკს ტოვებდა, რომელსაც მარადისობის უსაზღვრო მეუფებისკენ მიჰყავდა. არნოლდ ჯექსონმა საუბარი დაიწყო. მას მდიდარი მუსიკალური ხმა ჰქონდა. იგი ახლა ლაპარაკობდა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ამ ქვეყნის ძველ ლეგენდებზე. ყველაზე წარსულის საოცარ მოთხრობებს სახიფათო მოგზაურობებზე უცნობ ქვეყანაში, სიყვარულსა და სიკვდილს, სიძულვილსა და შურისძიებაზე, ყველაზე ავანტიურისტებზე, რომელთაც ეს შორეული კუნძული აღმოაჩინეს, მეზღვაურებზე, რომლებიც დასახლდნენ რა აქ, დაქორწინდნენ დიდი ტომის ბელადთა შვილებზე, მარგალიტის მომპოვებლებზე, რომლებიც განსხვავებულად ცხოვრობდნენ ამ ვერცხლისფერ სანაპიროზე. დათრგუნვილი და გულმოსილი ბეითმანი თავიდან უგულისყუროდ უსმენდა, შემდეგ კი მისი სიტყვების მაგიურმა ძალამ მოიკცა. ახლა იგი იჯდა და უსმენდა მოჯადოებულნი. რომანტიკულმა მოჩვენებამ დაჩრდილა ყოველ-

დღიურობის სინათლე. ნუთუ დაავინწყდა, რომ არნოლდ ჯექსონი ოქროპირი იყო, რომ თავისი სიტყვით შეძლო დიდი თანხა გამოეტყუებინა გულუბრყვილო ადამიანებისათვის, რომ მისმა მჭევრმეტყველებამ აარიდა ჩადენილი დანაშაულის სასჯელი? არავინ ფლობდა მისებრ ტკბილ მჭევრმეტყველებას და მასავით არავის ჰქონდა კულმინაციის უფრო მძაფრი შეგრძნება. უეცრად იგი წამოვდა.

— კარგი, თქვენ, ორ მეგობარს, დიდიხანია, ერთმანეთი არ გინახავთ, გტოვებთ, რომ გულითადად ისაუბროთ. ტყედი გიჩვენებთ ოთახს, სადაც შეგიძლიათ მოისვენოთ.

— აჰ, მაგრამ მე ფიქრადაც არ მქონია, რომ ღამე თქვენთან გამეტარებინა, მისტერ ჯექსონ, — თქვა ბეთმანმა.

— ნახავთ, რომ ეს თქვენთვის უფრო მოხერხებულია. ვიზრუნებთ, რომ დილას თავის დროზე გაგაღვიძოთ.

შემდეგ თავაზიანი ხელის ჩამორთმევით, ისე ღირსეულად, თითქოს საეკლესიო სამოსით მოსილი ეპისკოპოსი ყოფილიყო, არნოლდ ჯექსონი დაემშვიდობა თავის სტუმარს.

— რა თქმა უნდა, უკანვე მიგიყვან, პაპიეტში, თუ ეს გსურს, — თქვა ედვარდმა, — მაგრამ გირჩევ, გაჩერდე, ადრე დილით მგზავრობას არაფერი სჯობს.

რამდენიმე წუთს ორივე დუმდა. ბეთმანი ფიქრობდა, თუ როგორ ჩამოეგდო სიტყვა, მთელი დღის მოვლენები აფიქრებინებდა, რომ ეს აუცილებელი იყო.

— როდის აპირებ ჩიკაგოში დაბრუნებას? — ჰკითხა მან უეცრად.

— ცოტა ხანს ედვარდი არ პასუხობდა, შემდეგ ზანტად შემობრუნდა, შეხედა მეგობარს და გაიღიმა.

— არ ვიცი, ეგებ არც არასოდეს.

— ღვთის გულისათვის, რას გულისხმობ? — წამოიყვირა ბეთმანმა.

— მე აქ ძლიერ ბედნიერი ვარ. სისულელე არ იქნებოდა, ცხოვრება შემეცვალა?

— ღმერთო ჩემო. ვერ შეძლებ, აქ დაჰყო მთელი სიცოცხლე, განა ეს სიცოცხლეა? ეს ცოცხლად დამარხვას ნიშნავს, ოჰ, ედვარდ, წადი აქედან, ვიდრე ძალზე გვიან არ არის. ვგრძნობდი, რომ აქ ყველაფერი კარგად არ იყო. ამ ადგილმა მოგაჯალოვა, ცუდმა ზეგავლენამ დაგიმორჩილა. საჭიროა მხოლოდ თავი დააღწიო და, როდესაც გათავისუფლდები ამ გარემოსგან, ბედის მადლიერი იქნები. იმ ნარკომანს დამსგავსები, რომელმაც ეს ცუდი ჩვევა მიატოვა, ნახავ, რომ ორ წელიწადს მონამლულ ჰაერს სუნთქავდი. ვერ წარმოიდგენ, რა შევბას იგრძნობ, როდესაც ფილტვები კიდევ ერთხელ გაგვეცემა შენი სამშობლოს სუფთა, ახალი ჰაერით.

აჩქარებით ლაპარაკობდა, აღელვებული სიტყვებს გამაღვებთ ისროდა, ხმაში გულწრფელობა და სინაზე ჟღერდა. ედვარდი აღელდა.

— ძალიან კარგია, რომ ასე ზრუნავ ჩემზე, მეგობარო.

— ხვალვე წამომყევი, ედვარდ, შეცდომა იყო, რომ ერთხელ ამ ადგილზე მოხვედი. აქ ვერ იცხოვრებ.

— შენ ლაპარაკობ ამგვარ ცხოვრებაზე და ყველაფერს წერტილს უსვამ. რას ფიქრობ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?

— ჩემი აზრით, არ შეიძლება აქ ორი პასუხი არსებობდეს — თავისი მოვალეობის შესრულებით, მუხლჩაუხრელი შრომით, თავისი მდგომარეობისა და ადგილის შესაბამისი მოთხოვნათა დაკმაყოფილებით.

— და რას იღებ საზღაურად?

— საზღაური იმის შეგნებაა, რომ მიაღწიე იმას, რისი გაკეთებაც განგეზრახა.

— ეს ცოტა გადამეტებულად მეჩვენება, — თქვა ედვარდმა და ღამის სინათლეში ბეთმანმა შეამჩნია, რომ იგი იღიმებოდა.

— მეშინია, არ იფიქრო, თითქოს მთლად ხელიდან ვარ წასული. არის ზოგიერთი რამ, რაც სამი წლის წინათ აღმამფოთებლად მეჩვენებოდა.

— ეს არნოლდ ჯექსონისგან ისწავლე? — ჰკითხა ბეთმანმა დაცინვით.

— იგი არ მოგნონს? ალბათ, ამას არ მოელოდი, არც მე, როდესაც აქ მოვედი, მეც ისეთივე წინასწარგანწყობა მქონდა, რაც შენ. უაღრესად არაჩვეულებრივი ადამიანია, უკვე ნახე, ის არც კი მაღავეს, რომ ციხეში იმყოფებოდა. არ ვიცი, ინანიებს თუ არა იმ დანაშაულს, რამაც აქ მოიყვანა. ერთადერთი, რაზედაც ჩემს გასაგონად დაუჩივლია, არის ის, რომ ციხეში ჯანმრთელობა ძლიერ შეერყა. ვფიქრობ, არც კი იცის, რა არის სინდისის ქენჯნა. მორალს სრულიად მოკლებულია. შეუძლია ყველაფერს დაეთანხმოს. დიდსულოვანია და კეთილი.

— ყოველთვის ასეთი იყო, — შეანწყვტინა ბეთმანმა, — მხოლოდ სხვათა ფულების ხარჯზე.

— იგი საუკეთესო მეგობრად მიმჩნია. განა არაბუნებრივია, რომ ადამიანი მივიღო ისეთი, როგორსაც ვხედავ?

— შედეგი ის არის, რომ ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის განსხვავებას კარგავ.

— არა, ისინი ჩემს ცნობიერებაში ისევე ამკარად განსხვავდებიან, როგორც წინათ, მაგრამ რამაც ჩემში ცოტა გაურკვეველობა გამოიწვია, არის განსხვავება ცუდ და კარგ ადამიანებს შორის. არნოლდ ჯექსონი ცუდი ადამიანია, რომელიც კარგ საქმეებს აღასრულებს, თუ კარგი ადამიანი, რომელიც ცუდ საქმეებს სწადის? — რთული შეკითხვაა და ძნელია უპასუხო. შესაძლოა, ჩვენ მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადამიანებს შორის სხვაობას, შესაძლოა, ჩვენ შორის საუკეთესოსაც კი ცოდვილი არიან და უარესნი — მწინდანები. ვინ იცის?

— ვერასოდეს დამარწმუნებ, რომ თეთრი შავია და პირიქით, — თქვა ბეთმანმა

— ამაში დარწმუნებული ვარ, მეგობარო.

ბეთმანს არ შეეძლო, გაეგო თუ რატომ შეუთრთოლდა ღმერთს ედვარდს ტუჩები, როდესაც დაეთანხმა. ედვარდი ერთხანს დუმდა.

— როდესაც ამ დილით დაგინახე, ბეთმან, — თქვა შემდეგ, — მომეჩვენა, რომ ჩემს თავს ვხედავდი ისეთს, როგორიც ორი წლის წინათ ვიყავი, — ისეთივე საყელო, ისეთივე ფეხსაცმელი, ისეთივე ლურჯი კოსტუმი, ისეთივე ენერჯია, ღმერთმანი, მე ენერჯიული ვახლდით, აქ გამეფებულმა სიზანტემ ძარღვებში სისხლი ამიჭქროლა. სადაც უნდა ნახვიდე, განვითარებისა და თაოსნობის შესაძლებლობებს აღმოაჩენ, ვნახე, აქ წარმატების მიღწევა შეიძლებოდა. უაზრობად მიმჩნა, რომ კოპრა აქედან უნდა გაეტანათ, მისგან ზეთი კი ამერიკაში მოეპოვებინათ. გაცილებით სარფიანი იქნებოდა ყველაფრის ადგილზევე გაკეთება, იაფი მუშახელითა და გადაზიდვის ხარჯის გარეშე. ვხედავდი კუნძულზე აგებულ დიდ ქარხნებს. ის საშუალება, რითაც ქოქოსის ნაყოფიდან ზეთს მოიპოვებდნენ, ძლიერ შეუსაბამად მიმჩნა. გამოვიგონე მანქანა, რომელიც ამტვრევდა კაკალს და მისგან ამოჰქონდა ნაყოფი საათში ორას ორმოცი ერთეულის ნორმით. ბუხტა საკმაოდ დიდი არ იყო, შევადგინე მისი გაფართოებისა და შემდეგ კი სინდიკატის შექმნის გეგმა, ის იყიდა ადგილს, აღმართავდა ორ ან სამ დიდ ჰოტელს და ბუნგალოებს აქ ჩამოსულთათვის. მქონდა სქემა საზღვაო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად, რათა ტურისტები მომეზიდა კალიფორნიიდან. თორმეტ წელიწადში ამ ნახევრად ფრანგულ, დუნე პატარა ქალაქ პაპიეტის ნაცვლად წარმომედგინა დიდი ამერიკული ქალაქი, ათსართულიანი შენობებით და ტრამვაით, თეატრითა და ოპერით, საფონდო ბირჟით და ქალაქის მერით.

— ასე, ედვარდ, — წამოიძახა ბეთმანმა და აღელვებული სავარძლიდან წამოხტა. — იდეაც გაგაჩნია და უნარიც, აუცილებლად გახდები უმდიდრესი ადამიანი ავსტრალიასა და შტატებს შორის.

ედვარდმა ნელა ჩაიცინა.

— მაგრამ მე არ მსურს ეს, — თქვა მან.

— შენ გინდა თქვა, რომ ფული არ გსურს, დიდი ფული — მილიონები? იცი თუ არა, რისი გაკეთება შეგიძლია ამ ფულით, რა ძალა მოაქვს მას? და თუ მაინცდამაინც ფიქრობ, რომ ის არ გჭირდება, იფიქრე, რა შეიძლება გააკეთო, თუ გახსნი ახალი საქმიანობის სფეროს ათასობით ადამიანისთვის. ჩემს გონებაში შენი ჯადოსნური სიტყვებით აღძრული ჩვენებები დაეხეტებიან.

— სჯობს დაბრძანდე, ჩემო ძვირფასო ბეთმან, — გაიცინა ედვარდმა. — ჩემი ქოქოსის სამტვრევი მანქანა დარჩება სამუდამოდ გამოუყენებელი და, რაც შეეხება ტრამვაის, არასოდეს ივლის პაპიეტის ქუჩებში.

ბეთმანი მძიმედ დაეშვა სავარძელში.

— შენი ვერ გამიგია, — თქვა მან.

— ეს ჩემთვის ერთბაშად როდი გახდა ნათელი. აქაური ცხოვრება თანდათან შემოვივარდა თავისი სიმშვიდითა და მოცილობით და ადამიანები თავიანთი გულთბილი და ბედნიერი, გაცისკროვნებული მომღიმარი სახეებით. მე ფიქრი დავინყე, წინათ ამისთვის დრო არასდროს მქონია. მე კითხვა დავინყე.

— ყოველთვის კითხულობდი.

— ვკითხულობდი გამოცდებისთვის, ვკითხულობდი, რათა საუბარი შემძლებოდა, აქ მე კითხვა სიამოვნებისათვის ვისწავლე, საუბარი ვისწავლე, იცი თუ არა, რომ ეს ყველაზე დიდი სიამოვნებათაგანია სიცოცხლეში? მაგრამ ამას დრო სჭირდება. ყოველთვის ძლიერ დაკავებული ვიყავი წინათ და თანდათან ის, რომელიც ასე მნიშვნელოვნად მიმანდა, მეჩვენა საკმაოდ ჩვეულებრივად და ვულგარულად. რა ხიროია მთელ ამ ფაციფუსსა და მუდმივ მცდელობაში? ახლა ჩიკაგოზე ვფიქრობ და თვალწინ მიდგას მუქი, ნაცრისფერი ქალაქი, ის ციხესა ჰგავს — და გაუთავებელი აურზაურია. რისთვისაა ყოველივე ეს? ამით ვინმე საუკეთესო რამეს ჰპოვებს ცხოვრებისგან? იმისთვის გავჩნდით ამქვეყნად, რომ სამუშაოდ მივიჩქაროდეთ, ვიმუშაოთ თავაულებლად დაღამებამდე, შემდეგ ვიჩქაროთ შინისკენ, ვისადილოთ და წავიდეთ თეატრში? ასე უნდა გავატარო ჩემი ახალგაზრდობა? და როდესაც მოგხუცდები, მაშინ რა სიამოვნება უნდა ვიგემო? ეს შესაძლოა მაშინ ღირდეს, თუ გავმდიდრდებით, არ ვიცი, ეს, ალბათ, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, მაგრამ თუ ვერ, მაშინ ღირს კი ეს? მე ცხოვრებისგან უფრო მეტის მიღება მსურს, ვიდრე ესაა, ბეთმან.

— მაშინ შენ რაღას აფასებ ცხოვრებაში?

— მეშინია, რომ დამცინებ: სიღამაზეს, სიმართლესა და სიკეთეს.

— რატომ არ გგონია, რომ ყოველივე ამას ვერ ჰპოვებ ჩიკაგოში?

— ზოგმა შეიძლება, ჰპოვოს, მაგრამ არა მე, — ედვარდი წამოხტა, — გეუბნები, ჩემი ძველი ცხოვრების გახსენებისას შიში მომიცავს ხოლმე, — წამოიძახა ხმამაღლა, — შიშისაგან ვცანცახებ, როდესაც იმ საფრთხეზე ვფიქრობ, რასაც თავი დავალწნი, არც კი ვიცოდი, სული თუ მქონდა, ვიდრე აქ არ ვიპოვე. მდიდარი რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, მას სამუდამოდ დავკარგავდი.

— ვერ წარმომიდგენია, ამას როგორ ამბობ, — წამოიძახა ბეთმანმა აღმოფთვებით, — ამის შესახებ ხშირად გვიკამათია.

— დახ, ვიცი, ეს კამათი იგივე იყო, რაც ყრუ-მუნჯთა მსჯელობა ჰარმონიაზე. ჩიკაგოში აღარასოდეს ჩამოვალ, ბეთმან.

— და იზაბელს რაც შეეხება?

ედვარდი ვერანდისკენ გაეშურა და მასზე დაყრდნობილი გასცქეროდა ჯადოსნური ღამის სილურჯეს, როდესაც ბეთმანს დაუბრუნდა, სახეზე მსუბუქი ღიმილი აღბეჭდოდა.

— იზაბელი ჩემთვის უსაზღვროდ საყვარელია, მისით ისე ძლიერ ვარ აღტაცებული, ვიდრე სხვა ვინმე ქალისგან, რომელსაც კი ოდესმე ვიცნობდი. საოცრად გონიერია და ისევე კეთილი, როგორც მშვენიერი. მის ენერჯიასა და პატივმოყვა-

რეობას ვაფასებ, იმისათვის გაჩნდა ამქვეყნად, რომ წარმატებით იცხოვროს. მე სრულიად არ ვარ მისი ღირსი.

— ის ისე არ ფიქრობს.

— მაგრამ შენ ეს ასე გადაეცი, ბეთმან.

— მე? — წამოიძახა ბეთმანმა — უკანასკნელი ადამიანი ვიქნები, თუ ოდესმე ამას ჩავიდენ.

ედვარდს ზურგი მიეშვირა მთვარისკენ და მისი სახის დანახვა არ შეიძლებოდა. ხომ არ ილიმებოდა კვლავაც?

— ნუ ეცდები, რომ რაიმე დაუმალო, ბეთმან. თავისი ბასრი გონებით ხუთიოდე წუთში გამხელს. აჯობებს, ერთბაშად ყველაფერი გულახდილად გაუმხილო.

— ვერ გამიგია, თუ რას გულისხმობ. რა თქმა უნდა, მოვუყვები, რომ გნახე, — ბეთმანი ცოტა აღელდა, — სიმართლე თუ გსურს, არც კი ვიცი, რა ვუამბო.

— მოუყევი, რომ ვერაფერს მივალწნი, რომ არამარტო დარიბი ვარ, არამედ კმაყოფილიც სიღარიბით, უთხარი, სამუშაოდანაც იმიტომ დამითხოვეს, რომ ზარმაცია და უგულისყურო აღმოვჩნდი. მოუყევი ყველაფერი, რაც ამ ღამით იხილე და რაც გიაძებ.

უეცრად გაელვებულმა აზრმა ბეთმანი ძლიერ ააღელვა და, შემცბარმა, ჯიქურ შეხედა ედვარდს.

— ღმერთო ჩემო, არ გსურს, მასზე დაქორწინდე?

ედვარდმა დაკვირვებით შეხედა.

— ვერასოდეს ვთხოვ, მიცემული სიტყვებისგან გამათავისუფლოს, თუკი სურს, რომ ჩემი პირობა შევასრულო, ყველაფერს ვილონებ, რათა მისი მოსიყვარულე, კეთილი მეუღლე ვიყო.

— ედვარდ, შენ გსურს, რომ მე ეს შევატყობინო? არა, ეს არ შემიძლია. ეს საშინელებაა. მას არასოდეს გაუფიქრებია, რომ შენ არ გსურს მასზე დაქორწინება. მას უყვარხარ. განა შემიძლია, რომ ასე მწარედ ვაწყენინო?

ედვარდი კვლავ ილიმებოდა.

— თვითონ რატომ არ მოიყვან მას ცოლად, ბეთმან? შენ ხომ დიდი ხანია გიყვარს, თქვენ ნამდვილად ერთმანეთის საფრთხი ხართ და ძლიერ გააბედნიერებ.

— ასე ნუ მელაპარაკები. ამის ატანა არ შემიძლია.

— მე უარს ვამბობ შენთვის, ბეთმან. შენ ჩემზე უკეთესი ადამიანი ხარ!

ედვარდის ხმაში ბეთმანმა ისეთი რამ შენიშნა, რამაც აიძულა იმწამსვე შეეხედა მისთვის. ედვარდის მზერა იყო სერიოზული, გაულიმარი. ბეთმანმა არ იცოდა, რა ეთქვა. იგი შეცბუნებული ჩანდა. სურდა, გაეგო, ეჭვობდა თუ არა ედვარდი, რომ ის ტაიტიზე საგანგებო დავალებით ჩამოვიდა. და თუმცა იცოდა, რომ არასასიამოვნო იყო, არ შეეძლო უარი ეთქვა გულში აღძრული აღტაცების გრძობისთვის.

— რას იზამ, თუ იზაბელი მოგწერს და უარს იტყვის ცოლქმრობის პირობაზე? — თქვა მან წყნარად.

— ავიტან როგორმე, — თქვა ედვარდმა

ბეთმანი ისე აღელდა, პასუხიც ვერ გაიგონა.

— ვისურვებდი, რომ ჩვეულებრივად ყოფილიყავი ჩაცმული, — თქვა წყენით, — ასეთ დიდ, სერიოზულ გადაწყვეტილებას იღებ და უცნაურ ტანსაცმელში მეტად დაუდევრად გამოიყურები.

— მივწმუნე, შემიძლია ისევე სერიოზულად გამოიყურებოდე პარეოსა და ვარდების გვირგვინში, როგორც ცოლინდრსა და კარგად მორგებულ კოსტუმში.

ბეთმანს სხვა აზრმა გაუელვა თავში.

— ედვარდ, ამას ჩემთვის ხომ არ სჩადიხარ? არ ვიცი, მაგრამ ეს ძლიერ შეცვლის ჩემს მომავალს. თავს მსხვერპლად ხომ არ წირავ ჩემთვის? ამაზე ვერ დავითანხმებ, შენ იცი.

— არა, ბეთმან, მე აქ უჭკუობასა და სენტიმენტალობას გადავეჩვიე, გამიხარდებოდა, თუ შენ და იზაბელი ბედნიერი იქნებოდით, მაგრამ არავითარი სურვილი არ მაქვს, მე უბედური ვიყო.

პასუხმა როგორღაც დააცხრო ბეითმანი. მას იგი ოდნავ ცინიკური მოეჩვენა. ახლა ბეითმანი არც კი შენუხდებოდა, თუ კეთილშობილი გმირის როლს გაითამაშებდა.

— კმაყოფილი იქნები, თუ სიცოცხლეს აქ გაატარებ? ეს ხომ უარესია, ვიდრე თვითმკვლელობა. როდესაც წარმოვიდგენ, რა დიდ იმედებს იძლეოდა კოლეჯის დაამთავრების შემდეგ, დაუფრებელია, რომ კმაყოფილი ხარ გამყიდველის ადგილით უბრალო მალაზიაში.

— ოჰ, ამას მხოლოდ ახლა ვაკეთებ და მრავალ საჭირო გამოცდილებას კი ვიძენ. მე სხვა გეგმა მაქვს. არნოლდ ჯექსონს აქვს ერთი პატარა კუნძული პაუოტაბში, დაახლოებით ათასიოდე მილის დაშორებით აქედან, — ხმელეთის ნაწილი ლაგუნას გარშემო. მან იქ ქოქოსის პალმა გააშენა. ახლა მე მთავაზობს.

— ამას რატომ აკეთებს? — ჰკითხა ბეითმანმა — თუ იზაბელი ჩემზე უარს იტყვის, მის ქალიშვილს მოვიყვან ცოლად.

— შენ? — ბეითმანს თითქოს მეხი დაეცაო. — შენ ვერ შეძლებ კეროლი ცოლად მოიყვანო. თავს ნუ იგიჟიანებ.

— კარგი გოგონაა, წყნარი და კეთილი ბუნების. ვფიქრობ, ბედნიერებას მომიტანს.

— გიყვარს?

— არ ვიცი, — უპასუხა ედვარდმა დაფიქრებით, — ისე არ მიყვარს, როგორც იზაბელი მიყვარდა, იზაბელს ვალმერებზე, მიმაჩნდა, რომ ყველაზე არაჩვეულებრივი ქმნილება იყო მათგან, ვინც კი ოდესმე მენახა, მე მის ფრჩხილადაც არ ვლირი. ევასთან კი ასეთ რამეს არ ვგრძნობ, იგი მაგონებს მშვენიერ ეგზოტიკურ ყვავილს, რომელსაც უნდა გაუფრთხილდე და დაიფარო ძლიერი ქარისგან. ვფიქრობ, მას ვუყვარვარ როგორც ვარ და არა იმისთვის, თუ ვინ შეიძლება გავხვდეთ. რაც უნდა შეემთხვას. იმედს არ გავუტრუებ, იგი საჩემოა.

ბეითმანი დუმდა.

— ხვალ დილით ადრე უნდა ავდგეთ, — თქვა ბოლოს ედვარდმა, — ნამდვილად დროა, რომ დავიძინოთ.

შემდეგ ბეითმანი ლაპარაკობდა ნამდვილად ნატანჯი ხმით.

— შემცბარი ვარ, არ ვიცი, რა ვთქვა, აქ იმიტომ მოვედი, რომ ვფიქრობდი, რაღაც ნესრიგში არ იყო. მეგონა, არ გავიმართლა და დამარცხებულს გრცხვენოდა უკან დაბრუნების. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეს შევესწრებოდი. ძალიან ვნუხვარ, როგორ უაზროდ იხარჯება შენი ნიჭი, შენი ახალგაზრდობა და შენი უნარი.

— ნუ ნუხარ, ჩემო მეგობარო, — თქვა ედვარდმა. — მე მარცხი არ განმიცდია. წარმატებას მივალწიე. ვერ წარმოვიდგენ, თუ რა სიცხოვლით ვუყურებ ცხოვრებას, რა რთული და მნიშვნელოვანი წარმომიდგება იგი, როდესაც შენ უკვე იზაბელის მეუღლე იქნები, ზოგჯერ იფიქრე ჩემზეც. მე სახლს ავიშენებ მარჯნის კუნძულზე და იქ ვიცხოვრებ, მივხვდავ ჩემს მეუღლეს, ქოქოსის ხეებს და მათგან ისევე მოვიპოვებ ნაყოფს, როგორც იპოვებენ უთვალავი წელია. მე ჩემს ბაღში ყველაფერს გავაშენებ და ვითევზავებ. იმდენს ვიმუშავებ, თავი გავირთო და არ გამოვთავყვანდე, მექნება წიგნები და მეყოლება ევა, ბავშვები და ამას გარდა ზღვა და მზე თავიანთი მრავალფეროვნებით, განთიადის სიგრილე და მზის ჩასვლის მშვენიერება, ღამის არაჩვეულებრივი დიდებულება, ბაღნარად ვაქცევ იმას, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უდაბურ ადგილს წარმოადგენდა, რაიმეს შევქმნი, წლები შეუმჩნეველად გაიზრდები და, როდესაც უკვე მოვზუცდები, გადავხვდავ ბედნიერად, უბრალოდ, წყნარად ჩავლილ ცხოვრებას. შენ მიგაჩნია, რომ ცოტაა დატყებ კმაყოფილებით? განა რაში ნაადგება ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა მოიპოვოს და საკუთარი სული კი დაკარგოს. ვფიქრობ, მე ჩემი ვპოვე.

ედვარდმა იგი შეიყვანა ოთახში, სადაც ორი საწოლი იდგა. თვითონ ერთ-ერთზე მოთავსდა. ათ წუთში ბეითმანმა მისი თანაბარი, ბავშვივით მშვიდი სუნთქვა გაიგონა და მიხვდა, რომ ედვარდს უკვე ეძინა. მაგრამ თვითონ მას, ალელვებულს,

მოსვენება არ შეეძლო და, ვიდრე განთიადი უხმაუროდ, მოჩვენებასავით არ შემოიპარა ოთახში, ძილს თავი ვერ მისცა.

ბეითმანმა ბოლომდე მოუთხრო იზაბელს თავისი თავგადასავალი, არაფერი დაუმალავს, გარდა იმისა, რაც, მისი აზრით, ტკივილს მიაყენებდა, ანდა თვით მას დაცინვის საგნად გამოაჩენდა. არ უთქვამს, რომ იძულებული იყო ესადილა თავზე ყვავილების გვირგვინით და არც ის, რომ ედვარდი მზად იყო, ცოლად მოეყვანა ბიძამისის კრეოლი ქალიშვილი, როგორც კი იზაბელი მას საქორწინო ხელშეკრულებისგან გაათავისუფლებდა. მაგრამ იზაბელს უფრო მძაფრი ინტუიცია აღმოაჩნდა, ვიდრე იგი ფიქრობდა, რადგანაც, როდესაც მან ამბის თხრობა გააგრძელა, იზაბელს თვალეში სიცივე ჩაუდგა და ტუჩები მაგრად მოკუმდა, დროდადრო ახლოდან აკვირდებოდა და, თუ ბეითმანი ნაკლებად იყო გატაცებული თავისი თხრობით, შეეძლო გაოცებულიყო იზაბელის გამომეტყველების ცვალებადობით.

— ვის ჰგავს ეს ქალიშვილი? — ჰკითხა იზაბელმა, როდესაც მან საუბარი დაასრულა, — არის თუ არა რაიმე მსგავსება ბიძია არნოლდის ქალიშვილსა და ჩემ შორის?

ბეითმანი ამ შეკითხვამ საგონებელში ჩააგდო.

— ამაზე არ მიფიქრია, — იცი, თვალი არასოდეს არავიზე მჭერია, შენ გარდა. არც შემეძლო გამეფიქრა, რომ ვინმე იყო შენი მსგავსი. განა შენ ვინმე შეგედრება?

— მომხიბვლელი იყო? — წარმოთქვა იზაბელმა ოდნავი ღიმილით.

— გავბედავ და მოგახსენებ, რომ ბევრი მასზე იტყოდა, ლამაზიაო.

— კეთილი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, არა მგონია, ჩვენგან მეტი ყურადღების ღირსი იყოს.

— რას იზამ, იზაბელ? — ჰკითხა შემდეგ ბეითმანმა.

იზაბელმა დახედა თავის ხელს, რომელზედაც ედვარდის ნიშნობის ბეჭედი ეკეთა.

— ნებას არ მივცემდი, რომ ედვარდს ჩვენი ნიშნობა დაერღვია, რადგანაც მსურდა, იგი დამერწმუნებინა, თუ რამეს შეეძლო მისთვის წარმატების მოპოვებაში ხელი შეეწყოს, ეს იყო იმაზე ფიქრი, რომ იგი მიყვარდა. მე ყველაფერი ვიღონე. ჩემი მხრივ მხოლოდ სისუსტე იქნებოდა, რომ ფაქტი არ მეცნო, საბრალო ედვარდი, იგი მხოლოდ საკუთარი თავის მტერია. ძვირფასი, საყვარელი ყმანვილი იყო, მაგრამ რაღაც აკლდა.

— ვფიქრობ, სიმტკიცე — ვიმედოვნებ, რომ ბედნიერი იქნება.

მან თითიდან ბეჭედი მოიძრო და მაგიდაზე დადო. ბეითმანი უყურებდა და გული ისე აჩქარებით უტემდა, ძლივსლა სუნთქავდა.

— საოცარი ხარ, იზაბელ, ნამდვილად საოცარი.

მან გაიღიმა, ნამოდგა და ბეითმანს ხელი გაუწოდა.

— რით შემიძლია მადლობა გადაგიხადო იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთე? — თქვა მან. — შენ მე უდიდესი სამსახური გამინიე. ახლა ვიცი, რომ შენი იმედი შეიძლება მქონდეს.

ბეითმანმა მას ხელი დაუჭირა და დიდხანს არ უშვებდა, იზაბელი არასოდეს ყოფილა ასეთი მომხიბვლელი.

— ო, იზაბელ, უფრო მეტსაც გავაკეთებ შენთვის, ვიდრე ესაა, შენ იცი, მხოლოდ იმას გთხოვ, რომ მიყვარდე და გემსახურო.

— შენ ისეთი ძლიერი ხარ, ბეითმან, — ამოიოხრა მან, — ეს მე მშვენიერი გრძნობის რწმენას მანიჭებს.

— იზაბელ, გაღმერთებ.

ბეითმანმა იგრძნო, თუ როგორ ენვია შთავგონება, უეცრად მოიმწყვდია იგი მკლავებში, იზაბელი დანებდა და გაუღიმა.

— იზაბელ, შენ იცი, რომ შენი ქმრობა მსურდა იმ წუთიდან, როდესაც გიხილე, — წამოიძახა მგზნებარედ.

— რატომ მაშინვე არ გამიცხადე? — ჰკითხა მან.

იზაბელს ბეითმანი უყვარდა, ბეითმანს არც კი სჯეროდა, რომ ეს სიმართლე იყო. ქალმა თავისი ლამაზი ტუჩები საკოცნელად მიუშვირა. და როდესაც ბეითმანს იზაბელი მკლავებში

ჰყავდა მომწყვდეული, ხედავდა ჰანტიერის „საავტომობილო კომპანის“ ზმანებას, თუ როგორ იზრდებოდა ის და ძალას იკრებდა, ვიდრე ასობით აკრის ფართობს არ დაიკავებდა და მილიონობით მანქანას არ გამოუშვებდა, ხედავდა ნახატების უდიდეს კოლექციას, რომელსაც ის შექმნიდა და რომელიც ყველას დაჯაბნიდა ნიუ იორკში. მას უნდა ეტარებინა რქის ჩარჩოიანი სათვალე. იზაბელი კი, გრძნობდა რა ბეთმანის ძლიერი ხელების ნაზ შეხებას, ბედნიერებისგან ოხრავდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ექნებოდა დიდებული სასახლე, სახვე ძველებური ავეჯით, გამართავდა კონცერტებს, საღამოს წვეულებებს, ცეკვებს, სადილებს, რომლებზეც მხოლოდ უაღრესად რჩეულ საზოგადოებას მოიწვევდა, ბეთმანს კი რქის ჩარჩოიანი სათვალე მოუხდებოდა.

— საბრალო ედვარდი, — ამოიოხრა მან.

**ინგლისურიდან თარგმნა
თამაზ ღვარამია**

ტაიტი — არქიპელაგის ყველაზე მნიშვნელოვანი კუნძული (საფრანგეთის პოლინეზიის ნაწილი) — ცენტრალურ „სამხრეთ ნენარ ოკეანეში“.

წყალს გატნეული პური — ირონიული დამონება შემდეგი ბიბლიური ლექსის: „წყალს გაატანა შენი პური, რადგან მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძებ“ (ეკლესიასტი 11.1). რაც ნიშნავს, რომ გულმონყალება ყოველთვის კეთილად შემობრუნდება.

უბაში — ავენიუ, რომელიც ჩიკაგოს ბიზნეს ნაწილს განაცალკევებს დაშორებულ უბნებს

სტიტი — ქუჩა ჩიკაგოში, ქალაქის სავაჭრო ცენტრი.

ლუპი — ჩიკაგოს ნაწილი

ლუარი — მდინარე საფრანგეთში, რომლის გასწვრივაც იმყოფებას მრავალრიცხოვანი შუასაუკუნოვანი ციხე-დარბაზები.

ლუი XV — (1710-1774), საფრანგეთის მეფე (1715-1774).

აუდიტორიუმი — 1929 წლამდე მთავარი ოპერის თეატრი ჩიკაგოში (აიგო 1889წ.) გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით.

მადამ დიუ ბარის ოთახი — ოთახი დეკორირებული და განყოფილი გრაფინია მარი დიუ ბარის, ლუი XV-ს ფავორიტის, საყვარელ სტილში.

ლექსი რიჩარდ ლოველსის (1618-1657) — ინგლისელი როიალისტი ლირიკული პოეტის, კარისკაცის, სწავლულის, მთარგმნელის, მუსიკოსისა და მხატვრობის მცოდნის, პოემიდან „ლაშქრად მიმავალ ლუკასტასადმი“.

პროლოგული — ჰავაის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) დედაქალაქი, — დიდი საზღვაო პორტი ოაჰუს კუნძულზე. ჰავაის შტატი შედგება ჩრდილო-ცენტრალური წყნარი ოკეანის კუნძულები წყლებისგან.

პაპიეტი — საფრანგეთის პოლინეზიის დედაქალაქი, მდებარეობს კუნძულ ტაიტის ჩრდილო-დასავლეთ ნეკრო

ჰაუმოტანი — ამჟამად ტუამოტუს კუნძულები, ტაიტის დასავლეთით, გრძელდება მრავალი მილის მანძილზე და შედგება 80 მცირე, ძირითადად, წრიული ფორმის კუნძულისგან.

კოპრა — ქოქოსის კაკლის გამხმარი გული.

ანა კუზნეცოვა

**გვიყვარსართ,
გვიამაყებით**

რალაც უცნაურად ვართ აწყობილნი: ასე დაგვჩემდა, რომ კეთილ სიტყვებს მხოლოდ დაკრძალვებსა და იუბილეებზე წარმოვთქვამთ. ისიც ცნობილია, რომ ავკაცთა, უარყოფით პერსონაჟთა თამაში, თეატრში იქნება თუ კინოში, უფრო იოლია, ვიდრე დადებით, მოსაწონ გმირთა განსახიერება. სიკეთეს, ფულისა არ იყოს, სიბნელეში ქმნიან და ითვლიან. მასზე იშვიათად ლაპარაკობენ და წერენ...

ამ საკამოდ ბანალურ ჭეშმარიტებათა თავმოყრა იმისათვის დამჭირდა, რომ მესარგებლა საბაბით, ორი საბაბითაც კი, ერთია ვოლგოგრადის ახალი ექსპერიმენტული თეატრის იუბილე, თუმცა — ამჟამად ახალი აღარც ეთქმის — უკვე ოცდახუთი წლისაა, და მეორე კი არის იუბილე მისი უცვლელი ხელმძღვანელის, რეჟისორ ოთარ ჯანგიშერაშვილისა, ვისაც ეს-ესაა შეუსრულდა, არ დაფრთხეთ, 70 წელი! — რათა ჩემი ძველი მეგობრებისათვის ორიოდ კეთილი სიტყვა მეთქვა.

რეჟისორის ისტორიიდან

მე პირველად ვიხილე ოთარი, ოთარ ივანოვიჩი, ლამაზი ქართველი ვაჟკაცი, 1975 წელს მოსკოვის მცირე თეატრში, სადაც ის მოვიდა სტაჟირებაზე ბორის ივანოვიჩ რავენსკიხთან. მაშინ ახალგაზრდა იყო და ზუსტად იცოდა, რომ რუსულ თეატრში ენადა მუშაობა და ისიც ენადა, რომ გამხდარიყო არა უბრალოდ კარგი, არამედ ძალიან კარგი რეჟისორი. ზურგსუკან ჰქონდა ქართული სარეჟისორო სკოლა და მუშაობის პირველი გამოცდილება ულიანოვსკის დრამატულ თეატრში. სიტყვაძვირი, გულჩაკეტილი, დღენიდაგ თეატრში იმყოფებოდა და ხარბად ისრუტავდა ყველაფერს,

რაც უკავშირდება პროფესიას. მისი ზუსტი და საზრიანი შენიშვნები სიმრავლით არ გამოირჩევა, ისევე როგორც მრავლად როდი არიან ჩვენს შორის ისეთნი, დასაბამიდანვე ზუსტად რომ იციან, ოთარის მსგავსად, თუ რა სწადათ და ამქვეყნად რა არის კარგი და რა არის ცუდი...

ასეთი იყო, როდესაც თითქმის ორმოცი წლის წინათ ვიხილე ახალი სახე რუსეთის თეატრალურ ცხოვრებაში — ოთარ ჯანგიშერაშვილი. თავისი სახელგანთქმული თვისტომის დარად, ისიც გორელი გახლავთ. მისი გვარიც და კიდევ რალაც მბრძანებლური, ძალმოსილი ბუნება მეხსიერებაში იხმობდა სხვა, მსგავს გვარს — ჯულაშვილს. შეუპოვარია. თავისთავადი. ემარჯვება გაუძღვეს ადამიანებს, გადასდოს თავისი რწმენა და ნებისყოფა. ამას იუბილარზე მოგახსენებთ, ოთარ ჯანგიშერაშვილზე.

ოთარს მაშინვე როდი უპოვია თავისი ადგილი ცხოვრებაში. სათავეში ედგა დრამატულ თეატრებს პეტროზავოდსკსა და გორკში, ამჟამად ნიჟნი ნოვგოროდი რომ ჰქვია. მაგრამ იქ არ დაყოვნებულა, წინ ეგულებოდა თავისი თეატრი — რეჟისორსა და ქალაქს, რეჟისორსა და თეატრს ყოველთვის უძნელდებათ ხოლმე ერთიმეორის პოვნა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სადაც კი მინახავს მისი სპექტაკლები, ზოგი უკეთესი ყოფილა, ზოგიც უარესი, მაგრამ ცუდი არასოდეს შემხვედრია. ის იშვიათი ოსტატია თავის უნიკალურ პროფესიაში. ოლონდ როგორც მაღალი კლასის სპექტაკლისტმა და შესანიშნავმა ხელმძღვანელმა საკუთარი თავი ჰპოვა სწორედ ვოლგოგრადში, სტალინგრადში, სადაც ზუსტად მეოთხედი საუკუნის წინათ ბედმა გაუმართლა, რომ შეექმნა თავისი ახალი, ნამდვილად ექსპერიმენტული შემოქმედებითი კოლექტივი.

ჯანგიშერაშვილის კაბინეტში (თეატრში) მოხერხებული ტყავის სავარძლებია, კედლებზე — ახლობელთა პორტრეტები, მათ შორის — გიორგი ტოვსტონოგოვისა, ოლეგ ეფრემოვისა, მასწავლებელთა და მეგობართა.

აქ მყუდროება და უშფოთველობა სუფევს, როგორც შინ. ასეც უნდა იყოს — ეს მისი სახლია, მისი ციხე-სიმაგრე. აქ ხშირად მოდის ხოლმე ანცი და ლამაზი ბიჭუნა, სახელად ოთარიკო; მთელი თეატრი აღმერთებს მას, ნაგვიანვე და საყვარელი შვილია ოთარისა, მისი სიამაყე და სიხარული, მისი მომავალი.

თეატრის ისტორიიდან

ამ თეატრის ისტორიაში მართლაც ჩაეტყა ყველაფერი, რითაც სულდგმულობდა ქვეყანა წინარე საუკუნის მეორე ნახევარსა და უკვე XXI-ის დასაწყისში. თეატრს მოუწია აღორძინება ნანგრევებიდან ომში პირნიმნდად გაცამტვერებულ ქალაქში, მერე კი — არსებობა თავისი ქვეყნის კანონებისამებრ. მაგრამ დამოკიდებული იყო იმ რეჟისორთაგანაც, რომლებიც თეატრს თავკაცობდნენ. იყო ბრწყინვალე ჟამი ნიკოლაი ალექსანდროვიჩ პოკროვსკისა; იყო პიოტრ სლიუსარევის მუშაობის კარგად ორგანიზებული წლები, თუმცა თვალსაჩინო სპექტაკლებით არ აღბეჭდილა. 90-იანი წლების დამდეგს თეატრი ლამის ილუპებოდა, რადგანაც განუწყვეტლივ იცვლებოდნენ რეჟისორები და დირექტორები. ამასთან ერთად, არ აკლდათ კონფლიქტები და კინკლაობა, უვარგისი სპექტაკლები — ვაგლახ! ამგვარია ნიშან-თვისება ყველა თეატრისა, თუნდაც ნიჭიერი მსახიობები ჰყავდეს, თუკი ღირსეული ხელმძღვანელი არ მოეპოვება! უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა XX საუკუნისათვის: თეატრი დაიხურა მინისტრის გადაწყვეტილებით. და ხელახლა გაიხსნა ახალდანიშნული სამხატვრო ხელმძღვანელით, რომელსაც მიენიჭა ასევე უპრეცედენტო უფლებანი: მთლიანად უნდა დაეთხოვა უნიდელი დასი და ჩამოეყალიბებინა ახალი; თავის შეხედულებათა შესაბამისად აეგო თეატრი და მსახიობთათვის შემოელო საკონტრაქტო ხელშეკრულებითი სისტემა. დაიხაც მიანიჭეს უფლებანი და მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ერთპიროვნულმა ხელოვანმა-ლიდერმა. ეს არის თეატრისათვის ოპტიმალური ფორმა ხელმძღვანელობისა! ოღონდ ამ როლის შესასრულებლად უნდა ეპოვათ იშვიათი ტიპი, რომელიც შეითავსებდა ხელოვანისა და ხელმძღვანელის ნიჭს.

ყოველ სადამოს ანშლაგები ვოლგოგრადში — და ასეა მთელი 25 წელიწადი, აბსოლუტური კონტაქტი და ურთიერთგაგება თავის ქალაქთან — ამჟამად ასეთია თავისებურება ვოლგოგრადის თეატრისა.

ქალაქისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ისტორიიდან

სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“, რომლითაც თავის დროზე გაიხსნა თეატრი, დღემდე რჩება მის რეპერტუარში. მოზარდი შეყვარებულნი მოზრდილდებოდნენ, ასაკს თავისი გაჰქონდა, და არაერთგზის იცვლებოდნენ. სპექტაკლი კი დღემდე ცოცხლობს. რუსეთის პერიფერიაში განა ბევრი შეგხვდებათ ამგვარი მაგალითი?! კონკურსის წესით არჩევენ ლამაზმანთა გუნდს მიზანსცენისათვის აუზთან, რითაც იწყება სპექტაკლი. ასე ჩაიფიქრა დამდგმელმა ოთარ ჯანგიშერაშვილმა.

მის თეატრში მებღილეთე ქალებიც, გამონყოზილნი განსაკუთრებულ თეატრალურ კოსტუმებში, ლამაზმან სტუდენტთა კონკურსიდან მოვლენილან. ხოლო სპექტაკლები, მათი ოდენობა კი სამოცს აღწევს და ყველა თვით ხელმძღვანელის დადგმულია, მრავალწლით ცოცხლობენ: „მასკარადი“, „სიყვარული — ოქროს ნიგნი“, „ჰამლეტი ნიუ-იორკში“, „ჰომო ერექტუს“, „მეფისმკვლელნი“, ა. კ. ტოლსტოის ისტორიული ტრილოგია... ოთარ ჯანგიშერაშვილი გულდასმით ჰკრებს თეატრის მსახიობებს, თავად და თავისთვის ასწავლის ხელოვნებათა და კულტურის ინსტიტუტში. მსახიო-



ოთარ ჯანგიშერაშვილი

ბები, და თეატრის სხვა მუშაკებიც, განსხვავებით თავიანთი კოლეგების უმეტესობისგან, პატარა ხელფასს როდი იღებენ „ოთართან“. მათი რწმენა ხელმძღვანელის მიმართ აბსოლუტურია. ესაა შეწყობილი, მრავალფეროვანი, ნიჭიერი კოლექტივი. და რაც მთლად საოცრებაა შემოქმედებითი კოლექტივებისთვის — ერთსულოვანი: შედეგი დიდი ერთობლივი მუშაობისა. ქალაქის მცხოვრებნი აღმერთებენ თავის თეატრს, ეამაყებათ იგი. ისინი მიეჩვენენ, რომ თუკი პრემიერაზე მოხვდებიან, ყველა იგემებს ძღვნად შამპანურს, რომ მათ აუცილებლად ელოდებათ რაიმე მოულოდნელი და საინტერესო. ამ თეატრში მრავალადაა საკუთარი საგანგებო წესები. და ჰყავთ საკუთარი მონარქი, დიქტატორი ოთარ ჯანგიშერაშვილი. ახალი სპექტაკლები — „ოტელი ორი სამყაროსი“, „ქურდების მეჯლისი“ — საგულისხმო მოვლენები გახლავთ ქალაქის ცხოვრებაში.

დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად ოთარ ივანოვიჩმა თავი დაისაჩუქრა. რუსული თეატრი ჩაიყვანა (პირველად საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ) გასტროლებზე მშობლიურ საქართველოში. სპექტაკლებს მქუხარე წარმატება ხვდა ნილად. ეს იყო ქმედება მოქალაქისა, რუსეთის სახალხო არტისტისა, დიდი თეატრალური და საზოგადო მოღვაწისა.

თეატრის ფრონტონს უკვე მრავალი წელია ამშვენებს მთელი დასის ფოტოსურათი და ცენტრში კი თავისი სასაცილო, ნაირფერი კუბოკრული კეპკით — მათი ლიდერი, ბელადი ოთარი. ისინი სავალდებულო და საყვარელი ნაწილია გმირი-ქალაქისა, საყოველთაო სიხარული და სიამაყე, ისევე როგორც დედა-სამშობლოს საზეიმო ძეგლი მამაის ყორღანზე; ისევე როგორც ერთიანად დაცხრილული, სამარადისოდ შენახული ნიშანი ომისა — პავლოვის სახლი; ისევე როგორც ისრული განიერი პროსპექტები ვოლგოგრადისა.

იშვიათი ერთიანობა ქალაქისა — თეატრისა — რეჟისორისა.

წარმატებული მუშაობის იშვიათი მრავალწლიანი შედეგები. გვიყვარხართ. გვეამაყებით. თეატრსაც და რეჟისორსაც გულითადად გილოცავთ იუბილევებს. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს, ბედნიერებას.

„ლიტერატურნაია გაზეტა“, 2013, №40

რუსულიდან თარგმანა
ლანა ბიორაძე

იოსებ ჭუმბურიძე

ფრესკის ტირილი

ეფექტებს გამოკიდებული მწერალი ნიგნის ყდაზე სხვა მოთხრობის სათაურს გამოიტანდა, ალბათ, უფრო „მამის იავნანას“. იაკობ გოგებაშვილის სამშობლოში, სადაც ბავშვმაც კი იცის, „იავნანამ რა ჰქმნა“, ეს სათაური განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობდა. ინტრიგაც (რა თქმა უნდა, კარგი გაგებითა და აუცილებლობით) იმთავითვე გარანტირებული იქნებოდა...

მაინც, რას უნდა ნიშნავდეს მამის იავნანა? ...შეყვარებული წყვილი ზღვის სანაპიროზე სეირნობს.

გოგოს ნენე ჰქვია, ბიჭს — გეგა. ირკვევა, რომ გოგო სინამდვილეში ლატვიელია და ამის შესახებ ჩვიდმეტი წლისას შეუტყვია. დედა სიმსივნით გარდაცვლია. დეიდას კი ჯერ ბავშვთა სახლში ჩაუბარებია, შემდეგ კი ქართველი ქალისთვის მიუყვია...

ასე ქცეულა დაივა არნაუსკასი ქართველ ნენედ.

ამ ყოველივეს გოგო ბიჭს ახლა უამბობს. შემთხვევით ნოველაშიც არაფერი ხდება: გეგას რამდენიმე წელი ლატვიაში უსწავლია და იქაური ენაც აუთვისებია. „მიდიან, მიუყვებიან ზღვის ნაპირს“.

ამბავი თითქოს ჩვეულებრივია, თუ არ ჩავთვლით შეყვარებულთა დიალოგს, როცა ისინი ზღვაში ჩამავალი მზის ულამაზესი პეიზაჟით ტკებებიან. „**ინვა თავისთვის ზღვა, ოდნავ, სულ ოდნავ არწევდა ტალღებს და ნაპირს ნაზად კოცნიდა**“.

მზეზე ლამაზი ღმერთს არაფერი შეუქმნიაო, — იტყვის გოგო.

როგორ არა, შენ შეგქმნაო, — მიუგებს ბიჭი. ნოველისთვის თითქოს ესეც საკმარისია, მაგრამ მაინც რაღაცას განსაკუთრებულს, მოულოდნელს ელი, მით უფრო მაშინ, როცა ნოველას „მამის იავნანა“ ჰქვია.

და აი, ისიც: ბულვარის ქვაფენილზე ზის მეგობრის გემს ჩამოყოლილი ფეხმოკვეთილი ქერა კაცი, წინ პლასტმასის ჯაბი დაუდგამს, გარმონზე უკრავს და ლატვიურად მღერის...

და აქ ფსიქოლოგიურად ზუსტი დეტალი: „**ნენე შედგა და ხმა წაუგდო. თვალები დახუჭა, გაირინდა. რაღაცა ენით უთქმელი სიამოვნება იგრძნო. ვერც მელოდია გაარჩია კარგად, ვერც სიტყვები, თუმცა რაღაც უცნაური სიტბო ჩაეღვარა, სული გაუთბა**“.

გეგამ კი ადვილად გაარჩია ლატვიური სიტყვები და მელოდია.

შემდეგ კი მთავარიც გაირკვევა: ქუჩის მუსიკოსი დაუკრავს იავნანას, რომელიც არცთუ ცნობილ კომპოზიტორს დაუნერია. იმ კომპოზიტორს შვილი დაუკარგავს, პატარა გოგო.


„**კომპოზიტორის გვარი გახსოვთ? — გვარი კი მახსოვს, — თავი დაუქნია უცხო მეგარმონემ. — არნაუს...**“

გეგას რეტი დაესხა, იტყოდი, ნაიქცევაო, ძლივს შეიმავრა თავი, ნენეს გაუყარა ხელი“.

შესანიშნავია მოთხრობის ფინალი — მხოლოდ აუცილებელი სიტყვებისგან შემდგარი:

„— რა მოგივიდა?
— არაფერი.
— მაშინ ამოიღე ხმა. თქვი რამე.
— ყველაზე ლამაზი ხარ, ყველაზე საყვარელი და უზომოდ მიყვარხარ. — თქვა და მოეხვია ნენეს.
— რატომ ახსენა იმ კაცმა ჩემი გვარი?
— ?!“

* * *



გიორგი სოსიაშვილის ამ ახალ ნიგნს „ნატყვიარი“ ჰქვია — სულ სხვა მოთხრობის სათაური. დარწმუნებული ვარ, იმიტომ არა, რომ ეს ამ ნიგნის ყველაზე ვრცელი და მრავალპლანიანი მოთხრობაა, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაა დაწერილი და გამოცემული.

ამ ნიგნის ავტორი ხომ გორელია, უფრო ზუსტად სოფელ დიციდან, ზემოხსენებული ომის შემდეგ, შუაზე რომ არის გაყოფილი.

მწერლის სახლი კი ზედ საზღვართან დგას. მისი შვილებიც ამ სოფლის სკოლაში დიდიან. ხომ შეეძლო სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გორში გადაეყვანა?

მაგრამ მაშინ იმედი ვინ უნდა გადაარჩინოს?

...მართალია, „ნატყვიარი“ აგვისტოს ომს არ ეხება, მაგრამ იმას ეხება, რისი შედეგიცაა (ამ ომის ჩათვლით!) საქართველოში ბოლოსი წლის განმავლობაში დატრიალებული ყველა უბედურება.

* * *

მოთხრობას პროლოგიც აქვს და ეპილოგიც. ეპილოგით დავიწყოთ.

ზაქრო ეგინაძე სტალინის სურათების (ნახატების) კოლექციონერია. მათ შესაძენად ფულს არ იშურებს. უკვე ჩვიდმეტი შეუგროვებია. „**ალარ დარჩა იმ ქალაქში სტალინის სურათი. საცა ერთი იყო, ყველა იპოვა და იყიდა... სავსეა მისი სახლი სტალინით**...“

შეიტყობს, რომ არქივში ჰქონიათ კიდევ ერთი პორტრეტი. იმის ყიდვასაც გადანყვეტს. უარს ეტყვიან, სამაგიეროდ, იქ ნახავს ერთ საარქივო დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, „**1923 წელს სოფელ... გორის მახრახუა საუბარი, ბოლშევიკურ ხელისუფლებას სოფლიდან გაუსახლება ყოფილი მამასახლისის შაქრო ეგინაძე თავისი ჯალაბით, შემდეგ კი გზაში, გაქცევის მცდელობის გამო დაუხვრეტიათ**“.

და აქაც შესანიშნავი ფინალი:

„**სტალინი, სტალინი, — ფიქრობს ზაქრო, — სტალინის სურათის სანახავად მოვედი და პაპაჩემის დახვრეტის ოქმი კი შემრჩა ხელებში... უცნაურია ცხოვრება**“.

...მაგრამ პროლოგამდე ბოლშევიკებმა კიდევ უამრავი უბედურება უნდა დაატრიალონ იმ სოფელში (ანუ ქვეყანაში!): ეკლესიის გუმბათიდან ზარი ჩამოაგდონ; მაცხოვრის ფრესკა ტყვიებით დაცხრილონ; ეკლესია დაკეტონ; მღვდელი გაკრიჭონ და ანაფორა გახადონ; ბევრი კაცი და ოჯახი უნდა განირონ; ნათელ-მირონობა უნდა წაახდინონ; წესიერი კაცი ისე უნდა გაამწარონ, რომ შურისძიების მიზნით, მკვლელად აქციონ და ეს ათქმევიონ: „**არ ყოფილა ძნელი კაცის მოკვლა**“.

ამ თემაზე ბევრი დაწერილა. ახალ მოთხრობას რომ კითხულობ, მთავარი მაინც ამბავი კი არა, მწერლური ოსტატობაა, ხატვის ნიჭი.

ეს მოთხრობა სწორედ ამითაა გამორჩეული.

იშვიათი ოსტატობითაა დახატული ეკლესიიდან ჯვრის ჩამოხსნის ეპიზოდი.

ჯვრის ჩამოსახსნელად სულგაყიდული სტიქაროსანი სერაპიონი ადის.

„რას სჩადი, შვილო, — ეფრემის ხმა მისდევს — ნუ დაუჯერებ, ნუ წაინყმედავ სულს...“

სერაპიონმა ღრმად ამოისუნთქა, ცას აპხედა, სადაც არც ღმერთი ჩანდა და არც მისი ანგელოზები. სერაპიონის ფეხის ხმაზე გუმბათიდან მტრედები აფრინდნენ. და წავიდნენ შორს, ძალიან შორს“.

მავთულებით დამაგრებული ჯვრის ჩამოხსნისას, სერაპიონს სახურავზე ფეხი დაუცდებდა, ჯვარს ჩაებლაუჭებდა და გუმბათიდან მასთან ერთად გადმოეშვებდა.

„ტაძრის კარიბჭესთან დანარცხებულ კაცთან პირველები ახალგაზრდა აქტივისტები მიცვივდნენ, მაგრამ ეფრემის სტიქაროსანს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა“.

გუმბათზე ასული კაცის დანახვა ყველას ძალუძს. მწერალი ის არის, ვინც იმას გრძნობს, რომ სულგაყიდული სტიქაროსანი ცაზე ღმერთსა და ანგელოზებს ვეღარ ხედავს.

მწერალი ის არის, ვინც ამას დაწერს:

„— როგორ უცბად ავიდა.

ცოდვის ჩადენისას დრო სწრაფად გადის. — გაიფიქრა ვილაცამ“.

ვილაც რომ გაიფიქრებს, იმ ფიქრის წამკითხველია წამდვილი მწერალი.

ამას „ნატყვიარის“ არაერთი ეპიზოდი გაფიქრებინებთ.

და ბოლოს, პროლოგი, რომელიც გუმბათივით ადგას ტრაგიზმით განმსჭვალულ ამ მოთხრობას.

ვეება გუმბათზე მაუხერის ტყვიით დაცხრილულ ფრესკას მისჩერებია ორი მეგობარი:

„— ბენიამინი ყოფილა იმ ბიჭის პაპის მამა, — მიყვება გიორგი.

— ბენიამინი ვინ იყო?

— სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე.

— მერე?“

დანარჩენი ამბავი ასეთია: თურმე ბენიამინის ყველა შთამომავალი უცნაურად იღუპებოდა. მხოლოდ ერთი ბიჭი დარჩენილა ცოცხალი, ისიც გაურკვეველი სენით დაავადებულია. ვერსად ვერაფრით უშველიათ, თანაც, „ზუსტად იმ ადგილებში ჰქონია გაუყურებელი ტკივილები, სადაც ტყვიები აქვს წასროლი მაცხოვრის ფრესკას“.

მერე იმ ბიჭს ერთი კაცი დასიზმრებია და უთქვამს, სანამ იმ დახვრეტილ ფრესკასთან არ ილოცებ, არ გეშველებათ.

მისულა ის ბიჭი ტაძარში. მუხლებზე დაცემულა, უტირია, მინასაც თავს ურტყამდა თურმე. შემდეგ კი „აქედან აღარ წასულა, ანაფორა ჩაუტყვამს და ამ ტაძარშივე დაუნყია მსახური...“

ასოთხმოცდაათგვერდიან წიგნში ამ მოთხრობას ასი გვერდი უჭირავს. მის კითხვას რომ გაასრულებ, ისეთი განცდა გაქვს, რომ რომანი ჩაამთავრე — იმდენად შთამბეჭდავია იქ აღწერილი ამბები და პერსონაჟები. სხვათა შორის, იმდენად კინემატოგრაფიულიც, რომ თითქოს ყოველივეს დიდ ეკრანზე ხედავ.

რეჟისორი რომ ვიყო, მის გადაღებაზე აუცილებლად ვიფიქრებდი.

სცენასაც ძალიან მოუხდებოდა...

აქ არაფერია ნათქვამი ფრესკის ტირილზე, მაგრამ მთელი მოთხრობის მანძილზე ამ ტირილს გრძნობ და ხედავ.

რომანს ჰგავს.

არ გამიკვირდება, გიორგი სოსიაშვილმა მალე დიდ-ტანიანი რომანიც რომ გამოაქვეყნოს...

ვალეოსდილი



ნოდარ ანდლულაძე

მარსელ პრუსტის ანკეტის შევსებისას, რომელიც შემდეგ „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის 16 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, ნოდარ ანდლულაძემ კითხვაზე — ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ? — უპასუხა: ადამიანის გავება. არადა, სხვა მრავალ ნიჭთან ამასაც სიღრმისეულად ფლობდა. ამის დადასტურება იყო შარშანდელი ზამთრის ერთი ცივი დღე — უამრავი ადამიანი მოსულიყო მასთან გამოსათხოვებლად. ამაზე თუ ითქმის სახალხო გლოვა! თითოეულ ადამიანს, რომელიც თებერვლის ცივი, ცრიატ დღეს დიდ მაცხტროს ეთხოვებოდა — ექიმს, მომღერალს, მონაფეს, ინჟინერს, მსახიობს, მწერალს, მხატვარს, ხელოსანს, დიასახლისს, დიდსა თუ პატარას — თავისი ნოდარ ანდლულაძე მოუკვდა, ძალიან ახლობელი, გულითადი, თანამგრძობელ-თანამოზიარე მეგობარი და იმედოვნულად — დიდი მოღვაწე, მრავალმხრივი, ადამიანის სულისა და ხმის ღრმად მწვდომი მეცნიერი და მაცხტრო ძალზე ფართო თვალსაწიერით....

ბოლო საუბარი ისე ჩავენერეთ, უკვე შეუძლოდ იყო. როსტომი მოიკითხა. მეც ვუპასუხე, ისევ თავის ბრძოლის ველზეა, ზოგი ავიდუმილითაც ებრძვის-მეთქი. რალაცნაირად, მრავლისმთქმელად გაიღიმა და მითხრა: ჩემგან გადაეცი — არ ვარგა კაცი უმტერო, არც აგრე მტერმორეულიო. ეს სიტყვები თავის დროზე მსგავსი „მკებნარებით“ შეწუხებულს არნოლდ ჩიქობავამ გამილექსა და ახლა როსტომთან გატანო... თვითონ გულისტკენა მრავალჯერ უწვნევია, თემცა არასოდეს ამაზე არაფერი უთქვამს, არ დაუჩივლია. სულგრძელად, ვაჟკაცური სიკვლით „გადაკარგავდა“ ამ ტკივილებსა და წყენას და ჩვეული სიყვარულით შეუპოვრად აგრძელებდა თავის საქმეს. ასე ამარცხებდა ავგულთ, ასე ამკვდრებდა იმ აზრს, რომელიც რწმენად ჰქცევოდა: თუ გინდა ადამიანი შეიცნო, გასაღები უპოვო, სიმღერას უნდა ჩასწვდე და პირიქით, თუკი ბგერის, მუსიკის ენა შეითვისე თავისი სიღრმეებით, ადამიანს ბოლომდე გაუგებ...

სსოვნის თვისებაა, ძვირფასი ადამიანი ყოველთვის გიტოვებს თავისი სულის ნაწილს... არასოდეს დამავინყდება, ძალა აღარ მოსდევდა და მანაც უთხრა თავის შვილობილს, გური ზაქარეიშვილს, სავარძელში დამსვითო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რადგან ვთხოვეთ, იქნებ ხელი მოაწეროთ თქვენს წერილს, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილ ხელნაწერ წიგნში ჩაინერაო. სავარძელში რომ დავინახე, ცას ვენიე სიხარულით, უძღლურებას უკან დეხია, ძალა მისცემოდა... გულში ამასაც პატრიარქის დიდ მადლს ვუკავშირებდი და სასოებით შეეცქეროდი კალამომარჯვებულ მაცხტროს... ეს სურათი წამომიტვიტვებდა ხოლმე ძალიან ხშირად...

იმავე პრუსტის ანკეტიდან გავისხენებ კითხვას: როგორი გინდათ მომკვდარიყავით? პასუხი: ვალეოსდილი.

ნოდარ ანდლულაძემ ამ ნდომასა და სურვილს მთელი სიცოცხლე უძღვნა. მე და, ვფიქრობ, უამრავ ადამიანს დაგვიტოვა განცდა, რომ მისი ხსოვნის წინაშე ვალში ვართ.

თამარ ღონღაძე

იტალიის გეზი საქართველოში

რომი. ფორუმის ნანგრევები. ორი იტალიელი ძმაცატი, ესპოზიტო და ამილკარე, მომავალი სპექტაკლის რეპეტიციას ატარებს. დეკორაციები მზამზარეულია და ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის. ითამაშე, რამდენიც გაგხარდება, სულო და გულო!

ამილკარეს ხელში უჭირავს რომაული მონეტა და მდიდარი ამერიკელი ტურისტის როლს ასრულებს. დამტკრეული იტალიურით ეკითხება ესპოზიტოს: ვი ჩერტი ესერე მონეტ ტემპი ოგუსტო? ესპოზიტო თამამად პასუხობს სუფთა ინგლისურით: იეს, ვერი უელ, ოკვი, ბიუტიფულ! ვითომ ამერიკელი ალტაცებით წარმოთქვამს: ო, ბრავო, ბრავისიმო! დიახ, დიახ, ძველისძველი მონეტა არისო, — ბეჯითად არწმუნებს ესპოზიტო. მითხარი, ამ მონეტაში რამდენი მოგცეო? არა, არა, რას ბრძანებთ, მე არა ვყიდი, ჩემთვის მინდაო. უნდა მომყიდოთო, ევედრება ამილკარე, მაგრამ ესპოზიტო ჯიუტობს: არა, არა, მე უკვე სხვას დავპირდიო.

ასე იწყება იტალიური ფილმი „პოლიციელები და ქურდები“ (1952 წ. დამდგმელი რეჟისორი — მარიო მონიჩელი, მთავარ როლში — სახელგანთქმული იტალიელი კომიკოსი ტოტო). ამ ფილმმა თავის დროზე ჩვენამდეც ჩამოაღწია და დიდი პოპულარობა მოიხვეჭა.

სპექტაკლი ურეპეტიციოდ არავის სმენია და ზემოხსენებულმა ძმაცაცებმა სწორედ რეპეტიცია ჩაატარეს მოსალოდნელი სპექტაკლისა.

და აი, სპექტაკლიც დაიწყო. უძვირფასესი ავტომობილიდან მძიმედ გადმოდის გაბლენძილ-გამოპრანჭული ლოკუცო — იტალიური წარმოშობის ამერიკელი ორ ქალბატონთან ერთად. მისი კომპლექცია, ჩაცმულობა, ელფერი, მიხვრა-მოხვრა — ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ ეს კაცი ამერიკელი მილიონერი უნდა იყოს. ისაა, ვისაც ნატრობდნენ!

ესპოზიტო თავს წარუდგენს, გიდი ვარ და პატენტიც მომეპოვებო. მერე აქეთ-იქით მიმოატარებს ღვთისგან ნაწყალობე სტუმრებს და სათანადო ახსნა-განმარტებებით უმასპინძლდება: აი, ეს იულიუს კეისრის საფლავია, ეს კიდეც — ქრისტეფორე კოლუმბისაო. შესჩივის: ირგვლივ ყველაფერი საშინლად დანგრეულია, პირდაპირ გული მოგიკვდებაო.

ამერიკელი მილიონერი სინანულით გააქნევს თავს, ჩვენს მფრინავებს მაგრად უმუშავიათო. ფორუმის ნანგრევები მეორე მსოფლიო ომის შედეგი ჰგონია. იტალიელ აბორიგენებს, სხვათა შორის, ეკითხება: ხომ ვერ მეტყვი, მაიკლ ანჯელი რომელ ქუჩაზე ცხოვრობსო? სახელოვანი მიქელანჯელო ცოცხალთა შორის ეგულება.

უეცრად ესპოზიტო ნანგრევებში წაანყდება მონეტას და სიხარულით ყიჟინას დასცემს. ამილკარე სასწრაფოდ ირემებს არქეოლოგიისა და ნუმისმატიკის პროფესორობას და მისი ავტორიტეტული რეკომენდაცია გადამწყვეტი აღმოჩნდება ძველი რომაული მონეტის გასასაღებლად. ლოკუცო 50 დოლარად ყიდულობს სანუკვარ მონეტას.

ამასობაში სცენაზე გამოდის პროფესიონალი თალლითების კონკურენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოყვარული თალლითი, შორიახლოს რომ ტრიალებდა და ყველაფერი ესმოდა. 50 დოლარად გაყიდული მონეტის ტყუპისცალს, ასევე ნაყალობე მონეტას, მიაბრძენს ამერიკელი მილიონერს და მისთვის ცხადი ხდება, რომ გააცურეს.

ლოკუცო ყვირის: პოლიცია, პოლიცია! განრისხებულ-განცვივრებული წარმოთქვამს: ასეთი განგსტერები ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრიაო. დახეთ, განგსტერთა სამშობლოდან ჩამოსულ მილიონერს ორი წერილფეხა იტალიელი თალლითი აკვირებს და 50 დოლარის დაკარგვას ისე განიცდის, თითქოსდა ამერიკის დროშა და ჰიმნი შეუგინესო.

ესპოზიტო და ამილკარე ელვისებური სისწრაფით ითესებიან დანაშაულის ადგილიდან, მაგრამ... ამ ინციდენტიდან მეორე თუ მესამე დღეს ლოკუცო გადაეყრება თალლით ესპოზიტოს საქველმოქმედო ღონისძიებაზე, სადაც ეს

გაბეცილი ამერიკელი მილიონერი საჩუქრებს ურიგებს იტალიელ ბავშვებს გაჭირვებული ოჯახებიდან.

ესპოზიტო აქაც თავის სტიქიაშია. სახელდახელოდ შეუკრებიან ქუჩაში მონანალე ბავშვები და იმასაც ახერხებს, რომ მოსაწვევი ბარათის გარეშე, ხვეწნისა და განევ-გამონევის შემდეგ, თავისი ახალშეძენილი დოლრიალა შთამომავლობის თანხლებით თავი ამოყოს გაჭირვებული იტალიელებით გადაჭედულ დარბაზში.

ღონისძიების ორგანიზატორი ხოტბას ასხამს მისტერ ლოკუცოს ფასდაუდებელ მოღვაწეობას იტალიელი ბავშვების საკეთილდღეოდ და მონივნებით ტამს უკრავს. მთელი დარბაზი ერთსულოვნად აჰყვება. მერე იწყება საჩუქრების დარიგება, რასაც პირადად აწარმოებს ღვანღმოსილი ამერიკელი მილიონერი. და მოულოდნელად ცხვირწინ გამოეჭიმება ესპოზიტო, ლოკუცოს მესხიერებაში სამარადისოდ ჩაბეჭდილი თალლითი, რომელმაც გუშინ თუ გუშინწინ უნამუსოდ ააფცქენა 50 დოლარი!

გაოგნებულ ლოკუცოს ხმა ჩაუწყდება, რალაცას გაურკვეველად ზმუის და ბოლოს ძლივძლივობით ამოიხველებს: ქურდი, ქურდიო! და აკანკალებული ხელით მიანიშნებს ესპოზიტოზე.

ამის შემდეგ იწყება, რაც იწყება. ერთმანეთს ენაცვლება სასერიო-სახარხარო კადრები — მუცელი ხელით უნდა გეჭიროს. დამშეულ-გაძვარებულ ესპოზიტოს ქოშინით მისდევენ კარგა ჩაკურატებული იტალიელი პოლიციელი და გაბეცილი ამერიკელი მილიონერი. არნახული დამალობანა-დაჭერობანა ჩაღდება რომის ქუჩებში და აპოგეას აღწევს რომელიღაც მივარდნილ გარეუბანში...

კეთილი და პატიოსანი. ახლა ვნახოთ, რა განსხვავებაა გაამერიკელებულ-გაბეცილ იტალიელსა და მშობელ მინაში ღრმად ფეცვადგმულ, სუფთა სისხლის (და მერე რაოდენ ცისფერი სისხლის!) ძირძველ იტალიელს შორის.

ამას საუცხოოდ გვიხატავს ვერმანტის ქართველი გენერალი, ან განსვენებული შალვა მალააკელიძე თავის მემუარებში, რომელსაც თამამად შეიძლება შესტესლერი ვუნოდოთ, ამ ორმოცი წლის წინათ მაგნიტოფონზე რომ ჩაინერა ვიქტორ რცხილაძემ და გამოსცა კიდეც, როდესაც საქართველოში ამინდი შეიცვალა და დამოუკიდებლობის კამკამა მზემ გააჩახახა ჩვენი ტკბილი სამშობლოს მთა-ბარი.

როგორც ირკვევა, 1940 წელს შალვა მალააკელიძე რომში თავის სამსახურებრივ საქმეებზე ყოფნისას შეხვედრია, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიის მეფეს ვიქტორ ემანუელ III-ს (1869-1947). ეს გახლდათ უკანასკნელი მონარქი იტალიისა და ზეობდა 1900-1946 წლებში, ე.ი. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე! უვნებლად გამოიარა პირველი მსოფლიო ომიც და მეორეც. ბენიტო მუსოლინის აღზევებასაც მოესწრო და დამბობასაც. გერმანული კლანჭებიც იგემა და ამერიკული შოკოლადებიც.

ერთი სიტყვით, მეფე იყო და მეფობდა. რა თქმა უნდა ეყვარებოდა ჯუზეპე ვერდის მუსიკა და ლუიჯი პირანდელოს პიესები, საყოველთაოდ სახელგანთქმული სპაგეტი და ღვთიერკურთხეული კიანტი. არაფერი ადამიანური უცხო არ იქნებოდა მეფისათვის.

შალვა მალააკელიძე გვამცნობს, რომ დასავლეთში და, კერძოდ, რომშიც იმხანად ასეთი წეს-ჩვეულება ყოფილა: თუკი ცნობილ სასტუმროში ასევე ცნობილი პირი გაჩერდებოდა, ეს



ვიქტორ ემანუელ III

ინფორმაცია დაუყოვნებლივ ბეჭდებოდა გაზეთში. რეკლამას უწევდნენ სასტუმროს. ტფილისის ყოფილ გენერალ-გუბერნატორს, ცხადია, საპატიო სტუმრად შერაცხავდნენ და იტალიის მეფესთან სადარბაზოდ მისწავნე პირთა სიაში მოხვდებოდა. ამ სიიდან კი თვით მეფე ამოარჩევდა სასურველ სტუმარს.

შალვა მაღლაკელიძე გულახდილად გვიმხელს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იტალიის მეფეს ჩემი პიროვნება დააინტერესებდაო. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დაინტერესა! სახელი და გვარი, რასაკვირველია, არაფერს ეტყოდა, მაგრამ ეთნიკურ წარმომავლობას, ალბათ, მიახვედრებდა და ლეგენდარული საქართველოს შვილს წინ რაღა დაუდგებოდა?!

ასეა თუ ისე, ერთ მშვენიერ საღამოს საგანგებო ფრაკში გამონყობილ დარბაისელი ქართველი სადარბაზოდ ეახლა იტალიის მეფეს.

ახლა სიტყვა-სიტყვით უნდა დავიმონწილოთ შალვა მაღლაკელიძის ნაამბობი:

„შევედი მეფესთან კაბინეტში და ნაცვლად იმისა, რომ იგი დამენახა დიდ სანერ მაგიდასთან მჯდომი, ვნახე კუთხეში, იქვე სკამზე იჯდა. ჩემი შესვლისას წამოდგა. ცოტა სახტად დავრჩი: პატარა ტანის კაცი იყო, მელოტი, ზევით აწკეპილი თეთრი ულვაშებით, სამოქალაქო ტანსაცმელში, მოგრებილი ფეხებით; დაბრძანდითო — მითხრა გერმანულად. როგორც მე მივხვდი, მისი კუთხეში ჯდომა და ასეთი მომართვა განგებ იყო, რათა მე თავი თავისუფლად მეგრძნო“.

როგორ მოგწონთ ყოველივე ზემოთქმული? იტალიის მეფე, აბა კარგად დაუკვირდით ამ სიტყვას — მეფე, დიხ მეფე, ასე თავმდაბლად, მოკრძალებით, შინაურულად ეგებება მორიგ სტუმარს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ორდინარულ სტუმარს. ჩემი შესვლისას წამოდგაო, ბრძანებს ბატონი შალვა. გესმით თქვენ? შედინარ მეფესთან ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოკვდავი (არც პრეზიდენტი ხარ, არც მინისტრი, არც პარლამენტარი, არც ეპისკოპოსი) და მეფე ფეხზე წამოდგება შენი პატივისცემის ნიშნად — მისი უდიდებულესობა იტალიის მეფე, იულიუს კეისრის შორეული მემკვიდრე! დაუჯერებელია, წარმოუდგენელია...

სახტად დარჩებოდა, აბა არ დავმართებოდა გადაკარგული კავკასიიდან ცივილიზებულ ევროპას შეხიზნულ ემიგრანტს. საქართველოს გენერალ-გუბერნატორად წარუდგენენ დედოფალს. მაღლაკელიძეს გულში ეცინება: მე დიხაშნოელი გლეხიო...

გულთბილ საუბარში ახალ-ახალი სიურპრიზები ელოდება სტუმარს. ვიქტორ ემანუელი უჩვენებს თავისი შვილის უმბერტოს ფოტოსურათს და ამყადა ამბობს: ხომ კარგი ვაჟკაციაო! მერე დასძენს: მე ნაკლებად მგავსო (თვითკრიტიკა და მერე ასეთი?!). შვილის საამაყო შესახებობა თურმე დიდის დამსახურება ყოფილა — ჩერნოგორიის პრინცესისა. იტალიის მეფე ასე მსჯელობს: დიდი წარსულის მქონე ერები ბერდებიანო. სპარსელები რანი იყვნენ და ნახეთ, ახლა რანი არიანო. ასეა არისტოკრატიულ გვარებშიც, ერებივით ბერდებიან და დეგენერაციას განიცდიანო. გულახდილად აღიარებს, დედოფლის წყალობით ჩემი გვარი გამოკეთდა, რასაც უმბერტოს წარმოსადგეობა ამტკიცებსო.

მაგრამ ჯერ სადა ხარ. იტალიის მეფე თავის სტუმარს ამცნობს: „ჩემი ტანმორჩილობის გამო იტალიურ არმიამი ჯარისკაცის სიმაღლის სტანდარტი რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა იქნა მიღებულიო“.

გულზე ხელი დაიდეთ და გულწრფელად ბრძანეთ: ასეთი სიყვარული მეფისა ოდესმე სადმე გსმენიათ ანდა წავიკითხავთ? მოდი და ნუ გაგეცინება! სად შეიძლება, რომ ჯარისკაცის სიმაღლის სტანდარტი რამდენიმე სანტიმეტრით დასწიონ იქაური მეფის ტანმორჩილობის ხათირით?! არსად, არსად, გარდა საოცრებო იტალიისა...

ახლა მივადევით ყველაზე მთავარ ამბავს, ბრილიანტივით რომ ბრწყინავს შალვა მაღლაკელიძის მემუარებში.

— თქვენ ქართველი ხართ, არა? — ეკითხება მასპინძელი სტუმარს.

— დიახ, იავოოლ, — პასუხობს სტუმარი.

მე საქართველოს ვიცნობო, უთქვამს იტალიის მეფეს. ცნობა ის კი არ გეგონოთ, რომ გლობუსზე მიუგნია და რუკაზეც აღმოუჩენია. არა, ჩემო ბატონო, როგორც ირკვევა, თავის დროზე თავისი

თვლით იხილა ჩვენი სასახელო სამშობლო. ტახტის მემკვიდრე რომ ყოფილა, მის რუს „კოლეგას“ — მომავალ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს (1868-1918) თურმე დაუპატიჟია რუსეთში (ეს უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის დაახლ. 90-იანი წლების დამდეგს).

თავდაპირველად ბათუმში ჩასულს, რუს სამხედროებთან ერთად, შეეგება ქართველი თავადაზნაურობა („შესანიშნავი შესახედაობის ხალხი იყო“). შემდეგ ჩაუყვანიათ სურამში და უწვენებიათ დიდი მთავრის მიხეილის სამაგალითო სამხედრო სასწავლებელი და იუნკერთა პარადი. ქართველი თავადაზნაურობა იქაც თან გვახლდაო.

კვლავ სიტყვა-სიტყვით უნდა დავიმონწილოთ მაღლაკელიძისეული ტექსტი. იმდენად ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ ერთი სიტყვაც არ უნდა გამოგვრჩეს:

„მერე მიმიყვანეს სურამის ციხის ნანგრევებთან. იცოდნენ, რომ მე წუმიზმატი ვიყავიო. უნდა გითხრათო, რომ ჩემს წუმიზმატურ კოლექციაში ინახება ერთი ქართული ფული წარწერით: „მეფე დავითი სომეხთა და ქართველთაო“. ახლა ამ სურამის ციხესთან ვნახე ეს სამხედროები და თავადები ჯოხებით და მითხრესო, რომ ამ ჯოხს თუკი დაეკაკუნებთ ამ ნანგრევებს, ზოგჯერ „თეთრა“ (ე.ი. ქართული თეთრი) ცვივაო. მართლაც, სხვებმა სადაც მიაკაკუნეს და მოჩხრიკეს — არაფერი ჩამოვარდაო. ახლა მე მომჩხრიკინეს და ნახე, მართლა ჩამოვარდა „თეთრა!“ ეჰ, მე, იტალიელს, ქართველები რას მომატყუებდნენ?! მაგრამ მეც შევიფერე ეს, ვითომც მართლაც „აღმოვაჩინე“ ეს ფული და ამით იმით მაამეს, ხოლო მე კიდევ მათო“.

ხედავთ, ერთმანეთს ვაბნეთო, გვაუწყებს მომხდართი კმაყოფილი მეფე იტალიისა. მასპინძელთა უწყინარ ეშმაკობას მეფური დიდსულოვნებით გასცა პასუხი. ერთმა მხარემაც გაიხარა და მიორეგება.

აი, ვინ უნდა გამხდარიყო ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე — იტალია, მშვენიერი იტალია! პარლატე იტალიანო?... არივედერჩი რომა... ო სოლე მით... ერთმანეთს რა კარგად გავუგებდით! რას მოატყუებდი, ვის მოატყუებდი?!

ვისი სტუმრობა გაგახარებდათ და გეამებოდათ, იტალიის მეფისა თუ ლოკუცოსი?

იტალიის მეფესთან რას მივა ეს გაბეყილი ლოკუცო, 50 დოლარის გულისათვის მთელი იტალია ფეხზე რომ დააყენა ერთი საბრალო, დამშეული თაღლითის დასაჭერად. ეს სისხლმონყურებული ვამპირი, რომელიც თავისი 50 დოლარის გულისათვის ყელს გამოსჭრიდა ბავშვსაც და ქალსაც. ეს მაღლარი ვაჟბატონი, ქველმოქმედის ნილაბი რომ მოირგო და თავისი მილიარდებიდან (ამასობაში მილიარდერი გამხდარა!) რაღაც კაპიკიან საჩუქრებს უჩრავებდა გაყვლიფილ-ფერმიხილი იტალიელ ბავშვებს. ცხადია, სტრატეგიულში ჩაჭედილი საიდუმლოება გახლავთ, თუ საიდან მოიხვეჭა თავისი მილიარდები, მილიონთა ოფლითა და სისხლით რომ იქნებოდა გაპოხილი, ხოლო კაპიკიანი საჩუქრების დარიგებას გულუხვად გააშუქებდა პრესა და გაბეყილი ლოკუცოს ფოტოსურათები ააჭრელებდა იტალიურ გაზეთებს.

ის დალოცვილი მეფე კი გულწრფელად გვაუწყებს: ქართველებმა ამით მაამეს და მე კიდევ იმათ ვაამეო. ორმხრივი სიყვარული ამომრავებდა, ალალი გრძნობა, რომელიც ახლოს არ გაიკარებდა ანგარებით შთაგონებულ თვალთმაქცობას და ტკბილსიტყვაობას.

ქართველი მასპინძლები ძვირფას იტალიელ სტუმარს სურამის ციხის ნანგრევებთან მარტო ქართული მონეტის აღმოჩენით როდი გაახარებდნენ, არამედ ორიოდე სიტყვით მაინც ეტყოდნენ, რომ წარსულში გარკვეული ძაფები აკავშირებდა იტალიას და საქართველოს. ვინ იცის, ეგებ ახსენეს კიდევ პეტრო დელა ვალე, არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო კასტელი — მოყვასნი შორეული რომიდან.

ასეა თუ ისე, საუბრის დასასრულს იტალიის მეფე ვიქტორ ემანუელ III ეუბნება შალვა მაღლაკელიძეს: მე ვიცი საქართველოს ისტორია, მისი ბედი მწარე იყო, მაგრამ კვლავ და კვლავ გადარჩებოდა და ახლაც ასე იქნებაო.

ამას ამბობდა 1940 წელს.

ახლა 2014 წელია.

ოდესღაც უთქვამთ: არაფერია მზის ქვეშ ახალიო...